ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

3-4

2001

მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი 77-ე № 3-4 2001 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

პოეზია, პროზა

თამაზ ჭილაძე – ლექსები 3
ზაირა არსენიშვილი – „ვა, სოფელო...“ რომანი. გაგრძელება. 12
გივი ძნელაძე – ადამიანი ლაპარაკის დროს მლერის!.. ლექსი 42
ვახტანგ ახვლედიანი – ნოველები 43
ნოდარ ხუნდაძე – ლექსები. 60
ჯემალ დოგორჯგინიძე – ლექსები. 62
ამირან მიქაუტაძე – ლექსები. 63
აქვსენტი კვირტია – ნოველები. 64
რეზო ვეკუა – ლექსები. 67
თომას სტერნზ ელიოტი – ჯ. ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო სიმღერა. ინგლისურიდან თარგმნა **მაია ნათაძემ** 69

ინტერვიუ

ნოდარ გურაბანიძე – თვალეგდათხრილი ოიდიპოსივით 74

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“ 89
შოთა ზოიძე – მუდმივი ერთგულება 97

იხ. მე-2 გვ.

შინაარსი
(გაგრძელება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეცნიერება

ცირა ედილაშვილი – გაბრიელ ეპისკოპოსი მართლმადიდებელი ქრისტიანობისა და ეკლესიის ეროვნული მნიშვნელობის შესახებ 103
თამარ ბარბაქაძე – ქართული ვერლიბრის პირველი მკვლევარნი 106
ანზორ დარცმელიძე – „ვეფხისტყაოსნის" დაბოლოების შესახებ 112
თენგიზ ჩხეიძე – მაჩაბლების საგვარეულო 119

ხელოვნება

ნათელა ურუშაძე – მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს 124

რეცენზია

ანდრო ბუაჩიძე – მნიშვნელოვანი მოაზროვნე 134

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

სარედაქციო საბჭო:
მარიამ აბიაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
აკაკი მინდიაშვილი
მანანა მიქელაძე
მზია შატბერაშვილი
ვაჟა ჩოხრდელი (პ\მგ. მდივანი)

პოეზია, პროზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ჭილაძე

●

ეხეთქება ფანჯრებს, კედლებსა და კარს,
გვთავაზობდეს თითქოს ოცნებებს და იმედებს,
კარგად ვიცნობ მას — გაზაფხულის ქარს —
გულუხვია სიტყვით,
ნამდვილად კი არაფერს არ იმეტებს.

ხეებს მთვარის მსუბუქ გვირგვინებით რთავს,
ძაღლი უყეფს მოგუგუნე სინათლეს...
მიკვირს, რატომ არ მანებებს თავს,
მე ხომ იგი მხოლოდ ფიქრში ვინატრე...

2001

●

როცა მეგონა, დროა, მთავრდება,
ვქრები სიბნელის კართან მისული,
შენ დამიდექი თითქოს თავდებად
და არყოფნისგან გავთავისუფლდი.

თითქოს დიდიხნის ოცნება ახდა,
ანდა ჩვენება სიზმრისმიერი,
შენი სახელი მე ისე მაკლდა,
ვამბობ და უკვე ვარ ბედნიერი...

2000

●

ბაბუაწვერა თრთის ხელისგულზე —
ჩემი ბავშვობის ოცნების ფერფლი...

●

შიშველი ცისარტყელები
მთებში გადავლენ ყირაზე,
ჩამცხრალი წვიმის წვეთები
მინაზდებიან მინაზე.

გადაივლიან ღრუბლები,
სველ კალთააკეცილები
და შენს თავს მომანატრებენ
მაისის აკაციები...

2000

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

(ნანტი. მონაზონი ავტობუსს ელოდება)

ქარს მოვყოლილვარ, დაო ტერეზა,
სხვა გალაქტიკის ღატაკი მკვიდრი,
გაუბედავი სიტყვა ენაზე
ღნება, ვით ცრემლის მარილის კვნიტი.

ვერ გამიგია, თუ რატომ მინდა,
გაგანდო ჩემი ფიქრი ნატანჯი,
როგორ შემომრჩა ოცნება წმინდად,
როგორ მკლავდნენ და როგორ გადავრჩი.

ხვალ აღდგომაა! ქარი ტერასებს
ვარცხნის, ხვალისთვის ამზადებს თითქოს...
ღმერთმა გისმინოს, დაო ტერეზა,
ის, რასაც ახლა ღიმილით ფიქრობ...

1992

●

(სიზმარში მეგობარი გამოცდილებას მიზიარებს)

თურმე შეიძლება ვარსკვლავების დათვლა,
ანდა ლურჯპერანგა ალიონის კოცნა,
თურმე შეიძლება... თვალს დახუჭავ როცა
და პაწია სანთელს დაგინთებენ თავთან...

2001

●

დგახარ ასე ახლოს,
გიცახცახებს მხრები,
თითქოს სატუსაღოს
მისაღებში ვხვდებით.

სიმწრის ცრემლი ბრწყინავს
და გადასულს გონზე
ვერაფერი მითქვამს...
და შეორთქლილ მინას
აწერს გულის მორზე
თითქოს ბოლო სიტყვას...

წვიმა კორტნის ბაქანს,
ველარაფერს ვხედავ,
სივრცეს, როგორც საკანს,
სემაფორი კეტავს...

2001

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

●

თითქოს პირამდე ღვინით აგივსეს
ვეება ჯამი, ძვირფასი ღვინით,
წამოიმართა, როგორც ალვის ხე —
ფიქრი, ოცნება, გაფრენის ჟინი.

თვალი მოჰკარი ცისკარს ალისფერს,
წაძით იხილე საიატრი ჟამი...
თითქოს პირამდე ღვინით აგივსეს,
შენ კი ხელებში ჩაგატყდა ჯამი...

2001

●

ლანდებს დავდევდით და თავს ვკარგავდით,
ოცნების მკლავი გვედო ბალიშად,
ცად ადიოდა ყველა აღმართი
და ცაც გვეძახდა, როგორც აფიშა
სხვა პლანეტიდან ჩამოსულ ცირკის,
სულს გვიკაწრავდა თბილისის ღამე
გაურკვევლობის ეკლით თუ ბირკით...

იმ უძილობას და გულისხეთქვას
დღეს სინანულის ცრემლებად ვიმკით...

2000

●

არც დასაწყისი, არც დასასრული,
მხოლოდ ოცნების კარის ჯაჯგური...
რად გინდა ჩემი გამსკდარი გული,
სხვის სიყვარულში გამოტანჯული...

თავის მართლება არც კი მიცდია,
ვინ გამამართლებს თავ-გზა არეულს...
შენი სიკეთე ჰგავს ამნისტიას,
საბედისწეროდ დაგვიანებულს...

2000

●

და უცებ ცრემლად ვიქეცი,
ცრემლის ობოლი წვეთი
დავეშვი ფიქრის კიბეზე...

თურმე ტიროდა ღმერთი...

1999

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

●

როგორ თავდება, როგორ თავდება,
რაც უსასრულო მეგონა ადრე
და ყველაფერი წარსულს ბარდება,
რაც კი ოცნებით მომავალს ვანდე.

და მაინც ვუცდი, შემოვა დედა
და ჩემს სარკმელზე გადასწევს ფარდებს...

2000

●

ჭრიჭინას ქვეყანა ჰგონია ყრუ —
ჭრიჭინებს,
ჭრიჭინებს
ჭრიჭინა...
შრიალებს ჭადარი,
რაკრაკებს რუ,
ჭრიჭინებს,
ჭრიჭინებს
ჭრიჭინა...

მე რაც მტკივა და მიხეთქავს გულს,
არავის არ ყოფნის სიცილად...

2001

●

უეცრად, როგორც ხსნა ან იმედი,
გამომეცხადა სამყარო მთელი,
შორი და უცხო, როგორც ტიბეტი,
შემოზღუდული მელოტი მთებით.

ღმერთის ეზოში ვესვენე თითქოს...

ჩამოდიოდა ღრუბელი ნაცრად...

და გულზე მეწყო, ხელების ნაცვლად,
უაზრო ფრენით დაღლილი ფრთები...

2000

●

(ფიჭვის სიზმარი)

ნუ გააღვიძებ, არწიე, ქარო,
ხომალდის მაღალ ანძად გათლილი,
ჩაცმულ-მორთული სოფლის გიჟივით,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ათასნაირი დროშის ჭინჭებით,
სამოთხის ღრუბელს ესაუბრება...

ნუ გააღვიძებ...

1998

●

მგონია, სხვისი ფიქრი მათხოვეს,
[illegible] ქვეყანაში დავფრინავ ოიოქოს,
ასე რომ არ ჰგავს ჩემს სიმარტოვეს
და თანაც ჩემგან არაფერს ითხოვს.

სიხარულიც და სევდაც თანაბრად
იმედის ტკბილი ბადაგით მათრობს...
თითქოს ჩამომხსნეს სულზე დარაბა
და თითქოს ვხედავ...
უფალო,
მადლობთ!..

2000

●

ყველა სურვილის სამანი,
ჰგავს დავიწყებულ სიმღერებს,
ცოცხალი გულის სამარე
ყოფილა თურმე სიბერე...

2000

●

კიდევ რამდენ ხანს უნდა ველოდო შენს დაბრუნებას...
როგორც მაღალი, შავი კედელი
მინდვრის ბოლოში
ტყე გარინდულა...
და ოღრო-ჩოღრო,
ნაცრისფერ ცაზე
ჭრიალ-ჭრიალით მიდის ღრუბელი...

1956

●

ქარი კი არა, ქარის ჩონჩხია,
ზედ რომ ემსხვრევა ჩხრიალით ლოდებს...
ამ სიზმრის იქით მწვანე კონცხია
და ზღვასთან შენი ბავშვობა ჰგოდებს.

ანგელოზივით, წყნარი და ნორჩი,
დაგტირის თითქოს და ცრემლი ბრწყინავს,
შენ კი სიბერის მხურვალე თოვლში
და უკანასკნელ სიზმრებში გძინავს...

1999

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რაღაც რომ ხდება უცნაური, მარტო შენ იცი,
გსურს სხვასაც უთხრა, გააფრთხილო,
არ კი გაცლიან...
ბოლავს სამყარო, გარდაცვლილი ბუნება იწვის...
შემოდგომაა — განშორება და კრემაცია.
როგორც მახლობელ ჭირისუფალს, შავი გაცვია,
გარეთ კი მშვიდად მომღიმარი ზამთარი გიცდის...

2000

●

ცა, ელვის ხანჯლით აქნილი,
ობლის კერძივით რიგდება
და ნაწილდება აპრილი
ოცნებებად და ფიქრებად.

ვუსმენ გაზაფხულს დაღლილი,
შენი ხმა მომწვდეს იქნება...

1999

●

წარმოიდგინეთ სიმარტოვე,
სიცივე,
ღამე,
ნავთქურის ახლოს მთვლემარე კატა
და კალენდარი შარშანდელი,
თუ უფრო ძველი,
ნოტების წიგნით გამართული
მაგიდის ფეხი...

როცა მარხავდნენ ჩემს მეგობარს,
იქ, პანაშვიდზე,
მეგობრის დედა
ფლეიტაზე უკრავდა ჩუმად...
გარეთ კი წვიმდა...
ღია კარში მოჩანდა ქუჩა...

2000

ანანურის ლანდი

მტანჯველია ხსოვნა
დროის უკეთესის...
მესმის, როგორ წუხარ,
მესმის, როგორ კვნესი.

არ გშორდება წამით

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ორი დასტაქარი —
ნამეხარი მუხა
და ბებერი ქარი.

ირეკლება ცაზე
თითქოს ფიქრის კვალი...

მთვარის ბასრი ეშვით
დაჭრილი და მთვრალი,
დრო მიღელავს ბნელში,
არაგვივით ჩქარი...
2000

●

ყვინთავს ბებერი პანტა,
სოფლის მღვდელივით წყნარი,
ქარი ბულულებს ფანტავს,
გეთამაშება ქარი.

ხარბად ისრუტავს მზერა
ამ დღეს — იხილავს როდის!
და კი არ ქრები, გჯერა —
ნანატრი შვება მოდის...
2000

●

და უეცრად ისრებად
გადმიქროლეს სიზმრებმა —
ფრინველების დიადი
გადაფრენა იწყება.

გულმა რა ქნას ნატკენმა,
ველარსად გაფრინდება,
კარზე ვერ მოგადგება
ძველი აურზაურით,
ველარ შესძრავს უძინარს
ზმანება უცნაური,
თუმცა, როგორც უწინაც
კოცონივით ინთება,
მაგრამ სულ სხვა რტოებით,
სხვა მზით, სხვა ათრთოლებით
შემოდგომა ირთვება...

●

თუმცა ისევ ძგერს, მაგრამ მკერდში აღარ ეტევა
გული —
ამქვეყნად აღარაფრის რომ აღარ სჯერა
და ჰგავს წინასწარ განწირული რაზმის შეტევას
მისი ამაო გაბრძოლება, იმედი, რწმენა.

გაქცევას ცდილობს — ვინ ეძახის, ვისი აჩრდილი,
ან ვინ უღვიძებს მინავლებულ ცეცხლსა ფუ ვნებას?
ვით მეომარი, ვერაგულად ზურგში დაჭრილი,
გაწბილებული, ნირწამხდარი, ღიმილით კვდება...

2000

●

ფიქრი მიაპობს უძილობას მთვარის ნავტიკით,
ფიქრს, გზადაკარგულს, რა დააწყნარებს...
თითქოს ჩვენს შორის უცაბედად
სხვა გალაქტიკის
გაწვა უფსკრული, ვით ნამეწყარი.

ალბათ განგებამ ასე ინება...

გარდაიცვალა თითქოს ჩვენი ბედნიერება,
ჩვენ კი დაკრძალვას ვერ დავესწარით...

2000

●

მე შემრჩა შენი სურათები,
როგორც ფოთლები
დასიზმრებული შემოდგომის...
დადგა სიჩუმე...
დამთავრდა ომი...
ცრემლმა წაშალა
ღიმილის გრიმი...
ცა, მინასავით შენაორთქლები,
აჭრელებულა
სიმარტოვის იეროგლიფით...

2000

●

ღამის კედლიდან მოჟონავს ფიქრი,
თითქოს ჭრილობა წვეთავს და წვეთავს,
ქვეყანა წვალობს ამ კედლის იქით,
ხმა მესმის, მაგრამ ვერაფერს ვხედავ.

გაუვალია ღამის კედელი,
ვით პატიმარი პატიმრებს შორის,
უხმო ძახილით, უხმო ვედრებით,
ჩემს საკუთარ თავს დავეძებ მგონი...

2000

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

გაიღვიძებენ სამრეკლოები,
ერთმანეთს ბნელში გადასძახებენ,
მხოლოდ ცოტა ხანს,
მხოლოდ დროებით,
ცაში ჰკიდია თითქოს სახლები

და გზაარეულს შუა ქალაქში
მთვარეს ფეხებზე კბენენ ძაღლები...

2001

●

ტელევიზორის ანძაზე მთვარე
ჰგავს ყავარჯნიან, დაღლილ ხეიბარს,
სულ მალე მარტი გაახელს თვალებს
და გაზაფხულიც მახვილს შეიბამს.

კვლავ დავბრუნდები, კვლავ დაგინახავ,
კვლავ გაგიგონებ, კვლავ მეყვარები
და აფეთქდება, რასაც ვინახავ
გულის სიღრმეში ასე წვალებით.

მაგრამ ჯერ ქარი ბობოქრობს გარეთ,
უცნაურ რისხვით და გამწარებით...

2000

●

თითქოს ვილაც იძახის:
ჩქარა, ჩქარა, ჩქარაო!
ღმერთმა იცის, რა ხდება...
გაიშლება ოცნება
ფარშევანგის მარაოდ...
ჭრილობა შეხორცდება,
ყველა ნატვრა ახდება,
ისევ ღმერთი გვიშველის...

მდინარეში შიშველი
გაზაფხული ბანაობს...

2000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაირა არსენიშვილი

„ვა, სოფელო...“

რომანი
1905 თებერვალი

„ხელი ვიოა იქმს ბრძნობასა“

ქოფაკი ყეფით გამოვარდა თავისი ბუდრუგანიდან, ძუნძულით გადაიარა ეზო და ძეძვის ღობეში დატანებულ ხის პატარა კარს გაავებული აებღოტა. მაწიას ეძახდნენ: „მაწიაავ... მაწიაავ...“

დარბაზის კარმა გაიჭრიალა.

ვინა ხარ მანდა! – გადმოიძახა აივნიდან მაწიამ.

„გამიღე კარი... მაწიაავ... საქმეზე ვარ მოსული... “ყრუ და თითქოს თხოვნის კილოთი ამბობდა ვილაც.

მაწია ერთ წუთს გაჩერდა, უცნობ ხმას გულისყური მიადევნა,.. მერე შებრუნდა, ჭრაქი გამოიტანა და ეზოში ჩამოვიდა.

„იქით ძაღლო!“დაუტია ძაღლს და ჭრაქი ძეძვის ღობეზე გადაანათა.

დიდი, შიშველი ხელები მოხვდა თვალში... განამქრული წვერ-ულვაში... განამქრული კრაველის ქუდი... აყრილი, ყურებამდე ატანილი მხრები... და თვალები, სიცივისაგან მორღვეული დაყვლეფილი თვალები... ღამეული მგზავრი გათოშილ ხელებს იორთქლებდა.

„სად გივლია კაცო!“ჰკითხა მაწიამ, მაგრამ პასუხისთვის არ მოუცდია, კარი გაუღო,და ბილიკი გამოუნათა.

კაცი ძლივს ადგამდა დაბუხულ ფეხებს... სიარულისა და სიცივისაგან იყო ნაგვემი და გალახული!

ვინ არის და რა უნდაო, ფიქრობდა მაწია, რატომ მაინცადამაინც ამ ავსა და ბოროტ ღამეს უნდა მომდგომოდაო.

„თელავიდან მოვდივარ...“დაიბუხუნა კაცმა.

ეტყობა ლაპარაკიც უჭირდა. – გამსინჯე, იარაღი არა მაქვს, – კაცმა შინლის ჯიბეები ამოიტრიალა. შინელი გაიხსნა.

დარბაზის კარებთან ფეხებიც ვერ დააბრაცუნა. მაწიამ ცოცხი აიღო და გათოვლილი ფეხები გაუცოცხა.

დარბაზში შემოუძღვა. და მაშინვე შენიშნა, რომ ყვავის ბახალებმა ისკუპეს და ბუდეებში ჩასხდნენ. შენიშნა, რომ ფეხის შემოდგმის უმალ უცნობმა მზერა მოიკრიფა, მობოჭა და დარბაზის სიღრმისკენ გატყორცნა. უცნობის პირქუშმა მზერამ დარბაზის სიღრმეში ევა მოიძია.

დათალხული ევა ბუხრის წინ იჯდა, ცხვრის ტყავებზე ფეხმოკეცილი ცეცხლს ჩაჰყურებდა. ეტყობა, დასცხომოდა, შავი თავშლის ბოლოები კეფაზე აეკრიფა და ყელ-ყური გამოეჩინა. ყურებში დიდი ზურმუხტები უკიაფებდა. და ალბათ, ეს დიდებული ზურმუხტები და ეს უცხო მშვენიერება იყო, მის გლოვასა და კაეშანს საზეიმო, შეუვალ იერს რომ სდებდა.

ახალმოსულმა კრაველის ქუდი მოიხადა და ისე ფრთხილად ამოისუნთქა, თითქოს უეცრად ჭვალი დაადგა და ტკივილი სუნთქვას უფერხებსო.

„აქა მშვიდობაო“, როდის-როდის ჩაილაპარაკა.

იდგა შუა დარბაზში და ევას უყურებდა.

„წამო, კაცო, ბუხართან!“დატევით უთხრა მაწიამ, მერე გულქანს გასძახა, თავის ცოლს, რომელიც ამ დროს გვერდით ოთახში ბალღს აძინებდა, სტუმარს მოხედეო.

ევა წამოდგა, კეფაზე აკრეფილი თავშლის ბოლოები გადმოიშალა და წინ გაიკრა. დარბაზი გადაიარა და გვერდით ოთახში გავიდა.

გულქანმა სტუმარს ბუხართან სამფეხა დაუდგა და ხონჩა მოართვა: ხელადით არაყი და ლეღვის ჩირით სავსე ბადია. მაშინვე გაბრუნდა და კაცები მარტო დატოვა.

ახალმოსულმა კრაველის ქუდი ბუხარში ჩაბერტყა და მუხლზე დაიდო.

სიცივისაგან გალურჯებული ხელები ცეცხლს მიუფიცხა.

ან ტანზე რა ეცვა, ან ფეხზე! ამ უამინდობაში ყურიანი ძველი ჩუსტები, დამბალი და დასველებული. შარვლის ტოტები ჩათვალულსა და ალაგ-ალაგ ამოგლეჯილ წინდის ყელებში ჰქონდა ჩატანებული. ზევით რომ ასეთია, ძირები რაღა იქნებაო, გაიფიქრა მაწიამ, წამოდგა, განჯინიდან თავისი ახალი, მტკიცედ ნაქსოვი ჭრელი წინდები გამოიღო და სტუმარს წინ დაუყარა, ფეხები გაიშრე და ესენი ჩაიცვიო.

მერე არაყი ჩამოუსხა პატარა ყანწში.

სიმწარე გაშოროთო, თქვა სტუმარმა, არაყი სწრაფად გადაჰკრა და ლეღვის ჩირი აიღო.

მაწიამ წარბი შეიკრა. საიდანღაც ეცნო ეს კაცი... ვერ მოიგონა საიდან...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მნათობი“ №1-2

„ვიფიქრე მოკლეებზე გადავალ-მეთქი...“ ამბობდა სტუმარი, – წმინდა შიოსთან მუხლამდე თოვლი იდო... გაუკვალავი... ზევით ქარიც მაგრად უბერავდა...
ხმა კი არ ეცნობოდა. არასდროს არ გაეგონა ეს ყრუ, დაბალი ხმა.
„რა გრჯიდა მერე!“ თქვა მაწიამ და ყანწი ისევ აუვსო, – თანაც ამ უამინდობაში! ჩირი ბლომად მიაყოლე, კაცო, არაყთან კარგია! – უფრო შეკითხვის გასაქარწყლებლად დაუმატა.
„მრჯიდა... ძალიანაც მრჯიდა...“ და კაცმა მეორე ყანწიც გადაჰკრა. სიცივისაგან გალურჯებული ვიწრო, ჩამოგრძელებული სახე არყისაგან და ცეცხლისაგან სულ გაუჭარხლდა. ძველის-ძველი, გაცრეცილი და გაფხეკილი, იდაყვებზე და კალთებზე საკერებელდადებული შავი შინელი გაიხსნა. შიგნით სიძველისაგან ფერდაკარგული ცენდილის ხალათი ეცვა.
სად მინახავსო, სად მინახავსო, წვალობდა მაწია. თითქოს რაღაც უსიამოვნო იყო ამ კაცთან დაკავშირებული. თითქოს რაღაც იცოდა ამ კაცმა ისეთი, რაც მაწიასაც არა მხოლოდ უნდა სცოდნოდა, არამედ განცდილიც უნდა ჰქონოდა.
კაცმა კი მე ორე ყანწს მესამე მიაყოლა... შემდეგ მეოთხე...
„კაცო! სათქმელი თუ გაქვ რამე, თქვი და გაათავე!“ – შესძახა გაბეზრებულმა მაწიამ.
კაცმა თავი ჩაჰკიდა.
„მოკვლას გიპირებენ, მაწიავ“...
ისედაც ყრუ ხმა სულ დაეხშო.
„რამდენი დაგაბარეს“? გულის გარეთ შეეკითხა მაწია, თუმცა იგრძნო, რომ კაცი არ ტყუოდა.
„არც რამდენი... რო გაიგონ ჩემი საქმეც შაბზე ნავა“...
„მაშ რას მემართლებიან!“ ხმას აუწია მაწიამ.
„აბა, ვის უნდა ემართლებოდნენ, შენისთანა შემძლე აქ ვინღაა...“
„ყაჩაღსა და მთხოვარას ერთ ნოტო ცხვარსა და ორ ღორს მივცემ! წადი და ესე უთხარი!“
„გაგაქრობენ საპნის ბუშტივით...“ ჩაილაპარაკა კაცმა ისე, თითქოს ამას თავისთვის ამბობს და მაწიას გარდაუვალი სიკვდილი მასში მხოლოდ დანანებას იწვევსო.
„ვინა კაცო, ვინა!“ ახლა კი გაწყრა მაწია, – რას მიეთმოეთობ! თქვი და გაათავე!!“
კაცმა საჩხრეკით ნაკვერჩხალი გამოჩხრიკა, მერე თავი აღიო, მაწიას შეხედა და თვალი თვალში გაუყარა.
„ახალი დროების კაცები!“
„ფუუჰ!“ მაწიამ ბუხარში ჩააფურთხა, მაგათი სვინდის-ნამუსისა რა ვთქვა.
ბოღმა შემოაწვა... გული ამოუფუვდა...
სოფელში ავკარგიანი, სამართლიანი [illegible] სახელი ჰქონდა. მსხვილი და წვრილი [illegible] და. მწყემსები აფასებდნენ. და არა მხოლოდ აფასებდნენ. უყვარდათ კიდეც. თვითონ ბევრი გაჭირვება აქვს ნანახი და იცის ჩვენი ამბავიო. დანახვაც შეუძლია და თვალის დახუჭვაცო.
მაწიას ახლა სიკვდილის გამო არ მოსწოლია ბოღმა. სიკვდილი ჩვენი დოსტიაო, ამბობდა. კაცის მოკვლაც, თავისთავად, სრულიადაც არ მიაჩნდა მიუტევებელ ცოდვად. გააჩნია რატომ უნდა მოიკლასო. ეს უნდა სცოდნოდა და თავისებურად გაეგო. ლუკა მღვდელსაც რამდენჯერმე შეჰპასუხებია: „მამაო, თუ ადამიანი პურის გამლეწავ ხარსა ჰკლავს და ღმერთი ამას ცოდვად არ უთვლის, ავსისხლა და ავგულა კაცის მოკვლა ცოდვად რად უნდა ითვლებოდესო“.
მაგრამ მაწია ხომ არც ავსისხლა იყო და არც ავგულა!
არავისი არც სისხლი ემართა, არც ვალი და ვახში; ცხენი არავისი მოეპარა და ქალი არავისთვის წაერთმია... არც ვაზი აეჭრა, არც ხოდაბუნი დაეწვა! ის კი არა, უდიერი სიტყვაც არავისთვის უთქვამს!
ბავშვობიდან მოყოლებული, რაც წვრილშვილმა და უპოვარმა მშობლებმა სხვის შვილად მისცეს, და მოაქამომდე, სანამ ამ სარჩო-საბადებელს შეიძენდა, ერთგული, თავდაუზოგავი, მართლაც რომ მამაცური შრომის მეტი არც არაფერი ახსოვს. ყველა სიკეთე, დიდი თუ მცირე, საკუთარი მარჯვენით, საკუთარი ოფლით მოირეწა.
ჰოდა, უნდა მოგკლათ იმიტომ, რომ შეძლებული ხარო, იმიტომ რომ, რაკი შეძლებული ხარ, „სოფლის წურბელა“ ხარო, ამას მაწია ვერასდროს ვერ გაიგებდა. მაწიას ღრმა რწმენით, ასე ნიშანში ამოღება შეძლებული ხალხისა, ვილაც ბოგანო, ნათრევ-ნაგდები, უფესვო და უწესჩვეულებო, სხვის ჯამში ჩამყურე ხალხის მოგონილი იყო. უშრომლად, მზამზარეულად რომ ნებავდათ გაშლილ სუფრაზე ფეხის მორთხმა. მუცელღმერთები! მუქთახორები და კაცისმკვლელები!!
და მაწიას, გაჯავრებულ გულზე, ერთბაშად მოაგონდა სად და როდის ენახა ეს კაცი. იმასაც მაშინვე მიხვდა, დანახვისთანავე რატომ ვერ იცნო... გიოს დასაფლავების დღეს ნახა... ეს სწორედ ის კაცი იყო... იმ დილით სასაფლაოზე წავიდა მაწია. მიცვალებულთან ღამენათევი და გულგასიებული ადგილს ვეღარ პოულობდა. დარბაზში ევა და გიო უკლავდნენ გულს, გარეთ კი აპრილის სანუკვარი სივრცე, მზის სხივებით, აფეთქებული ხეხილით, ადიდებული

რიყის ხმაურითა და ჩიტების გამაყრუებელი ჭრიახით, და რაც მთავარია, ვაებითა და გოდებით პირამდე სავსე სივრცე. და მოუნდა მჯდარიყო სასაფლაოზე თავისი დედმამის საფლავებთან, თავისი მწყაზარი ხვარამზეს საფლავთან და ეყურებინა, როგორ თხრიან ბიჭები გიოს სამარეს. მოუნდა განეცადა სასაფლაოს სიჩუმე, ბარისა და ნიჩბის ხმებით დასერილი.

მაგრამ ბიჭებს ადრიანადვე გაეჭრათ სამარე და წასულიყვნენ. სასაფლაოზე არავინ აღარ იყო. არავინ, აი, ამ კაცის მეტი.

შედგა თუ არა ფეხი და სიღრმეში, დედმამის საფლავებისკენ გაიხედა, დაინახა რომ ახლად ამოყრილ, ფხვიერ მიწაზე, გიოს ახლადგაჭრილ ღია სამარესთან ვიღაც კაცი იდგა და სამარეში იყურებოდა. მაწიას მახვილმა მზერამ მაშინვე აღბეჭდა სამარისკენ გადახრილი, ცენდილის გამოხუნებული, მჭლე ზურგი და გრუზათმიანი კეფა. კაცმა გაიგონა თუ არა მიახლოებული ნაბიჯების ხმა, უკან არ მოუხედავს, ისე წავიდა... მაღალი კაცი იყო... შემკრთალი კაცის სისხარტით მიაბიჯებდა... სამების პატარა საყდართან თვალს მიეფარა... მალევე ისევ გამოჩნდა... მაწია გრუზათმიან კეფას მისჩერებოდა... მაგრამ კაცს არც ერთხელ არ გამოუხედავს. თითქოს საგანგებოდ არის პირშექცეულიო. დიდი ცაცხვის იქით გადანგრეულ გალავანს გადაახტა და წვრილიანს შეერია.

მაწია სამებასთან მივიდა. უკანა კედელზე ახლად მიკრული სანთელი ენთო... ყოველივე ეს ეუცნაურა... მაგრამ, ალბათ, ვერც გაიგებდა სამარეში ჩამყურე კაცის ვინაობას, გიოს დასაფლავების დროს კიდევ ერთხელ რომ არ ენახა.

... ევამ უბიდან სალამური ამოიღო და გიოს სასთუმალთან ჩაუდო.

აქამდე კიდევ მაგრობდა, მაგრამ სუდარა რომ გადააფარეს, სასოწარკვეთილებისაგან სრულიად გაოგნდა. მაწიას ამოხედა და უთხრა: „ჩავალ საფლავში, მამავ“ და რადგანაც ეს არ იყო ნათქვამი ტირილითა და მოთქმით, არ იყო ნათქვამი სასოწარკვეთილი ადამიანის ღაღადისით, არამედ თითქოსდა სრულიად ჩვეულებრივად, თითქოსდა ისევე, როგორც ბავშვობაში ეტყოდა ხოლმე: „წავალ ბალღებში, მამავ?!“ — თხოვნისა და ნებართვის კილოთი, — მაწია შედრკა, „ვაიმე შვილებოვო“ ამოიქვითინა, დაჩოქილ ევას მხრებზე ხელი შემოხვია და წამოაყენა.

„აღარ მინდა მიწაზე სიარული, გამიშვი ჩავიდე, ჩემო მამავ!“ იხვეწებოდა ევა და მაწიას ხელს გულში იკრავდა.

მაწიამ ევა განზე გამოიყვანა, დიდი ცაცხვის ქვეშ საფლავის ქვაზე დასვა და გულზე მიიხუტა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, სწორედ მაშინ დაინახა ეს კაცი! გადანგრეულ გალავანთან იდგა და მათ უყურებდა, ევასა და მაწიას... ვიწრო, ჩამოგრძელებული სახე... უწვერო იყო, ცალი ყბა თალხი ხილაბანდით ჰქონდა ახვეული... ამიტომაც ვერ იცნო ერთბაშად, ახლა ამ კაცს ხშირი, შავი წვერით ჰქონდა ყბები დაფარული. თან ისიც გაიფიქრა, ალბათ, მაშინვე კიდევ იმიტომ ვერ ვიცანი, რომ მძიმე წუთები უნდა გამეხსენებინა და ამას კი უნებურად ეწინააღმდეგებოდა ჩემი გულისთქმაო.

თორემ ისეთი სიცხადით გაიელვა მაშინ ამ უცხო მოსამძიმრემ, ისეთი სიცხადით გაიფიქრა მაწიამ: ეს სწორედ ის კაცია დილით სამარეში რომ ჩაიყურებდაო, როგორი სიცხადეც კაცმა შეიძლება მხოლოდ დიდი, სულიერი თუ ფიზიკური, რყევების ბურანში განიცადოს.

სასაფლაოდან შინმიბრუნებულმა გაიკითხა და ლუკა მღვდელმა უთხრა, ეგ თელაველი სპირიდონაა, ახალი დროების კაცებშია გარეულიო, დადის სოფელ-სოფელ და ქაღალდებს ავრცელებსო... ის ნაცრისფერი ქაღალდები კი კარგად იცოდა მაწიამ, რამდენჯერ ნახირიდან დაბრუნებულ ძროხებს რქებზე ჰქონიათ წამოცმული... რამდენჯერ წყაროზეც გაკრული უნახავს: თავისუფლებისა და ძმობა-ერთობისკენ მოუწოდებდა გლეხობას.

კაი ძმობა-ერთობაა, მე და ჩემმა ღმერთმა, მოკვლას გიპირებენო!

მაწიამ ხელმეორედ შეხედა კაცს, დაკვირვებით მოჭუტა თვალები და თავის გულისყურს ჩაუღრმავდა... მართლა ნიშანში ჰყავდათ ამოღებული, თუ ყოველივე ამ სპირიდონისაგან იყო გამიზნული, მაწიასათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, გინდ მგელს შეეჭამა, გინდ მგლისფერ ტურას.

ცხადია, ორი ნოტო ცხვრისა და ოციოდე ღორისთვის ეს კაცი თავის ამფსონებს არ უგანებდა და ამ ყინვა-ყიამეთში ფარღალალა შინელითა და ძირგავარდნილი ჩუსტებით აქ არ გადმოთხლაშუნდებოდა. მეტისმეტად ღატაკი და შეუპოვარი ჩანდა საიმისოდ, რომ ან დოსთვის ექურდა, ან ხურდა ფულზე ეთამაშა.

ეტყობოდა შეყრილ წარბებზეც, შეუპოვარ მზერაზეც, შავ წვერ-ულვაშში ამომჯდარ მსხვილ, ხორციან ტუჩებზეც, იმაზეც, თუ როგორ მოსხლეტით და ჟინიანად იპირქვავებდა პირში არაყს, როგორ ჩასაფრებული მიაყურადებდა გვერდით ოთახში ყოველ გაფაჩუნებასა და გახმაურებას... ყვე-

ლაფერზე ეტყობოდა, რომ ამ კაცს მძაფრი გულისთქმა ამოძრავებდა და მსხვილი გარიგებისთვის იყო აღძრული. ასეც გამოვიდა. მაწიას შეძახილზე: „სპირიდონავ, გაუეჟილს გატეხილი სჯობია, რა გინდა ჩემგანო!“ სპირიდონას ახლა უკვე ენა არ დაუსველებია, ისე უთხრა: „გაუეჟილს გატეხილი სჯობს, მაწიავ, ევა მომეცი ცოლადო!“

ევა მომეცი ცოლადო?! მაწიამ თავი ჩაჰკიდა... ცეცხლს ჩააშტერდა... საფიქრალს მიეცა... თუკი ბედნიერი იქნებოდა თავის ქმართან, ევას სახელს ან კი როგორ წამოვაორთქლებდიო, მაგრამ რაკი ბუნებამ ამნაირად ინება და ჩემთვისაც ძილი აღარ არის და ღვიძილი, რაკი ახლა შენი სიცოცხლეც სასწორზე დაიდო, მხოლოდ მაშინ გადარჩები სიკვდილსაცა და აკლება-ანიოკებასაც, თუ ევა ჩემი გახდებაო! ევაო... ევაო... მაწიას ახლა თუ რაიმე უმწარებდა წუთისოფელს და გულს უკლავდა, ევას უსასოობა და უნუგეშობა იყო. აგერ სადაც არის ნელინადი შესრულდებოდა გიოს სიკვდილიდან და ევას დარდსა და ვარამს ნაპირი არ უჩანდა და მაწიას ფიქრითა და გუმანით კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს არც გამოუჩნდებოდა... ჩემი შეჭედილი ხატის ამბავი ჩემზე უკეთ ვინ იცისო, ფიქრობდა მაწია, მე კაცი ვარ, თან გასული კაცი და რამდენი წლები დამჭირდა ჩემი ხვარამზეს შემდეგ, ჩამოვბერდი იმის ფიქრსა და მოგონებაშიო... გიოს შემდეგ ევა სამჯერ გამოგლიჯეს სიკვდილს. ჯერ იყოდა მუცელი მოსწყდა და დიდხანს იავადა. მერე ისეთი შავნაღვლიანობა მოეძალა, რომ ორჯერ სადღვებლის წნელის ყულფი შეაბა და თავს იკლავდა. ორივეჯერ გონდაკარგული ჩამოხსნეს და ძლივს მოასულიერეს. ოდესღაც თავმოწონედ აღერებულ ყელზე საბლის კვალი ახლაც ეტყობოდა. აღარაფერი სურდა და აღარაფერი აღარ ახალისებდა: აღარც ტყეველი, აღარც ცხვარ-ძროხა... აღარც ცხენები... აღარც თიბვა და თივის ზვინები. თითქოს აღარ იცოდა რა უნდა ეკეთებინა: ან სად წასულიყო, ან რად წასულიყო, ან რა ეთქვა... მთელი ზამთარი ბუხრის პირას ცეცხლის ყურებაში გაატარა. სადილ-ვახშამზეც არ ადგებოდა და არ მივიდოდა. ის კი არა, რამდენი ხანი პურის ლუკმა არ გაუტეხია. მაწიას ცოლი ფაფა-ფუფას უხარშავდა, მიუტანდა და შეეხვეწებოდა: „შენი მკვდრის ცხონებასა და განათლებას, ამასაც ხომ დაღეჭვა არ უნდა და ცოტაოდენი მაინც გადაყლაპეო“. წყაროზე ქალებს შესჩიოდა გულქანი: მე თუ მომკლავს, ევას საცოდაობაო. მაწიას ცხვრისკენ პირი არ უქნია. ცხვარი კი არა, ვენახში რომ გავიდოდა, გული აქეთკენა ჰქონდა. საღამოობით მიუჯდებოდა თავის ქალს ბუხრის პირას და ვედრებითა და დაყვავებით ეტყოდა: „თავს ნუ დაიბეჩავებ, შვილო... [illegible] ევა? მონად ნუ გაუხდები მწუხარებას... რა შნოთი ხარ, ჩემო ქალო, ვინ შენა და ეგრე დაყურსება... გულიღა მიკვდება შენს მაყურებელსო...“

მამის დაყვავება მაინც უფრო ხვდებოდა გულზე, უფრო უღებდა გულის კარს. მამის ხელს კალთაში ჩაიდებდა და თავს ჩაჰკიდებდა... ხედავდა მაწია როგორ ნვეთნვეთად ეცემოდა ცრემლები ბუხრის კალთას, როგორ სველდებოდა ლეგა სიპი... ბოლოს კი ასე გადაწყვიტა და მამასაც სთხოვა: „წლის ჯერს რომ გადავიხდით, შუამთაში წავალ მონასტერში და უარს ნუ მეტყვი, ჩემო მამავ, გთხოვ გამიშვაო“.

მაწია დასამშვიდებლად კი დაეთანხმა, მაგრამ თავის გულს ასკდებოდა: „ვისაო, გულქან, ვისაო, ქალებში გამორჩეულ ჩემს ევას ქალობაზე ჯვარი დავასმევინოვო?! წუთისოფელზე ხელი დავაკრეფინოვო?! ვიღაც მაჯლაჯუნები, ვიღაც საფთხუნები ბღარტობდნენ და ჩემი ედემის ხე ზეზეურად ჩამოვახმოვო?! ვერ ვიქმ ამას, ვერ მოვიგლეჯ გულიდან და ცოცხლივ ვერ დავმარხავო!“

ჰოდა, ევაო, ამ უცხო კაცმა რომ უთხრა, მაწიამ იგრძნო, რომ მთის ციცაბო ბილიკზე მიმავალ ხურჯინაკიდებულ მგზავრს, გული ყელში რომ უცემს და პირზე მლაშე ოფლი ასკდება, ძლივსღა რომ იკიდებს ფეხს ხან კლდოვან და ხან ნაშალ ბილიკზე, უკანიდან ვიღაც წამოეწია და ხურჯინზე ხელი წაუვლო. მაწიამ მძიმედ მოაბრუნა თავი და სპირიდონას გაწვდილი ხელები დაინახა. ვინ იცის, იქნებ სწორედ საშველად გაწვდილი ხელები?! და თუ საშველად, იქნებ სწორედ განგებამ გამოუგზავნა ეს კაცი მაწიას და ევას! მაწია წამოდგა, დარბაზი გადაიარა და კუთხეში განჯინასთან მივიდა. თან ფიქრობდა: რატომ უნდა შევადარო გიოსაო. ყველა თავისი წილი სიცოცხლითა ცოცხლობსო... წყლული გულის წამალი კი გულშივე არისო...

ასეთი პირობით რომ არ მოსულიყო და ისე მენახა, შეიძლება კიდევაც მომწონებოდაო: სიმაღლე აქვს, სწორნაკვთადი კაცია, პირქუშია, მაგრამ შეუხედავი და თვალნავსი არ არისო...

მაწიამ ხის ჯამით კოდიდან კაკალი ამოიღო. თავისი გუნებით ევა იფიქრებსღაა დაბინავებას? აგერ საითკენა აქვს პირი მიქცეული... ამ კაცს კი შეუძლია ძალად შემოაბრუნოს! ახალი ცხოვრება დააწყებინოს, აქაურობას გაარიდოს... მეტი გზა ხომ არ ექნება, ჩაებმება საკუთარ ოჯახში, გუნებაც

გადაეწმინდება, გადახალისდება, წყლულიც მოუშუშდება... პირობაც მოსწონდა – მოგკლავთო, ღმერთმანი, ამ პირობით რო არ მოსულიყო, მე უნდა გამომეგონებინაო. მაგრამ ამასთანავე ერთად მაწიას გულმუცელს უმღვრევდა სპირიდონას ახალ დროების კაცებში გარევა, ამას იგი მთელი თავისი გულისთქმით ეწინააღმდეგებოდა. ხედავდა, რომ ევას გულისთვის თავის ამფსონებს უკვე უგანა, მაგრამ ესეც რამე?! საქმე ის იყო, აშკარად და საბოლოოდ თუ მიუბრუნებდა კეხს და შეაქცევდა ზურგს!

მაწია ბუხრის პირას ჩამოჯდა და კალთიდან ფილთაქვა აიღო.

„მომკლა კი არა, აქვე, აემწუთს სული რო გამაფრთხობინო, მე ახალი დროების კაცს ქალს არ მივცემ!“ – და მაწიამ ფილთაქვა კაკალს დაჰკრა.

„ახალი დროების კაცებისაა მომავალი, მაწიავ...“ ამოიბუხუნა სპირიდონამ.

„ვაი მაშინ ჩვენა! ეხლა კი გინდ მომკალით, გინდ გადამკალით!“ და მაწიამ კაკლებს სუ ჭახაჭუხი აუყენა, თან დატევით უთხრა სპირიდონას: „აიღე ეს კაკალი და გაარჩიე!“ სპირიდონა გადმოიხარა, მუჭით კაკალი აიღო და მაწიას ჩაციებით ჩააცქერდა: „რომელი მგელიც შენ არ შეგჭამს, რა გენაღვლება, დაე, იცოცხლოს... ეგრე არ არის?!“

მაწიამ წარბი შეიკრა, სპირიდონას გოროზად გადახედა: „მე სიცოცხლეს არავის ვედავები! თქვენ მაყვედრით სიცოცხლეს, აქაოდა ცხვარი და საქონელი მყავს!“

„სიცოცხლეს რო გაყვედრიდე, აქ არ ვიჯდებოდი, მაწიავ... აი, ეხლაღა გავლღვი... ნაწლავებიც კი გათოშილი მქონდა...“

„პატრონი არა გყავდა, სწორე გზაზე დაეყენებინე, საქმეს რამეს მისწეოდი?!“ „მე ძალიან მესწორება ჩემი გზა!“

„სადა ცხოვრობ?“ „თელავში, მაწანწარაზე“.

„გესწორება და გესწორებოდეს, ახალი დროების კაცს, ღვთის მგმობელს მე ქალს არ მივცემ!“ „სიღარიბითა მწუნობ, მაწიავ, და ხო გაგიგია ერთი დროვო!!“

„სიტყვას ნუ ასხვაფერებ! ქონება მგზავრია, სიღარიბე და სიმდიდრე ძმები არიან! სიღარიბე თქვენ მიგაჩნიათ, თორემ მე ჩემი ცხოვრება ცარიელ-ტარიელმა დავიწყე და მოკვლა კი არ მიფიქრია ჩემი პატრონისა, აქაოდა მდიდარი იყო!“

„ევა უნდა მომცე, მაწიავ!“

„სოფელ-სოფელ დავლაზე მოსიარულეს მე ჩემს სისხლსა და ხორცს ვერ გავუგდებ! მოეშვი მაგ წანწალს და იგრე ვილაპარაკოთ!!“

მაწიას ყოველი სიტყვა სპირიდონას გულის ფიცარზე ხვდებოდა... იგრე ვილაპარაკოთო... ვილაპარაკოთო... არ ეჩვენებოდა, არა, რომ მას, მოხეტიალე, ჩამოგლეჯილ-ჩამოწეწილსა და გაძვალტყავებულ ბედკაცს აშკარად ფილტვს ესროდნენ და თან ეუბნებოდნენ დაჯექ და ისე მიირთვიო... სანუკვარი ნადავლის სურნელი იდგა ამ დარბაზში, ცხვირში სცემდა სპირიდონას და არაყთან ერთად, ცეცხლთან ერთად, კაკლის ჭახაჭუხთან ერთად ათრობდა და აბრუებდა, სადავეებს უშვებდა და დაუკრეფავისკენ უბიძგებდა და აკი აღმოხდა კიდეც: „ევასა ვკითხოთ, მაწიავ!“

„რაო, რაოო!! გული უცივს შენთვისა და გული უშფოთავს!!“ ხმას აუწია მაწიამ, „არც კი წამოვაორთქლებ შენ განზრახვას სანამ არ დავრწმუნდები, რო ჩიტი ბდღვნადა ღირს... წანწალს უნდა მოეშვა და საქმე დაიჭირო ხელში, გესმიის!!“

სპირიდონას კი სულიკბილითღა ეჭირა; მას, ვისი კვერიც ან ნაცრიანი იყო, ან გატეხილი, დაბრაწულ ქადა-ნაზუქს სთავაზობდნენ, ნაკურთხსა და კელაპტრიანს... კელაპტრის ციმციმი თვალს სჭრიდა სპირიდონას, თვალებმონკურული და შუბლშეჭმუხნული ვითომ მოყოყმანე კაცის დაეჭვებით შეჰყურებდა მაწიას... „გირჩევნია მითხრა, რა უფრო გემარჯვება მაგ შენი ქაღალდებისა და მუქარების გარდა, საით მიგიწევს გული და რის მოქმედი ხარ, კაცო!“ ჩასძახოდა მაწია.

„შენ არაფერს დაგიშავებს ჩემი ქაღალდები, მაწიავ... ბეწვიც არ ჩამოგვარდება თავიდან, ხელს აღარავინ გახლებს, არა, არა, არა!!!“

„ოიი!!“ დაიძახა ბოლმიანად მაწიამ და ტაბლას მუშტი დაჰკრა, – „მე იმ კაცისა რა ვთქვა, სიტყვით ძმობა-ერთობას ამბობდეს და საქმით კიდევა ძმობასაცა და ერთობასაც ძირს უთხრიდეს! ეგ ხომ ის გამოდის, რო ენას ძვალი არა აქვს და სიტყვა კიდევა ქარია!! აიკრიფე შენი გუდა-ნაბადი და მომწყდი თავიდან! ვნახოთ რა ფეხებსაც მომჭამთ!!“ მაწია წამოდგა და ფართე ნაბიჯებით კარისკენ წავიდა...

სპირიდონას საქმე კი ისე იყო, რაც გულში ევა ჩაუვარდა და თავის პირად ბედზე დაიწყო ფიქრი, ახალ დროებაზეცა და ძმობა-ერთობაზეც როგორღაც გული აუცრუვდა. ღარიბ-ღატაკი ვერავის დავუწყვილდებიო ფიქრობდა და ახლა მას იქ უნდოდა მაყრობა, სადაც ჭერი მაღალი იყო. ახლა ის თავის გუნებაში სულ არჩილს ეკამათებოდა. იქ, იმ მშვენიერ სახლში, დიდ აბაჟურიანი, მომინანქრებული ლამფის ქვეშ, უზარმაზარი, ჭერს მიბჯენილი, სუნნელოვანი ლიმონის გვერდით ყველაფერი ისე მწყობრად, ისე დალაგებულად, ისე მართებულად გამოდიოდა... არჩილი, უჯრედის მესვეური,

თბილისსა და თელავს შორის გახიდული, ჭკუითა და განათლებით გამორჩეული, უმწიკვლო და კაცთმოყვარე, მოწინავე იდეებისთვის თავდადებული და კაცობრიობის ნათელი მომავლისთვის თავატკიებული, აი, ეს არჩილი, ოთახში მიდი-მოდიოდა და შთაგონებული ლაპარაკობდა, მაგიდას რომ მიუახლოვდებოდა, ზოგჯერ თავისი დედის გაშლილ ქაღალდს დაჰკრავდა თვალს და უკარნახებდა: „ყვავის ცხრიანს ჩადით, დედა...“ დეიდა ნატო, სიყვარულით გაბრწყინებული ამოხედავდა თავის პირმშოს და ღრმად, თითქოს შვებით ამოისუნთქებდა, რომ იმისი სასიქადულო არჩილი, სანაქებო არჩილი, ახლა ციხეში კი არ იყო, გვერდით ჰყავდა, ჩაგრულთა ხსნაზე ქადაგებდა და თან საყვარელ დედას ქაღალდის ამოხსნას შველოდა...

სპირიდონა ბავშვობიდან იყო შეზრდილი არჩილთან, საწყალი თებრო კვირაობით ნატოს სარეცხს ურეცხავდა და სახლს ულაგებდა. აბა, მნათეს, სპირიდონას მამობილს, ბეჩავსა და საცოდავს, მაწანწრის მცირე მრევლიანი, მწირი ეკლესიიდან რა შემოსავალი შეიძლება ჰქონოდა?! სასულიერო სასწავლებელშიც არჩილის მამის შემწეობით შეარგვევინეს სპირიდონას თავი, და თუმცა სრულიადაც არ იყო სწავლაში უუნარო, თითქოს კითხვაც უყვარდა, მაინც კი, მოიზარდა თუ არა, უმეტესად მშიერ-მწყურვალსა და არჩილის გამონაცვალებით შემოსილს, კატეხიზმოსა და ბერძნულზე მეტად მუშაობა და დამოუკიდებელი ცხოვრება უფრო იზიდავდა. მართლაც, ჯერ საბაყლო დუქანში დადგა ხელის ბიჭად, მერე ღვინით მოვაჭრეებს დაუკავშირდა და მათთან ერთად რუსეთში დაიწყო სიარული, სად აღარ იყო, სად აღარ... იმ ხანებში არჩილმაც თავი გაანება პეტერბურგში სწავლას, ინჟინრობას რევოლუციონერობა არჩია და ახალი იდეებით, მგზნებარე სულისკვეთებითა და სამოქმედო გეგმით აღჭურვილი საქართველოში დაბრუნდა. ოჰ, როგორც გაიტაცა სპირიდონა არჩილის ქადაგებამ, შეჰყურებდა და შესციცინებდა და მის სიტყვას დაბლა არ უშვებდა... არჩილის რჩევით, რადგან აუცილებელი იყო პროლეტარიატთან დაახლოება, მათ ყოფასთან ზიარება, სპირიდონაცა და რამდენიმე თელაველი ახალგაზრდა, კახეთის მომავალი უჯრედის წევრები, თბილისში, ბოზორჯიანცის ქარხანაში მოეწყვნენ მუშებად, დაუკავშირდნენ ახალი დროების კაცებს და მათი შეკრებების აქტიური წევრები გახდნენ, აკი სპირიდონას რევოლუციური პათოსით გამსჭვალული ლექსი „ბრძოლის“ ფურცლებზეც მოხვდა. მაშინ სპირიდონას სჯეროდა, რომ მომავალში მათ მაღალი ჭერი და ამაღლებანი ელოდათ, ამასთანავე ახალგაზრდა ჯანიანსა და ამყოლ კაცს ხიფათიანი და დაუდგრომელი ცხოვრება იზიდავდა, სიტყვა „კონსპირაციას“ ანდამატური ძალა ჰქონდა, შურდა კიდეც არჩილისა, მოწინავეთა შორის რომ იყო, ხან ბაქოში ამოჰყოფდა თავს, ხან ბათუმში, ხან აფხაზეთში, და რა თქმა უნდა, ციხეშიც, რადგან ციხე თუ გადასახლება განუყოფელი ნაწილი იყო რევოლუციონერის ცხოვრებისა და ვისაც ციხის კედლები არ ელესა, იმისი ხარისხის ნიშანიც სხვაგვარად ბრწყინავდა. როგორ არა, სპირიდონაც მიეწია ხიფათებს... დიდ ხიფათებსაც... რაც ბოლოს იმით გათავდა, რომ ბოზორჯიანცმა რევოლუციურ მოძრაობაში ეჭვმიტანილები ყველა კინწისკვრით გააგდო თავისი ფაბრიკიდან. არჩილის მითითებით მაშინვე დაბრუნდნენ თელავში, რადგან აუცილებელი იყო კახეთის სოფლებში რევოლუციური შეგნების გაღვიძება, გლეხობის გამოფხიზლება, მეტისმეტად ჩამორჩენილი იყო კახეთის გლეხობა, ჩაჰყურებდნენ მიწას და აჰყურებდნენ ცას, და არავითარი საზოგადოებრივი აზრი და პრობლემა თავში არ უჭაჭანებდათ... ვერასოდეს ვერ შეედრებოდნენ დასავლეთის გლეხობას, ვერასოდეს... იყვნენ ჩაფლულები უმეცრების ლაფში და არხეინად იცოხნებოდნენ... შენჯღრევა, შენჯღრევა სჭირდებოდათ, შენჯღრევა და ჩიჩინი, ანუ რევოლუცირ ენაზე აგიტაცია და პროპაგანდა... ღარიბსა და ბოგანო გლეხობას... მომავალი რევოლუციის დასაყრდენს სოფლად. ჰოდა, დადიოდნენ სოფელ-სოფელ, ატარებდნენ ფარულ კრებებს და ავრცელებდნენ ქაღალდებს. სპირიდონა მარჯვე იყო და მარჯვედაც ავრცელებდა... მამასახლისსა და ჩაფრებს ხელიდანაც ყოველთვის მარჯვედ უსხლტებოდა... განსაკუთრებით დიდ საზრიანობაში უთვლიდა თავის თავს ქაღალდების გავრცელებას ნახირის საშუალებით. წყაროზე გაკვრა ჩვეულებრივი, ნაცადი და გატკეპნილი გზა იყო ქაღალდების გავრცელებისა და სხვათაშორის არავითარ შემთხვევაში არ შეედრებოდა ნახირს... წყაროზე უმთავრესად ქალები დადიოდნენ, რომელთა უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცოდა, ჰოდა, მიდი და გაუკარი ძმობა-ერთობა-თავისუფლება! სანამ წერაკითხვის მცოდნე კაცი ტყისკენ ან აივლიდა ან ჩამოივლიდა, მამასახლისს შეიძლება მათრახის ტარით კიდევაც ჩამოეხია წყაროზე გაკრული ქაღალდი... ნახირი კი სხვა იყო, მენახირეები ხომ უმეტესად ერთი რაღაც ბეჩავები

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ, ჰოდა, სულ იოლად, ქრთილის ფასად სპირიდონა მთელ ნახირს რქებზე წამოაცმევდა ამ მოწინავე ქაღალდებს! ისე, რომ პირდაპირ სახლებში მისდიოდათ დაბეჩავებულ გლეხობას ეს გამომაფხიზლებელი მოწოდებები! მერე, რა თქმა უნდა, ამოწმებდა, აზუსტებდა, უმეორებდა და უჩიჩინებდა. მაგრამ ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას, ერთი საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ, როცა მათ სალაროს შესავსებად თათარი ნეგოციანტი გაძარცვეს და მოკლეს, შემსრულებლებს კი, იმ ნაძარცვი ავლადიდებიდან არაფერიც არ შეახვედრეს, სპირიდონას გულში ეჭვი ჩაეთესა რევოლუციით მოპოვებული სიკეთის გამო და მის რწმენასაც ბზარი გაუჩნდა... ხოლო ერთხელ თეთრგიორგობას, აწყურში, სადაც სპირიდონას ღვთისსაგმობი ქაღალდების გავრცელება ჰქონდა დავალებული, და ევა ნახა, მთელი არსებით იგრძნო, რომ იმისი ბედის ჩარხი სხვაგვარად უნდა დატრიალებულიყო. თუმცა ძველებურად ავრცელებდა ქაღალდებს და შიგადაშიგ შეკრებებსაც მართავდა, ხალისი აშკარად გაუნელდა და გულიც აუცრუვდა. ისე იყო ევას წადილითა და სურვილით აღერღილი, ისე იყო გულისთქმა-მორეული და აზვირთებული, თუკი საჭირო იქნებოდა, ნამდვილად არ დაიხვალიებდა ზურგი ებრუნებინა იმ ხალხისთვის, ცაში წეროს რომ ჰპირდებოდნენ და იმის მაგივრად ხელში ბელურა მაინც მიეცათ, ნაცრისფერი ქაღალდების დასტასა და აკრძალულ ლიტერატურას აჩეჩებდნენ გასავრცელებლად... საშოვარი კი სიკვდილს გაღმა იყო და საერთო სალაროდან კაპიკები უნდა მიეგდოთ, რომ შიმშილით არ ეფართხალა... დიდი მადლობა, ამხანაგებო, დიდი მადლობა, პირველი თვითონ დახევდა და თიქმა-თიქმა აქცევდა ამ ქაღალდებს! მაგრამ... როცა ჟამი დაჰკრავდა. მანამდე კი ეს ხალხიც სჭირდებოდა და მათი იდეებიც. სიფრთხილე იყო საჭირო, სიფრთხილე, ხალხი ყოველთვისაც გამოსადეგია, რომ მათი სახელით იმოქმედო... იდეები? იდეებს ხომ, როგორც ლამაზ ქალს სამეჯლისო შლეიფი, ისე მოსდევდა სრულიად უიდეო ზრახვები... ხშირად ბნელი ზრახვებიც... და თუ ყოველივე ისე წარიმართებოდა, როგორც მას გულში ჰქონდა ამოკვეთილი, ცხადია, ქაღალდებს აღარ გაავრცელებდა, მაგრამ ამ ხალხს კი ისე მოუვლიდა, როგორც გარემოება და ალლო უკარნახებდა, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური.

ამიტომაც ახლა, ბუხრის პირას შავი ღრუბელივით ჩამოქრუშულ სპირიდონას, მაწიას აღშფოთებაზე გუნებაში ეცინებოდა და არყით შემთვრალს მოსწონდა კიდეც, თავისი თავი ორ ცეცხლს შუა გადებულ-უანგარო კაცად წარმოედგინა, რომელსაც ანვის და იდაგვის მრწამსისა და განცდის შეჯახებისა დ შეუთავსებლობის გამო. მას ხელსაც აძლევდა მაწიას თვალში თავისი უსაზღვრო წადილი მიწის ღრმა წიაღიდან ამოხეთქილ წმინდა ნაკადად დაესახა და არა მღვრიე შენაკადების ღვართქაფად, რომლის შფოთიან ტალღებს ცოცხალ თევზიანა და ქათქათა ნარიყთან ერთად დამხრჩვალი კაცის მუცელგაბერილი გვამიც შეიძლება მოჰყვეს... თავის ამ თავგადაკლულ აზვირთებაზე სპირიდონას ბევრი რამ ეთქმოდა, ძალიან ბევრიც... წვიმაში, ქარში, თოვლსა და ჭყაპში... მზეში და მთვარეში... როგორ დაადგებოდა შარას ძირგავარდნილი მესტებით, დაადგებოდა და მიდიოდა მხოლოდ იმისათვის, რომ ევასთვის შორიდან მაინც მოეკრა თვალი. გასცდებოდა თუ არა ვარდისუბანს და თურდოში მოკლეებისკენ აუხვევდა, როგორ წაიძრობდა მაშინვე ფეხსამოსს და რიყეზე იბეგვავდა და იღადრავდა შიშველ ფეხებს... წმინდა შიოსთან მცირე ხნით ჩაიმუხლებდა, მლოცველის დანატოვარ პურის, ან ქადის გაკორკოწებულ ნატეხებს მოიძიებდა... მერე ისევ დაადგებოდა გზას, გადაივლიდა კვირაცხოვლისა და რძის საყდრის სერებს, ჩაივლიდა ციხიჯვრის ფერდას და მაწიას კარმიდამოს გადმოღმა, რიყისპირა კლდის თავზე, მაღალ ბალახში ჩაწვებოდა... ისევე როგორც მშიერი მგელი, ჟანგიანი ლოდივით უძრავად რომ გდია ბალახში და გატრუნული და თვალებმოწკურული სერზე შეფენილ ფარას გაჰყურებს... გაჰყურებს და ისაზრებს...

ამ ხნის განმავლობაში, ამდენი ძრწოლისა და წანწალის საფასურად, მხოლოდ ერთხელ დაინახა ევა, მხოლოდ ერთადერთხელ, იდგა დათალხული, მხრით მიყრდნობოდა ძეძვის ღობესთან დარგულ ტყემალს, გულხელი დაეკრიფა და გარინდებული გამოჰყურებდა ადიდებულ რიყეს...

და რაც უფრო მეტად იბეგვავდა შიშველ ფეხისგულებს თურდოს ქვაღორღზე, რაც უფრო მეტად უნენავდა ქარი თმა-ნვერსა და უფრიალებდა ცენდილის გამოხუნებულ ხალათს, რაც უფრო ხშირად ულტობდა წვიმა მჭლე ზურგს, რაც უფრო გამხმარი იყო წმინდა შიოსთან ნაპოვნი პურის ნატეხები, მით უფრო ცხოვლად და ანდამატურად წარმოუდგებოდა რბილი, ფაფუკი მატყლით შემოსილი ცხვრის ფარები, ხიჩატელით რილოჭრილოდ ნასუქი ღორის კოლტები, თბილ გომურში სავსე ბაგასთან მიმდგარი ფურ-

კამეჩი და ხარ-ძროხა, ფეხმარდი ცხენები და განსაკუთრებით კი მაწიას სახლწინ, მწვანე მოლზე მიშვებული გიოს ნისლა, კიდევ სხვაგვარად რომ უმღერევდა სისხლს და უძგერებდა გულს... მით უფრო სჭრიდა თვალს ნათლით მოსილი პირისახე ევასი, ამ აურაცხელი პირუტყვის მზეთუნახავი მწყემსისა. ეჩვენებოდა თითქოს გაღმიდან მას ეძახდნენ, მას უხმობდნენ... ეჩვენებოდა თითქოს უსიტყვოდ მოუწოდებდნენ და ელოდნენ, როდის წამოიმართებოდა კლდის თავზე, გადმოალაჯებდა ამ რიყეს და მაწიას კარმიდამოში შეალაჯებდა... ძეძვის ღობეში დატანებული ტყემალი, რომელსაც მაშინ, იმ ერთადერთხელ ევა მიყრდნობოდა და ადიდებულ რიყეს გამოჰყურებდა, თითქოს კლდისკენ სპირიდონას უწვდიდა ტოტებს და რტოებს... გიოს ნისლაც თითქოს იმიტომ ცქვეტდა ყურებს, იმიტომ სცემდა ტორს მიწას და იმიტომ ფრუტუნებდა, რომ ზურგი ექავებოდა სპირიდონას ლაჯების მოლოდინში... ევაც! დიახაც რო ევაც! ქალობაგაშავებული, ხელფეხგაყინული, სპირიდონას ელოდა, სპირიდონას აცახცახებულ ხელებსა და შავ წვერულვაშში ამომჯდარ ხორციან ტუჩებს... და სპირიდონაც მათ მიელტვოდა ატეხილი ხვადისა და დამშეული ბოგანოს გამძვინვარებული სიკერპით. ვინ შეაჩერებდა მას ამ გზაზე? ძმობა, ერთობა, თავისუფლება? რომელიც თითქოს ხვალ-ხვალზევით უნდა დამყარებულიყო?! მაგრამ სპირიდონას ახლა უკვე ეჭვი ეპარებოდა, რომ არამც თუ ხვალ და ზეგ, ოდესმე მაინც თუ რაიმე შეიცვლებოდა. ბოლო დროს ხომ, როდესაც გადაწყვიტა გარკვეული ნაბიჯები გადაედგა და თავისი ცხოვრება სხვაგვარად წარემართა, ბევრს ფიქრობდა, ძალიანაც ბევრს... სოფელ-სოფელ ნაწანწალევი, გაქარული და განამქრული რომ შემობრუნდებოდა თავიანთ სახლაკში და საჭმლის ნაცვლად სანთლისა და საკმლის სუნი შემოეგებებოდა, აიღებდა მჭადპურის ნატეხს, მიეგდებოდა ტახტზე და ფიქრობდა და ფიქრობდა, თავის გუნებაში სულ არჩილს ეკამათებოდა, ჭკუითა და განათლებით გამორჩეულს, საზოგადო საქმისთვის თავდადებულ არჩილს. რასაც პირადად ვერასოდეს ვერ ეტყოდა, აბა, არჩილს მსჯელობაში ვინ მოუგებდა, მაშინვე ორივე ბეჭზე დააწვენდა სპირიდონას, ტახტზე მიგდებული ეკამათებოდა და ეკამათებოდა... ნეტავი გამაგებინა ეს სამი სიტყვა ერთად ვინ მოათავსაო, ნეტავი თუ დაფიქრდა იმაზე, რო საცა ძმობაა, თავისუფლებას იქ რა უნდაო, უბრალოდ ვერც გაჭაჭანდებაო... ძმობა ხომ ის არის მთელი შენი სიცოცხლე დამოკიდებული იყო ძმობაზე და თავისუფალი როგორღა უნდა იყოს თავისუფლება სპირიდონას წარმოუდგენია და ცაში მიმფრინავ წეროდ... აგდია სპირიდონა თავის ჭრაჭუნა ტახტზე, საწყალ მნათეს ზედადგარზე შემოუდგამს თუნგი, ცვილი დაუდვნია და გრძელ პატრუქს ავლებს ჩურჩხელასავით... რამდენჯერ უნატრია სპირიდონას ნეტავ მართლა ჩურჩხელად გადაიქცესო... ჰოდა, გდია თავის ტახტზე, გონების თვალით ხედავს მაღლა, მაღლა, ცის ტატნობზე გაკრულ წეროს – თავისუფლებას და თავის თავსა და უჯრედის წევრებს, თავთავიანთ ბუდრუგანებში რომ სხედან და შამფურებს სთლიან... წერო კი მიფრინავს... და ძალიან კარგსაც აკეთებს... რამდენჯერ უფიქრია, თუმცა არ ვიცი რა ფერისაა ეს პიროვნების თავისუფლება, რა არის და როგორია, მაგრამ ერთი უცებ რომ დამეცეს, ან კი რა თავში ვიხლიო? თავისუფლება, ეს იყო ის, რაზედაც, თუ დრო გაქვს, დაჯექ და რამდენიც გინდა იოცნებე... რევოლუციის წმინდათა-წმინდა სამებიდან სპირიდონას გულსა და სულს ყველაზე მეტად თანასწორობა ესალბუნებოდა. ვინ იცის რამდენჯერ უოცნებია თანასწორობაზე, იმ ბედნიერ დროზე, როცა თანასწორობა დამყარდებოდა ქვეყანაზე, რადგან უბედურების წყარო სწორედაც უთანასწორობააო, ფიქრობდა სპირიდონა. მაგრამ ბოლო დროს, როცა ყველა კარგად გაიცნო და თან ევაც გულში ჩაუვარდა, არჩილთან შინაგანი კამათის დროს სწორედ თანასწორობას შეუყენა წყალი, სწორედ თანასწორობაზე ფიქრი მიიჩნია ფუჭ ოცნებად, თავის მოტყუებაა და მეტი არაფერიო, ბურანში მყოფი კალმოსნების მოგონილი და შეთხზულიო, რომელსაც ცხოვრების ორომტრიალთან არავითარი საერთო არა აქვსო. თავი და თავი ის არის, რომ ოხერმუდრეგია ადამიანი, შორს რომ არ წავიდეთ, აი, მაგალითად მეო, და ჩემზე უარესი კიდევ რამდენიაო, და განა შეიძლება ჩაგვრა არ იყოსო? ჩაგვრა ხომ სწორედ ის არის, რის გარეშეც არ შეიძლება არსებობაო, იმიტომ რომ ადამიანი შექმნილია საიმისოდ, რომ ხან დაჩაგროს და ხან დაიჩაგროსო, და როგორც ღობეს მარგილი, ისევე ჯერ ასცდება ხან ერთი და ხან მეორეო... საქმე ის არის, როგორმე მჩაგვრელებში ჩაიგდო თავი, მთელი ამბავი ამაშია. ეხლა ცხადია, მე ჩაგრულებში ვარ, და სულ იმას ჩამჩიჩინებენ, რომ ჩაგრულებმა ერთ მშვენიერ დღეს უნდა გავიმარჯვოთო, თუ ეს მოხდა, ხომ გავხდებით მჩაგვრელებიო, იცოცხლე რო გავხდებითო... ჰოოდა, გამოდის რო ხვალინდელი დღის მჩაგვრელი ვარ, მე

კიდევ მინდა დღევანდელი დღისა ვიყო, ეს არის და ესა... რომელი სულელი არ არჩევს დღევანდელ ქათამს ხვაღინდელ კვერცხს?! თუნდაც იმიტომა რო ხვალ შეიძლება უკვე ზეცას მუხუდოსა სთესავდე. ახლა უკვე, თავის მომავალზე ფიქრით მოცულს, განსაკუთრებით აღაშფოთებდა არჩილის შეგონებები კაცობრიობის ნათელ მომავალზე. ბოღმა ებჯინებოდა, რა ჩემი საქმეა ჯერ არდაბადებულ და ჯერარშექმნილ ადამიანთა ბედნიერებაზე ზრუნვაო... რატომ უნდა გადაეცეს ანდამატივით მიმზიდველი „ბედნიერება" შინაარსისგან დაცლილ აჩრდილს მომავლისას,განუხორციელებელი ოცნების სფეროს, რომელსაც არავითარი საერთო სინამდვილესთან, ანუ ადამიანის ბედიღბალთან არა აქვსო. ბედნიერება ხომ სხვა არა არის რა, თუ არა „აი, ახლა" და „აი, ამ წუთსო..." ჰოდა, თუკი მომიწოდებენ კაცობრიობის ნათელი მომავლისთვის თოფი ავიღო ხელში და კლასობრივი მტრები გავანადგურო, ეს კლასობრივი მტრები ჩემი ძმებიც რომ იყვნენო, გამოდის: ადამიანი კი არ არის შუაში, არამედ ის წინასწარ შედგენილი თარგი ბედნიერებისა და კაცობრიობის მომავლის მოწყობისა, რომელსაც არჩილი და არჩილისნაირები გვაჩეჩებენ ხელშიო, ესე იგი ძირი და ფესვი ამ თარგის შედგენისა ძალადობაა, და არა მარტო ძალადობა, არამედ კაი ფანტაზიორობაცო, იმიტომ რომ არც ბედნიერების გამოჭრა შეიძლება თარგის მიხედვით და ვერც ვერავინ დაუდგება თავდებად მომავალ თაობებსო... კაცმა თავისი საქმე მოიგვაროს, ყველას ისა სჯობსო, კაცობრიობა სათითაოდ ადამიანებზე რო გაყო და კაცობრიობის მომავალიც სათითაო ადამიანის მომავალზე, ჩემი და ჩემი შვილის მომავალი გამოვაო. ჰოდა, თუ თოფის სროლაა, რაღა უგზოუკვლოდ ვისროლო, ბარემ იმას მოვუღირო, ვინც გზაზე მეღობებაო... მადლობა, დიდი მადლობა ახალი დროების კაცებს, არ დაუკარგავს ამაგს, არა, ეს მათ ჩააგონეს, რო კაცის კვლა არაფერიც არ არის, თუ დიადი მიზნისთვისა და მოწინავე იდეისთვის სჩადიხარ ამას და ადამიანს სიცოცხლეს ასალმებ... მაგრამ ზოგჯერ კი ცახცახი აიტანდა იმის წარმოდგენისას, რომ საშოვარი მართლაც სიკვდილს გაღმა იყო...

...მაწია ბობოქრობდა, გამოღებულ კართან იდგა ხელგაშვერილი და გამწყრალი ეძახდა სპირიდონას: აუსვი ეხლავე აქედანო, და რა ხახვსაც დამაჭრით ყურებზე, მაგასაცა ვნახავთო! გასწი და ასწორე მთა და ბარიო! მაწია აღარ ხუმრობდა, არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, ეხლავე წავალ და პოლიციაში გავაცხადებო! და სპირიდონაც შედრკა, შებორძიკდა, იგრძნო, რომ რიყეში მორბენალმა ქვას ფეხი წამოჰკრა...

აღარ, აღარ, აღარ უნდოდა მთა და ბარის გასწორება, ევასთან ტკბილი ძილი და ფერადი სიზმრები უნდოდა... გუნდასავით შეიკრა, სწრაფი მზერა გაჰკრა მაწიას, ემანდ მართლა არ მიპინტრიშოს გაბრაზებულ გულზე და ტკბილი ძილიცა და ფერადი სიზმრებიც ღამის წყვდიადში არ გაფანტოს და გააბნიოსო, ბუხრის წინ სიპზე დაეცა მუხლებით და მთელი განცდით აღმოხდა: „ცხვირით მიწას მოვხნავ, მაწიავ... ევამ რო მითხრას თავით მარილი ნაყეო, მთელი ჩემი სიცოცხლე დავნაყავ! ევას გარეშე ჩალად არ მიღირს სიცოცხლე, მაწიავ..."

სიჩუმე ჩამოვარდა... ბუხარში ცეცხლმა გაიტკაცუნა... განჯინაში კი თაგვი კაკალს აჩხრიალებდა .. მაწია კარს არ მოშორებია, არც მიუხურავს, მხოლოდ ყრუდ ჩაილაპარაკა, თითქოს თავისთვის ამბობსო: „წადი ეხლა და იფიქრე... რა ძალგიძს და რა შეგიძლია... და მერე იგრე ვილაპარაკოთ..."

სპირიდონა რომ წავიდა, მაწიამ ყანწში არაყი ჩამოისხა, დალია, ყანწი ხონჩაზე დაადგდო და დაიძახა: „ევა! ევა!"

„ევა... ევა..." კვნესით ამბობს ბებიაჩემი, „ჩემო ევა..."

„მოგიკვდეთ ჩემი თავი... მოგიკვდეთ ჩემი თავი..." ოხრავს ბებია ევა.

ოთხ ათეულზე მეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც იმ პირქუშ დღეს ბებიაჩემის სასოწარკვეთილი კვნესა და ბებია ევას ამოოხვრით ნათქვამი თანაგრძნობა განვიცადე. დიდი ხანია ორთავე თელავის სასაფლაოზე წვანან, დიდი ხანია აღარ ისმის მათი ხმა... მაგრამ აი, ახლა, კომპრესორის გაბმულ დუგდუგში, ბულდოზერის გუგუნში, მიწის სიღრმიდან ამოტანილი ქვაღორღის ხრიალსა და მეტრომშენებელთა გადაძახილებში... ამ ყურისწამღებ, მუდმივ ხმაურში, ვგრძნობ, რომ ჩემსკენ შორეული ხმები მოიკვლევენ გზას... ხან ერთ ხმას ჩანთქავს ბულდოზერის დაღრენილი ხახა, ხან მეორე ხმა წაიფორხილებს და კომპრესორის დიდ ბორბლებში ჩავარდება... მაგრამ ისევ წამოდგებიან, მტვერს დაიფერთხავენ, გადახვევენ ერთმანეთს ხელს და გზას მოიკვლევენ ჩემსკენ... და აი, მე უკვე მკაფიოდ მესმის „ევა... ევა... ჩემო ევა..." და ბებია ევას „მოგიკვდეთ ჩემი თავი..." მკაფიოდ ვხედავ ჩვენი ეზოს შემოსასვლელში, თეთრად და იისფრად გათოშილ შემოდგომურებს შორის ჩქარი ნაბიჯით მომავალ ბებია ევას...

მას შავი ხავერდის გრძელი ტალმა აქვს მოსხმული, თავზეც შავი ბაწრის შალი

მოუხვევია და ამ სიშავეში თანაგრძნობის უქრობი კანდელივით გამოკრთის მისი მშვენიერი სახე და დიდი თაფლისფერი თვალები...

ბებიაჩემსაც შავი ხავერდის პალტო აცვია და თავზეც შავი ქიშმირის შალი ახვევია, ბებია ევას დანახვაზე მსასოებელივით იწვდის ხელებს და კვნესის:: ევა, ევა, ჩემო ევაო... ის პირქუში დღე ჩემში დარჩა, როგორც განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი დღე, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მთელი ჩემი ბავშვური არსება პირამდე იყო სავსე სასონარკვეთითა და გაოცებით, და ეს გაოცება, ჩემი მწუხარე გაოცება ავსებდა ჩვენს ბაღს, გათოშილ ვარდებს და შემოდგომურებს, გაძრცვნილი ხეხილის შავ შტოებში გამომზირალ დეკემბრის მოქურუხებულსა და დაღვრემილ სივრცეს, და ასე მეგონა მთელ ქვეყანასაც, არამედ ძირითადად იმის გამოც, რომ იმ ბნელ დღეს პირველად დავინახე მკაფიოდ ადამიანური ყოფის ოკრობოკრო ბილიკზე მავალი განუყოფელი წყვილი, განუყრელი დობილი: სასონარკვეთა და თანაგრძნობა, პირველად გავიგონე მათი ნაღვლიანი ჰანგი, დაუსაბამო, მარადიული ჰანგი... და მძაფრი, გამჭოლი განცდით ვიგრძენი, რომ მე არა ვარ მხოლოდ საწყალი ბავშვი, მღვრიე ყავისფერი ლუქით დაბეჭდილი კარებების წინ, საკუთარი სახლის აივანზე დროებით შეხიზნული დაბებიის კალთას შეფარებული, არამედ მეც ვარ, ჩემი უასაკობის მიუხედავად, წიბო და გვერდი დიდი სიცოცხლისა, სასონარკვეთით და თანაგრძნობით სავსე სიცოცხლისა, და მეც მევალება, მეც მეკისრება, ისევე როგორც ბებიაჩემსა და ბებია ევას, და ალბათ, ყველას, ყველას, ყველა ადამიანს, საკუთარი ხვედრის გადატანა და სხვათა ხვედრის გაზიარება... და ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს არის ადამიანური ყოფის დასაბამი.

... გარეთ თოვს... ისე თოვს... სარდაფის პატარა, ოთხკუთხედი სარკმლებიდან ჩანს დათოვლილი ბუჩქი ბზისა... მე ვიცი რომ ეს ბუჩქი წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ დაურგავს სპირიდონას მამობილს, საწყალ მნათეს... როცა ბებიაჩემი და ბებია ევა წარსულ ამბებს მიამბობენ, მე აღარ ვიცი სად თავდება აწმყო და სად იწყება წარსული... აი მაშინ ყოველთვის მგონია, რომ მნათე ახლაც ცოცხალია, ოღონდ გატრუნული ჩაყუჟულა ბზის დათოვლილ ბუჩქში... ჩაყუჟულა და თვლემს... ზოგჯერ გაახსენდება, რომ დიდი ხანია სანთელი არ ჩამოუსხამს... გამოვა ბუჩქიდან, შემოვა ჩვენს სარდაფში, როცა ჩვენ გვძინავს, დაჯდება ბუხრის პირას, ნაღვერდალს გააღვივებს და იწყებს სანთლის ჩამოსხმას...

კარლო და გულო კი, ბებია ევას შვილიშვილები, არასოდეს ჩვენთან სარდაფში არ ჩამოდიან. რამდენჯერმე ერთად ვითოვლეთ ეზოში და მერე ზევით ამიყვანეს, მაგრამ მე ვგრძნობ, რომ მაროს არ ვუყვარვარ... წინათაც არ ვეპრიანებოდი და ახლა, რაც ბებია ევამ ჩვენ შეგვიფარა, განსაკუთრებით აიმრიზა. რამდენჯერაც კარლომ და გულომ ზევით სათამაშოდ ამიყვანეს და მარო მომაშტერდა, იმდენი ხან რა მეგონა და ხან რა... ხან ის, თითქოს სადღაც მხარზე საზიზღარი ჭია მიმაცოცავს, რომელსაც მხოლოდ მარო ხედავს და რომელმაც ასე უნდა იცოცოს, რადგან სისუფთავისა და კრიალ-წკრიალის მოყვარულ მაროს ზიზღიანი გული აქვს და არ შეუძლია ამ საზიზღარ ჭიას წკიპურტი გაჰკრას და მომაცილოს... ხან ის, თითქოს შუბლზე მური მაქვს ჩამოსმული, მური და სიბინძურე, და ამასაც მხოლოდ მარო ხედავს... ხან კი ისე იჭმუხნის თავის ფართე სახეზე ავად წამომდგარ ცხვირს, თითქო ერთბაშად მყარლი სუნი შეიყნოსა და ეს სიმყრალეც, მხოლოდ მაროს ცხვირისთვის შესაყნოსი და შემაწუხებელი, სწორედ ჩემგან მოედინება... ერთი სიტყვით, მაროს თვალქვეშ ჩემი თავი ერთი ვიღაც პირდაუბანელი და თავში ხელწამოსარტყმელი ბავშვი მგონია და ყოველთვის ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს მარო უშუალოდ მე კი არ მიყურებს და ჩემთან კი არ ამყარებს ურთიერთობას, არამედ ვიღაცასთან, რომელსაც ჩემში ხედავს და რომლის შესახებაც რაღაც ისეთი სამარცხვინო იცის, რაზედაც მე, ჩემი უასაკობისა და სიბრიყვის გამო, შეუძლებელია მქონდეს წარმოდგენა.

ერთი შემთხვევის შემდეგ კი სულ აღარ ამიდგამს ზევით ფეხი. ეს მაშინ მოხდა კარლო და გულო რომ გადამეკიდნენ სახლაობა ვითამაშოთო და ეზოდან ძალისძალით ამიყვანეს თავიანთას. ჩვენ მაგიდის ქვეშ ფარდაგი გავშალეთ, და მუთაქების და ბალიშების მოფარდაგული უნდა გაგვეკეთებინა. მარო მეორე ოთახში კლიენტს თმებს უხვევდა. ძალიან კარგი მუშაობა იცოდა, ისე მარჯვედ ხმარობდა მაშებს, ისე შეხაროდა თავის გაკეთებულ ვარცხნილობებს, რომ მე სიამოვნებით გამოვძვრებოდი მაგიდის ქვემოდან და მაროსა და მაროს კლიენტს დავუწყებდი ყურებას, ეს მოშტერებული, უსიამოვნო მზერა რომ არა... მუთაქები დაგვაკლდა, ამიტომაც კარლო და გულო მეორე ოთახში გაიქცნენ მოსატანად. მე ფეხმორთხმული დავრჩი მაგიდის ქვეშ და შუა ოთახის გაღებული კარიდან ყარაბაღულ ხალიჩაზე ჩამოკიდებულ სპირიდონას გადიდებულ სურათს გავყურებდი.

როგორც კი მიირბინეს კარლომა და გულომ და მუთაქებს ხელი დასტაცეს, მარომ თმის დასახვევი ცხელი მაშა მოულირა, მერე მაშა ღუმელზე დააგდო და ორივეს მუთაქები ხელიდან გამოჰგლიჯა, თან გაბრაზებულმა ისე ხმამაღლა და მკაფიოდ დაიჩურჩულა, რომ ცხადია, ყველაფერი გარკვევით გავიგონე: „რას გადაეკიდეთ მაგ მავნებლის შვილს! რა ჩაგიძვრათ, რაა, თქვე სასიკვდილეებო, თქვენა! გტაცებენ თქვენც ხელსა და წადით და ირიკავეთ!!"

ქვევით სარდაფში კი ნაღვლიანი სიმყუდროვე სუფევს... დიდი ბუხრის აქეთ-იქით, კედლიდან კედლამდე გრძელი ტახტებია გამართული. ერთ ტახტზე, უფრო სწორად, ტახტის ერთ ნაწილზე ბებია ევას ლოგინი აქვს დაგებული, ძალიან ლამაზი ნაკუწების საბნით, მეორე ტახტზე კი ფარდაგია დაფენილი და ფარდაგს ზევიდან ერთმანეთზე გადაკერებული ცხვრის ტყავები. თახჩებში პატარა გოდრები და კალათებია შედგმული, ყველაფერი ბებია ევას ხელით მოწნული, შიგაც ბებია ევას დაკრეფილი და ჩამოტანილი ხიჩატელი ყრია: ზღმარტლი, ასკილი, წაბლი, მაჟალო, თხილი... ქოთნებში ქაცვისა და ჟოლოს ნაყენი, კედლებზე კი გამხმარი სამკურნალო მცენარეების წნულები, მინდვრის ქონდრისა და გარეული პიტნის ასხმულები...

საბავშვო ბაღიდან რომ მომიყვანენ, ბუხარს გააღუდღუდებენ, ბუხრის პირას ჩამოსხდებიან და მეც შუაში ჩამისვამენ. ბებია ევა წაბლს წვერებს აჭრის, დასახლელად, ბებიაჩემი კი საბატიბუტე პაწია ტაროებს ფხვნის... მე მანებივრებენ... ბებიას ეშინია უდედმამოდ დარჩენილი „არ დავიზაფრო", შემატყობს თუ არა მონყენას, მაშინვე ჩემს დარწმუნებას მოჰყვება: „ეს რაღაცა სრული გაუგებრობაა, გენაცვალოს ბებია, როგორ, ჩემი აშენებული სახლი, სადა თქმულა, სად გაგონილა, ჩამოვიდეს ჩემი დიდა?! რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს დავიჭერ ხელში, ჩემს სახლს კი დავიბრუნებთ! შენ გული შიგნითა გქონდეს, შემოგევლოს ბებია?!" „ჩიკო?! ჩიკოსთან ვინ დაიბრუნებს სახლს, ბები, მაგათი სახლი ხო ძია ლექსოს პაპის აშენებულია... იქ რომ აღარავინ დარჩა?!"

„როგორ ვინა, ალისა და ლექსოც დაბრუნდებიან, მამაშენიც დაბრუნდება, ყველაფერი სულ მალე გამოირკვევა, ბოროტ კაცებს დასჯიან, სულ კუდით ქვას ასროლინებენ, ისინი კიდევ ჩვენ პატიებას გვთხოვენ, შევცდით, შევცდითო, არ გაგვეგებოდა რას ვიქმოდითო..." „მერე, ჩვენ უნდა ვაპატიოთ?" „თუ მოინანიებენ, უნდა ვაპატიოთ, გენაცვალოს ბებია, სხვაგვარად არ იქნება, და თუ არ მოინანიებენ, მაშინ პატიებაც აზრს კარგავს, ჩვენ ჩვენთვის, თქვენ თვენთვისო... მხოლოდ მონანიებას ძალუძს ხიდი გადოს ადამიანთა შორის, ეს დაიხსომე, გენაცვალოს ბებია..."

სარდაფში სანუკვარი სურნელი ტრიალებს: ცეცხლის, ნესტის, დახალული ნაბლისა და ბატიბუტის,... სულ საბოლოოდ კი სურნელოვანი ქონდრისა და პიტნის ჩაის.

სარდაფის პატარა, ოთხკუთხედ სარკმელებში ზამთრის ლურჯი ბინდი ჩამდგარა... ბზის დათოვლილ ბუჩქში კი საწყალი მნათე ჩაყუჟულა... მე სულ ასე ვხედავ... დღისით მგონია ჩაყუჟულა და სთვლემს... საღამოობით კი, განსაკუთრებით იმ საშინელი დღის შემდეგ, შიში რომ დამჩემდა, მეჩვენება, რომ ბზაში ჩაკეცილი მნათე კვდება, სისხლი მოჟონავს, დათოვლილ ბუჩქს წითლად ღებავს... ზოგჯერ გამოჰყოფს გასისხიანებულ ხელს ბზის ბუჩქიდან, სარდაფისკენ უმწეოდ იქნევს და ძლივს გასაგონად იძახის: ევა...ევა... მინდა გავფანტო ეს ჩვენება, ბებია ევას ვეკითხები: „რა ერქვა მნათეს, ევა ბებია?" „თურმე მშობლებს შვილი არ რჩებოდათ, შეუგორეს ეკლესიას და ღვთისო დაარქვეს, იქნებ ასე გადარჩესო".

ბებია ევა ბებიას შეხედავს და თავს ოდნავ გაარაცრაცებს, ვითომ ეკლესიაზე აღარაფერი თქვაო, მაგრამ მე ვიცი, ვიცი, სწორედ ამიტომაც მეჩვენება მომაკვდავი მნათე. მამა ლუკა ბოლოს მაწანწრის ეკლესიაში გადმოიყვანეს თურმე. თავისი დახატული დიდებული ხატი ღვთისმშობლისა შეუწირია ეკლესიისათვის. საიდან არ მოდიოდნენ თურმე ხატის სანახავადა და სალოცავად, ხმა დაუვარდა ძლიერი ხატიაო... ეკლესიები რომ აკრძალეს, ეგრედწოდებული მსუბუქი კავალერიის წევრები მოცვივდნენ თურმე ხატის წასაღებად. მნათეს არ დაენებებინა. დაემუქრნენ თურმე, მაგრამ არაფერმა გასჭრა, ჩაიკრა გულში ხატი და ამასთან ერთად მოვკდები და არკი დაგანებებთო. თავში კონდახი ჩასცხეს ისეთი ძალით, სახლამდე კი ჩაუღწევია რის ვაივაგლახით, მაგრამ იმავ ღამით მომკვდარიყო.

„ასეთი უწყინარი არავინ მინახავსო", ამბობს ბებია ევა, „მოვიდოდა და რაღაცნაირი საცოდავი ღიმილით შემომაცქერდებოდა. ერთი-ორჯერ სცადა, სიყვარულის ნიშნად, თავისი ჯამიდან ხორცი ჩემს ჯამში გადმოედო, მაგრამ მე არ ვქენი, სამყოფია ყველასთვის და მიირთვით მეთქი. ყოველთვის იხაფრებოდა, ფეხი უკან უდგებოდა, თითქოს ყველასი რაღაც მართებსო".

„რა საწყალი ყოფილა..." დანანებით ვამბობ. „მაგიტომაც მიუყვანეს და დაუსვეს თურმე სპირიდონას დეღა თებრო. ჰა და ჰა, დანო-

ლაზე იყოვო, ჩემი დედამთილი იტყოდა ხოლმე“. ამბობს ბებიაჩემი.

„მნათე კი თურმე სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, ერთბაშად შევიძინე ცოლი და შვილიო. ერთხელ ასე ბუხრის პირას ვისხედით და მეც მითხრა: განა არ ვიცი დამცინოდნენ, მაგრამ რა არის, შვილო, ამაში დასაცინიო... მედილიჟნე ზორბა, რომელსაც საწყალი თებრო შეეცდინა და მიეგდო, ერთ დაჯდომაზე ჩაფ ღვინოსა სვამდა და ვაცს თავფეხიანად გადასანსლავდა, თავისი დღე და მოსწრება ხონჯარ-შეხსნილი დაიარებოდა და ამიტომ თავი პირველი კაცი ეგონაო. იმისი დაცინვა ფიქრად არავის მოსდიოდაო“.

„ჩემო ევა, შენ ის უთხარი, როგორ გეჭიკჭიკებოდა ხოლმე...“ მოუწოდებს ბებია. „ოოო, გაოცდები, ჩემო გოგო, ისე ზედმიწევნით ბაძავდა ფრინველ-ცხოველსაც და ადამიანსაც... მოწყენილსა და დარდიანს თუ დამინახავდა, ჩაცუცქდებოდა ჩემთან და მოჰყვებოდა ჭიკჭიკ-გალობას, აბა, თუ გამოიცნობ, ეს რომელი ჩიტია და ეს რომელიო... გუნება რომ გადამეწმინდებოდა და გავუღიმებდი, თვითონაც გახარებული მეტყოდა: განიხარა გულმან ჩემმან და გალობდა ენა ჩემიო...“

„ეეჰ, რა უთხრას კაცმა ბედის მწერალს...“ ამბობს ამოოხვრით ბებია, „საწყალი მნათესათვის კი კარგად მოხდა, მაგრამ შენ რა შუაში იყავი, ჩემო ევა...“

„მითქვამს შენთვის მამაზე ვფიქრობდი მეთქი, მაგრამ ხშირად მიფიქრია, მარტო მამას გამო არ გადამიდგამს ეს ნაბიჯი. მეტისმეტად ვიტანჯებოდი და როგორც ჩანს, მეგონა ტანჯვას შევიმსუბუქებდი. თანაც ასეთი არაფერი მინახავს, როგორც ეს კაცი იყო აზვირთებული, ვაჭრობა უნდოდა, დუქანი უნდოდა გაეხსნა, მამასაც ეს ხელს აძლევდა... ბოლოს-ბოლოს თანხმობა რომ გამოვაცხადე, დაემხო ჩემს წინ და დიდხანს თავი არ აუღია, შენ მე სიცოცხლე დამიბრუნეო, მღელვარებისაგან ძლივს ამოთქვა, თვალებიც ცრემლებით ჰქონდა სავსე და სიხარულისაგან შეძრწუნებული... არ დამავიწყდება ის მზერა... ის რაღაც თავზარდაცემული კაცის საშინელი მზერა...“

კაკლის რჩევასა და ფიქრებში გავერთე და ყურადღება არ მივაქციე, რომ შუქმა იკლო, სანთელი ჩამქრალიყო მიცვალებულთან. წამოვდექი, სანთელს მოვუკიდე. ბებია თავისი მიბრეცილი ხელებით ფშვნეტას მოჰყვა, ნიკაპი ჩამოუვარდა, მაგრამ თვალი არ გაუხელია, ძილში იფშვნეტდა... მთლად გასციებოდა ხელები, ჩემი მერინოსის თავშალი დავაფარე, და შეშის შემოსატანად გავედი. ბარდნიდა, კიდევ უფრო მეტად და ხშირად ბარდნიდა... მთელი ეზო გადათეთრებული იყო... ნეტავ რასა აქვს კიდევ ასეთი ... მოგონების, გახსენების, ფიქრის ... სევდის და სიხარულის, როგორც თოვლს... და ალბათ, წარმოსახვის ამოქმედებისაც, რადგან ავიღე თუ არა რამდენიმე ნაჭერი შეშა და უკან უნდა შემოვბრუნებულიყავი, რატომღაც შევჩერდი, ეზოს გადაღმა უკაცრიელ გზას გავხედე და დავინახე დათოვლილი შარა და სპირიდონა, არყისაგანა და სიხარულისაგან შემთვრალი და რეტდასხმული, ადლიანი ნაბიჯებით რომ მოალაჯებდა უკაცრიელ შარაზე და ცივის კალთებიდან მონაბერ თოვლიან ქარს, ტურების ჩხავილსა და მგლის ყმუილს ერთვოდა სპირიდონას აფოფრილი გულისთქმა: „ევაა... ევა�ა... არის განა ამაზე ანდამატური სახელი... არიის... არიიის? არის არის ერთი ანდამატური სიტყვა... საქონელი... საქონელიიიოჰოჰო რამდენი რამე იგულისხმება ამ სიტყვაში რა აღარ რა აღარ რა აღარ რა ყველაფერი ყველაფერი მთელი ქვეყანა... ევა და საქონელი ევა და საქონელი ქსოვილის ლითონის ბამბის მატყლის ოქროს ვერცხლის სურსათი, სურსათი სურსათი ნაირნაირი... ვაჰ, ეს სპირიდონა არ არის? ეს რა უცხო ქედანი გაუბამს კაკანათში... ფეხით მიდის თუ ფაეტვნით... ფეხით... იმიტომ რო ფაეტონი თავლაში უდგას... ტკაცუნა მათრახი... ტკაც და გადაუშხუვლებს ცხენებს... ატკაცუნებს და ატკაცუნებს... ბიჭებოო, თქვე ყურუმსაღებო აბა, ჩქარა აბა ფიცხლად აბა ყოჩაღად დრო არ იცდის დრო ფულია თქვე სახეძაღლებო თქვე ვირისთავებო, გადმოცალეთ ბიჭებო საქონელიიი...“

არა, არა, ყინვა კი არა, გულისთქმა მოარბენინებდა, სიტყვებად ამომსკდარი... და უკაცრიელი შარის გადაღმა, ცივის დათოვლილი კალთებიდან ტურების ჩხავილსა და მგლის ყმუილთან ერთად სპირიდონას გამოძახილიც ისმოდა.

სპირიდონამ მთელი არსებით იგრძნო, რომ ბედისწერის ბორბალი წაღმა დაუტრიალდა, აცახცახებული ხელით ნასროლი კოჭი ალჩუზე დაუჯდა, საითაც არ მიბრუნდა, გზა ხსნილი და საამოდ სავალი დაუხვდა. სასიმამრო დიდ მზითვს ატანდა თავის ქალს, სპირიდონა გრძელვადიან სესხს იღებდა და თვითონ ევასაც თავისი მონაგარი ჰქონდა. სახლის მოწყობასა და დუქნის სამზადისში ხალისიანად მიჰქროდა დრო. ხელოსნები კარგები და პირიანები შეხვდა, გამოიამინდა თუ არა, შეუდგნენ საქმეს და წუთი აღარ გაუცდენიათ, ისე მუშაობდნენ. სპირიდონასი და მნათეს ის ერთი ოთახი თავისი ფარდულითა და შეშის საწყობით დიდ სარდაფად

აქციეს, კედლები ამოუშენეს, ფილაქანი დააგეს, მნათეს საცხოვრებელი მოუწყეს... მაღლა კი, სპირიდონასთვის და ევასთვის, ახალი მეოჯახეებისთვის, სამი ოთახი გამართეს, ორი დიდი, ხალვათი ოთახი, ერთიც მომცრო, განიერი შუშაბანდითა და სამზარეულოთი, ქუჩიდან სადარბაზოთი და შიდა, ამოსასვლელი კიბით.

სასოებით შეჰყურებდა სპირიდონა ამ კედლებს, ევას მომავალ ადგილ-სამყოფელს. მალე, მალე გავიდოდა დათქმული ვადა, მალე დაიწერდა ჯვარს თავის მზეთუნახავზე და იხილავდა კიდეც ევას მშვენიერ თავს, ბალიშზე ძვირფასი განძივით დადებულს. და თუმცა სპირიდონას შეყრილი წარბებიდან გამოსხლეტილი მზერა არც ერთხელ არ მოხვედრია მიზანს, მგლოვიარე საცოლეს არც ერთხელ არ შეუხედავს თავისი ახალი საქმროსათვის, სპირიდონას მხოლოდ წამიერად გაჰკენწლავდა ხოლმე უსიამოვნო განცდა უიღბლო მსროლელისა, თორემ ბედნიერების ტალღაზე ატივტივებული, ჩვეულებრივ ფიქრობდა: ჩემი გულისთქმა ქვას დაადნობს და ხეს დასწვავსო, სიკვდილი კი იმისთანა გადაწყვეტილი რამეა, მიდი და უყარე კაკალიო, ადამიანებიც ყველაზე იოლად სწორედ სიკვდილს ეგუებიანო. მითუმეტეს ახალგაზრდა, მშვენიერი ქალი, ადრე სიყმაწვილითვე კაცის ალერსს, კაცის ხელს ნაჩვევი და ახლა კი, ბედის უკულმართობით სიყვარულის თავბრუდამხვევი, აქოჩრილი მორევის ნაცვლად, დამშრალ და დაწრეტილ რიყესთან გლოვის კარავში მიყუჟულიო. ო, როგორ ეძალებოდა სურვილი სწრაფად გასულიყო დათქმული დრო, კარვის თალხი კალთები ნაფლეთ-ნაფლეთ ექცია და მწყურვალი და გვემული ევა სიხარულის სამზეოზე გამოეყვანა. სურვილით ატანილს შიში შეიპყრობდა ხოლმე, ვაითუ დათქმულ დრომდე ვერ მივაღწიოვო, ფათერაკი წყლის ფერიაო, ვაითუ ვერ ვეღირსოო ევასთან ყოფნასო. ზოგჯერ კი, ძალიან იშვიათად, მთელი დღე წინ და უკან ნარბენსა და ნაჯაფევს, ახალი ცხოვრების მოწყობით გართულს, ავი ფიქრები შემოაწვებოდა, მუშტებს ბალნიან მკერდზე მიიბჯენდა და ბოღმიანად ჩურჩულებდა: „ღმერთო შემინდე და შემინყალე! ღმერთო, მომიტევე ყველა შეცოდება...“

ერთხელ, შუაღამისას, მძინარე მნათეს დაადგა თავს: „მამი, გაიღვიძე, მამი...“ შეშინებულმა მნათემ თვალი ჭყიტა: „რა იყო, ბიჭო, რა დაგემართა, სპირიდონ!!“ „ილოცე, მამი, ჩემი ბედნიერებისთვის ილოცე!“ და ათრთოლებული და აცახცახებული ტახტის წინ დაემხო. მნათე ჩააშტერდა სპირიდონას და მთვარის შუქზე მისი გატანჯული სახე დაინახა. „ვილოცებ... მაშ ვილოცებ... ვილოცებ... ღვთისმშობელსაც შევევედრებ... [illegible] თავს და ჩვენს სალოცავ ნმინდა გიორგისაც...“

სპირიდონამ თავი ჩაჰკიდა და თუმცა ჩუმად, ძლივს გასაგონად თქვა, მნათემ იგრძნო, რომ ხმა სასოწარკვეთით ჰქონდა სავსე: „არა, არა, არ გადმომხედავს, მამი...“ — მერე თავი აიღო, შეშინებულმა შეხედა მნათეს და აჩქარებულად დაუმატა: „მე ხომ ღვთის საგმობ ფურცლებს ვავრცელებდი...“

ქვეშაგებში წამომჯდარი მნათე აიბუზა, ერთხანს სიტყვა ვერ გასძრა, თავისი გამომშრალი, პატარა ხელი სპირიდონას თავზე დაადო და როდის-როდის, ჩავარდნილი ხმით წარმოთქვა: „უსაზღვროა უფლის წყალობა... სპირიდონ“. მერე ხელი აიღო და სპირიდონას პირჯვარი გადასახა. მართლაც დიდი იყო უფლის წყალობა და სპირიდონაც ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა ამას. ჯერ ის რად ღირდა, რომ არჩილი დააპატიმრეს, თელავის უჯრედის მესვეური და სულისჩამდგმელი, ვინც უშუალოდ იყო დაკავშირებული ცენტრთან, ვინც ამარაგებდა აკრძალული ლიტერატურით, ვინც დავალებებს აძლევდა უჯრედის წევრებს და ვისი მგზნებარე პრინციპულობა და თავგანწირვისთვის მუდმივი მზადყოფნა ასულდგმულებდა რევოლუციური უჯრედის საქმიანობას. დააპატიმრეს სწორედ ახლა, თითქოს საგანგებოდ, როცა სპირიდონას სრულიადაც აღარ სურდა პროკლამაციების გასავრეცელებლად წანწალი და აკრძალული ლიტერატურის შესასწავლად თავის მტვრევა, როცა სპირიდონას ასე სჭირდებოდა რევოლუციურ უჯრედთან გამიჯვნა, და როცა, ბოლოს და ბოლოს თავისი ახალი ცხოვრება უნდა მოეწყო არჩილის მიმთითებელი მარჯვენისა და გამომცდელი მზერის გარეშე. აკი მოელაპარაკა კიდეც არჩილსა და უჯრედის წევრებს, ასეო და ისეო, მინდა ოჯახს მოვეკიდო და თქვენ თვითონაც იცით რა მაქვს და რა მაბადიაო, მინა ჩვენ არა გვაქვს და ბაღ-ვენახიო, გადავწყვიტე ვაჭრობას მივყო ხელი და თქვენთვისაც კარგია, თუ არ გავკოტრდი და შემოსავალი მექნება, შეძლებისდაგვარად ხელს დაგატანთო. არჩილსაც არაფერი ეთქმოდა, რადგან ცენტრი მცირე გროშებს უყოფდა პროვინციის უჯრედებს, და იმასაც არა, ეს კი იყო, აკრძალული ლიტერატურით ამარაგებდა, ჰოდა, ძირითადად არჩილის მამულის-შემოსავალსა და უჯრედის წევრების რევოლუციურ სულისკვეთებას ეყრდნობოდა მათი მოძრაობა და საქმიანობა, და არჩილს ოდნავაც არ ეპარებოდა

ეჭვი, რომ ვინმე აუცილებლად გამოჩნდებოდა და შეავსებდა მათ რიგებს, მომავალი რევოლუციისთვის და სპირიდონასავით ლატაკი. და სპირიდონასაგანაც უახლოეს მომავალში იქნებ მართლა რაღაც დახმარება გამომდნარიყო.

აჩრილის დაპატიმრების ამბავი რომ გაიგო, გამოუთქმელი ნეტარება იგრძნო. რა იყო ეს, თუ არ განგების ხელით გამოწვდილი წყალობა. თავისი შეყრილი წარბები კიდევ უფრო შეყარა, პირქუში სახე კიდევ უფრო ჩამოექრუშა: რას, რასა და ნეტარებას შარაზე გამოფენა არ უხდებოდა, ნეტარებას გულში უნდა ჩაებუდებინა, როგორც საბუდარში და იქ კუტკუტით ეჩეკა წინილები. ჯერ ნატოსთან გავარდა, არჩილის მარტოხელა დედასთან, წყალი მოუტანა, შეშა დაუპო, მეპურე დანიელასგან კაი ხუთგირვანქიანი პური ჩამოურბენინა. მერე გაიქცა და ლამპა იყიდა, პატრუქი და შუშა გაუწყო, ნავთი ჩაასხა და ციხისკენ გაქუსლა, ზედამხედველს სამი მანეთი ქრთამი მისცა და არჩილს შეუგზავნა. რამდენჯერ გაუგონია არჩილისაგან: ციხეში ჯდომა რევოლუციონერისათვის აუცილებელიც არისო, ციხეში იწრთობა და მწიფდება პიროვნებაო, ერთი ეგ არის, განათებაა ძალიან ცუდი და წერა-კითხვა სჭირსო. ჰოდა, ამ ლამპის შუქზე დაე, უკეთესად გამოიწრთოს და დამწიფდესო, ფიქრობდა, მე კი ამასობაში დუქანსაც გავხსნი და ჯვარსაც დავიწერო.

დუქნის საქმეც მშვენივრად გაიჩარხა, ბედი რომ გაულიმებს კაცს, გაულიმებს! თელავში ძირითადად ორი სავაჭრო რიგი იყო, ორი ერთმანეთის პარალელური ქუჩა, რომელთაგან ერთს „ზემო ბაზარი“ ეწოდებოდა და მეორეს „ქვემო ბაზარი“. არც ზემო ბაზარზე და არც ქვემო ბაზარზე ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა, ისე იყო აქაურობა გაზიმზიმებული მიჯრით მოწყობილი დუქნებით, საწვრილმანოებით, ფარდულებითა და ნაირნაირი სახელოსნოებით, ისე იყო აქაურობა გაჭედილი მრავალი ნვრილი თუ მსხვილი საწარმოთი. აქ იყო აღებმიცემობის შუა წერტილი, აქ ფეთქავდა მთავარი ძარღვი ვაჭრობისა, აქ ბრუნავდა საქონელი, ტრიალებდა ფული, აქ ხვდებოდა ერთმანეთს ათასი მილეთის ხალხი და აქ გაისმოდა დილიდან საღამომდე ათასი ჯურის ხმა. და რა გასაკვირია, თუ სპირიდონასაც აქ უნდოდა საბაყლო დუქნის გახსნა, აქ სურდა დამკვიდრება და ამ ნანატრი ადგილის თუხთუხსა და ორომტრიალში ჩაბმა. მაგრამ ძალიან ჭირდა აქ ადგილის შოვნა, ხელსახოცისოდენა თავისუფალი მიწის ნაგლეჯი არსად იყო. სპირიდონა დაგეშილივით დასუნსულებდა ზევით-ქვევით, და იმდენი ირბინა, სანამ საქმე არ გამოიწყო. იღბალი რომ გაეხსნება კაცს, საქმეც წაღმა-ნაუბა დაადგა თვალი ფართლეულით მოვაჭრე თარხანოვის თავლას, შეუჩნდა და აღარც მოეშვა, იმდენი ქნა, იმდენი იჩალიჩა, ხან დაყვავებით, ხან დამუქრებით და თავლის ჩამონაჭერი კი დაათმობინა, თანაც შეღავათიან ფასად. მერე სადა? სწორედ ქვემო ბაზარზე, რიყის ქვით მოკირწყლულ, მშვენიერ სავაჭრო ქუჩაზე. თავლის ჩამონაჭერი გაწმინდა, გაასუფთავა, გადატიხრა, წმინდად გაალესინა, ფილაქანი დააგებინა, გადატიხრული ნაწილი საწყობადა და დამხმარე ოთახად აქცია, ქუჩის მხარე საბაყლო დუქნისთვის გააწყო, შემინული კარი და დარაბა შეაბა, დახლი და ყაფაზები დურგალ ფირუზას გაამართვინა და ერთ მშვენიერ დღეს დახლში რომ ჩადგა, სპილენძის ძგიდეს ხელი დააბჯინა და სასწორის გადაღმა, მინიანი კარიდან ქუჩას გახედა, უცნაური რამ დაემართა, ასეთი რამ არც მანამდე და არც მას შემდეგ არ განუცდია, ისე ეგონა ცხადში სიზმარს ვხედავო, ყოველივე სიზმრისეული სიცხადით მოეჩვენა: ჩამავალი, მკვდრის მზით ფერმიხდილი ქუჩაც, ორთვალაზე სპილენძის კასრის მოწითალო ვარვარიც, სხარტად მოჩიკჩიკე ვირის დიდი შავი თვალები და ამობურცული ნაცარა ყბებიც, მოპირდაპირედ, ქუჩის პირას, კარის ღიობში ჩამდგარი აკვნის რწევაც და ცოტა იქით, გეზად, ბნელი გამოქვაბულივით გამურული სამჭედლო, ცეცხლის ენები, გრდემლზე დაგდებული გაღუებული რკინა და წითელპერანგა კაცი ხელში უროთი... და რაც მთავარია, თავისი თავი, რომელსაც ამ ხილვის დროს ისე განიცდიდა, როგორც გაოცებული მაყურებელი, გულხელდაკრეფილი სცენას რომ მისჩერებია და სცენაზე კი, რაღაც სასწაულად, სწორედ თავის თავს ხედავს. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ეს კაცი, დახლზე ჩამოყრდნობილი, წმინდა ქიშმირის ხალათითა და კასტორის ტუჟურკით შემოსილი კაცი, სპირიდონაც იყო და ვიღაც სხვაც, რომელსაც ოდესღაც, სხვა დროში და სხვა სინამდვილეში ეცხოვრა,... და არა მარტო ის, ყველა ირგვლივ: წითელპერანგა მჭედელიც, ეროს ყოველ დარტყმაზე ხვნეშას რომ აყოლებდა, დაძონძილი თულუხჩიც, ჰაერში სახრეს რომ ატყლაშუნებდა და სტვენა-სტვენით მიჰყვებოდა ორთვალას, აკვნის გვერდით ჩამომჯდარი პატარა ბიჭიც, მაჯაზე თასმა რომ წამოეცვა, „სუუ, გოგო, სუუ, გოგოს“ ძახილით თან აკვანს არწევდა და თან ჩილიკას თლიდა, მოჩიკჩიკე მომცრო ვირიც, დიდი შავი თვალები მდუმარებითა და იდუმალებით რომ ჰქონდა სავსე,... ყველა და ყვე-

ლაფერი ირგვლივ, სპირიდონას ამ სიზმრისეული ჩვენებისას, ერთსა და იმავე დროს, სავსე იყო უსაზღვროებითა და დაუსაბამობითაც და წამიერების განუზომელი მომხიბლაობითაც.

●

„ვა, ჭირნი ჩემნი ეზომნი,
ვა, სიცოცხლისა თმენანი“.

ჯვრისწერის დათქმულ მა ვადამაც მოაღწია... სახლიც მზად იყო, დუქანიც მზად იყო და სპირიდონას გულისთქმაც ზღვას ერეოდა... მაგრამ ევამ არც საქორწილო კაბის ჩაცმა მოისურვა, არც ჯვრისწერის გახმაურება და ხალხმრავალ ეკლესიაში შესვლა, და არც ქორწილის გადახდა... ვერა, მამავ, ვერა! ვერ დამიყაბულებთ და ნუ მეუბნებით... შენც ნურაფერს მეტყვი, რუსუდანო, შენი ჭირიმე, ჩემი ცოცხალი თავით გალობა-მრავალჟამიერს ვერ გავიგონებ, ვერა... კარგი ევავ, დამშვიდდი, ქალო, სპირიდონა ყველაფერზე თანახმაა, მღვდელდიაკვნისა და ორი მეჯვარის მეტი არავინ იქნება... არც საკლავს დავკლავთ, არა, არა. ის კი არა, თალხების გახდაც არ უნდოდა... მერე ვითომ დაითანხმეს, მაგრამ რა, თეთრი ატლასის კაბაში ხელი ვერ გააყრევინეს, თაგვისფერ კაბაზე შავი აბრეშუმის ქალაღაია მოიხვია და გამწყრალი და გაკერპებული გაიძახოდა ეს არის ჩემი საქორწინო სამოსიო.

სპირიდონა ხშირად იგონებდა ჯვრისწერის იმ ავბედით დღეს, განსაკუთრებით მერე, როცა ბოლომდე გამოცალა სიძულვილისა და ათვალწუნების მწარე სამსალა, ხშირად იგონებდა ევას თვალების სასტიკ ელვარებას და ვიწრო სახელოებში გამოკვალთული გრძელი ხელების ფიცხსა და გაგულისებულ მოძრაობას. თურმე საშვილიშვილო ომს უცხადებდნენ, ის კი მუხლებზე დაჩოქილი, თავბრუდასხმული და დაბრმავებული, სასოებით უკოცნიდა კაბის კალთას... თურმე შხამსა და ბალღამს უმზადებდნენ, მას კი, ბენტერას, შაქარყინულისთვის დაეღო ღლავივით პირი... მაშინ რომ სცოდნოდა წინ რა ელოდა, რომ სცოდნოდა ეს ნანატრი მზეთუნახავი რა გულქვა და შეუბრალებელი გამოდგებოდა, რა უწყალო სულისმხდელი, რა ძაღლუმადურ ცხოვრებას გაატარებინებდა და თვითონაც რას მიეწეოდა... მაგრამ მაშინ კი არა, როცა მართლა არ შეიძლებოდა სცოდნოდა, მერეც, როცა უკვე იცოდა, დიდხანს, ძალიან დიდხანს არ უტყდებოდა თავს, დიდხანს უხუჭავდა სინამდვილეს თვალს და დიდი სიამოვნებითაც დაუხუჭავდა სულ მუდამ, ევა ასეთი შეუპოვარი რომ არ ყოფილიყო. ბედნიერება სწყუროდა და იმიტომ... ევასთან ერთად, ევა გვერდით აუცილებლად ბედნიერი უნდა ყოფილიყო, სხვანაირად ვერც წარმოედგინა და არც უნდოდა წარმოედგინა. მეტისმეტად გაისარჯა ამ ბედნიერებისთვის, იგვემა და ივაგლახა, შეივიწროვა ხორცი და სული... თითქოს პირობა იყო ასეთი, მასში ჩასახლებული, მასში ჩაბუდებული ვიღაც უხილავის მიერ წამოყენებული, ვისთვისაც სპირიდონას ყველაფრის გადამწონ გამამართლებელ საბუთად თავისი და ევას ბედნიერება უნდა წარედგინა. ასე ეგონა სპირიდონას, რომ მხოლოდ ბედნიერების უხვ მდინარებას შეეძლო წაელეკა ცოდვა-ბრალის სივაგლახე და უწმინდურება...

და უნდა წაელეკა, უეჭველად უნდა წაელეკა!!! ამ იმედით ცოცხლობდა... სიყვარულთან ერთად მის გულში ჩანერგილ იმედს ღრმად გაედგა ფესვი...

და თუმცა ევას უმოწყალო ხელი პირველივე დღიდან, თუ პირველი ღამიდან სწორედ ამ იმედს მისწვდა, დაურიდებლად და დაუნანებლად მისწვდა, რომ ძირიანად ამოეძირკვა, დაემსხვრია და მოესპო, მაგრამ სპირიდონა უმალ სიცოცხლეს დასთმობდა, ვიდრე ამ უჯიათ იმედს, ნვითა და დაგვით მოვლილს და მთელ მის არსებაში დაფესვიანებულს და გახარებულს... ღონიერი ხელები ჰქონდა სპირიდონას და ჯიუტი ბუნება... ნუ, შენი ჭირიმე, ნუ მკრავ ხელს... ქმარი ვარ შენი, ჯვარდაწერილი, უცხოსავით ნუ მექცევი, შენი ბუდე ეხლა აქ არის, გაიგე და შეიგნე, ევავ, ჩემო სიცოცხლე, შენი სახლი ეხლა ეს არის, შენთვის გამართული, ჩვენი ბედნიერებისათვის გამართული... გესმის, ევავ! გაიგონე ქალო, გაიგონე!

„არაფერი მეყურებოდა იმ კაცისა... და არც მინდოდა გამეგო... უცხო იყო ჩემთვის ისა, და იმ სახლშიც ყველაფერი მეუცხოებოდა... ჩემი მოქსოვილი ფარდაგიც კი აღარ მეჩემებოდა... დღენიადაგ ეკლებზე ვიჯექი, როგორც ჩიტი ნარზე, ყოველწუთს ასაფრენად გამზადებული... თან რა უამურად გხვდება ყურში იმისი ხმა, ვინც არ გიყვარს, მით უფრო თუ სულ იმის ცდაშია, მოგეფეროს და დაგიყვაოს,.. იმისი დაყვავება გულში ბოღმად ჩამიგუბდებოდა ხოლმე... დარდი დარდია, და ბოღმა ყოფილა თურმე ყველაზე გაუსაძლისი, ბოღმა რო გერევა და ჯავრის ამოყრის სურვილი...“ „მაკვირვებს თქვენ გუმანი, ევა ბები, მაშინ ხომ არაფერი იცოდით...“ ვუთხარი მე და „ყაზბეგის“ კოლოფი გავუწოდე. „მადლობთ, გენაცვა, მადლობთ, გინდაა გამანებივრო პაპიროსით, ვითომ ჩემ „პრიმას“ ვერ მოვწევდიი?!“

„დედამ გამომატანა, დეიდა ევას ნაუღეო, რაკი არ იშლის, ხანდახან მაინც უკეთესი მოსნიოსო...“ „თანაც ამ მშვენიერ ფერისცვალების დღეს არაა...“ ბებია ევამ პაპიროსს თავი მოუფშვნიტა, ნაკვერჩხალზე მოუკიდა და გააბოლა... ჩვენ ტყის პირას, რცხილის ქვეშ ვისხედით, შუამთის ტყეში, ტყისპირებში მაყვალი იცის, მაყვალი იცის, უნდა კრიფო და ვერ დაკრიფო, თან მსხვილი, მსხვილმარცვალა და სურნელოვანი. ბებია ევამ ვედრო გაავსო, მეც რძის ბიდონები მქონდა წამოღებული ორორ კილოიანი. „უკანა გზობა ყოველთვის უფრო ძნელია, ჩემო გოგო, ხომ იცი, თხის ტყავი მანძილზე თხად იქცაო, ჰოდა, ფერდები მაღლად უნდა გვქონდეს, რომ არ გაგვიჭირდეს მოძრაობა, დიდი გზა გვაქვს გასავლელი, უნდა კარგად დავნაყრდეთ და დავისვენოთ...“

ბებია ევამ წკიმლებისა და ნაყარი ტოტებისაგან სახელდახელოდ გააჩაღა ცეცხლი, შეგულებული ჰქონოდა სოკოს რამდენიმე ბუჩქი, იქვე რცხილების ქვეშ, მერე რა სოკოსი, სანამ ცეცხლი ნაკვერჩხალს დასდებდა, მიიარ-მოიარა და მთელი კალთა ხოხბის მკერდა მოიტანა, ჯიბის დანით თავები გადაუწმინდა, შემხმარი ფოთოლი თუ მიწა მოაშორა, ძირები დააჭრა და ნაკვერჩხლებზე დააწყო, რამდენიმე თავი ხახვიც ჰქონოდა წამოღებული და ისიც ღადარში ჩაყარა, მე კი მათარას წამოვავლე ხელი და წყაროზე ჩავირბინე. დიდებული სუფრა გამოგვივიდა, ხოხბის მკერდა ხომ ისეთი გემრიელია, არც კი ვიცი რომელი სოკო შეედრება, დათვის სოკოსაც კი მირჩევია, ჰოდა, ვისხედით რცხილის ქვეშ და გემრიელად შევექცეოდით ჩვენს სადილსა თუ სამხარს. მერე კი ჩაიც მომიდუღა პატარა კათხაში მაყვლის ფოთლებისა და გარეული ქონდრისა, სურნელოვანი, ისეთი სურნელოვანი, ლამის დასაბნედი. მაყვალს ვატანდი და ყოველ ყლუპზე ვნეტარებდი... „აბა, რა საჭიროა იკლიკანტურად მომზადებული ნაირნაირები, ჩემო გოგო?!“ მეუბნებოდა ბებია ევა, „საზრდელი საღი და გემრიელი უნდა იყოს, მარტო სიმაძღრეში კი არ არის საქმე – გუნება გადაგიწმინდოს, გაგახალისოს, თორემ ათნაირი ჩაიპირქვავო სტომაქში, სულაც არ არის შესარგო, რა ვქნა, არასდროს არ მიყვარდა მუცელღმერთობა, იმ კაცმა ერთხელ წიგნი მომიტანა... ოჰ, რა ამბითა და სასოებით...“

„შეხედე, ევავ, შეხედე ქალო, რა სანიმუშო რამ მოგიტანე...“ მორბოდა, მორბოდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ დაინახავდა და ამ წიგნს გადასცემდა, არა, კი არ გადასცემდა, ერთად დასხდებოდნენ და ერთად დაათვალიერებდნენ, ევა რომ გაერთო, ევა რომ გაეხალისებინა, ევა რომ დაეინტერესებინა, თორემ მოუჯდებოდა თუ არა გვერდიდან, შეიგრძნობდა თუ არა ევას სხეულისსურნელს, – ესეც ბედი იყო, ასეთი თავბრუდამხვევი სუნი რომ უდიოდა, მყისვე სურვილი ეუფლებოდა და დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა უდროოდროს თრთოლვისა და ცახცახის ტყვეობაში არ აღმოჩენილიყო. შეაგვიანდა იმ დღეს, კნეინა ფეფიკოსთან შეყოვნდა ვახვახიშვილების უბანში, წიგნისთვის მისული, და ალბათ, ამიტომაც წარმოიდგინა რომ ევა უცდიდა, ისეთი სანეტარო იყო ამისი გაფიქრება რომ იჯდა ევა და უცდიდა... განა საკვირველია, ცოლი უცდიდეს დაგვიანებულ ქმარს, რა არის ამაში წარმოუდგენელი და აღსანიშნავი... გული ჩასწყდა, სახლი ჩაბნელებული დახვდა, სულ მთლად ჩაბნელებული, ალბათ, მნათეს გაჰყვა ეკლესიაშიო, მაშინვე უკან გაბრუნებას აპირებდა, წიგნს დავდებ და შევეგებებიო,... კიბეები აირბინა და კარი ღია დახვდა, არ გაჰკვირვებია, ევას ხშირად რჩებოდა კარი ღია, შევიდა სახლში, მიიხედ-მოიხედა, და ბინდბუნდში ევა კი დაინახა, რიკულებიანი ტახტის კუთხეში იყო მიყუჟული და განაბული. იგრძნო როგორ შეუხტა გული სიხარულისაგან, თავისებურად გადაათარგმანა, რომ დავიგვიანე, უჩემობით გაბეზრდა და მოინყინაო, მის წინ მუხლებზე ჩაიჩოქა, თავი კალთაში ჩაუდო, საჩუქარი მომქონდა შენთვის და იმიტომ დავიგვიანეო, იმიტომ გაცდევინეო, ჩემო სიცოცხლე და ჩემო ერთადერთოვო... არა, არ აუღია ხელი და სპირიდონასთვის თავზე არ გადაუსვია, იჯდა ისევ ისე მარტოსული და ეული, მხოლოდ უნებლიედ მხრები აიწურა, მუშტივით შეიკრა... სპირიდონა წამოდგა, დიდი ლამფა აანთო, გვერდით მიუჯდა და წიგნი გადაშალა: „ევავ, შეხედე ქალო, რა სანიმუშო წიგნია, რაღა არ არის შიგა, ყველაფერი, გენაცვალე, სუფრის გაშლიდან დაწყებული სუფრის ალაგებით გათავებული, კერძები, კერძები, ნაირნაირი, ამთისა და იმთისა, თუ აღმოსავლური, თუ დასავლური, თუ ესა და თუ ისა, ხედაავ, შენი ჭირიმე, თან სურათებით, თან ნახატებით...“

ამ სხვადასხვა კერძების სურათებს პაპიროსის ქაღალდები ჰქონდა დაფარებული, ფრთხილად შეუბერავდა სპირიდონა, გადაფრიალდებოდა პაპიროსის ქაღალდი და გამობრწყინდებოდა მადის აღმძღვრელი ნახატები. ევაც თითქოს დაინტერესდა, უფრო კი გაოცდა, დროდადრო ჩაიცინებდა ხოლმე და სპირიდონასაც სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა სიამე და კმაყოფილება, აი, რა სწორად მიხვდა ევა რითი უნდა დაეინტერესებინა, აი, რა საამოდ ჩაიჟღუ-

რტულებს ხოლმე, მაშ, არადა, სოფლელ ქალს საიდან უნდა სცოდნოდა ეგეთები? უხარია სპირიდონას, უხარია, და იმიტომ კი არა, რომ მუცელღმერთაა, არავითარ შემთხვევაში, ზედმეტი ჭამა-სმა და მიძღომა არასდროს ჰყვარებია, მაგრამ ეგეთი წიგნის სახლში ქონა ეს ხომ უკვე მდგომარეობას ნიშნავს?! და სპირიდონაც სულ უფრო და უფრო შედიოდა ეშხში: „აი, უყურე, გენაცვალე, უყურე, ათნაირი მარტო ფლავია, აი, ნაიკითხე, ფლავი კომშით, ფლავი ერბოკვერცხით, ფლავი ქიშმიშ-ლაბლაბოთი, ფლავი აღჯანაბადით, ფლავი დაკეპილი ხორცით, შილაფლავები კიდევ სხვა არის, ქათმისა თუ ცხვრის ხორცისა თუ სოკოსი თუ რა ვიცი კიდევ რისა... აი, კიდევ ინგილოური ფლავი წაბლითა და ნუშითა,... და ეს კიდევ რაა...“ სპირიდონას შუაზე გაუწყდა სიტყვა, რადგან ევას ისეთი კისკისი ამოსკდა, ვეღარ და ვეღარ ჩერდებოდა, კისკისებდა და კისკისებდა... ქალაღაია თავიდან გადასძვრა, ღაბუა ნიკაპი და ყელი ოდნავ უთრთოდა... გამტკნარდა სპირიდონა, თვალი გაუშტერდა... დაკეცა წიგნი, გადადო, ევა კი გეგონებათ საკუთარმა კისკისმა შეაკრთოვო, მოწყვეტით გაჩერდა, სახეზე ხელები აიფარა და ახლა უკვე, ასევე მოულოდნელად ტირილი დაიწყო... „თივის ზვინების დადგმა მიყვარდა, ჩემო გოგო, ვერავინა მჯობნიდა, იგეთ ზვინებს ვდგამდი, იტყოდი დანით ჩაუსხეპიათო, გიოს არ ვანებებდი, შენ მომწოდებელი იყავი მეთქი... მაღლა-მაღლა რო ავიდოდი და ვუვლიდი გარშემო ჭიგოს, ვზვეპავდი თივას, ხელებს გავშლიდი ხოლმე მოცეკვავესავით, ამომძახებდა „ოჰ, შე ალქაჯო შენაო, ტყუილია შენისთანაო... საქმესთან შეჭიდება მიყვარდა, არ გადავიტარებდი თავზე საქმეს, არა“. ბებია ევამ ბუერის ფოთოლზე დაალაგა ცხელ-ცხელი ხობის მკერდა და მომანოდა, „სულ მთლად შემწვარი ღვიძლის გემო აქვს, თან რა ცვრიანია, ნახე?!“

„უგემრიელესია... შეიძლება ხახვი ზედმეტიც იყო...“

„წარმოიდგინე, უხდება, ძალიანაც უხდება, და თან სარგოც არის, „ჩვენ ჩავყრიდით ხოლმე ღადარში ხახვს, მერე დავაჭერდით ხოლმე ხელს, შემწვარი ხახვი სუფთად გამოვარდებოდა, მოვაყრიდით მარილს, ახალშედღვებილ კარაქს დავადებდით და ისე შევექცეოდით...“ რა იყო დრო? რას ნიშნავდა დრო? რა ძალა ჰქონდა დროს? თუ ბებია ევა სიცოცხლის გასვლის შემდეგ მაინც იქ იყო დარჩენილი, იქ, თავის სოფელში, თავის გიოსთან, თივის ზვინებთანა და ცხვარ-ძროხასთან, და „ის კაცი“ ანუ სპირიდონა მხოლოდ იმიტომ კი არ გაახსენდა, რომ ფერისცვალების დღეს გარდაცვლილიყო და ჩვენც შუამთის ტყეში მაყვალზე სხორედ ფერისცვალების დღეს ვიყავით, არამედ, როგორც სხვა დროსაც დაკვირვებული ვიყავი, სპირიდონას გახსენება კიდევ უფრო ცხოვლად განაცდევინებდა იმას, რაც დაკარგა და რასაც დაშორდა.

„დავშორდი ჩემს ბუდეს და ჩემს ადგილს, აღარ მესმოდა ცხვარ-ძროხის ბღავილი, ცხენების ფრუტუნი, სადღვებლის ხმა, ვეღარ ვხედავდი ჩემს ველ-მინდორს, ახოებსა და კლდეებს... ქარიც სხვაგვარად ზუზუნებდა და ხეებიც სხვაგვარად შრიალებდნენ... ვფიქრობდი... ვფიქრობდი... ვფიქრობდი... დარდი ხომ ფიქრის დედაა... და მივხვდი რო სიყვარულში კი არ იყო მხოლოდ საქმე, მარტო ის კი არ იყო, რო გიო მიყვარდა და ის კაცი არ მიყვარდა, მთელ ჩემს ყოფაში იყო საქმე, ჩემს წუთისოფელში იყო მთელი ამბავი, სადაც სიყვარული, რა თქმა უნდა მთავარი ძარღვი იყო, მაგრამ ერთადერთი არ იყო და სიყვარულთან ერთად ყველა დანარჩენიც შედიოდა, ცხვარ-ძროხის წველაც, ყველის ჩადედებაც, დღვებაც, ბღავილიც, რძისა და ნაკელის სუნიც, საბძელ-გომურიც... ჰოდა, მთავარი ძარღვი ჩამწყდა, ეს იყო საქმე...

საკვირველია, გიოსთან რო ვიყავი, გიოს უნებურად, ნაბიჯი არ გადამიდგამს, ჩხირი არ გადამიბრუნებია და სულ ლაღადა ვგრძნობდი თავს, ფრთაშესხმულად... დავდიოდი და დედამიწას ფეხს არ ვაკარებდი, რასაც ვაკეთებდი, ყველაფერი სიამისა და სიხარულისა იყო, მე ხელთუპყარი ადამიანი ძალიან მეჯავრებოდა და თვითონაც სულ საქმეში ვიყავი... მერე კი ასე მეგონა საძრაობა შემებორკა, შევიბოჭე... მივდგებოდი ფანჯარასთან, ვუყურებდი ბაზარში მიმავალ ხალხს, მანანნარა ხომ ბაზრის გზაზეა, საპალნეაკიდებულ ვირებს, დატვირთულ ურმებს, და მეგონა რაღაც ქსელში გავები... და მივხვდი, რომ ჩემთვის თავისუფლება საყვარელ შრომასთან და სიყვარულთან იყო დაკავშირებული, მე კი ერთიც დავკარგე და მეორეც... დავკარგე ჩემი ადგილი... და დავკარგე თავისუფლება... და კიდევაც ეს იყო უბედურება... ამას ყველაფერს იმიტომ გეუბნები, ჩემო კარგო და მშვენიერო, რომ წინა კაცი უკანის ხიდია და შენც იქნებ რაშიმე წაგადგეს ჩემი ამბავი...“ და ბებია ევამ ჩანავლულ ცეცხლს მუჭით მიწა მიაყარა, მაყვლით სავსე ვედრო აიღო, მეც ჩემს ბიდონებს წამოვავლე ხელი და გზას გამოვუდექით...

სპირიდონას კი არ ესმოდა ეს რა იყო... და არც უნდოდა გაეგო...

ყველა ეგუება სიკვდილს, ან განა წარმოსადგენია ასეთ გარდაუვალ მოვლენას კაცი არ შეეგუო, მითუმეტეს ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალი. სამწუხაროდ და სავალალოდ ევა გამოდგა ის გამონაკლისი, რომელსაც არც გიოს სიკვდილთან და არც სპირიდონას ცოლობასთან შეგუება არ სურდა. ღმერთო დიდებულო, ადამიანი ხომ ჩაფიქრებულია იმდაგვარად, რომ მიელტვის ბედნიერებას, და თუ ბედნიერება ხშირად საჭოჭმანო რამ არის, და თუ ბედნიერება უმეტესად მიუწვდომელია, სურვილს ხომ წინ არაფერი უდგას, სურვილი ხომ უტყუარია, სურვილის გარეშე ხო არ არსებობს ძეხორციელი, სურვილი ხო თავისით ეძალება ხორცშესხმულ ადამიანს, კაცი იქნება თუ ქალი, სურვილი ხო თავისით იფეთქებს შენს შიგნით, შენს უკითხავად, უნებლიედ და მოულოდნელად... იფეთქებს და შემოგეგზნება, ხანძარივით მოგედება, და შეუძლებელია არ დანებდე და არ დამორჩილდე, არ დაინთქა ამ ხანძარში... მაშ, რა იყო ევას ეს უსურვილობა, მოურჩენელი ავადმყოფობასავით შეჰყროდა, რა ტანჯვა და გვემა იყო?! რაღა ევა უნდა გამომდგარიყო ამისთანა უკულმართად მოწყობილი?! არადა, არ იყო უკულმართად, არა, იცოდა რო არ იყო, და სწორედ ეს აგიჟებდა, ის დაუვიწყარი სურათი აგიჟებდა, ევა და გიო რო ნახა ჩანჩქერში მობანავეები, ის თავზარდამცემი სურათი, მაღლიდან, ფლატის პირას, ბალახებში ჩაწოლილი რო ჩაჰყურებდა, პირგამშრალი და საძრაობადაკარგული... პატარა მორევში ბანაობდნენ, დაბალი კლდეების ყურეში, ჩანჩქერის ქვეშ მყუდრო და მოფარებული, მიუვალი ადგილი იყო; სპირიდონა სწორედ ქაღალდების გასავრცელებლად მიდიოდა და თვითონაც არ იცის რატომ გადაუხვია ბილიკს და ფლატისკენ წავიდა, კუნლები იყო ჩარიგებული, ჩამოვკრეფავ და პირს გავისველებო... კარგად გაისველა პირი! ოჰ, რა სანახავები იყვნენ, დედიშობილები, ჩანჩქერის ქაფიან ჩქერში გახვეულები... ერთმანეთს ერთვოდა გიოს ხმადაბალი სიცილი და ევას კისკისი... ჩანჩქერში ერთმანეთს თავს აყოფინებდნენ, მერე ხელიხელგადაჭდობილი მორევში ჩაყურყუმალავდებოდნენ და სწრაფადვე ამოხტებოდნენ, თან გაუთავებლად გაუთავებლად იცინოდნენ, არემარეს ეფინებოდა ევას ზარივით სიცილი... საბოლოოდ კი გიომ ხელები მოხვია, აიყვანა, წყლიდან გამოიყვანა, და იქვე ხევის პირას, დიდი ნიფლის ქვეშ შარშანდელ ფოთოლზე მიაწვინა... და მწყურვალივით დაეწაფა ევას სალუქ სხეულს... ნელათრეული გაეცალა სპირიდონა იქაურობას... მერე კი... მერე... ჩამოვიდა ხევში, ნიფლის ქვეშ იმათ ნაწოლზე წაიქცა და გაეთანგული და გაშეშებული სველ ფოთლებზე იწვა... განა რა ჰქონდა იმ ტყაპუჭიანს ისეთი, რაც მე არა მაქვსო, გამწარებული ფიქრობდა, ევას მუდმივი ხელისკვრით გამწარებული და გაბოროტებული... ზოგჯერ დადგებოდა სარკესთან შიშველი და ჩაციებით შეჰყურებდა თავისთავს, თითქოს სარკეში უნდა დაენახა, აუცილებლად აღმოეჩინა რაიმე ზადი, შეემჩნია რაიმე ნაკლი. თვალს თვალში უყრიდა თავის თავს, ჩაშტერებით ჩაჰყურებდა სასოწარკვეთით სავსე, მერე ჩაჰყვებოდა შიშველ სხეულს, ითვალიერებდა ყოველ ნაკვთს, დაკვირვებულ მზერას შეაჩერებდა „ნაშენობაზე“, თითქოს იქ უნდა ამოეცნო მიზეზი უბედურებისა და უიღბლობისა, მაგრამ, პირიქით, კმაყოფილი და თავმომწონეც კი თავისი მძლავრი „ნაშენობით“. კიდევ უფრო დაიბოღმებოდა: რადა, კაცო, რადა, რად იმსახურებს ამ გამაბიაბრუებელ კაცობის შემარცხვენელ დამცირებას. ვინ იყვნენ, ვინა, თითი თითზე რო არ დაუკრავთ ბედნიერებისთვის და არიან კი გაფოფინებულები, ვიღაც მაიმახები, ვიღაც ჩიხო-მახოები, ვიღაც ლოტოს კოჭები, მიწას მტკაველზე რო ძლივს ასცილებიან, ბუზი არ გაუქშევიათ და თავის თავს კი დანატრიან, სპირიდონა კი, ამსიმაღლე, — კაცისთვის ხო მთავარი სიმაღლეა, — ეგეთი ასოტანისა, ეგეთი მხურვალე წადილისა, ეგეთი მორევივით გულისთქმისა და ეგრე უნდა იტანჯებოდეს, გაძაღლებული დაიარებოდეს, საკუთარ ხორცებს იგლეჯდეს; სპირიდონამ კი, ბედნიერებისთვის თავზე ხელი რო აიღო და ცოდვის ზღვაში გავიდა, ვერა და ვერ უნდა გაიბედნიეროს თავი. მერე რა გულდასაწყვეტი იყო, სხვები რო გაიგებდნენ სპირიდონას ამბავს, ის ხომ ყველას თვალში ბედნიერი კაცი იყო, და რა შეუსაბამო რამ გამოდიოდა, ბედნაწევი კაცის უბედურება, არა, არ სურდა და დარწმუნებულიც იყო — უფლება არ ჰქონდა, შეჰგუებოდა ევას გულქვაობასა და დაუნდობლობას. რამდენი იტყუა თავი, რა მიზეზი აღარ მოუნახა: აი, და სოფლელია და სცხვენია თავისი გრძნობა ახდილად გამოამჟღავნოსო, მე მაინც ქალაქელი კაცი ვარ, გასული კაცი ვარ, მაგისი ყოფილი ქმარივით ტყაპუჭიანი მწყემსი კი არა ვარ, ქვევიდან ზევით მიყურებსო, — ამ სისულელემდეც კი მიდიოდა, და დღედაღამ იმის ცდაში იყო ევა გაეთამამებინა და გაელაღებინა, დაჰყავდა სტუმრად, დაჰყავდა კლუბში, დაჰყავდა „ვეჩერებზე“ და „გულიანიებზე“, სხვათა შორის, არასდროს უარს არ

ეუბნებოდა და ხალისითაც მიჰყვებოდა. თვითონაც გამოუთქმელ სიამოვნებას გრძნობდა, ევას შემხედვარე ყველა რომ იღიმებოდა, ყველას სახე ეხსნებოდა, გეგონებათ უეცრად კარგ გუნებაზე დადგნენ და გახალისდნენო, ისეთი სიამე ეფინებოდათ სახეზე, თვითონაც თავმომწონება მოეძალებოდა, თავაწეული, ბეჭებგამართული მიჰყვებოდა გვერდით. ხალხში ევაც აშკარად უკეთესად ექცეოდა, ხელსაც გაუყრიდა, ფეხსაც აუწყობდა, ჩვეულებრივად, ცოლქმრულად დაელაპარაკებოდა, მოუსმენდა კიდეც ვინ ვინ იყო და ვის რა მდგომარეობა ეჭირა, უცხოებთან საუბარშიც ჩაებმებოდა... განსაკუთრებით რუსუდანთან სტუმრობისას დაირწმუნებდა თავს, რომ ყველაფერი გამოსწორდებოდა, ჯერ ერთი ევას ძალიან უყვარდა რუსუდანთან ყოფნა, სრულიად შეიცვლებოდა ხოლმე, და მეორეც, სპირიდონასთვის რუსუდანი ცოცხალი მაგალითი იყო იმისა, რომ ქალი შეიძლება ლამის ძალად, ტირილითა და ქუხილით გაათხოვონ, – აკი მანიამა და ივანემ იმარჯვეს, – რომ ქალს შეიძლება სრულიადაც არ უფუვდებოდეს გული მომავალი ქმრისათვის და მერე კი აი, ასეთი სანიმუშო ოჯახი შექმნას, გამგებიანი, მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდეს თავის ქმართან და შვილებსაც ერთად, შეხმატკბილებულად, სიყვარულით ზრდიდნენ. სპირიდონასაც ოჯახი უნდოდა, ოჯახი, ოჯახური სითბო და სიმყუდროვე... იმთავით ამთავითვე, ღრმა ბავშვობიდან მოაქამომდე ოჯახი სწყუროდა ოჯახის ნატრულს. რა მშვენიერი სიტყვები არსებობდა, რა კარგი, რა გულშიჩამწვდომი სიტყვები, ხან რომელი სიტყვა აეკვიატებოდა, ხან რომელი, ოჯახური ერთობის გამომხატველი, აი, მაგალითად „მოზიარე“... ტრაპეზის მოზიარე, სიტყვის მოზიარე, ლოგინის მოზიარე, სიხარულისა და ბედნიერების მოზიარე... ან არადა „მეუღლე“, შენთან ერთად შებმული ცხოვრების უღელში, ოჯახის უღელში, ერთად რომ ეწევიან ცხოვრების ჭაპანს, ერთმანეთს რომ მხარში უდგანან, როგორც რუსუდანი და გოგლო. და სპირიდონაც მათთან სტუმრობის შემდეგ იმედმოცემული წარმოიდგენდა: ეგ არის და ყინული გალღვაო. მაგრამ სახლში ჭირდა, პირისპირ დარჩენა იყო ძნელი, ღამღამობით კი გაუსაძლისიც, როცა ევა, მაინცადამაინც ძილის წინ, დაწოლისას, ხან თავის ტკივილს იმიზეზებდა, ხან საქმეს გამოიჩენდა და თავს არიდებდა სპირიდონასთან ერთად დაწოლას, მაინცადამაინც მაშინ მოუნდებოდა ქსოვა თუ კერვა, ჭურჭლის გარეცხვა თუ სხვა საოჯახო საქმე... ჩამოდნა, სახე მთლად ჩამოექნა ცვილის სანთელივით, მაგრამ ეფერი გამშვენიერდა, მომაჯადოებელი გახდა, თვალს ვერ აცილებს, გათვალულივით მიშტერებია, ოჰ, როგორ ჩაციებით უყურებს ხოლმე ღამე, მძინარეს... ფრთხილი ძილი იცის, გაფაჩუნებაზეც ეღვიძება, სპირიდონას ისიც კი ჰგონია, რომ ხშირად თავს იმძინარებს... ბალიშზე წამონეული დააჩერდება თვალებდახუჭულ ევას, კედლისკენ თავმიბრუნებულს, დააჩერდება, მხედველობას დაძაბავს, ღამის მკრთალ შუქზე კარგად დაინახოს... ყოველთვის უყვარდა ევას ყურება, მაგრამ ახლა მხოლოდ სიამოვნებისთვის კი არ უყურებს, მხოლოდ თვალის დასატკბობად, მხოლოდ სიყვარულის გამო კი არა... ისეთი განცდა მოიცავს, თითქოს გამოცანა ჰქონდეს გამოსაცნობი, და ამ გამოცანის გამოცნობაზე იყოს დამოკიდებული მისი არსებობა... ო, როგორი ახლობელი და შესისხლხორცებულია ეს სხეული, ათასჯერ ნაგრძნობი და განცდილი, როგორა აქვს ჩაჭედილი მთელს არსებაში ევას მიმოხრა, ევას ხმა, თაფლისფერი თვალების გარინდებული და უცხო მზერა, უმცირესი მოძრაობაც კი, ყოველი ხაზი, ყოველი ხვეული მისი სხეულისა... მაგრამ გამოცანის ამ ნაწილებისაგან მთელი არ გამოდის, ასე ჰგონია სპირიდონას, და ვერ გამოუცვნია ეს გამოცანა, არადა, აუცილებლად, ყოველ მიზეზ გარეშე უნდა გამოიცნოს, როგორც იმ ზღაპრებში, სადაც გამოცნობაზე კაცის სიცოცხლეა დამოკიდებული, არ გამოიცნობ და თავს გაგდებინებენ, კლდეზე გადაგჩეხავენ, ან არადა უარესი, ათასჯერ უარესი, სიცივით გაგთოშავენ, უსიყვარულობით სულს ამოგხდიან... ერთი რაღაც სიზმარივით ჩვენება აეკვიატა, ხშირად სტანჯავდა ეს ჩვენება, დაღლილი და დამტვრეული იღვიძებდა... ვითომ ლეკები მისდევდნენ, ის კი გარბოდა ხელში გასაღების აცმულათი, მირბის სპირიდონა, მიაჩხარუნებს გასაღებებს, მიირბენს ბატონის ციხის მაღალ გალავანთან, გულამოვარდნილი მიადგება ჭიშკარს, უნდა შევიდეს, აგერ სადაცაა ლეკებიც მიცვივდებიან, უნდა მოარგოს გასაღები, შეხსნას ჭიშკარი და ვერაფერი გაუწყვია, არცერთი გასაღები, არცერთი არ ერგება... ხელები უკანკალებს, გულს ბაგაბუგი გააქვს, ნაბიჯების ხმა ესმის ძაგ-ძუგ, ძაგ-ძუგ... სხვა კარი მაინც... სხვა კარი მაინც გაიღება... და ისევ გარბის მაღალი გალავნის გასწვრივ, გარბის... გარბის... და იცის რომ ტყუილად... იცის რომ ვერც მეორე კარს გააღებს... ერთხელ, შუაღამისას გაეღვიძა გულგახ-

ეთქილს, წამოჯდა ლოგინში და ევა მის გვერდით არ იყო... ევა, ევა... დაიძახა, მაშინვე გადმოვიდა ლოგინიდან, მიიხედ-მოიხედა, სადა ხარ, ქალო! შუშაბანდში არ იყო, გაიქცა, ქუჩისპირა ოთახში გავიდა... ღამისპერანგიანი, მთვარის შუქზე მოჩვენებასავით ატუზულიყო ფანჯარასთან... ევა, ევა, რას გაჩუმებულხარ, არ გეყურება, ქალო, ამ ყინვაში ფანჯარა გაგიღია, გინდა გაციოდე?! ევამ მოიხედა, ტუჩზე ხელი მიიდო, ჩუმადო... რა იყო, ევავ, რა დაგემართა?! ქარი ზუზუნებდა, გადაწეულ ფარდას არხევდა, სპირიდონამ გაიხედა, გზას გახედა... ჩაშავებულ სახლებს შორის გზა თეთრად მოჩანდა... შორიდან ცხენის ფეხის ხმა ისმოდა, ქარის ზუზუხს ერთვოდა... „გიოს ნისლაა... ფეხის ხმაზე ვცნობ...“ უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა ევამ.

გული დაესერა, თითქოს სიზმრის ლეკებმა მართლა ლახვარი ჰკრესო... ახალი ძალით იფეთქა უიმედობამ: ნამდვილად იმ ტყაპუჭიანმა ეს ალქაჯი დატოვა თავის სამაგიეროდო, ჯავრის ამოსაყრელადო; განა არა, შეჯავშნული ეგონა, შეჯავშნული მტერი, და როგორც ვირთხა ჭალის კაკალს, ისე აცვეთდა კბილებს ამ ჯავშანს, რომ გაეტეხა და დაემსხვრია, რადგან ბოლოს-ბოლოს იფიქრა, რომ გამოცანის პასუხი ჯავშნის შიგნით იყო ჩაბუდებული... და ეს იყო სული... ევას მოუხელთებელი სული... სპირიდონასთვის მიუღწეველი და შეუღწეველი... და ერთ დღესაც გაბრაზდა სპირიდონა, ხელში შემოადნა ყველა მიზეზი და საბაბი, აღარ მოუნდა თავის მოტყუება და გაბრაზდა. ეს სადაური ამბავიაო, ზღვა ფაფად იდგეს და მე უბედურს კოვზიც არა მხვდესო, ადგა და დათრგუნვასა და ძალადობას მიჰყო ხელი... და რაც უფრო ეწინააღმდეგებოდა ევა, მით უფრო მსჭვალავდა სურვილი დაემორჩილებინა და დაეთრგუნა. ევას ქვითინი ხან აბრაზებდა, ხან სინანულით ავსებდა და ასეთ ურთიერთობას მისთვის შვებაც არ მოჰქონდა, მეორე დღისით მოწამლული დაიარებოდა, ქმარი ცოლთან იყოს, რად უნდა გრძნობდეს თავს დამნაშავედო, რადაო, რადაო... სადა თქმულა, სად გაგონილაო... გაბოროტებული ფიქრობდა, სიყვარულისთვის თავმკვდარი სიძულვილში იხრჩობოდესო...

და რაკი ბოლმა და სიძულვილი გახდა მათი ურთიერთობის საფუძველი, და რაკი ვერც გათვისდნენ, ორივემ თავისებური გამოსავალი ნახა შექმნილი ვითარებიდან, მოხდა ისე, რომ ევა მაკას დაუახლოვდა, და ტყეში სიარულთან ერთად კარტის თამაშს მიჰყო ხელი, სპირიდონამ კი მიკიტან ძველოს სამიკიტნოსა და საროსკიპოს მიაშურა.

„სანუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინა“

ევასი და მაკას დაახლოვება ფრიად დრამატულ ვითარებაში მოხდა. მაშინ როცა არჩილი გაგრის გადასახლებიდან დაბრუნდა ცოლთანა და ჩვილ ბავშვთან ერთად. გადასახლების იმ თერთმეტმა თვემ აი, ასეთი ნაყოფი გამოიღო, მაკასთვის მნარე და მოუნელებელი. კიდევ ბედი, რომ არჩილი მაშინვე არ დაბრუნებულა, რამდენიმე თვე შეაგვიანდა, ბავშვი ცოტა მაინც მოჩიტებულიყო – და მაკას დრო ჰქონდა გონს მოსვლისა, თორემ ეს ამბავი პირველად თავს რომ დაატყდა, საცოლე ლოგინად ჩავარდა, მთელი ორი კვირა საძრაობა ჰქონდა დაკარგული, უჭმელ-უსმელი იწვა და ყველაფერი ამაო იყო, ნუგეშიცა და შეძახილიც. საწყალი ნატო, არჩილის დედა, კედელს თავს ახლიდა, არჩილზე პატიოსანი მეორე არ ვიცი, და ალბათ, მომიწამლეს შვილი, ალბათ, რაღაცა ისეთი შეამთხვიეს, უკან დასახევი გზა აღარა ჰქონდაო; მთელ დღეებს ტირილში ატარებდა, ვნახო მაკა და რა პირით ვნახოვო, არა ვნახო და როგორ არ შევტიროთ ერთმანეთს ჩვენი უბედურებაო, როგორც არჩილს, ისევე მეც ხომ მხოლოდ მაკა მინდოდა რძლადაო... და ვერ წარმოედგინა იმ უცხო, გადამთიელი ქალის სახლში შემოსვლა, ვერ წარმოედგინა არჩილსა და მას შორის ვიღაც უცნობი, თანაც არაქართულად მოლაპარაკე ჩამდგარიყო... არადა, რა ბედნიერ საღამოებს ატარებდნენ, ზამთრის გრძელ საღამოებს, არჩილის გადასახლების პირველ თვეებში, როცა დეიდა ნატო არჩილის ბავშვობის ამბებს უამბობდა თავის სარძლოს, როცა ერთად მიეცემოდნენ ხოლმე ნაღველსა და სიხარულს, როცა ერთად უცდიდნენ თავიანთ სათაყვანებელ არჩილს და მომავლის ფერად-ფერად სურათებს ხატავდნენ... და დეიდა ნატო სულ იმის ცდაში იყო მაკას მოსვლისთვის ან ტკბილი კვერი გამოეცხო, ნუგბარი რამ დაეხვედრებინა, ან თავისი ძველი ყუთიდან რაიმე საჩუქარი გაემზადებინა, მაქმანები იქნებოდა, ფირუზისთვლიანი ქინძისთავი, თუ მშვენიერი, ალმასებით მოკირწყლული მედალიონი, ოქრომჭედელ ალიას ძვირფასი ნაკეთობა, რომელშიაც მაკამ მაშინვე არჩილისა და თავისი ძმის სურათები ჩასვა და სასოებით გულზეც ჩამოიკიდა; დეიდა ნატოც სასოებით მიუპყრობდა ყურს არჩილის წერილებს, მაკა ყოველ მეორე დღეს რომ ღებულობდა და მყისვე თავისი სადედამთილოსკენ გაფრთხიალდებოდა... ვიშ, რა სიყვარულითა და მონატრებით სავსე

წერილები იყო, პირამდე გალიცლიცებული სურვილითა და ოცნებით „ჩემო სიცოცხლე“ და „ჩემო ერთადერთოვო“, „ვიტანჯები უშენოდ და რა ბედნიერი ვიქნებოდი შენც აქ იყოვო“, თუმცა კი დიდი ეგოიზმია ჩემგან შენი გამეტება აქ ყოფნისთვისო, იმიტომ რომ საშინელი ადგილია გაგრა, გაუვალი ტყეებითა და ჭაობებით დაფარულიო... მაგრამ მაინც თავი უნდა ვინუგეშოთ იმით, რომ საქართველოში ვარ, და არა ციმბირშიო...

თან რა შვილი იყო, რა შვილი, ყოველ წერილში დედას ავედრებდა: „შენ გენაცვალე, მაკა, ჩემო სულო და გულო, სადედამთილოს ყურადღებას ნუ მოაკლებ, შენებურ გულისხმიერებას, უჩემობას ნუ აგრძნობინებ; ნეტავ როგორ უყვარხარ, ქალო, შენს თავს ვფიცავ, ჩემზე ნაკლებად არ უყვარხარ, ამიტომაც გთხოვ, გემუდარები ხშირად იყავი ჩვენთან, ჩვენს სახლში; ოჰ, როგორ ვნანობ, რომ დაგთანხმდი და ყოველგვარი ნიშნობის გარეშე პირდაპირ ჯვარი არ დავიწერეთ, გაცილებით უფრო მშვიდად ვიქნებოდი, მშვიდად კი არა, ბედნიერად, იმიტომ რომ მაშინ კი თქვენები ველარაფერს იტყოდნენ... ვგრძნობ, ჩემო სიცოცხლევ, ვგრძნობ, შენიანებს ჩემზე გული არა აქვთ, არ კი იციან – ნუ მიწყენ, გეთაყვანე, – რა საამაყოა იყო რევოლუციონერი, და იოტის ოდენა ეჭვი არ გეპარებოდეს, რომ მომავალი ჩვენ გვეკუთვნის...“

ო, როგორ სცდებოდნენ, რა სათაკილო ჩამორჩენილობას ამჟღავნებდნენ მაკას მშობლები, ძია ლუკაცა და მირიანიც, მაკას ძმა, ახალგაზრდა კაცი, რომელიც ხაზინაში მუშაობდა და სულ არ დაგიდევდათ მასების გამოფხიზლებასა და პოლიტიკურ გათვითცნობიერებას და დამცინავი ღიმილით სულ არჩილის გაკენწვლაში იყო: კარგი ქვა ყორეს არ გამოსძრებაო და არჩილი და მაგისნაირები კი აგორებული ქვასავით არიან, ხავსს რომ ვერ მოიკიდებენ და ვისაც დაეჯახებიან თან გაიტანენ და თვითონაც სად ჩაიჩეხებიან, კაცმა არ იცისო; აგერ ჯერ ოცდაათისაც არ არის და უკვე სამი პატიმრობა ჰქონდა და ეხლა გადასახლებაშიც ბრძანდებაო და ჰოდა გირჩევ, სანამ დროა, შეუთვალე უარი და მოსაგლეჯი კბილივით მოიგლიჯეო... აი, ამ სისულელეს ჩასჩიჩინებდა მირიანი და მაკა, ამაყად თავაწეული, ასევე დამცინავი ღიმილით უპასუხებდა: სირცხვილია, მირიან, ახალგაზრდა კაცი ეგეთი დახავსებული რეტროგრადი იყოვო და შენი საანგარიშო კოჭების ჩხაკაჩხუკის მეტი არაფერი გეყურებოდესო... აკი ერთხელაც ნიშნის მოგებით გაუწოდა თავის ძმას არჩილის წერილი, სადაც ის დაწვრილებით აღუწერდა მაკას, თუ რამდენს მუშაობდა და რა თავდადებით იღვწოდა მომავლისთვის; ფოსტაში ხომ დავიწყე სამსახური, ამასთანავე მოწაფეები ავიყვანე და ეკონომიკურ-ადინებო, – მაკა, ცხადია, მაშინვე მიხვდა, რა მოწაფეებიცა და მეცადინეობაც იგულისხმებოდა, – და რაც მთავარია, მომავლისთვის პოლიტიკური სისტემის სრულყოფაზე ვმუშაობო, დღე და ღამეს ვასწორებ, ლიტერატურას ვამუშავებ ეკონომიკასა და პოლიტიკაშიო, იმიტომ რომ ყველაზე არასრულყოფილი პოლიტიკაა, არც ერთი სფერო ჩვენი ცხოვრებისა ისეთი არასრულყოფილი არ არის, როგორც ქვეყნის მართვის სისტემა, და არ შეიძლება ჩვენ ეს არ გავითვალისწინოთ მომავალი ქვეყნის შენებისთვისო. პოლიტიკა ყოველთვის იყო ასპარეზი უგულო ხელისუფალთა, ხშირ შემთხვევაში შარაგზის ყაჩაღთა, შარახვეტია კაცუნათა და ამ ჩემფეხება მუტრუკთა, სახელმწიფო ბედიღბალს კი არა, ორ ბატს რომ ვერ მიაბარებო. „და განა არ ღირს კაცმა სიცოცხლე შესწიროს მასების პოლიტიკურად მომწიფებას და მომავლისთვის ისეთი ჰუმანური პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების შექმნას, რაიცა ახალი საზოგადოების დონისა და მოთხოვნილების შესაფერი იქნება, რადგან, მოგეხსენებათ, მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებას და ახალი პოლიტიკური სისტემა აუცილებლად იქნება საფუძველი ადამიანის ძირეული გადახალისებისა, ანუ ახალი ადამიანის შექმნისაო...“ და მირიანს, მაკას გულის მოსაკლავად, მაინც დასთამაშებდა სახეზე ის თავისი დამცინავი ღიმილი; მერე კი მხარზე ხელი მოხვია და დაყვავებით უთხრა: „ჩემო დაო, რობესპიერიც დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთის რევოლუციის დროს ახალი ადამიანები იბარტყებდნენ და კეფაში როგორი ტყვიაც მიიღო, ეს ხომ ამ ჩვენ თელავშიაც ყოველმა მოწაფემ იცის, და შენს საქმროს რატომ გამორჩა ეს ამბავი ვერაფრით ვერ ამიხსნიაო..“

აბა, ღირდა კი რაიმე ეპასუხა ღვიძლი ძმისთვის, ათაპაპიჟმის დროინდელი მაგალითები რომ მოყავდა და ბურჟუაზიული და მომავალი სოციალისტური რევოლუციები ერთმანეთში ერეოდა?! ცხადია, არაფერი, გარდა წერილის ხელიდან გამოლეჯისა და გამანადგურებელი შეხედვისა...

მაგრამ, ერთი ეგ არის, ბოლო დროს სიზმრებს ხედავდა შემაშფოთებელს... აქაოდა გაგრა ტყიანი და ჭაობიანიაო, უსიერ ტევრს ხედავდა ხოლმე, აეკვიატა ასეთი ჩვენება, ვითომ დაძრწოდა და არჩილს ეძებდა... ვითომ ერთადერთ ყვნენ წამოსული, ხელგადახვეული მიიკვლევდნენ გზას გაუვალ ბილიკზე და არჩილი უეცრად გაქრა... მაკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაძრწოდა, ბილიკი ეკარგებოდა, გაუვალ ჩირგვნარში ხვდებოდა, ... სინოტივით, ჭაობის სუნით იყო გაჟღენთილი იქაურობა... არჩილ, არჩილ, არჩილ, შეძრწუნებული იძახდა... და მხოლოდ უცნობი ფაჩუნი ესმოდა... შეშინებული მიიკვლევდა გზას ლაქაშებში, დიდი ხეების ტოტები სახეში სცემდა, უნდოდა გარიდებოდა ამ ფაჩუნს და ჩურჩულს, მაგრამ გამუდმებით ესმოდა, გეგონებათ ვიღაც ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებსო... სმენას ძაბავდა, რომ გაეგო რას ჩურჩულებდნენ, ან ვინ იყვნენ ეს მოჩურჩულენი... შეშინებულს ელვიძებოდა, და ადგებოდა თუ არა, მაშინვე წერილის წერას შეუდგებოდა, გრძელ უსტრებს სწერდა, როგორც არჩილმა სთხოვა, სწორედ ისე წვრილად გააჭრელებდა ხოლმე... რაც ეს სიზმრები აეკვიატა, ყოველ წერილში ეხვეწებოდა: იცოდე, არ დამიმალო შენი ჯანმრთელობის მდგომარეობაო, ცუდ სიზმრებს ვხედავ, სულ რაღაცას მეჩურჩულებიან და დარწმუნებული ვარ, მაგ ჭაობიან ადგილას ციება გაგიახლდებაო, ბოლოს-ბოლოს ხალხი „ზაგრანიცაში“ დადის და მეც როგორმე გადავდებ თავს, ჩამოვალ და გამოგარჩენო... ხან იმასაც ფიქრობდა, მონაფეებთან მეცადინეობას რომ მატყობინებდა, ნამდვილად მარქსისტული ნრე ჩამოაყალიბა, ჟანდარმერიამ გაიგო, რაღაც უარესის მოლოდინშია და მე მიმალავსო... არჩილს ხომ არაერთხელ უთქვამს: ისეთ გზაზე ვარ შემდგარი, ჩემიანი სულ ხიფათის მოლოდინში უნდა იყოსო... და მაკაც ხიფათს ხან არჩილის არც თუ საღი ჯანისაგან ელოდა, ხანაც ჟანდარმერიიდანა და პოლიციიდან. მაგრამ ამჯერად, მაკას აწყმოსა და მომავალს ხიფათს სულ სხვა ვინმე უქადდა, და ეს ვინმე გახლდათ არჩილის სახლის პატრონის, პლასტუნის ოფიცრის ქალიშვილი ვეროჩკა, დიდი, თეთრწითური, ჩამკვრივებულ-ჩაფუნთუშებული, მოკისკისმოცინარე ანცი ქალი, ზღვის ტალღებს დელფინივით რომ აპობდა და შეეძლო შინნაქსოვი საბანაო ჩასაცმელით, ძლივს რო უფარავდა გოგრებივით მკერდსა და ნავივით გავას, ზღვისპირას თავაღერილი მდგარიყო, ან ფეხებგაშლილი ქვიშაზე გაშხლართულიყო და მზეს მიფიცხებოდა... რომ გაიგო არჩილმა ცურვა არ იცოდა, სიცილით მოკვდა, სწორედაც უნდა გასწავლოთ, თქვენ ალღოიანი კაცი ჩანხართ და მალე დაეუფლებითო... ერთხელ ზღვისპირა სეირნობის დროს, ვეროჩკას სიცილ-კისკისზე ისე მოენატრა თავისი საყვარელი მაკა, ისეთი სევდა შემოაწვა, ბოდიში არცკი მოუხდია, ჩემს დანიშნულთან წერილი უნდა დავწეროვო, უთხრა ვეროჩკას და ისე გამოიქცა სახლში, თითქოს უკან მოსდევენ და ეშინია არ დაიჭირონო, მყისვე აანთო ლამფა, მოიმარჯვა საწერკალამი და ... ერილი დაწერა, მენატრებიო, ასე არასდროს მომნატრებიხარო, ოჰ, ერთი ჩქარა გავიდეს ეს ოხერი დროვო... ვეროჩკასაც რამდენჯერ მოურბენინებია წერილი, „უნდა გაგახაროთო“, ეტყოდა ხოლმე პირმოცინარი და კონვერტს გადასცემდა. მერე ჩამოჯდებოდა და უყურებდა არჩილი წერილს როგორ კითხულობდა. ერთხელ კი, მაკას წერილმა რომ დაიგვიანა, არჩილი ადგილს ვერ პოულობდა, იმედი გადაიწყვიტა, დღეს, ალბათ, ველარ მივიღებო და ზღვის პირას გაიარა, გულს გადავაყოლებო... არ გამოხდა დიდი ხანი და ვეროჩკა მორბის კისრისტეხით, სულს ძლივს ითქვამს, აფუებული მკერდი სირბილისაგან აუდჩაუდის, ხელში კი კონვერტი უჭირავს და შორიდანვე უქნევს არჩილს, რომ გაახაროს და დაამშვიდოს... არჩილი ისე აღელდა, ისე გაუხარდა, გადაეხვია ვეროჩკას და ლოყაზე აკოცა; თეთრწითური, მკვრივი ლოყები ჰქონდა პაწია ღრმულებიანი. ვეროჩკა შორიახლოს ჩამოჯდა ფიჭვის ნარჩენ ფესვზე და ღიმილით გამოხედავდა ხოლმე დანიშნულის წერილში ჩაფლულ არჩილს, მღელვარებისაგან თან ბოლთას რომ სცემდა ზღვის პირას...

ყველაზე ნაკლებ თვითონ არჩილი ელოდა ვეროჩკასთან დაახლოებას და ვითარების ასეთ შემობრუნებას. ვეროჩკას კი ერთი ოცნება ჰქონდა, აქედან როგორმე გაელწია, აქ უკვე სამი წელია რაც ცხოვრობდნენ და აქაური უდაბურება ყელში ჰქონდა ამოსული. არჩილი თავიდანვე თვალში მოუვიდა, მაგრამ განსაკუთრებით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც გაიგო, რომ დანიშნული ჰყავდა და ეს დანიშნული ძალიან უყვარდა, როცა თავისი თვალით დაინახა როგორ ელოდა წერილებს, როგორ უხაროდა ამ წერილების მიღება და პირიქით, როგორ უფუჭდებოდა გუნება, წერილი თუ დაიგვიანებდა. რა საინტერესოა შეყვარებული კაციო, ფიქრობდა, ღმერთმანი, ბევრად დიდ ინტერესს აღძრავს ის, ვისაც სხვა უყვარსო... და რაც უფრო დიდ სიყვარულსა და ერთგულებას ამჩნევდა არჩილს, უფრო მოსწონდა და ამღელვარებდა, და თუ ნაღველსა და სევდას შენიშნავდა, მთელი ძალით ცდილობდა გაერთო და გაემხიარულებინა... ერთხელ, არჩილის ოთახის დალაგების დროს, ჩუმად გახსნა საწოლთან მიდგმული პატარა კარადის უჯრა, სადაც არჩილი წერილებს ინახავდა ხოლმე, ერთერთი ცისფერი კონვერტიდან, – კარგად იცოდა ვერჩკამ ეს კონვერტები, რუსულად გაგრისა

და თელავის მისამართები ეწერა, – წერილი ამოიღო და უცხო და უცნაურ ასოებს დაა-შტერდა... ღმერთო, რა ამაღელვებელი იყო შორეული, მაგრამ საყვარელი დანიშნულის საიდუმლოებით სავსე წერილი... ლამაზი ხელით იყო ნაწერი, ზოგიერთი ასო რაღაც უცნაურად ჩაკაუჭებული, ზოგი კი პირიქით, წერწეტა იყო და მოხდენილი, ზოგი პანია, რუსული, გახსნილი, ო-სავით,... ო, როგორ იზიდავდა, როგორ აჯადოებდა... თან ის პატარა ქალაქი, ცივ-გომბორის კალთებზე შეფენილი, შორეული, უჰ, როგორი შორეული, აქედან იქამდე დაოთხილმა რო იარო, სამი კვირა მაინც დაგჭირდებაო, არჩილი ამბობდა... ივლიდა, ივლიდა, უდიდესი სიამოვნებით, კისრისტეხით გაიქცეოდა... ყველაზე მეტად სწორედ სიარული და მოგზაურობა უყვარდა, ბავშვობიდან იყო დაჩვეული... სხვათა შორის, ექვსი წლის შემდეგ თელავშიაც ასევე ატროკდა, მოსწყინდა არჩილის ხშირი წასვლა-წამოსვლა, მოსწყინდა რევოლუციონერის გზაზე ყურება და თუმცა თვითონ გართობას არ იკლებდა და სამხედრო ქალაქის, ანუ „გოროდოკის" ხშირი სტუმარიც იყო, ისე არ გაიმართებოდა აღლუმი და კარნავალი, თავისი დედამთილის ქართულ კაბაში გამოწყობილი, ლეჩაქგადაფრიალებული მეჯლისის დედოფლად არ აერჩიათ და პოლკის უფროსთან პირველი ვალსი მას არ დაეწყო. ერთ მშვენიერ დღეს, – არჩილი პარტიულ კონფერენციაზე იყო წასული, – ოფიცერთან ერთად გაიპარა, პირუჩუმრად და სიტყვის უთქმელად. მერე დიდხანს სალაპარაკოც გახდა ვეროჩკას წასვლა, ჯერ თავისთავად როგორი ამბავია ცოლის გაქცევა და თანაც ასე, უდიერად ხუთი წლის ლექსო, სწორედ გაგრაში დაბადებული ბიჭი, წარმოდგენის შემდეგ დარბაზში რომ დატოვა, ცოტა ხანს მომიცადე, ნატუკას საპირფარეშოში გავიყვანო და ახლავე მოვალო, წავიდა და წავიდა უკანმოუხედავად. ლექსო ეძახდა, კარებისკენ თვალები აწყდებოდა, მერე როცა დარბაზი დაცარიელდა და დედა არ გამოჩნდა, აწრიალდა, შეშინებული ატირდა, საძებნელად წავიდა, დედაა, დედაა, დედიკოო... ეძახდა დედას... ვაითუ ნატუკა გახდა ცუდადო, ორი წლის და, დედამ სასწრაფოდ სახლში წაიყვანაო, ნატუკამ ჩაბჟირება იცოდა და ამიტომაც იფიქრა... მაგრამ ეს მერე იყო, ექვსი წლის შემდეგ, ახლა კი, გაგრაში შეჰფრფინავდა არჩილს და რარიგ შეჰფრფინავდა, ოთახს დაულაგებდა, დაუწკრიალებდა, მაგნოლიის ტოტს ჩაუდგამდა პატარა ლარნაკში, კვებაზეც იყვნენ გარიგებული და სადილ-ვახშამს შემოუცქრიალებდა და მარჯვედ და მზრუნველად მოემსახურებოდა... და ერთ კვირა დღესაც მშობლებს ბაზრობაზე გაეყვა, ბოსტანში უნდა ვიმუშავოთ, თქოდა, არჩილი დილიდანვე შეუძლოდ გრძნობდა თავს და მიწოლილი წიგნს კითხულობდა, ჰოდა, არც აცია, არც აცხელა, ჯერ ლოგინთან დაუჯდა, მერე ლოგინზე ჩამოუჯდა, ბოლოს კი ჩაუგორდა კიდეც, შეეჩვია და შეეჩვია, თან ამშვიდებდა: მე შენ არაფერსა გთხოვ, მარტო ის მინდა აქ ყოფნა შეგიმსუბუქოვო, და ამასობაში მალე თავიც დაიორსულა, და სანამ მუცელი კარგად არ წამოეზარდა, ხმა არ ამოიღო და კრინტი არ დაძრა. ერთი სიტყვით, ძველთაძველ ილეთს მიმართა, ყველაზე უფრო გავრცელებულს ქალთა შორის და ხშირ შემთხვევაში უტყუარსაც. და აკი ქორფა ლექსოთი კიდევაც დაუბრუნდნენ მშობლიურ ქალაქს. მათი ჩამოსვლა ერთხანს ამბად იქცა, სადაც არ გაიხედავდით, ყველგან არჩილის „ჩოკჩოკა" ცოლზე, საწყალ მაკაზე და მის გაცრუებულ საქმროზე ლაპარაკობდნენ... მართლაც, ახალი დარტყმასავით განიცადა მაკამ არჩილის დაბრუნება, არც განელებოდა დარდი და ახლა ხომ საშინელი ძალით ეკვეთა, აღარც ჯდომა იყო მისთვის, აღარც დგომა, თავისიანებთანაც ველარ იკავებდა თავს, ხან ცეცხლნაკიდებულივით დარბოდა თავიანთ დიდ ბაღში, ხანაც მუხლებში თავჩარგული და სახეზე ხელებაფარებული იჯდა და იჯდა კაკალქვეშ... მოვკლავო, მირიანი ეუბნებოდა, შენ თუ გონს არ მოეგე, თუ არ მიხვდი რა უვარგისიც ყოფილა შენი არჩილიო, წავალ და სულს გავართხობინებო, მეც ჩამსვამენ ციხეში და სულ მთლად კარგად იქნება ჩვენი საქმეო. მართალია, ყველაფრის ღირსი იყო არჩილი, მაგრამ თავისთავს მაინც ვერაფერს უხერხებდა საწყალი მაკა, დღენიადაგ თვალწინ ედგა არჩილის შავყვითელი, ლამაზი სახე, სანიმუშოდ მოლაპლაპე, გამჭოლი თვალები და ნიადაგ მზად იყო ეტირა და ევაგლახა. უყვარდა, მიელტვოდა თავისი განცდების მეტაფორულ გაფორმებას და ახლაც აფორმებდა: ჩემს შიგნით, ასე მგონია დაჭრილი ნადირი ბღავისო, დაჭრილი სიყვარულით, როგორც ვეფხვი შამბნარშიო, ისე გდიაო, უნდა ვეცადო, მთელი ჩემი ძალღონე დავძაბო, როგორმე ამოვაგდო ჩემი გულიდანო, რომ არ ჩაკვდეს, არ ამძორდეს, სამარე არ გაითხაროს და მეც შიგ არ ჩამიტანოსო... სანუგეშოდ ისღა დარჩა, არჩილის უარყოფასთან ერთად ზურგი ედრიკა ახალი იდეებისთვის და ძია ლუკას შეგონებებით მოეხებინა ჩაგრული გული; სურვილიც ჰკლავდა დაენახვებინა არჩილისთვის, რომ ჩირად აღარ სთვლის მის მონინავე შეხედულებებს, ჩირად აღარ მიაჩნია

მისი ქადაგებანი ახალდროების ქალის შესახებ, ტრადიციის უღლიდან განთავისუფლებული, ამაყად თავაღერილი რომ მიხუნტრუცებს ცხოვრების შარაზე და ხელების ქნევით ქაქანებს მამაკაცთან თანასწორობას, დაენახვებინა, რომ რევოლუციურ უჯრედს ერთი ყველაზე უფრო აქტიური და თავდადებული წევრი გამოაკლდა და ეს წევრი არამც თუ ეჭვის ქვეშ აყენებს არჩილის საქმიანობას, ანუ რევოლუციურ მოძრაობას, არამედ უბრუნდება მთელი ჩვენი ისტორიითა და ტრადიციებით ნაპატივებ ეროვნულ წიაღს... და მაკას თვალწინ დაუდგა ლეჩაქითა და სარტყელ-გულისპირით დამშვენებული, კდემამოსილად თავდახრილი ქართველი ქალი... აი, სწორედ ასე უნდა სჩვენებოდა არჩილს, სწორედ ქართულად ჩაცმული უნდა წარსდგომოდა, ისეთი სახე მიეღო, როგორიც არჩილს არ ენახა, როგორითაც მას დაანახვებდა სრულ გამიჯვნას, რადგან ყოველგვარი სხვა შურისძიება უღირსად და მარტივად ეჩვენებოდა... მხოლოდ ამასთანავე სიტყვა იყო საჭირო და აუცილებელი, დაუნდობელი, მახვილი სიტყვა, ისარივით რომ მოხვდებოდა და გულს მოუკლავდა. სულ ამ სიტყვაზე ფიქრობდა, არჩილის უსინდისობას ბეჭედივით რომ დაესმებოდა. მართლა უსინდისო, იმის მაგივრად შესაძრომ კუნჭულს ეძებდეს, თურმე ყოველ საღამო „გულიანიებზე“ დასეირნობს ბულვარში თავის ჩოკჩოკა ცოლთან ერთად... რა იცოდა მაკამ, რომ ვერონჩკას ერთი სული ჰქონდა დასაღამოვებულიყო, ჩაეცვა თავისი ლურჯად მოხასხასე ლიბერტის კაბა, აესხა ყღარუნები, ჯაჭვები და სამაჯურები და ბულვარსა და კლუბში გამოჭენებულიყო,.. რა იცოდა მაკამ, რომ ვერონჩკა ცხენიან კაცს ძირს დასცემდა, არამცთუ თავის კანონიერ ქმარს, არჩილს, თუნდაც ის ათმაგი რევოლუციონერი ყოფილიყო. ჰოდა, გულმოკლული მაკა, სიტყვას ეძებდა, წონიან სიტყვას, საკუთარი გულისთქმისა და არჩილის მოღალატური ბუნების გამომხატველ სიტყვას... და იპოვა კიდეც ეს სიტყვა, თუ სიტყვები, ეპითეტებისა და მეტაფორების მოყვარულმა ჩვენმა მაკამ; არჩილის უგვანო საქციელს მიუსადაგა ჯერ „მნგრეველი“, ხოლო შემდეგ „ტაძარი“ და გამოიყვანა „ტაძრის მნგრეველი“, რა თქმა უნდა, „სიყვარულის ტაძრის...“ მაგრამ ეს არასრულად მოეჩვენა, მხოლოდ სიყვარულის ტაძრის მნგრეველი არ უნდა ყოფილიყო არჩილი, სოციალისტურ რევოლუციას საბოლოოდ უნდა დაემხო რელიგია, და საწყალმა მაკამ მიგნების სიხარული იგრძნო, როცა ამ თავსდატეხილ უბედურებაში მომაკვდინებელი წინადადება შეადგინა: „ვაუბატონო! შენ მოულოდნელად ყოფილხარ თურმე ტაძრების მნგრეველი! სიყვარულის ტაძრისა და ღმრთის ტაძრისა!“ მერე კი იფიქრა, შეიძლება სჯობდეს მოკლედ მივაძახოვო: „ტაძრების მნგრეველო! სიყვარულისა და ღვთის ტაძრისა!!!“ და კმაყოფილიც დარჩა, ასე უფრო მრისხანედ გამომივაო... მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ბეჩავი მაკა ფლავივით წავიდა... ლეჩაქგადაფრიალებული გამოჩნდა თუ არა კლუბის დარბაზში, გაბუღავებული კაბებით, ხავერდის ჩიხტაზე ალმასის ბაღჩებიანი ქინძისთავებით, შავი ფარჩის კაბითა და ოქრომკედით ნაკერი სოსანი სარტყელ-გულისპირით, შემოდგა თუ არა ფეხი და მყისვე, იმავ სეკუნდში, დარბაზის სიღრმეში, თითქოს საგანგებოდ გაკაშკაშებული არჩილის სახე დაინახა, თვითონაც არ მოელოდა, ისე აუკანკალდა მუხლები, აუფრიალდა გული და მისი სანდომიანი სახე ფერწასულსა და გაშეშებულ ნიღაბს დაემსგავსა. თავის ძმას, მირიანს რომ არ მიყრდნობოდა, იქნებ ჩაკეცილიყო კიდეც. თან უცნაური რამ დაემართა: ყველაფერს, ყველას და ყველაფერს სიზმრისეული სიცხადით ხედავდა და განიცდიდა... აგერ ხაზინადრიანთ მაკრო, მაღალი და კნაჭა, ხელში გიტარით, ვახვახიანთ ბიჭებით გარშემორტყმული, საცეკვაოსავით რაღაცას უკრავს და ბიჭები როხროხა ხმებით დამღერიან... სანდრო გამოეყო თავის ძმებს, მაკას ხელზე ემთხვია, მერე კი ომახიანად შესძახა: „ვიშ, ქალო, როგორ გშვენის ქართული კაბა, სად იყავ აქამდისინ, სადა, აი, ეხლა კი ჩვენი მაკა ხარ!!“ თან ხელები გაშალა და გაიცინა, თავისებურად ჩაიროხროხა... გულზე ეცა მაკას ეს როყიო თანაგრძნობა, ოჰ, როგორ ჩასწყდა გული, სიტყვისუთქმელად, გამტკნარებული მიაჩერდა სანდროს... და კიდევ კარგი მყისვე მირიანი წამოეშველა: „სანდრო, აქ ამისი დრო არ არის, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, კონდოლის მამულს ვადა გასდის და რაღაცა უნდა მოახერხო...“ მაკას აღარ გაუგია სანდროს პასუხი, რადგან იმ ნათქვამმა, ისედაც გამწარებულს, სულ მოუფუტკნა გუნება: არჩილის აღარა ხარო, არაო, ახლა ჩვენი ხარო... თურმე მოქეიფე, დარდიმანდი სანდროსია, შფოთისთავისა, მუშტი-კრივსა და ხანჯლების ტრიალში მამულები რო გაანახევრა... ამ სიტყვებმა „ჩვენი ხარო“ გული მოუკლა, რადგან არასდროს უგრძვნია ასე მწვავედ, ასე ნათლად, მხოლოდ არჩილის გამო კი არა, არჩილთან დაკავშირებული საქმიანობის გამო, წუხილი და გულდაწყვეტა... თვალწინ დაუდგა ის ავი ღამე, ქარი

ნამქერს სახეში რომ აყრიდა და ნაბდის მიუხედავად, ასე ეგონა, გათოშილ ხელფეხს ნემსებით უჩხვლეტავდნენ... ღმერთო, რა ბედნიერი იყო, ამაყი და შეუვალი, რა თავმომწონე, რომ საქვეყნო საქმისთვის, ბედნიერი მომავლისთვის ქარსა და წყვდიადს არ ეპუებოდა, შინაურების საშინელი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც გაიჭრა გაღმა, შილდაში, ერთერთ ყველაზე დიდ სოფელში, ფარული კრების ჩასატარებლად და თანამოაზრეთათვის პროკლამაციების გადასაცემად... არა, არა, არა, არავინ იყო ამ დარბაზში მასზე უბედური... ის იყო, ისა, მიტოვებული და ჩამოქვეითებული... სანდროს თავისი გუნდი მოჰყვა, მაკრო გიტარის დაკვრით, აცეკვებული ნაბიჯითა და ვახვახიანთ ყმაწვილკაცების თანხლებით; ზარზეიმითა და სიცილ-კისკისით შემოეჯარნენ, ვინ რას შემოსძახოდა, ვინ რასა: რა კარგია კლუბში რომ გამოჩნდიო, სარკეში ჩაიხედე, ქალო, რა მშვენიერი ხარო, დაუბრმავდეთ მტრებს თვალებიო... აუტანელი იყო მათი გულშემატკივრობა და ფარული სიბრალული... ყოველი სიტყვა ისარივით ხვდებოდა... ჰო, ჰო, იცის მაკამ, ხაზინადრიანთ მაკროს, ხაზინადარი მეღვინეთუხუცესის ქალს, მირიანზე უჭირავს თვალი, აგერ როგორ შეჰლიმის მირიანს: „ამ ჩვენს თელავში გამორჩეული და-ძმა ხართო", და თან გიტარის სიმებს აწკრიალებს... არაფერი აქვს სანინააღმდეგო მაკას, ღმერთმანი, მაგრამ რა ქნას, არ შეუძლია ახლა „ხელი შეუწყოს", აჰყვეს მათ ჟრიამულს, იცის, მირიანსაც აფერხებს და ძარღვები კიდევ უფრო ეწეწება...

აგერ ის ქალიც, ის ზონზროხა, თეთრწითული ქალი, თვალებში ეჩხირება და მაინც თვალი ვერ მოუშორებია, გაშეშებული მისჩერებია... ვის დაჰკარგვია... ვისა... ამ გომბიოზე გაცვალა არჩილმა... გომბიოზე... აფთიაქარი ვოლხოვის ცოლს გამალებით რაღაცას ელაპარაკება, თან თვალები აქეთკენ აწყდება რო დაინახოს რა გულმოკლულია მაკა... გაცრუებული... პირშიჩალაგამოვლებული... და მარტო ის კი არა, მაკას ჰგონია ყველა, ყველა მას მისჩერებია... მრგვალ მაგიდასთან ლოტოს მოთამაშენიც ერთმანეთს რაღაცას ანიშნებენ და აქეთ იყურებიან... აგერ სპირიდონაც აქეთკენ მოდის, თავის მზეთუნახავთან ერთად... ყოფილი თანამებრძოლი... ოოო, როგორი გაბადრულია,.. უხარია... გულიგულში უხარია... არა, არა, მაკას გამო კი არა, არჩილის გამო, სახეზე აწერია ეგეც თქვენი არჩილიო, ეგეც თქვენი სანიმუშოვო... ყურები რო მქონდა გამოჭედილი მაგის ქებითაო... აგე რა დღეში ჩაგაგდო, აგე რა ბერიკაობა მოგაწყობინაო... მაგრამ ეს ლამაზი ევა... როგორ უყურებს, როგორ... მიმინოსავით... თითქოს უნდა მრწუსხოსო... „მაკა! მაკა!" უკანიდან. ხელი ვიღაცამ მოხვია... ნუციკო გოგოლაძე, „სევდიას" ფსევდონიმით აქვეყნებს ლექსებს „ცნობის ფურცელსა" და „განათლებაში". ტანმომცრო ნუციკო ფეხისწვერებზე შედგა და აღსავსე შეგნებითა და მოვალეობით მაკას ყურში ჩასჩურჩულებს: „გეხვეწები, გემუდარები, ჩირად არ ჩააგდო ეგ მოღალატე, ეგა, შეხედე, შეხედე, შენს ფრჩხილად არ ღირს ეგ საახალნლო ბასილა, ეგ ჩოკჩოკა, ეგა..." მაკრო და ყმაწვილკაცები იცინიან, მაკას ჰგონია ყური მოჰკრეს და იმიტომ... სპირიდონა ამბობს მოდით ბულვარში წავიდეთო... აქ ცხელაო... ნუციკო კი ყველას მცირე დარბაზში გასვლას სთავაზობს, ახალი ლექსები უნდა წავიკითხო, რუსიაანთ ქალებმა, აი, სადაცაა გამოჩნდებიან, თარზე უნდა იმღერონ და ზოგიერთი ჩემი ლექსი თარის თანხლებითაც გაიუღერებსო, და ეს პატარა მგოსანი მაკას შეხედავს და თანაგრძნობისა თუ გამხნევების ნიშნად თავს დაუქნევს. მაკას ყელში ბოღმა გაეჩხირება, ოჰ, ღმერთო, რა ბედნიერება იქნებოდა ყველა ესენი მოსამძიმრეები იყვნენო... ნამდვილი მოსამძიმრეები... და არჩილი, გაჩირაღდნებულივით რომ დგას დარბაზის სილრმეში და შავად ულაპლაპებს თვალები, მომკვდარიყოვო... ჩამპალიყო გაგრის ჭაობიან მიწაშიო... არა, არა, აქ იწვესო, შუა დარბაზშიო... ჰოდა, წევს არჩილი შუა დარბაზში, და ამ უბედურებით ბედნიერი მაკა კუბოს თავს ახლის... ახლა რომ არ სურს ამ ხალხის ნუგეში, ახლა რომ არ სურს მათთან ყოფნა, მაშინ ყველას გულში იხუტებს, მაშინ უხარია მათი სამძიმარი... შესტირის, შესტირის, ყველას შესტირის არჩილის სიკვდილს...

ბედნიერია... ბედნიერია... მაგრამ ნიკაპი უკანკალებს და თვალებს ხუჭავს, რომ მომდგარი ცრემლები არ გადმოსკდეს... მირიანს ეყრდნობა, რომ არ ჩაიკეცოს.

ლამაზი ევა მიმინოსავით უყურებს, მერე მარწუხივით ჩასჭიდებს მაჯაში ხელს, თუ შეიძლება ერთი წუთით რაღაც საქმე მაქვსო, უნდა წაგართვათ მაკას თავიო, ყმაწვილკაცებს ეტყვის და მაკა დარბაზიდან გაჰყავს, პატარა ტალანს გაივლიან და სარკეებიან და სავარძლებიან მომცრო ოთახში შევლენ: „მოდით, აქ მიწექით, აი, ეგრე..." გაჭერილი ზონრები გაუხსნა, ჩიხტა შუბლიდან აუწია, სეტყვასავით ხელები დაუსრისა... „აბა, შემომხედეთ, ახლავე გიშველით... ნახეთ, როგორ მოგეშვებათ..." თვალებში ჩახედა, ჩაანათა თითქოს, და მაკას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში ჩასწვდა ამ თვალების ძალმოსილი, მომნუსხავი მზერა, მერე კი თავისი თბილი, თბილი, ლამის ცხელი ხელები სახეზე ჩამოუსვა, ყელზე და გულზე ჩაუტარა და ბოლომდე ჩაჰყვა... და თან ისეთი რამ უთხრა, გაოცდა მაკა, გაოცდა და ყური მიუგდო, მინებდა ამ ქალის გულთმისნურ სიტყვებს: „არა, არა, ნუ ნატრობთ მაგის სიკვდილს... ნუ ნატრობთ... მე ვხედავდი როგორ გიყურებდათ... მას თქვენ უყვარხართ... ძალიან უყვარხართ... უფრო მეტადაც, ვიდრე აქამდე უყვარდით... მთავარია თქვენ ორივეს სიცოცხლე გაქვთ... სიცოცხლე... სიცოცხლე... ყველაზე მთავარი ხომ ეს არის! სიცოცხლე გაქვთ და ერთმანეთი გიყვართ... და თუ თქვენ ღალატად უთვლით ამ იძულებით ნაბიჯს, ღალატი ხომ ხელფეხის გახსნაა, ღალატი ხომ შურისძიებისთვის თავდადებაა. ამ შემთხვევაშიც სიცოცხლეს აზრი ეძლევა, ვიღაც მოქიშპე რომ გყავს, ვისაც უნდა ანანო ღალატი, ვისგანაც უნდა გაიგო სინანულის სიტყვები... სიცოცხლე ხომ მარტომ ამიტომ ღირს, ამ სინანულად...“ მაკა ტიროდა... ტიროდა... და თავის ცივ ხელებს გასათბობად უწვდიდა ევას.

●

„უგვანო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.“

ელამჭუტა ლაზრო, მგოსანი და მომღერალი, ძველოს სამიკიტნოს სული და გული, თარს აჟღერებდა და ყელგადაგდებული მღეროდა: „რა სჯობია ძველოს სამიკიტნოსااა ხაშს და ხინკაალს არაყსა და ღვინოსااა... მგოსან ლაზროოს კუპლეტების სიტკბოსااა... მოჟღურტულე ცუგრუმელებს კუკლას თაფლოს და ბატკანااას... და წმინდაოოს მობუქნავე კინტოსაა... აქაური ჰაერი ვინც იყნოსაა... დრო ატარა იქეიფა იბოზااა ვერ მოეშვას ვერა ვერااა... – სახეძაღლი ვიყო ჩათლახი ვიყო“ – აქ ლაზრო მთელი ხმით შესძახებდა, გულზე მიირტყამდა ხელს, მერე თარის სიმებს უფრო ძალუმად ჩამოჰკრავდა თითებს და კილოს გაგრძელებითა და ხმის აკაკანებით დაასრულებდა „დამიჯერე თუ არ გჯერااა... ვეღარ დასთმობს ძველოოს სამიკიტნოსااა...“ და აკი ვერც სთმობდნენ, მუშტარი ბუზივით ეხვეოდა ძველოს სამიკიტნოსა და საროსკიპოს... მაშ არადა, დაიხვალიებდნენ?! თან რა მშვენიერ ადგილასაც იყო?! თვალმოფარებულ, მივარდნილ ადგილას. გვირაბის უბანში, ხეებით დაჩრდილულ, მომცრო ორასართულიან სახლში, კურდღელაურისკენ ჩამავალ ცრიელ ბილიკის პირას, ამასთანავე შუაგული ქალაქიდან ორ ნაბიჯზე. ვისაც ჯიბეში ორიოდე გროში უჭყაოდა, ისინიც კი ხანდახან მაინც გაჰკრავდნენ კბილს ძველოს ცუგრუმელებს. ძველო ხომ თავის გოგოებს ქებით ძირს აგდებინებდა. ისე არ მივიდოდა სპირიდონასთან, ვისთანაც ახალ ხორცზე იყო გარიგებული და ხშირად დაკლულ ცხვარსაც ყიდულობდა, თავმომწონედ არ ეთქვა და ჩამოქრუშული სპირიდონა არ შეეგულიანებინა: „ქება არ უნდათ ჩემ გოგოებს, სპირიდონ, წრფელად და პატიოსნად ემსახურებიან თავიანთ საქმეს, დიდი გულმოდგინებით, დიდი ოსტატობით, დიდი შუშპრობით, იგეთები არიან როო, მკვდარს გააცოცხლებენ, დავარდნილს ააღორძინებენ... სულს ჩაჰბერავენ... ჩამოდი, კაცო, ჩამოდი, ზოგჯერ მაინც იგრე გამოიცქირები, კაცი იტყვის ჟამი შეჰყრიაო... გაბედე, კაცო, ჯერ მარტო წმინდაოს ნახვა ღირს ერთ რამედ, რა ოინბაზია, რა ხუტურნაკია, რა ნომრები ააქვს, გაგაგიჟებს... თუ სწორე არ გამოვდექი, მოდი და გამცხე სილა, მზადა ვარ!!“ მართალი იყო ძველო, მართალი, ტურფა და ცქრიალა გოგოები ჰყავდა, ხოლო რაც შეეხება წმინდაოს, თუმცა ის შორს იყო ცუგრუმელობიდან, „ბლომა“ იყო, როგორც თვითონ ამბობდა, ექვსფუთიანი და კარგად ამოფუებული ცომივით ყველაფერი ამობურცული ჰქონდა, თუ ლოყები, თუ გვერდები, მკერდზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, წმინდაოს ჯადო და თილისმა სულ სხვა იყო, აკი მის დარბაზში გამოჩენას მგოსანი ლაზრო დაირის ბათქაბუთქითა და ბაიათის ხმაზე აწყობილი სიმღერით ხვდებოდა: „ძუძუებიი გიფახფახებს წმინდაოოო... დაგინახეე გული შამიიშინდაოო... ჩიტი გვრიტიი მოლალურიი ფრინდააოოო... ვიცი გიუოო კოტრიალიიი გინდაოო... მაშ ჩაიძრეე ნიფხავი დაა წინდაოო... ჩიტი-გვრიტიი მოლალურიი ფრინდააოოო... ძუძუებიი გიფახფახეებს წმინდაოოოო...“

ჰოდა, ისედაც უზარმაზარი წმინდაო კინტოს მინაოჭებულ შარვალში გამოწყობილი, გულამოთხლეშილი ვიწრო ბლუზითა და ვიწრო კარტუზიანი ქუდით გამოზანზარდებოდა დარბაზში წითელი ბაღდადის ფრიალითა და ყიჟინით: „აბა, მორჩი ბაიათეებს, ბაღდადური ბუქნიით!!“ და ექვსი ფუთის მიუხედავად, ნეტა რა მსუბუქად ჩამოუვლიდა, რა საამოდ შეათამაშებდა მოჭიდავესავით მრგვალ მხრებსა, შეზარხოშებულ კაცებს რა ვნების აღმძვრელად გაჰკრავდა და გამოჰკრავდა ნავივით

გადგმულ გვერდებს და ხან ვის ჩაუკრავდა ოინბაზურად თვალსა და ხან ვისა... და თუმცა აღარ იყო ნუგბარი და სადაცაა ოცდაათსაც მიუკაკუნებდა, თუმცა ცომივით სახეზე გეგონებათ სილა ჩაუფარებიათ და ცოტა გაუბრტყელებიათო, მაინც მზეთუნახავივით თავდაჯერებული გახლდათ, საფუძველიცა აქვსო, ძველო ამბობდა, არტისტკაოო, თანაც ჯანღონეც მოსდგამს, დაღლა არ იცის, ყველაფერს გემოს ატანს და მუშტარიც თმაზე უმრავლესი ახვევიაო". არ დაიჯეროთ, არაა", რო ვითომ კაცებს გაკნაჭულები უყვართო, სუ ტყუილი ლათაიებიაა", და წმინდაო თავისი ამომჯდარი, უტიფრად გარინდებული თვალებით გადახედავდა ბატკანასა და თაფლოს, კუკლას, ნაზიასა და პატრას, ტანწვრილებს, ყელყარყარებს, მასზე ახალგაზრდებს, „წვნიანი საქონელი! ყველას წვნიანი საქონელი უყვარს, მააშ, კაცების ამბავს მე ვინ მასწავლის, ვინა?!"

ამბობდნენ კიდეც: ასე მუშტრის ცნობა და გრძნობა არავისა აქვსო, ერთს რომ ცერად გახედავს, უკვე იცის ვისთანაცა აქვს საქმეო. თვითონაც უყვარდა ზოგჯერ სამიკიტნოს ფიცარნაგიდან, ანუ სცენიდან, ენის მოქარგვა: „კაცებო და კაცუნებოო, ყურცქვიტებო, კურდღლებოო, იგრე გხედავთ ვითომ შუშაში გამეხედოოს, იგრე ვიციი საითა გააქვთ ჭკვა და გონება წასულიი, რა გიძგერეებთ სულსა და გულსაა, თქვე ქარაქუცებოო, თქვე ფახიფუხებოო, დაინვას თქვენი ჯიგარი თქვე დიდგულებოო, ვითომ ჩვენისთანა ვინ დადის ქვეყანაზედაოო, განი-განიოო, თქვე ქვეშაფსიაა-ცრუპენტელებოო, ყველას როო ატყუეებთ, სახში ცოლსა და გარეთ საყვარლებსაა, ჰოდაა, თქვენ რო ეგეთები არ იყვნეეთ, ჩვენც ხო ამნაირები არ ვიქნებოდიით, ბარი ბარში თოხი ტარშიი! მაგრაამ, იგეთები მიყვარხაართ, როგორებიცა ხაართ, თქვენთვიის თავდაუზოგავი ვაარ, თქვენთვის მდნარი და მკვდარი ვაარ, მხოლოოდ, ნუ მიწყენთ და უნდა გითხრაათ სად ვიქნებოდი კარგადა და ლამაზად, სადა და ამბობენ აქედან შოორს, ძალიან შოორს, ქვეყანა ყოფილა ერთი, და იმ ქვეყანაში რამდენიმე კაცსა, ძმებსა, სახლიკაცებსა თურმე ერთი ცოლი ჰყაავთ, აი, მესმის, აი, ეს იქნებოდა ჩემთვის ზედგამოჭრილიი, გყაავს რამდენიმე ქმარი ერთადა, ერთდროულადა, და უვლიი, აპურეებ, არწყულეებ, ბუქნაოობ... უჩენ და უჩენ შვილებსაა, შეუწყვეტლივ და ზედმიყოლებიით, ჰოდაა, ნეტა მომცა ფრთები და იქ გამაფრინაა, იმ ქვეყანაშიი! იქამდე კიი, აბა, ლაზრო, სიფრანუშა და შალახოო!!"

ამის გაგონებაზე ძველოს მუშტარს სიამოვნების ხვნეშა აღმოხდებოდა, რადგან დიდებული ნომერი იყო „სიფრანუშა და შალახო" და წმინდაოც თავის ნიჭებსა და უნარებს ისე სრულყოფილად ამჟღავნებდა, ხალხს სიცილით ხოცავდა. ლაზრო მაშინვე თარს მოიმარჯვებდა და დაამღერებდა: „სიფრანუშამ თქვააოო რწყილ-ბაღლინჯო გვყვაოო... გვყვაოო და გვყვა

ლს ჭიხვინითა და ფრუტუნით ენავარდა გარყვნილების უცხო ბალნარში... მაგრამ მხოლოდ ნავარდსა და დროსტარებაში არ იყო საქმე, არამედ განცდათა იმ თაიგულში, რასაც აქ ყოფნა და ეს მშვენიერი ცუგრუმელები მიართმევდნენ, იმ სითბოსა და გულითადობაში, როგორც აქ ხვდებოდნენ: ერთი ქუდს ხდიდა, მეორე ქურთუკს, მესამე დუქნის ამბავს ეკითხებოდა, მეოთხე ქეჩის ფეხსაცმელებს მოარბენინებდა... თურმე კაცს ბევრი ქალი სჭირდებაო, ფიქრობდა სპირიდონა, ხშირად ფიქრობდა მათზე და უყვარდა მათთვის თვალის მიდევნება. ბავშვებივით არიანო, ფიქრობდა, გულუბრყვილოებიო, ადვილად კეთილები და ადვილად ავებიო, ერთი ფოჩიანი კამფეტისა და ერთი ნიფხვის გულისთვის რომ შეუძლიათ აყალმაყალი გამართონ, მუშტრის გულისთვის გველის ტყავში გაძვრნენ და ამყოლს აჰყვნენ და ჩამყოლს ჩაჰყვნენო...

მალე ამათი ყველაფერი გაიგო, უამბობდნენ ცისასა და ბარისას, ევასაგან სიჩუმეს დაჩვეული, გულში ჩაკეტვასა და ჩამარხვას დაჩვეული, ამათ უსმენდა... ევა არასოდეს არაფერს უზიარებდა, არც ახსოვს სპირიდონას ერთხელ რა არის, ერთხელ მაინც ეამბა ან ბალღობისა, ან დიდობისა, ან ამისა ან იმისა, არასოდეს, გაზიარების ღირსად არასოდეს არ გახდიდა, პირიქით, თუ მანთეს რაიმეს უამბობდა, სპირიდონას გამოჩენაზე მაშინვე გაჩუმდებოდა, გეგონებათ განძი აქვს და სპირიდონას უმალავსო. ესენი კი, რაკი მუდმივ მუშტრად დაიგულეს, რაკი შეეჩვივნენ და შეეთვისენ, რაკი თავისიანად მიიჩნიეს, გულიც გადაუშალეს... აღარ უყვარდა სპირიდონას ევას თვალმარგალიტი, ცივად რომ ბრწყინავდა, ამ გოგოების ფანციფუნცები შეიყვარა, ამათი პუპრუჭანები, ამათი რიოში მარგალიტები, ამათი ზიზილპიპილოები, ყველაფერი, რასაც ცოდვილი ცხოვრების კვალი და დაღი აჩნდა... სპირიდონა რაღაც უცნაურ კმაყოფილებას განიცდიდა მათი ნაამბობის მოსმენისას, თითქოს მის სათქმელს ამბობენ ეს ქალებიო, გულს უფონავდა სპირიდონას მათი ნაამბობი ადამიანთა გაუტანლობის, დაუნდობლობისა და სისასტიკის შესახებ, და სპირიდონაც, თუმც არასოდეს არ შეეძლო თავისი მთავარი სათქმელის გამხელა, გულში ლოდივით რომ ედო, ასე ეგონა, თითქოს თავის მუდმივ მოპასუხეს, თავის მუდმივ მოთვალთვალეს ნიშნისმოგებით ეუბნებოდა აი, ხედავო, როგორია ცხოვრებაო, უკულმართი და გამოუცნობიო... აი, ხედავო, რა თვალჩაუწვდენელია ადამიანის ბრმა გულისთქმაო... ამ დროს კიდევაც სწყუროდა ვიღაცისთვის ზრუნვა და თავის გამოდება, ვიღაცის დახმარება, გოგოებისა დასაჩუქრება ქალაღაიებით ტკბილეულითა თუ ხმელი ხილით... ცოდონი იყვნენ, ცოდონი, ზოგი ღალატის მსხვერპლი იყო, ზოგი სიღარიბისა და უპოვრობისა, ზოგი სიობლისა და მიუსაფრობისა, ზოგი გაცრუებული სიყვარულისა, ვინ რისა და ვინ რისა, ვინ მოთვლის... ძველო ამბობდა: მე გავათბე და მე მოვასულდგმულე ეს საწყლებიო, აი, წმინდაომ პური პირველად ჩემთანა ჭამაო, ბალახის მძოველი გახლდათო... ეხლა რო ლამის შემჭამოს და შემხრასო“. მართლა ძალიან იცოდა წმინდაომ ყბის მოქნევა, სანაძლეოზე ხომ თუნდა ას ხინკალს გადასანსლავდა, ძველოსაც არ ეპუებოდა: „ეს ოხერი და მუდრეგი, თვალის მიდევნება იცის ჭამის დროსაო, ჩემი მონაგარია და მაინც ვიხაფრები მაგ ღორის ფაშვთან, მაგასთანაო...“ თუმცა კი მედგარი წმინდაო ამ დახაფრვის გამო ძველოს ჯიბრით ორჯერ მეტს ჭამდა, „აზირ ჩემ გვერდებზე იყოს, ვიდრე ძველოს ჯიბეშიო?!“

გოგოების ნაშრომ-ნალვანი საერთო ყულაბაში მიდიოდა, გამგებელი და გასამრჯელოს გამნაწილებელი ძველოს დარბაისელი მეუღლე მადამ ფეფო გახლდათ, მეორე სართულის დიასახლისი და მუშტრის აღმრიცხველი. აი, როდის ატყდებოდა ხოლმე აყალ-მაყალი და ალიაქოთი, როდის ავინყდებოდა მადამ ფეფოსაც პატივი და სიდარბაისლე, – როდის და გასამრჯელოს განაწილების დროს, მთელ სახლს ზანზარი გაჰქონდა... ძველო ამოვიდოდა მაშინვე დასაშოშმინებლად: „მოინგრა ყორე თქვენი წიოკობით, თქვე ტუტუცებო, ანგარიში რო არცერთმა არ იცით, თქვე უტვინოებო, ნავთი მარილი სახლის ქირა ჭამა-სმა ვითომ არაფერი, არააა?! თურმე უნდა მუქთად შეგინახოთ, არააა?! მაშინ აგიდგებათ გვერდები! მაშინ გამოგიცხვებათ კვერია!!“

მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ხელი ხელსა ჰბანს და ბოლოს-ბოლოს მორიგდებოდნენ ხოლმე. განსაკუთრებით რაც სპირიდონა მათი ხშირი სტუმარი გახდა, საქმეების გარჩევაც იკისრა და ყოველთვის ცდილობდა გოგოები არ დაეჩაგრათ, სულ იმას ამბობდა: ამათ თავისი ჩაგვრაც ეყოფათ და ერთიორი კაპიკი მაინც გადაინახონ შავი დღისთვისაო. კიდევ იმიტომ ებრალებოდა, რომ უაღრესი გულახდილობის დროსაც, გულიდან ბოლმის ამოხეთქვის დროსაც, არცერთ მათგანს თავისი ნამდვილი სახელი და გვარი არ უთქვამს, არც თავისი სადაურობა, რომ ოჯახისთვის ჩირქი არ მოეცხოთ, რადგან ყოველი მათგანი გვარის შემა-

რცხვენლად გრძნობდა თავს. თუმცა არც თუ იშვიათად ოჯახი იყო სწორედ დამნაშავე მათ წინაშე. ჩვენი სახელი ჩვენი „კლიჩკაო", ამბობდნენ, და თაფლოც კი, მშვენიერი თაფლო, გვირაბისუბნელი, – აქედან ორნაბიჯზე იყო მათი სახლი, და მისი მწუხარე ამბავიც ყველამ იცოდა; ვიღაც შალაურელ ხეპრეს მოეტაცა და გამოჰქცეოდა, გულქვა მამას ძალისძალით მიებრუნებინა მომტაცებელთან, თაფლო ისევ გამოჰქცეოდა, ძველოს შეეფარებინა და მისი სახლის მკვიდრიც გამხდარიყო, – აი, ეს თაფლოც არასდროს ახსენებდა თავის ოჯახს და თავის და-ძმას. თაფლოსავით სხვებიც მოძულებული იყვნენ ოჯახისაგან ღა მათი ლეგენდებიც ძირითადად ოჯახს დასტრიალებდა თავს. მაგალითად, როგორ გათხოვდა ასეთი სახლიდან მავანი და მავანი, როგორ დაუჩნდა შვილები, როგორი გაფუფუნებულია ოჯახში და სხვა... ან როგორ თქვა მავანმა და მავანმა კაცმა მე არაფერს არ დავდევო, ჩემთვის მთავარი გულიაო, მე ეს ქალი მიყვარს და ეგეთ სახლში კი არა, ჯოჯოხეთში რო იყოს, იქიდან წამოვიყვანდიო... იგეთი შემთხვევები ხომ, თუმცა რო არ ირთავენ, მაგრამ მარტო თავისთვის უნდათ და გაიყვანენ, დაუქირავებენ სახლსა, მეუღლესავითა ჰყაავთ, ინახავენ და არაფერსაც არ აკლებენ, ქვიშაზე უმრავლესი იყო თურმე... „ეჰ", ამოიხვნეშებდა ხოლმე ასეთი მონათხრობების შემდეგ პატრა, ანუ კლეოპატრა, ყოფილი ცირკის ჯიგიტი. ცხენს რომ დააჯირითებდა არენაზე, ზედ ყირას სჭიმავდა, როკავდა, ჩამოხტებოდა და შეახტებოდა, ცალ უზანგზე დაეკიდებოდა და კიდევ ვინ მოსთვლის რაღას არ აკეთებდა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს უზანგში არ გაეხლართა ცალი ფეხი, ცხენმა არ ათრია, კოჭი არ გაიტეხა და არ დააკოჭლა. „ცირკაჩკობა" აღარ შეეძლო, თორემ აქ ოსტატურად მალავდა თავის სიკოჭლეს. სპირიდონას გაუტყდა და ერთხელ ის თავისი მოელვარე მოკლე კაბა ჩაიცვა, წვრილი მძივით ნაკერი, საღი ფეხის წვერზე დადგა და მეორე ფეხი გაიშვირა, მშვენიერი იყო, მერე ბზრიალასავით დატრიალდა ცალ ფეხზე, მეორე ფეხს კი მოხრიდა და გაშლიდა, მოხრიდა და გაშლიდა. მაგრამ მაინც თავისი სიკოჭლის გამო ასეთი ლეგენდები მავანი და მავანი კაცის შესახებ გულს დასწყვეტდა ხოლმე და ამოიოხრებდა: „ეჰ, საქმე გამგებიანი ქმარია, თორე თუკი, ბუზანკალივით, ნეხვიამ ტრაკში იქნები შემძვრალი, გინდ ბედაურისა იყოს და გინდ ჩოჩრისა, სულერთი არ არის?!"

და თუმცა სპირიდონა ამ სახლში, ამ ქალებთან თბილად და შინაურულად იყო ჩაბუდებული, მაინც დროდადრო შავნაღვლიანობა მოეძალებოდა ხოლმე. ისეთ უგემურ გუნებაზე დადგებოდა, გეგონებათ საჭმელს უწყენია, თუ სასმელს მოუნამლავსო. მაშინ ასე ეგონა მობუყბუყე, თბილ ჭაობში იყო ჩაწოლილი და შმორის სუნით გაჟღენთილი რაღაცა გულღვიძლს მიჯიჯგნისო, ლამის შიგნიდან გამომჭამოს და შემხრასო, და ეს „სიყვარულის მსახურნი და სიყვარულის ქვეშევრდომნი", როგორც თვითონ უწოდებდნენ თავის თავს, ხოლო წმინდაო ამბობდა „სიყვარულის გამურულ ქვაბში ვართ მოხარშულები, ბოლი და ცეცხლი ერთიანად რო ადისო" – ეს მშვენიერი ქალები, სხვა დროს სალონის ფერადაბაჟურიანი ლამფების შუქში ლამის გულისამაჩუყებლად მორიალეები ღამის პეპლებივით, სქლად წასმული ფერუმარილით სახედადღაბნილები, კირით შელესილებს რომ ჰგავდნენ, ხოლო ბატკანა იმდენს ისვამდა, კლოუნი გეგონებოდათ, დამცირებისა და შფოთის გუნებაზე აყენებდნენ... სახლში ევას ეჩხუბებოდა, შენ გამაქსუე, შენ გამდევნე სახლიდანო, შენი ბრალია ყველაფერი, შე ალიწენია ტყის ქალო, შენაო, საროსკიპოში კი მოწოლილ ბოღმას უხამსი და სასიტიკი თამაშებით იქარვებდა... ცხადია, ქალებიც არ რჩებოდნენ ვალში, მათაც იცოდნენ სამაგიეროს გადახდა, ერთხელ კი, ალაზანზე ქეიფის შემდეგ, ისეთ ტალახიან გუბეში აგორავეს მთვრალი სპირიდონა, რამდენი წამოდგომა სცადა, იმდენი კვანტი გამოსდეს და შეერთებული ძალით სანამ ჩურჩხელასავით არ ამოავლეს ტალახში, ისე რომ აღარც პირი უჩანდა და აღარც ცხვირი, არ მოეშვნენ და კაი ხნით დაავიწყეს საკუთარი ჭვინტაკები...

მაგრამ სპირიდონას მუყაითმა სიარულმა ძველოს სამიკიტნოში ნაყოფი გამოიღო, დიდად მნიშვნელოვანი ნაყოფი, და არა მხოლოდ სპირიდონასათვის. იმ დღით, სწორედ შაბათი იყო, არც აპირებდა იქ მისვლას, იცოდა, რომ გოგოები გასტროლებზე მიდიოდნენ ორი დღით ყვარელსა და გურჯაანში. ისედაც, შაბათ-კვირას ბევრი მუშტარი ირეოდა, ეს პოლკიდან ამოსული სამხედროებიო, ეს უფროსკლასელებიო, ფრთხილად რომ მოიპარებოდნენ გვირაბის ბილიკზე, ღვინოებისთვის სავაჭროდ ჩამოსული ხალხიც ეტანებოდა ძველოს სამიკიტნოს და ასე გასინჯეთ, ზოგიერთი შეძლებული სოფლელიც, შაბათ-კვირას ბაზრობაზე ამოსული თელავში. მაგრამ სპირიდონას ხორცი დარჩა დუქანში, კარგი დეკეულის ხორცი და ბარემ ჩავუტანან ძველოსო, იფიქრა. გაუკვირდა სამიკიტნო დაკეტილი რომ დახვდა, ქალების გარდა

ხომ შეიძლებოდა სადილ-ვახშმად ერთიორი მუშტარი მაინც ჰყოლოდათ. კარზე დააბრახუნა. ხანი გამოხდა, შესასვლელში ძველო გამოჩნდა, გავდივარ უკვე საქმეზე და ვერ შემოგიპატიჟებო. ხორცი კი ჩამოართვა სპირიდონას, შევიდა და კარიც შეიკეტა. სპირიდონა ფეხათრევით მივიდა წყაროსთან, წყლის სმა დაიწყო და თან ძველოს კარისკენ იყურებოდა. ძველო მართლაც გამოვიდა და ქვევით, აბანოებისკენ დაეშვა, მერე თვითონაც უკვირდა სპირიდონას თავისი გუმანისა, არავითარი საბუთი არა მქონდა დავეჭვებულიყავიო, მაგრამ როცა განგება თუ ბედისწერა რაღაცას გიმზადებს, საგულისგულოსა და საგანგებოს, ეტყობა გულისყურს გიფაქიზებს, რომ იგრძნო ნიშანი, შემობრუნდე, სამიკიტნოს შემოუარო, ბაღის მხრიდან, გულის ჯიბეში სრულიად შემთხვევით ჩაკარგული გასაღები მოიჩხრიკო, ჟასმინის ბუჩქებში მიმალული პატარა კარი გააღო, არავითარი ყურადღება არ მიაქციო მტირალა თუთის ძირში გათხრილ პატარა ღრმულს და იქვე დაგდებულ ბარს, ფრთხილი ნაბიჯით ახვიდე მეორე სართულზე, ჩუმად გადაიარო სალონი, გაიარო გრძელი კორიდორი, შეაღო ბოლო ოთახის კარი და დაინახო: საწოლზე მიწოლილი გაფითრებული წმინდაო და მადამ ფეფო, სკივრთან დახრილი, რაღაცას ბალიშს აფარებს...

მადამ ფეფო შემობრუნდა, აეფარა სკივრზე დადებულ ბალიშს, ხელები აუქნია სპირიდონას, გადი აქედანო, მერე კი სწრაფად წამოვიდა მისკენ, რომ გაეყვანა. ოთახში ზინზლის თუ უმი ხაშის სუნი იდგა... „რა იყო, რა ხდება...“ „წადი წადი წადი აქედან“ და მადამ ფეფომ კარებისკენ უბიძგა, სპირიდონამ იდაყვი გაჰკრა, გზიდან ჩამოიცილა, „ძველო, ძველო ამოდი კაცო მოგვხედე!!“ დაიყვირა ქალმა და სპირიდონას დაეჯაჯგურა... წმინდაო გაუნძრევლად იწვა, გეგონებათ მას არაფერი ეხებაო... სპირიდონა სკივრთან მივიდა და მადამ ფეფოს გაბრძოლების მიუხედავად, ბალიში აიღო... ბავშვი... ჩვრებიდან სულ ერთი ციცქნა გალურჯებული სახე უჩანდა, სპირიდონამ ბავშვს ლოყებზე თითები გაუწკაპუნა, მერე აიყვანა, უკან შემოჰკრა და შეანჯღრია... ბავშვმა სუსტი, ძლივს გასაგონი ხმა გამოსცა... „ცოცხალია... აგე სუნთქავს...“ სპირიდონამ ქალებს გადახედა, „ბეწვზე მოვუსწარი...“ „შენია, სპირიდონ... რო იცოდე, შენია...“ ახლაღა ამოიღო ხმა ბალიშებზე გადასვენებულმა წმინდაომ. „იიი, ჩაძვერი შენა? ჩემია?! ვიჰ, რა ერთი ბეწოა, ჰირიდან წამოვარდნილსა ჰგაავს...“ და სპირიდონამ ბავშვი ბალიშზე დააწვინა... „რა ვიცი, ამოდენა დეევერხანა ქალს აემისთანა წრუწუნა გამიჩნდა... შვიდთვიანია...“ მერე თუ მოსაკლავად გინდოდა რაღას აჩენდი... რო არც არაფერი გეტყობოდა?!“ „არ იცოდა, არა“, დაიწყო მადამ ფეფომ, „წესი ხანა აქვს ხან არა, ზოგჯერ ექვსი თვეც არ მოსვლია, როგორ უნდა გაეგო?“ „გახსოომს სპირიდონ, რო გეუბნებოდი საკნატუნებელი მინდა რამე მეთქი, შენც რამდენჯერ მოგიცია ფული, წავიდოდი ბაზარში და სუ მწნილსა ვყიდულობდი... მაგრამ იცოდე შენგან არი სპირიდონ, შენამდე მე არავისგან არაფერი ამყოლია... იცი როგორ მენვებოდა ჯიგარი, მაგრამ რა მექნა, მითხარი... გეხვეწები წაიყვანე... შვილად გაზრდი... შენ ხო არა გყავს არა, გაგებული მაქ შენ ცოლს არც ეყოლება... წაიყვანე, სპირიდონ, გეხვეწები წაიყვანე, შენ ეხლა აქ ღმერთმა მოგიყვანა, რო ეს ბალღი არ მოგვეკლა... მეეე, მინა გამისკდეს და ჩამიტანოს, თუ ხმა ამოვიღო, თუ როდისმე რამე ვთქვა, ძველოსაცა და მადამ ფეფოსაც ჩემი ხელით დავახრჩობ ერთი სიტყვა რო წამოაორთქლონ, სხვამ არავინ არაფერი არ იცის... ჰოდა, წაიყვანე, სპირიდონ, გეხვეწები წაიყვანე...“ ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, ვეღარ ჩერდებოდა წმინდაო, ისე ეხვეწებოდა, ისე ელმერთებოდა, თითქოს ხუთიოდე წუთის წინ, ვითომც აქ არაფერიაო, ამ ბავშვის მოკვლას არ ლამობდა... მართალი იყო წმინდაო, მართალი, განგებამ მოიყვანა აქა, ბედისწერამ მოიყვანა აქა, რო გაისარჯოს, ერთი სიცოცხლე გადაარჩინოს... თავი დადოს. და გზა მისცეს... ეკუთვნის... მოვალეა... ვისიც არ უნდა იყოს ეს წრუწუნასავით ბალღი... დადებს თავიანთი კიბის საფეხურზე... თვითონ თვალს მიეფარება... ვითომ მიუგდეს... „სპირიდონ... სპირიდონ...“ ვეღარ ჩერდებოდა ქადაგად დაცემული წმინდაო, „ორი წლისა ვიყავი თურმე მამაჩემი დათვმა რო დაგლიჯა, კარგი მონადირე ყოფილა თურმე, მაგრამ მოხდა... ყველაფერი ხდება ამ ქვეყნად... ჰოდა, გიგლა ერქვა თურმე... შენ რაც გინდა ის დაარქვი, მაგრამ მამაჩემს კი გიგლა რქმევია და კარგი კაცი ყოფილა... ვინ იცის, მეც ეხლა სად ვიქნებოდი, ის რო დათვს არ დაეგლიჯა...“ იმ ღამით წმინდაოს სისხლის დენა დაეწყო, ისე რომ ქალები გასტროლებიდან რო დაბრუნდნენ, წმინდაო ახლად გარდაცვლილი დახვდათ.

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ძნელაძე

ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

... ყური დაუგდეთ
(ამას ვერ შეძლებს ყველა!..)
არა სიტყვათ აზრს, არამედ სიტყვათ ჟღერას:
ტალღად ტალღაზე სიმი იღვრება ბგერის —
ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

სული ჟღერს (ოღონდ — სულიც არის და
სულიც!..)
ზღვის, ოკეანის, მდინარის ხმად და ღელის!..
ყური დაუგდეთ, — კარგად დაუგდეთ ყური:
ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

...ადი —
ჩამოდის,
ადი —
ჩამოდის ბგერა
ქვევიდან ზევით,
ზევიდან ისევ
ქვევით...
გჯერა? — მე მჯერა,
გინდა მომკალი — მჯერა:
ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

აქვს ქვეყნად ყოველს შესაფერისი რიტმი, —
საგანთ ბუნების შესაბამისად მჟღერი:
ვიტყვი კი არა — სიმღერასავით ვიტყვი, —
ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

მე დამინახავს ფერთან ფერობა ფერის
(ო, ეს ძნელია, წარმოუდგენლად ძნელი!..):
სიტყვად დედდება სული და სისხლი ჩვენი, —
ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

... სულის ცეცხლზე დუღს ცრემლი —
მომდგარი თვალზე,
ოდეს იღვიძებს ლხინის და ჭორის გენი...
დღეს ცოტამ იცის — ბევრი მიხვდება ხვალ-ზეგ:
ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

... არა სიტყვათ აზრს, არამედ სიტყვათ ჟღერას, —
ყური დაუგდეთ რხევას და რწევას ბგერის...
არ შეიძლება აქ არ ერიოს ზენა, —
ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..
... რამ-ტარი-ტარო, რამ-ტარი-ტარო, რე-რი —
ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ახვლედიანი

ნოველები

ქალი ნისლიდან

გოდერძის უღელტეხილს რომ მიაღწია, საღამოს ექვსი საათი იქნებოდა.

მანქანა გააჩერა და გადმოვიდა. სხეული გაშალა.

ოქტომბრის ცხრამეტი იყო. აქ საკმაოდ ციოდა, დაბლა ხევ-ხუვებში, სქელი ნისლი მიმოდიოდა. ჭაჭანება არ იყო ძეხორციელის. ზვიადი სიჩუმე მეფობდა ირგვლივ.

მესხეთს იყო შერგილი. იქაურ კოლეგებთან ერთად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ზოგიერთ საკითხზე მუშაობდა. უკან ბრუნდებდა ახლა.

დაბლა ნისლი სქელდებოდა, ივსებოდა ხეობები. ზევით მოიწევდა დაგრაგნილი ქულები, ქარი თუ ტრიალებდა ჭიუხებში. ზურგს უკან ღრუბლებიდან ცაში აზიდულიყო მთათეთრობი.

აქ სიჩუმე იდგა ისევ.

შერგილი იცნობდა აჭარის მთიანეთს. სულ ცოტა ხანში, ალბათ, ჯოჯოხეთი დატრიალდებოდა უღელტეხილზე. დარჩენა არ შეიძლებოდა, მგზავრობაც არ ელოდა უხიფათო.

მანქანაში ჩაჯდა და ნისლების შესახვედრად გაეშურა.

მალე ჩამობნელდა. ფარები ჩართო. ნელა მიგორავდა მანქანა. ქარი აწყდებოდა ფანჯრებს. ხელმარჯვნივ ელვა ჩაიკლაკნა უფსკრულლში და გამაყრუებელმა გრგვინვამ შეაზანზარა კლდეები.

სეტყვა წამოვიდა.

შერგილმა მანქანა გააჩერა. აღარაფერი ჩანდა წინ. სეტყვა მსხვილდებოდა. მანქანის ძარაზე ბრაგაბრუგი გაჰქონდა მომსხო ბურთულებს.

„ფანჯრის მინებს ჩამიმტვრევს"... — გაიფიქრა და უკანა სავარძელზე გადაჩოჩდა. საბარგულიდან დიდი სქელი პირსახოცი ამოიღო, მერე ქურთუკი გადაიფარა თავზე და გარეთ გავარდა. თავსა და სხეულზე ქვებივით ეყრებოდა სეტყვა. საქარე მინას გადააფარა პირსახოცი და ისევ შევარდა კაბინაში.

„დიდია, უფალო, განგება შენი... მე თუ მომინყვე ეს განსაცდელი?.."

უცებ შეწყდა ხოშკაკალი. ოდნავ აიკრიფა ნისლი. შერგილმა მანქანა დაძრა. ახალთახალი, მუხლუხებიანი საბურავების ქვეშ ახრაშუნდა თოვლის მკრივი ბურთულები. ახალბედა მძღოლი არ იყო შერგილი, მაგრამ ასეთ ჯოჯოხეთში არასოდეს მოხვედრილიყო. სეტყვა კოკისპირულმა წვიმამ შეცვალა. გამალებით მუშაობდა საწმენდები. ნიაღვრები ჩამოეკიდა კბოდეებს.

„ზვავები ჩამოწვება", — გაიფიქრა.

საჭირო იყო სადმე უხიფათო ადგილზე გაჩერებულიყო.

ხუთი-ექვსი მეტრის იქით აღარაფერი ჩანდა.

„სად ვარ ნეტავ?"

ჯერ იმატა წვიმამ, მერე იკლო, ცრიატი მოდიოდა ახლა.

გზისპირას სილუეტი დალანდა. მხედველობა დაძაბა. მომეჩვენაო, გაიფიქრა. არა, ვიღაცა იყო იქ. ეს უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა. სქელი ნისლი ისე ქანაობდა, გამჭვირვალე სხეული ჰაერში ფარფატებსო. სინათლის ჭავლებმა რომ გადაურბინა, წამით გაქრა ხაზები.

„მომეჩვენა!" — ის იყო, დაასკვნა, რომ ისევ ათამაშდა ნისლი და მქრქალი ხაზები გამოიკვეთა. მანქანა გააჩერა და დააკვირდა. ბურუსი იცრიცებოდა იმ ადგილას და უფრო მკვეთრად იხატებოდა სილუეტი. „ქალია! — გაუელვა გონებაში, — ამ ჯოჯოხეთში მარტოდმარდტო?.."

ამაყად შემართულიყო უფსკრულის პირას. ქვევით, პირდაღებულ წყვდიადში, ლოდებს ებრძოდა გაცოფებული მდინარე.

კარი გააღო.

— ქალბატონო! ქალ-ბა-ტო-ნო!..

უცნობი შეირხა. შემობრუნდა. ახლა შენიშნა, რომ ზურგით იდგა გზისკენ.

— უკაცრავად, ბარში მივდივარ და... ხომ არ ავცდი გზას?

— პირდაპირ იარეთ.

— გმადლობთ... თქვენ აქ რას აკეთებთ?

— ავტობუსს ვუცდი.

— მოვა?

— რა ვიცი.

— თუ ერთი გზა გვაქვს...

— არა, ვერ შეგაწუხებთ.

— რას ბრძანებთ, აბა, რა შეწუხებაა.

ქალი ნისლიდან გამოცურდა.

— თქვენ რომ გამოჩნდით, ეს ჯოჯოხეთიც შეწყდა. ალბათ, ჩემი მშველელი ანგელოზი ბრძანდებით, — ქათინაურად გაიკრიფა შერგილი.

— არა... ავტობუსს დავუცდი... — შეცბა ქალი. უკან გაბრუნებაც მოერიდა. — არ მინდა შეგაწუხოთ, — გაიმეორა.

— მგონი, უნდობლობას არ უნდა ვიმსახურებდე. — ნათქვამს წყენაც გააყოლა შერგილმა.

ძალიან სურდა, რომ დამგზავრებოდა ეს ქალი.

იქნებ იმიტომ, რომ ეშინოდა მგზავრობა მარტოს?

თუ... ქალისაკენ გაუწია გულმა?

ახალგაზრდა იყო ქალი, ტანმაღალი. კაბინაში რომ შემოდიოდა, თმები ჩამოეშალა და სახე მთლიანად დაუფარა. დაჯდომისთანავე შეიცურა თითები და ზურგზე და მხრებზე მიმოიყარა.

— სველი იქნებით, გცივათ, ალბათ, აი, ჩემი ქურთუკი მოისხით.

— გმადლობთ. წვიმა და სეტყვა ზევით იყო. აქ, როგორც ხედავთ, ძაფიც არა მაქვს სველი.

მართალს ამბობდა. შერგილმა ძრავა ჩართო.

— თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ... მე შერგილი დამიძახეთ.

— კარგი სახელია, ძველქართული.

— თქვენ?

— ფიქრია.

— შეგეფერებათ.

— რატომ?

— რაღაც იდუმალია თქვენში, ფიქრივით... აქაური ბრძანდებით?

— ხეკიბეთში დავიბადე. გაგიგონიათ?

— როგორ არა, საკმაოდ შორი სოფელია... რამდენიმე ხევის იქით. „ნუთუ ამდენი გამოვიარე?" — გაიფიქრა შერგილმა.

— მერე ქალაქში გავთხოვდი, — ქალმა ამოიოხრა. — თქვენი ბედი, რომ გზაზე არ შეყოვნდით. ზევით, რამდენიმე ადგილას, ზვავი ჩამოწვა, თუ არ ჩაგიტანდათ, ჩაგიხერგავდათ სავალს.

— თქვენ საიდანღა იცით?

— ხმაური გავიგონე.

— მე კი არაფერი მსმენია. ჰო, მართლა, რატომ ჰქვია თქვენს სოფელს ხეკიბეთი?

— ღელეებით დაქსელილია, ამდენი ღელე-ღურდანი, ალბათ, არც ერთ სოფელს არ ექნება აჭარაში. სოფლელები ერთმანეთს ხის საცალფეხო ხიდებით უკავშირდებიან. ხიდები აღმართულია. ფეხი რომ არ დაუცდეთ, კიბეებს აკეთებენ ზედ. ასე მოდის ძველი დროიდან. ამიტომაც ჰქვია ხეკიბეთი.

— გიყვართ?

— აქ გავატარე ბავშვობა — ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი ხანა.

— არ გეშინოდათ ასეთი ხიდებით სიარული?

—ზოგჯერ... ნაწვიმარზე.

მარცხენა ხელი საქარე ფანჯრის რაფაზე ედო. ოდნავ შებრუნებით იჯდა. კაცი მისი სახის პროფილსაც ვერ ხედავდა ხეირიანად. სალონში ისედაც ბნელოდა თითქმის... გრძელი მწვანე კაბა ეცვა ფიქრიას... ვისაც ფერის შეგრძნება გამახვილებული აქვს, დამეთანხმება, რომ ნისლიან მწუხრში მისი გარჩევა არ გაუჭირდებოდა შერგილს. კაბას აქა-იქ ფოთლები ეყარა. წითელი არ იყო, ცხადია, არც ყავისფერი. ალბათ, ყვითელი. მწვანე ფონზე ეს უფრო იგრძნობოდა. ძალიან ლამაზი თმები მძიმედ ჩამოღვრილიყო ქალის მხრებზე. ჯერ შავი ეგონა შერგილს, ახლა იცოდა, რომ გიშრისფერი ჰქონდა. იქნებ ეს კაცის ფანტაზია უფრო იყო? იქნებ ასე სურდა დაენახა ქალი?

კიდევ... ლავინის ზემოთ... მარჯვნივ... ხალი.

„ეს ხალიც საიდან გაჩნდა! — გაიფიქრა შერგილმა და თავი გააქნია. — სიბერეში შევდივარ, წარმოსახვები კი ჯერაც ქაბუკისა მაქვს..."

— შვილები გყავთ? — ჰკითხა.

— ქმარიც, — ერთგვარი ნიშნის მოგებით უპასუხა ფიქრიამ. — იმხელაა, რომ მისი ზომის ტანსაცმელი მაღზიებში არ იშოვება. სადილად ერთი დიდი პური, რკინიგზულს რომ უწოდებენ, და შემწვარი მსუქანი დედალი სულს მოუბრუნებს.

— დღევანდელი ცხოვრებისათვის ძვირი მეუღლე გყოლიათ, — ჩაიცინა შერგილმა.

ქალს არაფერი უპასუხნია, ოდნავ გააქნია თავი. უფრო საკუთარ ფიქრებში, მაგრამ მაინც შენიშნა შერგილმა. სველი და ოღროჩოღრო გზა მძღოლისაგან დაძაბულ ყურადღებას ითხოვდა. ავტომანქანის მართვის ოცდაათწლიანი გამოცდილება ჰქონდა და გვერდით მჯდომის შინაგანი ხედვის გრძნობა განუვითარდა თანდათან.

— თქვენს ნაცვლად სხვა რომ ყოფილიყო... — ფიქრია შეჩერდა. უცებ ჰკითხა: — არ გაგიკვირდათ, რომ მაინც ჩავჯექი?

— ჰო... არა... მგონი. ის უფრო გამიკვირდა, კინაღამ უარი რომ თქვით.

— რატომ?

— ჩემი ჭაღარისადმი უპატივცემულობად მივიღე.

— ეგ თქვენი ფრიად კეთილშობილური ჭაღარა თქვენს ენერგიას ვერ უთავსდება, ბატონო შერგილ.

„საიდან იცის?" — გაიფიქრა შერგილმა.

— ეს ალბათ ოქროვნი ორიგინალური ქათინაურია ჩემი ხნის კაცის გულის გასაკეთებლად. — სიცილით მიუგო.

ქალმა მხრები აიჩეჩა.

— მიიღეთ, როგორც გგონიათ.

კაცს უცნაურად ეჩვენებოდა ეს შეხვედრა. უფრო უცნაურად, ვიდრე სტიქიის მოულოდნელი ამძვინვარება. რაღაცით იზიდავდა ეს ქალი, თან აშინებდა. გულსუსტი არ იყო შერგილი, მაგრამ... რა იყო ეს, შიში, რიდი თუ წინათგრძნობა? ვინ არის ეს ლამაზი... „რატომ ლამაზი? — უცებ დაიჭირა საკუთარი ფიქრი. — მე ხომ მისი სახე არც დამინახავს, რამ გამოიყვანა ამ ყიამეთში?"

— თქვენ რომ არ გამოჩენილიყავით, უკან გაბრუნება მომიწევდა, — თითქოს და თავისთვის, ჩაილაპარაკა ფიქრიამ.

კაცი შეკრთა: „ჩემს ფიქრებს კითხულობს?"

— გრძელი გზის გავლა მოგიწევდათ ამ სიბნელეში. მერე კიდევ... თქვენი სოფლის საცალფეხო ხიდები...

— ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი, ბატონო, — გაიმეორა.

— თქვენ ვინ გამოგგზავნათ?.. — კინაღამ „ჩემთვისო" დაამატა.

ქალმა იყუჩა. უტაქტო შეკითხვა გამომივიდაო, გაიფიქრა შერგილმა და ცერად გახედა ისევ. წამით შეხვდა მათი მზერა. განათდა და ჩაქრა უცებ ქალის თვალები... კაცს გააჟრჟოლა. „ალბათ, მომეჩვენა", — გაიფიქრა მაშინვე, — სიბნელეს სჩვევია ასე".

— ხეკიბეთში ჩემი მეგობარი გოგონას საფლავი მოვინახულე. თანატოლები ვიყავით. დებივით ვიზრდებოდით. ერთად დავამთავრეთ სკოლა, მერე — ინსტიტუტი. დღეს ლელას დაბადების დღეა.

— რამდენის გახდებოდა?

— ოცდათხუთმეტისა.

„გამოდის, ესეც ოცდათხუთმეტისაა... — გაიფიქრა შერგილმა, — ხმა და იერი თითქმის ბავშვური აქვს, ყმანვილქალური". — ძალიან გიყვარდათ ერთმანეთი? — ჰკითხა.

— ძალიან. თქვენ მეგობრები გყავთ?

კაცმა მხრები აიჩეჩა.

— საერთოდ, უცნაური ხვედრია ეგ, — მეგობრებისათვის თავს გადავდებ, ბაგრამ... სიკეთის წილ მტრობით მპასუხობენ ხოლმე. გახსოვთ ალბათ, დათა თუთაშხიას ამონათქვამი, ვისაც ჩავაცვი, სწორედ იმან გამხადა მეო...

— ესე იგი არა გყავთ?

— მყავს. უმეტესად ქალები. ისინი უფრო გულწრფელნი და უღალატონი არიან. რატომ მკითხეთ? — კითხვა შეუბრუნა.

— ლელა — ჩემი მეგობარი გოგონა — ზეცაშია. უკვე თოთხმეტი წელია. მეორე ცოცხალია, ძაგრამ არ იცის, რომ მისი მეგობარი ვარ.

— საინტერესოა.

— ოჰ, დიდი არაფერი. თუ ინებებთ, ლელას შესახებ მოგითხრობთ.

— გთხოვთ. „გზა მაინც დიდი გვაქვს", — გაიფიქრა.

— დროის მოსაკლავად, ბატონო შერგილ, თორემ არ არის თქვენი ყურადღების ღირსი.

„შემშლის ეს გოგონა ჭკუიდან. უკვე მერამდენედ მიბრუნებს ნააზრევს... თანაც დიდი ტაქტით"...

ისევ ჩამოწვა ბურუსი. შუქფარები ვერ ერეოდა ნისლის ფარდას. წვრილად წვიმდა. შერგილმა ძრავა გამორთო და სალონში სინათლის ჩამრთველისაკენ გასწია ხელი.

— გთხოვთ... არ არის საჭირო, — ფიქრიამ ხელისგული დააფარა, — ასე უფრო კარგად დავინახავთ ლელას, ხომ მართალს ვამბობ?

— დიახ.

— ლამაზი გოგო იყო. გაზაფხულის პირზე ახლად ამობიბინებული ბალახისფერი თვალები ჰქონდა. გრძელი შავი წამწამებით დაჩრდილული. საუბრის დროს ხან ჩაუმუქდებოდა, ხან გაუნათდებოდა. აი ისე, მზიან კორდს რომ გადაურბენს ხოლმე ღრუბლების ფთილები. მისი სიცილი გვიყვარდა. გულიდან წამოსული კისკისი იცოდა. სახე, თვალები, მთელი ტანი უცინოდა. თმებიც კი. ჩვენც აგვიყოლიებდა... თუ დაგვიგვიანებდა ღიმილს, აქეთ-იქიდან შევუღიტინებდით გოგონები... ეჰ, კარგი დრო გვქონდა... — ფიქრია გატაცებით ლაპარაკობდა. ახლა იგი თავის ყმანვილქალობაში გადასახლებულიყო. უცებ თმები შეარხია და უკან გადაიყარა. შერგილმა პირველად დაინახა მისი პროფილი და შეკრთა „თქვენ ხომ არ გგავდათ?" — გაიფიქრა უნებურად.

— ერთი შეხედვით ამაყი გეგონებოდათ, სინამდვილეში გულისხმიერი, კეთილი და

ნაზი სულის გოგონა იყო, – განაგრძობდა ფიქრია, – ზოგჯერ ზედმეტად გულუბრყვილო და მიმნდობი, – დაამატა მცირე პაუზის შემდეგ, – არც მე ვიყავი გარეგნობით დაჩაგრული, მაგრამ მასთან სად მივიდოდი...

„ეს ქალი ჩემს აზრებს კითხულობს!"

– ჰო, კარგია-მეთქი სტუდენტობა. განსაკუთრებით გოგონებისათვის. მერე ოჯახი, ბავშვები, ათასი საზრუნავი... – ამოიოხრა, – ძნელია ქალის ხვედრი... რა ბედნიერები და ლაღები ვიყავით... არც ბიჭების ყურადღება გვაკლდა. ლელას – განსაკუთრებით.

ბოლო დროს ერთი ახალგაზრდა კაცი აეკვიატა და მოსვენებას არ აძლევდა. დეიდასთან ცხოვრობდა ლელა, ქალაქის გარეუბანში, ლეონიძის დასახლებას რომ უწოდებენ. სახლში ავტობუსით ბრუნდებოდა. მერე ორასიოდე მეტრს ფეხით გაივლიდა და დიდი შენობის ეზოში შევიდოდა... გარეგნულად თითქოსდა არა უშავდა რა იმ ყმაწვილს, მაგრამ... როგორ გითხრათ... ისეთი იყო, პირველივე შეხვედრიდან რომ ვერ მოგაწონებს თავს. ერთი სიტყვით, მომაბეზრებელი ტიპი იყო... მგონი ნისლი გაიკრიფა, ბატონო შერგილ.

– დიახ, თქვენმა ამბავმა გამიტაცა, – კაცმა მანქანა დაძრა.

– ჰოდა, ერთ ბათუმურ წვიმიან დღეს, ნამდვილი თქეში რომ ჩამოდიოდა ციდან, ლელამ ქოლგა გაშალა და სირბილით გადაჭრა ქუჩა. ქარიანი თავსხმა იყო და ქოლგა წინ გადმოეწია თავის დასაცავად.

– ჩვენ ბოდიში, ლამაზო... ასე ვთქვათ... – მოესმა და ქოლგა ასწია. სამი ბიჭი იდგა მის წინ. ერთ-ერთი ის ტიპი იყო. – აგერ ჩვენი მანქანა და აგერ კიდევ ჩვენი წიტა, – ტიპზე ანიშნა მან.

– წიტა გქვია? – გულიანად გაიცინა ლელამ.

– ჰო, მეტსახელია მისი, – ჩაურთო მეორემ, – გარდატეხის ასაკში რომ შევიდა, წიტები დააყარა ძალიან... ასე ვთქვათ, ზედმეტი ენერგიის გამო. კაი ხანს იყო აწიტული. ამიტომაც...

– მე ლევანა მქვია, – იუკადრისა „წიტამ".

– ახლა, როგორც ხედავ, ლამაზო, ერთი წიტიც აღარა აქვს.

– სამაგიეროდ სული აქვს წიტებით სავსე, – უპასუხა ლელამ.

– თუ ეგ არ მოგწონს, აგერ, ჩვენ ორის თავი შემოგევლოს, ასე ვთქვათ, აირჩიე რომელიც მოგეწონოს, – თქვა პირველმა.

ლელა აენთო.

– ახლავე ჩამომეცალეთ! – ნაბიჯი წინ გადადგა, – გზა-მეთქი!

– სწორედ მაგისათვის ვიცდიდით-ბაქ სამი საათი, ხო იცი შენ, – ჩაიცინა მეორემ, – თუ ნებით არ წამოგვყვები... – და შეთანხმებულებივით ეცნენ გოგონას.

მე კარგად ვიცნობდი ლელას. ეს ნაზი და გულმიმყოლი გოგონა, ჭირში შეუპოვარი ხდებოდა. ერთ-ერთს ფეხსაცმლის ჭვინტი ამოჰკრა კაცებისათვის ყველაზე მტკივნეულ ადგილას. დარტყმა ისეთი ძლიერი გამოვიდა, რომ იგი ადგილზე ჩაიკეცა. ორმა ხელები გადაუგრიხა და მანქანისაკენ წაათრია.

– ახლავე გაუშვით! – გაისმა ვილაცის მშვიდი ხმა.

მათ წინ ორმოცი-ორმოცდაორი წლის მამაკაცი იდგა.

– რა შენი საქმეა, რომ ეჩრები, – თქვა „წიტამ" და მაშინვე ისეთი დარტყმა მიიღო უცნობისაგან, რომ ჯერ მანქანას მიეხეთქა, მერე ტბორში გაიშხალრთა.

– შენც ხომ არ გინდა? – მიუბრუნდა მესამეს.

მან ხელები ასწია. საერთოდ წინააღმდეგი ვიყავი ამ საქმისაო, ჩაიბურტყუნა.

უცნობმა მისამართი ჰკითხა ლელას. გოგონა მომხდარისაგან გაონებული და დაბნეული იყო. ძლივს უპასუხა. მერე არც უცნობს ამოუღია ხმა. სადარბაზომდე მიაცილა და დაბრუნდა. ლელას მადლობაც არ უთქვამს, ისე შევარდა სახლში.

რამდენიმე დღეში დაადგინა თავისი მხსნელის ვინაობა.

გიგა ქალაქში ცნობილი პიროვნება იყო.

– სად მუშაობდა? – შეეკითხა შერგილი.

ქალმა არ უპასუხა.

– გვარი მაინც მითხარით, ფიქრია.

– სახელიც არ მითქვამს ნამდვილი. ქუჩაში რომ შეეფეთებოდა, ალმური მოედებოდა სახეზე, მთელს ტანზე, გული აუფორიაქდებოდა, ფეხები აერეოდა...

ვხედავდი, რაღაც ხდებოდა მის თავს.

– გიგა ვერ ცნობდა?

– წარმოიდგინეთ წვიმისაგან გალუმპული, გაწეწილი, შიშისაგან თითქმის შეშლილი გოგო...

– ჰო, ცხადია.

– თვრამეტი წლის ქალიშვილს თავდავიწყებამდე შეუყვარდა შუახნის მამაკაცი. მე ვკიცხავდი, მას არაფერი ესმოდა.

არ დაგიმალავთ, ზოგჯერ მშურდა კიდევაც მისი. ალბათ, მართლა დიდი ბედნიერებაა გიყვარდეს, ვფიქრობდი.

ბოლოს მათი გზებიც გადაიკვეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი თანაკურსელი ვაჟის ქორწილზე მოვიდა. კოტეს მამის მეგობარი იყო თურმე ბატონი გიგა.

ლელა თვალებს ვერ აშორებდა.

– შეხედე, ფიქრია, – მეუბნებოდა, – განა ყველასაგან არ გამოირჩევა? ვინ შეედრება ჩემს გიგას!

– მაგ „შენს გიგას" კაი საცოლე ბიჭი ჰყოლია, ლელა, კიდევ, შენი კბილა გოგო. როგორც გავიგე, ცოლიც ცოცხალი და ჯანმრთელი ჰყავს და არც განქორწინებას აპირებს თურმე.

– რა მისი ბრალია, რომ ადრე დაიბადა... მე კი – გვიან.

– სამყაროა ასე მოწყობილი, ლელა. ძველი მიდის, ახალი მოდის. შენ შენი ასაკით უნდა იცოცხლო და იცხოვრო.

ჩემი არ ესმოდა ლელას. უცებ დაიძაბა. მის თვალთამზერას ჩემიც გავაყოლე. ვიღაც ქალთან ცეკვავდა ბატონი გიგა. ისე საუბრობდნენ, ჩანდა, კარგი ნაცნობები იყვნენ.

ლელა წამოდგა. მე შეჩერება მინდოდა, მაგრამ ნერვიულად ამიქნია ხელი. უნდა ვიცეკვოო, მითხრა. მოდი ერთად ვიცეკვოთ-მეთქი. გააქნია თავი. ჯერ არაო, მიპასუხა. წავიდა და გიგას შორიახლოს გაჩერდა.

ქალმა გაუღიმა და, მობრძანდითო, დაუთმო.

მერე გიგამაც გაიწვია ლელა.

ისე, ცუდად არ გამოიყურებოდნენ, რაღაც უხილავი ჰქონდათ საერთო... რომ იგრძნობ, ვიდრე შენიშნავ. ცეკვავდა ერთად ტანაშოლტილი ულამაზესი ასული და საფეთქლებშევერცხლილი, ენერგიით სავსე მამაკაცი. „ყვავილების ქვე-ყა-ნაა ჩოქვით შემოვიარე-ეეე"... – გრძნობით ასრულებდა პოპულარულ სიმღერას ახალგაზრდა მომღერალი.

ცნობისმოყვარე სახეები მატულობდა. რაღაც სხვანაირადაო საქმე, თვალებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს.

ლელა და გიგა მხოლოდ ერთმანეთს ხედავდნენ. ლელას სახე შეფაკლოდა. გრძელი წამწამებით დაჩრდილული ზურმუხტისფერი თვალები დაეხარა და მორცხვი ღიმილით პასუხობდა გიგას. ასეთი ბედნიერი და გასხივებული არასოდეს მენახა.

გიგას ადგილას, ალბათ, მეც ვერ დავრჩებოდი გულგრილი.

„რა კარგი ხარ და როგორი სულელი!" – ამოვიოხრე ჩემთვის.

უცებ გაჰქრნენ. ამაოდ ვეძებდი დარბაზში. ეზოც მიმოვათვალიერე...

მეორე დღეს ინსტიტუტში არ მოსულა საღამოს დავურეკე.

სახლშია, ცოტა შეუძლოდაა და წევსო, მიპასუხა დეიდამისმა. გულმა არ მომითმინა და მივაკითხე.

დამინახა თუ არა, თავზე საბანი გადაიფარა. საწოლის კიდეზე ჩამოვუჯექი.

– დიდხანს აპირებ მასე ყოფნას? – შევეკითხე.

უცებ წამოჯდა და ჩამეკრა. მთელი ტანით თრთოდა. ტუჩებს ამოძრავებდა, რაღაცის თქმა სურდა და ვერ მოეხერხებინა.

წყალი მივაწოდე. მოსვა. ოდნავ მოეშვა. თითქოს ინსტიტუტის ამბები მოვუყევი, ცოტა ნავუჭორავე, საუბარში ავიყოლიე.

– ახლა კი შენი ამბავი მითხარი, – ვთხოვე.

მანქანით გაესეირნათ, მერე ქალაქგარეთ მყუდროდ გაჩერებულიყვნენ.

– რაღაცაზე გაცხარებით მესაუბრებოდა, მგონი, თავის ახალ ნაშრომზე. მე მისი არაფერი მესმოდა, სახეში შევყურებდი მხოლოდ და ერთი სურვილი მქონდა, მომფერებოდა. – უცებ გაყუჩდა ლელა.

– მერე?

– გონს რომ მოვედი, მის ხელებში ვიყავი.

– სულელო! – ხელი ვკარი.

– მე ბედნიერი ვარ, ფიქრია.

– არა!.. უბედური ხარ, უბედური, ლელა!

– რატომ? ცუდი არაფერი მომხდარა.

– ესე იგი...

– ჰო, არაფერი. ამიტომაც მიყვარს უფრო ძლიერ. კიდევ უფრო ძლიერ. არადა, გამოგიტყდები, რომ მოესურვებინა...

– გასაგებია, ახლა რას აპირებთ?

– არ ვიცი. გიგამ ორჯერ მიხსნა... ჯერ სხვისგან, მერე საკუთარი თავისგან.

– უფრო სწორედ, ისევ შენგან, – ჩავურთე.

კვლავ გადაურბინა ალმურმა.

– გიგა ნამდვილი რაინდია, მთელი ჩემი ცხოვრება ასეთ მამაკაცზე ვოცნებობდი. ახლა როგორ დავთმო... – უცებ თავი ასწია, პირდაპირ შემომხედა და ჩურჩულით თქვა: – მე ვერ ვიქნები სხვასთან, ვერ შევძლებ!..

მშურდა მისი. თან მებრალებოდა.

დღეს არავის უყვარს ასე, ბატონო შერგილ! ა-ღა-რა-ვის!

დეიდამისმა გოგონას მშობლებს შეუთვალა, სასწრაფოდ გაათხოვეთ, თორემ მერე გვიანი იქნებაო.

მშობლებმა სოფელში წაიყვანეს და ოთახში გამოკეტეს. მალე უფრო სასტიკი

საპყრობილე მიუსაჯეს – გაათხოვეს სხვაზე შეყვარებული გოგო.

კარგი ოჯახიშვილი შეურჩიეს. დედოფალივით ჰყავდათ ლელა.

ცოლის მზეს ფიცულობდა ქმარი.

ის კი თვალსა და ხელს შუა ილეოდა, დნებოდა...

სისხლის გათეთრებაოო, დაუდგინეს ექიმებმა და უმწეოდ აიჩეჩეს მხრები.

სიკვდილის წინ თვალებით მანიშნა, ჩემსკენ გადმოიხარეო.

იმისი სახელი ამოიჩურჩულა და გათავდა.

– გიგას? – შერგილმა საკუთარ ხმა ვერ იცნო.

სიცილი მოესმა. თანდათან შორდებოდა. მანქანის კარი ღია იყო. „როდის გავაჩერე... როდის გავიდა კაბინიდან?" – გაიფიქრა.

კვლავ ჩაესმა სიცილი, ახლა უფრო შორიდან. ჰაერის რხევას წააგავდა ეს – ჰა-ჰა-ჰაააა!.. მაგრამ დიდი ნაღველი ახლდა.

გარეთ გავარდა შერგილი. შეშლილივით აწყდებოდა აქეთ-იქით. რაღაცას ჰყვიროდა, ეძახდა ვიღაცას. უცებ გონებით დაიჭირა საკუთარი ამოძახილი:

– თე-ააა!.. თე-ააა!..

თავზარი დაეცა. ერთხანს იდგა ასე, მერე ბარბაცით წავიდა მანქანისაკენ.

– რად მიმატოვე თეა.

– ვიცი, მეძებდი, რაც დრო გადიოდა, უფრო მეძებდი, – ნაცნობი ხმა მოდიოდა ნისლიდან.

– მაგრამ... შენ ხომ ფიქრია ხარ...

– მე თეა ვარ. ფიქრია ჩემი შინაგანი ხმა იყო მხოლოდ, ჭკუას რომ მარიგებდა ერთთავად. – ქარმა ნისლი მიმოყარა და უფსკრულის პირას კვლავ გამოიკვეთა ქალის სილუეტი. მაღალ ყელზე, ლაბირინთის ზემოთ, პატარა ხალი დაინახა შერგილმა.

„შენი ყველაფერი მშლიდა ჭკუაზე. განსაკუთრებით ეს ხალი"...

– ჰო, გეძებდი, თეა. ძლივს გიპოვე... ნუ დამტოვებ... მე უშენოდ არ შემიძლია.

– არც მე, – თეამ შერგილისაკენ გაიშვირა ხელები. – წამოდი ჩემთან.

– შენთან?

– ჰო, ჩემთან.

– მოვდივარ, თეა... – უცნაური სიმსუბუქე იგრძნო. მანქანიდან გამოვიდა. უფრო – გამოცურდა. ქალმა ხელები შემოჰხვია და ჰაერში აიტაცა. შერგილმა იგრძნო, როგორ მოწყდა დედამიწას. უფსკრულის თავზე მიფრინავდნენ ახლა. უცებ სიმღერა შემოესმა: „ყვავლების ქვეყანააა ჩოქვით შემოვიარე-ეეე, რომ მითხარი მოვალო-ოოო, რატომ დაიგვიანეეე"... – ხმა იცნო შერგილმა.

ნისლებში, ერთმანეთს ჩახვეული, ცეკვავდა წყვილი...

„ბედნიერი ვარ, შერგილ!"

„მეც, თეა!..."

დაბლა, ბნელ სიღრმეში, ლოდებს ებრძოდა აჭარისწყალი.

დილით ზვავებისაგან გზის გასაწმენდად გასული ბულდოზერი ხეობის პირას გაჩერებულ „ნივას" მიადგა.

აღმოსავლეთით, მთის წვერზე, ბრდღვიალებდა მზე.

ჭაღარა მძღოლი საზურგეს მიყრდნობოდა და უძირო სივრცისათვის მიეპყრო ფართოდ გახელილი თვალები.

სახეზე ნეტარი ღიმილი შეჰყინვოდა.

გამახარე

– ჩარლი!

კაცის ხმაა. ნაცნობიც მეჩვენება თითქოს. ფინიას თუ ეძახის.

– კარლო, კაცოო!

ქუჩის მეორე მხარეს, ტროტუარზე, მელოტი კაცი დგას. იცინის. მიმოვიხედე. არა, მე მიცქერის და იცინის. ვერ ვიხსენებ. სიცილი კი... ახლობელი აქვს, ძალიან ნაცნობი. უცებ გამკრა გონებაში – „ჩარლი!" – ასე ხომ სულხანი მეძახდა, ჩემი თანაკურსელი პენიანი ბიჭი. თმა რა ექნა? მისი სიამაყე რა ექნა? სადმე სარკეს ან ვიტრინას რომ ჩაუვლიდა, თმისკენ გაურბოდა ხელები...

– ვერ მიცანი? – ჩემსკენ მოდის. ჩვენს ქალაქში გადასასვლელ-გადმოსასვლელები არ არსებობს. კი არსებობს, მაგრამ ვიხ უყურებს! ერთმა მანქანამ წინ ჩაუქროლა, მეორემ – უკან, მესამეს თვითონ გადაურბინა წინ და პროფესიონალი მძღოლის „მრავალსართულიანიც" მიიღო.

– სულხან!

– კარლო, ძმაო!

ერთმანეთს გადავეხვიეთ. ისაა, თანაც არაა ის. სხვანაირია, სხვა ტანის, სხვა მიხრამოხრის. რამდენი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი? ცამეტი... არა, თხუთმეტი წელი. მთელი თხუთმეტი წელიწადი – ერთი ახალგაზრდობა.

მზემოკიდებული სახე... ჰალსტუხი ძველმოდური ნასკვით... მაშინდელი, ჩვენი სტუდენტობის დროინდელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოჟრებიანი ხელები...

– სულ არ შეცვლილხარ. – მეუბნება.

– არც შენ. – „გვერდით რომ ჩაევლო, ვერ ვიცნობდი", – გავიფიქრე. – გადაიკარგე. – ვსაყვედურობ.

– მინდოდა და დავიკარგე.

– რატომ? დღესაც ვერ გამიგია, რატომ გინდოდა?

– ეეიჰჰ! – ხელს იქნევს.

ზაფხულის გრილი ნიავი დაჰქრის. ქოჩრის ნაცვლად ბუსუსებიღა შერჩენია შუბლიდან კეფამდე. ირხევა ბუსუსები. ხელს გადაისვამს, დააწვენს, დააწყნარებს. ისევ წამოიმართებიან. დამაგნიტებულებივით იწეწებიან. საფეთქლები თეთრად შეფეთქია. ღიმილიღა შერჩენია წინანდელი, გულღია და მიმნდობი.

ჩვენი სტუდენტობის დროის საყვარელ კაფეში შევდივართ. ყავას ვწრუპავთ და ვყვებით ამ მთისას, იმ მთისას. მართალს ტყუილით ვალამაზებთ.

სპორტულად ტანასახლეტილი, მხარბეჭიანი იყო მაშინ სულხანი. გოგონების ყურადღება არასოდეს აკლდა. მშურდა მისი.

– შენი სიყვარულის სიმწრით ხუთი-ექვსი გოგო თუ მაინც არ ოხრავს და ჭმუჭნის ბალიშს ღამით, რა კაცი ხარ! – იტყოდა ხოლმე ხშირად.

ქალაქელი იყო სულხანი. არა იმიტომ, რომ ქალაქში დაიბადა და გაიზარდა. სიარულითაც, ქცევითაც, მთელი შინაგანი სამყაროთი ქალაქელი იყო. მე ასე მეგონა. ასე ეგონა ყველას.

განაწილების დრო რომ მოვიდა, ბევრმა სოფლელმა ქალაქში ისურვა დარჩენა და სხვადასხვა გზით მიაღწია კიდევაც ამას.

სულხანმა – ზომოთაში გამგზავნეთო.

მთის სოფელია ზომოთა. მთისაცაა და მთისაც. იმ სოფლის იქით მამალი არ ყივის.

კომისიის წევრებიც კი შეცბნენ.

– მშობლებმა იციანო? – წამოსცდენია თურმე ერთ-ერთს.

– რატომ მაინცდამაინც ზომოთა ისურვე? – ვეკითხები.

სდუმს.

– დაცოლშვიდებოდი.

– ჰოჰჰ! – ისევ ბუსუსებს აწყნარებს თავზე. – გვიან ვიქორწინე; ოცდათხუთმეტი წლისამ. წარმოგიდგენია? თმა... ჰჰ-ი, ჰი-ჰი!.. – ხელი ჩაიქნია, – მოკლედ, მელოტი ნეფე ვიყავი. ჰჰი... ჰი-ჰიიი! ახლა რვაწლიანი სკოლის დირექტორი ვარ, – უადგილოდ დაუმატა.

კაფეში ორი ქალიშვილი და ორი ჭაბუკი შემოვიდნენ. გვერდით მაგიდას მიუსხდნენ. ერთ-ერთს ტრანზისტორი უჭირავს.

– ჩჩ!.. – მომმართავს სულხანი, თუმცა ისედაც, კარგა ხანია ვდუმვარ. – ეს ტიტო მღერის, კაცო, ე ტიტო სკიპა!

– პერტილე. – დაუფიქრებლად ვპასუხობ, – აურელიანო პერტილე.

– ა? ჰოოო...

ქალიშვილი მხარსზემოდან გვისწორებს:

– პავაროტი.

– ბატონო? – ვეკითხები.

– ლუჩიანო პავაროტი მღერის. დღეს ყველაზე დიდი ტენორია მსოფლიოში.

– პავაროტი ყოფილა...

სულხანი სხვაგანაა.

– ჩემი სკოლა სამ სოფელს ემსახურება, – თითქმის ჩურჩულით ამბობს, – ზომოთას, ხვეთუღელსა და კლდეკისერს. კლდეკისერი გახსოვს, ჩარლი?

მეხუთე კურსზე ვსწავლობდით მაშინ...

●

შემოდგომის პირველი თვის ლაჟვარდითა და სურნელებით სავსე სოფლის დილა. გზაზე ტანმაღალი ჭაბუკი მოაბიჯებს. მოკლე და გაცრეცილ ჯინსის შარვალზე გადმოშვებული წითელი პერანგი თითქმის ჭიპამდე აქვს გახსნილი. ფეხშიშველაა. გამახარე ჰქვია. ოთხი დის შემდეგ გაჩენილა ეს ერთი ვაჟი და იმიტომაც დაურქმევიათ მშობლებს გამახარე.

ათი წლისას სიცხე ავარდნია ტვინში...

– სულელი-სულელიიი, სულელი-სულელიიი!.. – ესმის გამახარეს სკოლაში მიმავალი ბავშვების ხმა. სკოლა სხვა სოფელშია და მოსწავლეებს კარგა დიდი მანძილი აქვთ გასავლელი, ამიტომაც მიდიან ასე დილაუთენია.

კლდეკისერი თითქმის ცაში ატყორცნილ მთის კალთაზეა შეფენილი. არა, მიჭუჭყული. ირგვლივ – ყანები, ტყე, საძოვრები. უძველესი ციხის ნანგრევები კლდეს გადაჰყურებს. ხავსის, სუროსა და სხვა ათასგვარი ხვიარას საუფლო გამხდარა ერთ დროს ზვიადი ნაგებობა. შორეული მთის წვეროს გვირგვინად ადგება ნარინჯისფერი სინათლე. ცაზე, თითქოს ალისფერი საღებავი მიუშხეფებიათო აქა-იქ, ბრიალებს პატარა-პატარა ფთილები. დაბლა, ჯერ კიდევ ბინდჩამდგარი ხევის ფსკერზე, უნებურად ძირს დავარდნილი თეთრი ძაფივით, მიკლაკნილ-მოკლაკნილა მდინარე. მდინარესა და სოფელს შორის ზანტად მიცოცავს გრძელი ნისლი. მდინარის მარცხენა ნაპირს გზატკეცილი გასდევს.

დილის მყუდროებას მსუბუქი მანქანის რბილი გუგუნი არღვევს. მოსახვევიდან უცებ თეთრი „მოსკვიჩი" გამოვარდება, ისევ მიიმალება, გამოვარდება-მიიმალება, გამ-

ოვარდება-მიიმალება... გამოვარდება, ხიდს გაირბენს და სოფლისკენ მიმავალ თითქმის დაკიდულ აღმართს ახედავს. რამდენიმე წამს ფიქრობს, შევუდგე თუ არაო. საკუთარ ძალებს ამოწმებს. მერე, თავი რად ავიტკივოო და, უკან იბრუნებს პირს. საქციელნამხდარი მოგორავს, უხასიათოდ, თითქოს საკუთარი გაუბედაობის რცხვენიაო. მთავარი გზიდან ასიოდე მეტრის მოშორებით, ბაღის სიღრმეში, ხის ორსართულიანი სახლი დგას. ეზოში ქალი ფუსფუსებს. მანქანა ჭიშკართან ჩერდება. იქიდან ორი ახალგაზრდა კაცი გადმოდის, ერთი მანქანას კეტავს, მეორე კი ჭიშკარში შედის და ქალს რაღაცას ეუბნება. ქალი თავს უქნევს. პირველი ახალგაზრდა მანქანასთან დგას, გასაღებს ატრიალებს თითზე. მერე ორივე მადლობის ნიშნად მდაბლად უკრავენ თავს და ხიდისკენ მიდიან.

– საოლქო კონფერენციაზე გავიცანი... – ამბავს აგრძელებს პირველი, – გახსოვს, დელეგატი ვიყავი... იცი, რა გოგოა? ჭკუიდან შეგშლის...

მდინარის ხმაურს მიაქვს მისი ხმა.

სკოლისაკენ მიმავალ ბავშვების გუნდს ახალი ძალები ემატება. თანდათან ძლიერდება ხმა:

– სულელი-სულელიიი!..

გამახარე შეჩერდა. წარბებმოჭმუხნით მოუხედა ბავშვებს მხარსზემოდან. თვალები ჩანისლოდა, სახეზე ტკივილი ეხატა. რამდენიმე წამს იდგა თავჩაქინდრული, მერე ისევ გასწია წინ. სულელი-სულელიიი!... – მისდევს ონავრების ხმა. გამახარე ფეხს უწყობს რიტმს (თუ პირიქით, ბავშვები ეთანაწყობიან მისი ნაბიჯების სიჩქარეს). შეჩერდა, მიტრიალდა გუნდისაკენ, ღიმილი გადაჰფენოდა სახეზე, ხელები შემართა, შეიცადა და უცებ თვითონაც შემოსძახა:

– სულელი-სულელიი, სულელი-სულელიიი!..

სწრაფად შეკრა გუნდი. თვითონ აღარ მღეროდა ახლა, პირს აღებდა მხოლოდ, ბავშვები უახლოვდებოდნენ, უახლოვდებოდნენ... მონუსხულივით შესცქეროდნენ გამახარეს. მთელი მონდომებით მღეროდნენ. დირიჟორმა მოუხშირა ხელების ქნევას, გადადგა ნაბიჯი უკან, მეორე, მესამე და შესძახა:

–პიმ-პილი, პიმ-პილი, ტიმ-ტილა-ტიმ-ტილაააა, რირო-რერო რანუნიიი!...

– სულელი-სულელიიი!... – ფონს აძლევდა გუნდი. გამახარე ბედნიერების მეშვიდეცაში დაფრინავდა. ხან ენერგიულად იქნევდა ხელებს, ხან მიბნედავდა თვალებს, ისე დაანაზებდა თითებს ჰაერში, თითქოს იქ გაბნეულ ბგერებს ეფერებაო.

– გამახარეე! – გადმოსძახა ვილაცამ აივნიდან, – გამახარე-მეთქი, არ გესმის, ჭო?!

დირიჟორმა ცერად გახედა.

– ტიმ-ტილა, ტიმ-ტილლლაااა...

– დააგვიანდებათ სკოლაში!

– ოდელია-რანუნიიი!..

– სულელი-სულელიიი!..

– როგორია, ა? – ასძახა გამახარემ. თვალებში ჭინკები უბრწყინავდა.

– ბანი აკლია მაგას მოგუდული ბანი. აი, ასეთი. უხე, უხე! – ჩაახველა აივანზე მდგომმა, – ოჰო-ჰოიეეე!...

ლამაზი თვალები ჰქონდა გამახარეს, გრძელი, კუთხეებაპრეხილი, ხშირი წამწამებით დაჩრდილული. ფერი? ფერი.... არ დაიჯერებთ და, როცა მღეროდა, მოლისფრად უბრწყინავდა. ადრიან დილის მოლისფრად, მზე რომ ამოიჭყიტება მთის გადაღმიდან და ჯადოსნურ ფერებში გაახვევს ბუნებას, მოლი კი... მარგალიტებმოფრქვეული მოლი კი ციმციმებს და იღვრება, ციმციმებს და იღვრება....

– ჭო, გამახარე, დააგვიანდათ ბავშვებს, – ისმის ბაღჩიდან ანჩხლი საიმეს ხმა. ხელში ფხალი უჭირავს, – ჩამოეცალე გზიდან თვარაა, ხომ იცი ჩემი ამბავი! – უკივლა.

ჭაბუკი დადგა. ერთბაშად ჩამოუცვივდა ხელები. ბავშვები ურიამულით შემოეცალნენ.

– გამახარ... – ნამცეცა ბიჭუნამ პერანგის კალთა მოქაჩა, – გამახარ, ხვალეც ხომ ვიმღერებთ?

საიმე ღობეს მოადგა.

– გეწყინა? – სინანული იგრძნობოდა ქალის ხმაში. – კარგად მღერი, შვილო, მარა სკოლაა და... დასჯიან ბავშვებს, ახალი დირექტორია ახლა, ტყავს აძრობს ყველას. სულ დისციპლინა, დისციპლინაო, იძახის თურმე.

გამახარე თავჩაქინდრული გაუდგა გზას. მიდიოდა და მსხვილ ტუჩებს ამოძრავებდა. ახლახან შექმნილ სიმღერას თუ მღეროდა გულში.

– ჟუჟუნაზე როცა ფიქრობდა, ცისფერი უხდებოდა თვალები, ოდნავ ნისლჩამდგარი, დაბინდული ცისფერი. ლამაზი ქალიშვილი იყო ჟუჟუნა, გიშრისფერთმიანი, ტანქათქათა.

– ჩელესტე, აიდა, ფორმადივინა... ლალა-ლალა-ლა-ლაააა!... – ლირიკულ-დრამატული ტენორით მღეროდა გამახარე, შემართული, ოდნავ მხრებწამოწეული მღეროდა რადამესის არიას. ტექსტი მხოლოდ ეს იცოდა, დანარჩენი – ლა-ლა-ლა. დღეს ლანცას ბაძავდა. მიმიკითაც, დგომითაც, წუხელ „დიდი კარუზო“ ენახა ტელევიზიით.

– დედიკოო, დედა!.. – ჟუჟუნა პირქვე ჩაემხო ლოგინზე და თავი ბალიშში ჩარგო, – რა ვქნა, რაა!... ჩემს გარდა არავინაა? რაღა მაინცადამაინც მე ამომიჩემა!...

ეზოში ფაცხაფუცხით გამოვიდა მერიემი.

– მოეშვი, ბიჭო, ჩემს გოგოს, თვარაა ამოვიდა ყელში მოთმინება. ნადი-მეთქი, არ გესმის? თოფუზავ, – ქმარს გასძახა, – ვერ ხედავ, ჭო, მოგვჭრა თავი მთელს სოფელში მაგ გიჟმა?

ბაღიდან ორმეტრიანი ახმახი გამოვიდა, ნაკელიანი ვედროები აქეთ-იქით მოისროლა.

– გამახარევ!...

– აცალე, თოფუზ, იმღეროს! –გზის გადაღმიდან გამოსძახა მეზობელს ენვერმა, – ახლა ერთი აბესალომიც, გამახარ, შენებურად.

„ვეძებდი ბედსაა დააა ვპოვე იგიი, მაგრამ ჩავვარდი აამ სატანჯველშიიი!"

– ღმერთმა არ გამოგიყვანა! – გულსზემოდან მიაწყევლა მერიემმა.

–იფფ! – იფუფქება ენვერი.

– მაინც რა ხმა აქვს იმ ყელში, კაცოო! – ტანი ეხორკლება თოფუზას.

– „ძვირფასო ჟუჟუნ, ვერ დაგთმოოობ..."

– ჟუჟუნა რა შუაშია, გამახარ, ეთერს უმღერის აბესალომი.

– ყველას თავისი გასაჭირი აქვს, ჩემო თოფუზ, – ამბობს ენვერი.

– შენი ჭირიმე, გამახარ, – ჟუჟუნა ფანჯარას გადმოეკიდა, – ნადი სახლში, თუ გიყვარვარ. თუ მართლა გიყვარვარ, მომშორ... – ნიკაპი აუთრთოლდა, ლოყებზე ღაპაღუპით გადმოუგორდა კურცხლები, – დაისვენე და მეც დამასვენე, – ყელზე ორი თითი მიიდო. – გეხ-ვე-ნე-ბი!

– კარგი აბა, ერთი ფილიროვკაც და წავალ.

– ჰო, ჰო, ფილიროვკის გარეშე მაი არია არ იქნება, – შეათამამა ენვერმა.

– „ო, თავო ბედშავო, ო, თაო ბედკრულოო! ვაიიი!" – მოხეთქილი ხმა თანდათან მიილია, „ნემსის ყუნწში გაძვრა" და გაქრა.

– რა გაყროყინებს, ვირო! – დაულრიალა „რამპის" წინ მორცხვად თავდახრილ მომღერალს სარდიონამ, – თოფუზას კარის მეზობელმა.

– ვინ ყროყინებს! აგი ყროყინებს? მენინგიტი ამას კი არა, შენ გაქვს მაგ გიდელა თავში, – თოფუზა ცეცხლს აფრქვევდა თვალებიდან. – ბიჭს ცოცხალი მომღერალი თვალით არ უნახავს. რადიოდან და ტელევიზორიდან ისწავლა სიმღერა. მუსიკად, სიმღერადაა ქცეული ეს ბიჭი. ყროყინებსო!.. ნამუსი არ გაქვს შენ, სარდიონავ! სადაა ღმერთი, თვარა შენთვის უნდა ნაერთმია ჭკუა.

– რაც არ აქვს, რას ნაართმევ, – არ დაეკლო თავის მხრივ ენვერმაც.

... გამახარემ თავი დაუკრა აღტაცებულ აუდიტორიას, მრავალმნიშვნელოვანი მზერა ესროლა „ლოჟაში" გულის სწორს და ტაშის გრიალში დასტოვა სცენა...

„კარგი ხარ, გამახარ!.. – ჟუჟუნას ხელისგულში ჩაერგო ალმოდებული სახე, – რა ვქნა, ბიჭო, რა... რა წყალში ჩავვარდე!"

– რამდენი კარგი სიმღერაა, – თავისას გაიძახოდა სარდიონა, – აი, თუნდაც „პატარა გოგონა..." ან ისაა... „მასვი, მაჭა-აა..."

– გეყოფა ხავილი, – შეუტია მერიემმაც, – გესმის რამე ხელოვნების?!

„ეეჰ, გამახარ, შვილო... შენ რომ ჭირი არ შეგყროდა, ვინ იცის, რამხელა მომღერალი გამოხვიდოდი. ჩემს ჟუჟუნას ზედაც არ შეხედავდი, ალბათ!..„ – თოფუზამ ვედროები აიღო.

ჟუჟუნა ეზოში გამოვიდა. კოპლებიანი კაბა ეცვა. უხდებოდა.

– მე ბიბლიოთეკაში წავედი, მამა!

●

გამახარე სახლში შევიდა. ჯორკოზე დაჯდა და საკუთარ ფეხის თითებს დააცქერდა.

– გშია? – ჰკითხა დედამ.

– ჰო.

– სად იყავი ამ დილაადრიან?

– კონცერტი მქონდა, ნენი. იცი, ვინ მესწრებოდა?

– კარუზო იქნებოდა.

– კარუზო თავისთავად, კიდევ ლანცა.

– ეგ ვინლაა?

– წუხელ კინო ხომ ნახე? რომ მღეროდა, მარიო ლანცა იყო. მაღალი შეფასება მომცა ორივემ. ჟუჟუნა ლოჟაში იჯდა. ხალხი სულ იმას ამბობდა, რა კარგი წყვილიაო. ძალიან დავიღალე, დავისვენებდი ცოტას. თაყვანისმცემლებს დღეს ვეღარ მივიღებ.

– კარგი, შვილო, ოღონდ ჯერ ნაისაუზმე ცოტა.

– ფხალს შევჭამდი ამორეგვილს, გაქვს?

– შუადღისათვის მოგიმზადებ, ახლა კვერცხი მიირთვი. ნამღერზე მოგიხდება. ახალი რძეც დააყოლე.

– ჭკვიანი ხარ, ნენი, ქალი რომ არ იყო, ჩემს იმპრესარიოდ აგიყვანდი.

– იმპრესარიო რაღაა?

– მომღერლის საქმეებს რომ აგვარებს. შეხვედრებიო, მიღებებიო, კონცერტებიო... რა ვიცი... დიდ მომღერალს სად სცალია.

– ჭამას რომ მორჩები, ძროხები გარეკე საძოვარზე.

– წითურა მალე მოიგებს?

– თვე მაინც დასჭირდება. ფეხშიშველა არ ნახვიდე. ნუ მჭრი თავს სოფელში.

გამახარემ ჯიუტად გააქნია თავი.

– სულს მიწუხებს ფეხსაცმელი.

– მიიხედ-მოიხედე, შვილო, ვინ დადის შენსავით...

– ჩემსავით ვინ მღერის? ესეც თქვი, ნენი.

– ჟუჟუნა მოგწონს?

– კი.

– მასაც ხომ უნდა მოაწონო თავი.

გამახარემ იყუჩა.

– მოეწონები ფეხშიშველს?

– არა.

– მაშინ ჩაიცვი.

– არა.

– რატომ, შვილო?

– იმიტომ, რომ... მე არც ფეხცმული მოვეწონები. არასოდეს მოვეწონები, ნენი. იმიტომ, რომ ბეჩი ვარ, სულელი.... მენინგიტიანი... მე კი სიცოცხლეს მირჩევნია. არ მშია, – კარი გააღო და გარეთ გავიდა.

ქალი ჯორკოზე ჩაიკეცა, მუხლებზე ხელები დაირტყა და აქეთ-იქით აქანავდა.

– ნენი, გგონია მე ვმღერი? – გამახარემ თავი შემოჰყო ღრიჭოში, – არა, ვერავინ გამიგო აქამდე... ეს ჟუჟუნა მღერის აქ. – გულზე თითი მიიდო და გაქრა.

●

... სოფლის ბიბლიოთეკას ორი პატარა ოთახი ეჭირა კლუბის შენობაში. ჟუჟუნა კარტოთეკას ალაგებდა.

– გამარჯობათ„

ზღურბლთან ახალგაზრდა კაცი იდგა.

– გაგიმარჯოთ!.. ეს თქვენ, სულხან?!

– მე ვარ, ჟუჟუნა. ამხანაგიც მახლავს. თანაკურსელია ჩემი, – მხარსზემოდან გასძახა, – კარლო!

ქალიშვილს ფანჯრისაკენ გაექცა მზერა.

მაღლა, თითქმის ცაში ატყორცნილ მთის ფერდობზე ძროხებს მირეკავდა ტანმაღალი ჭაბუკი.

სულხანი ღიმილით უახლოვდებოდა შემკრთალ ქალიშვილს.

„ერთი ჩვეულებრივი გოგოა", – გაიფიქრა კარლომ.

– „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოოო!..." – შემოსძახა გამახარემ, – ჟღერს, ა? თქვენ რას იტყვით, ძროხებო! „შეენი ვარ, შენთვის მოვკვდებიი, შენზედვე მგლოვიარეო, ჰეეეიიი!" უხხ! ზურაბ ანჯაფარიძე! – ჩაილაპარაკა და სახრე დაატრიალა, – ჰამოო, ჰეშშ!

ძროხები საძოვარზე გაიშალნენ. გამახარე პირაღმა გაწვა და ცას მიაჩერდა. უცებ მოუსვენრობამ შეიპყრო რატომღაც. რამდენიმეჯერ იცვალა მხარი, წამოვარდებოდა, დაჯდებოდა, სოფლისაკენ იციქრებოდა ხშირად.

... ორმა ახალგაზრდა კაცმა აღმართი ამოათავა. ტყისკენ ეჭირათ პირი. ბაასით მოდიოდნენ. გამახარე ქვაზე იჯდა. მხოლოდ ერთხელ გახედა მომავალთ, ისიც მაშინ, კბოდეს გადაღმიდან რომ ამოყვეს თავები. ერთ-ერთს ციცქნა ტრანზისტორი ეკიდა კისერზე. გამახარეს ხვლიკი დაეჭირა. მოზრდილი იყო, მსხვილი. გაუშვებდა – დაიჭერდა, გაუშვებდა – დაიჭერდა. „წადი ახლა, ირბინე შენთვის"... – და გაუშვა.

– გენიალურად მღერის ეს ტიტო სკიპა! – წარმოსთქვა ტრანზისტორიანმა.

– სკიპაა ვითომ?

– კი. ხომ იცი, მაგ საქმეში პროფესორი ვარ!

– პერტილე, – ჩაილაპარაკა გამახარემ.

– გამარჯობა, მწყემსო! – მიესალმნენ.

გამახარემ ახედა სტუმრებს, გაუღიმა. მოსულებმა ერთმანეთს გადახედეს.

– აფრენს? – ჩაიჩურჩულა ტრანზისტორიანმა.

– პერტილე, – გაიმეორა გამახარემ და კვლავ გაიჭყანა.

– რას ამბობს? – ჰკითხა მეგობარს.

– პერტილეაო... მგონი ასე თქვა.

– კარგი, ერთი. – მერე მწყემსს მიუბრუნდა, – თუ ძმა ხარ, გაიმეორე რაც წელან თქვი.

გამახარემ ახედა, გაიღიმა. მძივებივით კბილებმა გაიკრიალა მზეზე. დიდ თვალებში სისველე ჩადგომოდა.

– ჟუჟუნა თხოვდება...

„ძვირფასო რადიომსმენელებო, გადმოცემული იყო არიები ოპერებიდან იტალიელი მომღერლის აურელიანო პერტილეს შესრულებით" – გამოაცხადა დიქტორმა.

– ესეც შენ! – ნიშნისმოგებით წარმოსთქვა უტრანზისტორომ, – ხომ გაიგონე?

– გავიგონე, გავიგონე! – პატივმოყვარე კაცი ჩანდა ტრანზისტორიანი. მერე გამახარეს შეუტია, – ვილაცა ხარ, იაბდლებ თავს, თუ ჩვენ დაგვცინი?

– სულხან!

– ჟუჟუნა მტოვებს...

– რა შუაშია!.. მაცალე კარლო, გეუბნები, გვაშაყირებს-მეთქი!.. მაცალე ერთი!

გამახარე ფეხზე წამოიჭრა. ზემოდან გადმოხედა ორთავეს.

– ვიცი... თქვენ მიგყავთ! – კარლოს შეხედა, მერე სულხანს, – არა, შენ! – მკერდში

ატაკა თითი, – ჰო, შენ მიგყავს ჩემი ჟუჟუნა, ჰო, შენ, – თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, – შენ მიგყავს, შენ მიგყავს!..

სულხანმა უკან დაინია. სახეზე დაბნეულობა ეხატა.

– მოგ-კლავ! – კბილები გააკრაჭუნა გამახარემ.

– ის მომღერალი, – წყნარად წარმოთქვა კარლომ, – აურელიანო პერტილე, რა სწორად გამოიცან. კაცი შენ ყოფილხარ!..

გამახარემ ხელი გაუწოდა.

– მე გამახარე მქვია, ოთხი გოგოს შემდეგ გავჩნდი ეს ერთი ბიჭი და იმიტომ დამარქვეს, – ამაყად გადახედა სტუმრებს.

კარლოს გული შეეკუმშა: „საბრალო მშობლები".

– მე კი კარლო მქვია, ამას – სულხანი. გიყვარს ჟუჟუნა?

გამახარეს ლაჟვარდი ჩაუდგა თვალებში. სულხანი შეკრთა. „მეჩვენება?" – თვალები აახამხამა.

– მას თუ უყვარხარ? – ხმაში ბზარი გაერია.

კარლომ საყვედურით გახედა მეგობარს.

– არა, მე ბეჩი ვარ... მენინგიტიანი, ვაფრენ...

– პერტილე როგორღა გამოიცან?

გამახარე ქვაზე შეხტა.

– ჰერცოგის არია ოპერიდან „რიგოლეტო", – გამოაცხადა. გულმკერდი მოიმშვილდა და დასჭექა: „ლია-დონნე მობილლეე..."

კარლო და სულხანი დაბნეულები უცქეროდნენ. გამახარემ უცებ შეწყვიტა მღერა.

– ძროხები გაიფანტნენ, – და ქარივით გაფრინდა ფერდობზე. სტუმრებმა თვალი გააყოლეს ხტუნვა-ხტუნვით მიმქროლავ ფეხშიშველა „ჰერცოგს".

– რას იტყვი? – თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა სულხანმა, რომელსაც ხასიათი წამხდარი ჰქონდა.

კარლომ მხრები აიჩეჩა.

– ფანტასტიკა! – ხელები გაშალა. უცებ სიცილი წასკდა, – კი, სულხან, გაგვათამაშა!.. აკი შენ მაშინვე მიხვდი, – მხარზე ხელი დაჰკრა, – მაგი, ჩემო ძმაო, კონსერვატორიის სტუდენტი იქნება, სოფელში ჩამოსული რამდენიმე დღით და ფეხშიშველა სირბილი ენატრება.

– მომღერალს ფეხშიშველა გაატარებ შენ? მუშამბაში ეხვევიან, არ გავცივდეთო.

– ყველა ხომ ერთნაირი არაა. ეს მთის შვილია. სხვანაირად გაზრდილი.

– ვითომ?.. ძალიან უცნაურად არ იქცეოდა? – ისევ გაიხედა იქით, სადაც გამახარე თვალს მიეფარა, – „ჟუჟუნა შენ მიგყავსო, საიდან მიხვდა? მიცნობს? ვიცნობ?" – გაიფიქრა.

– მაგი კინოში იქნება მიწვეული და ახლა როლზე მუშაობს. რეპეტიციებს გადის თავისთვის, – ისევ ხმამაღლა გაიცინა კარლომ. ყალბად გამოუვიდა, – სახელიც რა მოიგონა, ბიჭოო! გა-მა-ხა-რე! ჰი-ჰიიიი!... – სულ გაიფუჭა, – ისე მაგრად მღერის, ა? დავბრუნდეთ უკან, შენ მაგ ტყის ნახვის ხასიათზე მაინც აღარა ხარ.

ჯიუტად გააქნია თავი:

– სულხანი არასოდეს ბრუნდება გზიდან.

მთვარეულებივით შეუდგნენ ბილიკს. ტყეში შესვლამდე ხმა არ ამოუღიათ...

●

კაფედან გამოვდივართ. ნელა მივუყვებით ტროტუარს პარკის გასწვრივ.

– უარი მითხრა, ჟუჟუნამ, – ამბობს სულხანი, – სწორედაც მოიქცა, თავს არ იცოცხლებდა ი ბიჭი.

– ჰოო...

– ბედნიერი იყო გამახარე. შეიცვალა. ცოლის გამგონე გახდა. კოსტიუმში გამონკეპილი დადიოდა. სიმღერას კი ვერ შეეღია.

– რად უნდა შელეოდა?..

– ჟუჟუნა უშლიდა. სირცხვილია, დამდევ და სერენადებს მიმღერიო, ეჩხუბებოდა კიდეც. თანდათან მოიწყინა გამახარემ. უყვარდა ჟუჟუნა და ემღერებოდა. მას კი უშლიდნენ. სიყვარული და სიმღერა გამთლიანებული იყო იმ ბიჭში. მას კი უშლიდნენ... ზღვისპირას გავიდეთ, კარლო... ხანდახან წამომიმღერებდა, მაგრამ უკვე შიშნარევად. გესმის, რას ნიშნავს ეს? – უცებ შემაჩერა, – ნუ მეტყვი, რომ გესმის, ამას უფრო ჩაღრმავება სჭირდება, ჩარლი...

ორი წელი იცხოვრეს ასე.

– მერე? – ვეღარ მოვითმინე.

– მეზობლის ქორწილში დალია ერთხელ. თავის სიცოცხლეში პირველად დალია გამახარემ. მთელი საღამო მხიარულობდა. შეშლილივით კი არა... ძალიან უხდებოდა. შინაგანად განათებული იყო თითქოს. მგონი არასოდეს უმღერია ისე...

– მერე?

– სახლში რომ ბრუნდებოდა, ნაწვიმარ ბილიკზე ფეხი დაუცურდა და გადაიჩეხა. შენ იმ უფსკრულის სიმაღლე თუ გახსოვს, ჩარლი?

– საყივარას რომ ეძახიან?

– ჰო... კარგა ხანს მიფრინავდა თურმე ჰაერში. ერთხელაც არ ამოუღია ხმა. თანდათანობით ჩაიკარგა ბინდბუნდში...

— დაცურდაო?.. — ჩურჩულით ვკითხე. თვითონაც ვერ ვიცანი საკუთარი ხმა. — იქნებ თვითონ სურდა?

არაფერი მიპასუხა. შორს იმზირებოდა სადღაც. იქნებ არც მიკითხია და გულში გავიფიქრე მხოლოდ? ვინ იცის...

ველოდი. ვიცოდი, კიდევ ჰქონდა სათქმელი სულხანს.

პლაჟზე განმარტოებით მოვნახეთ ადგილი და მოვკალათდით. ნელა ირწეოდა საღამოს ზღვა, მენამული დისკო ჰორიზონტზე გაღვრილიყო. მობანავეებს ენანებოდათ წყლიდან ამოსვლა. სიგარეტის კოლოფი ამოვიღე და გავუწოდე. თავი გააქნია, არც მე ვიყავი მონევის ხასიათზე.

ერთხანს ვდუმდით.

ველოდი. ვიცოდი, კიდევ ჰქონდა სათქმელი სულხანს.

— შარშანწინ ვიქორწინეთ.

გულში მწარე ჩხვლეტა ვიგრძენი.

— შენ... იცდიდი? უცდიდი, რომ... იცოდი, სულხან?!.. — უცებ შევჩერდი. ტუჩზე ვიკბინე. „უნდა მიმელოცა, მე კი...“

— საიდან? ან რა უნდა მცოდნოდა? თუ-მცა... კი, ვგრძნობდი რაღაცას, — უცებ აუწია ხმას, — ვგრძნობდი, ჰო, ვგრძნობდი, კარლო! მე ჟუჟუნა მიყვარდა. არც მე შემეძლო... არც მე შემიძლია უსიყვარულოდ! ან ჟუჟუნა, ან არავინ. ასე იყო თავიდან. ჯერ კიდევ იმ... იმ დაწყევლილი კონფერენციიდან!..

— როგორ ცხოვრობთ?

— ა? — უცებ მკითხა. დაბნეულად გაიღიმა.

ნეტავ არ დამენახა ის ღიმილი.

— ვცხოვრობთ. ოღონდ... მარტო რომ დარჩება, არიებს ღიღინებს... ხელი ჩაიქნია, — თითო ხომ არ მოგვექაჩა, ჩარლი?..

„ზებურა“

ღამის 11 საათი იქნებოდა, ჩემს მოხუც მასპინძლებს რომ გამოვემშვიდობე. ეზოში გამოვედი. ვარსკვლავებით მოჭიქული ზეცა გადმომხობოდა სირცეში აზიდულ მთებს. სასიამოვნო, ოდნავ ურუნატელის მომგვრელი, ნიავი ქროდა. ხეობიდან მდინარე მაჭახელას ჩხრიალი ისმოდა...

— დიდი გზა გაქ წინ, დარჩენილიყავ. ამხელა სახლში კიდო ერთი კაცისთვის გამოინახება ადგილი.

— მადლობთ, უნდა ნავიდე.

— მე არ მიჯერის, შენ თხოვე, ნიგარ, დედაშვილურად თხოვე.

დედაბერი მომიახლოვდა. მხარზე მეამბორა.

— არა, ნენი, ნუ მთხოვთ, — ხელზე ვაკოცე, — ვერ დავრჩები. ოცდაშვიდი წელია, სხვაგან აღარ გამითევია ღამე.

— მანამდე? — მკითხა ბერიკაცმა.

— მანამდე... უცოლშვილო ვიყავი, ბაბუ. ხვალე, დილიდან გადაუდებელი საქმეები მელოდება.

— ჰო-ო? რაღა გვეთქმის. — მომეხვია და ყურში ჩამჩურჩულა, — თუ გინდა, ჩემი და ნიგარის ამბავიც შეიტანე წიგნში... არ გვეწყინება. ცოლს მიუბრუნდა უცებ, — აბა, ახლა, გზა დავულოცოთ ჩვენს სტუმარს, ქალო.

მანქანაში ჩავჯექი, ხელი დაუქნიე მოხუცებს და ფარები ჩავრთე. ეზოდან ნელა გავედი და სოფლის გზით დავეშვი.

მაჭახლის ხეობაში პირველად არ ვიყავი, მაგრამ დღემდე ზედა ჩხუტუნეთში არასდროს ავსულვარ.

ჩვევა მაქვს ასეთი, როცა ახალი ნოველის დაწერის სურვილი შემომენთება, მთის სოფლებში გავემგზავრები ხოლმე. ამჯერადაც ასე იყო.

„ვინ თქვა, მხოლოდ თოფიაო მაჭახელა, მდინარეა, უპირველეს ყოვლის“, — გამახსენდა ერთი იქაური პოეტის სტრიქონები და ანგარიშმიუცემლად გადავუხვიე მაჭახლის ხეობისაკენ.

ბევრი ვიარე თუ ცოტა, უკან მოვიტოვე სოფლები ქედქედი, სინკიეთი, აღმართი, სკურდიდი, ცხემლნარა, ჩიქუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი... გზა სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა, მეც მივყვებოდი. ზეცას ვუახლოვდებიმეთქი, ასე მეგონა. სულ უფრო და უფრო მომწონდა ეს მგზავრობა. რასაკვირველია, აქამდე როგორ არ წამოვედი აქით.

ბექობზე ავვარდი. აქედან გზა დაბლა ეშვებოდა და სოფელში შედიოდა. პატარა იყო სოფელი. მთის ფერდობს მიჭუჭკნულიყო სახლები. მანქანა გავაჩერე. ბილიკზე მოხუცი შევნიშნე. ჩემსკენ მოდიოდა, ტანმაღალი იყო, მხრებში ოდნავ მოხრილი, ბერიკაცისათვის საკმაოდ თამამად მოაბიჯებდა.

შუბლზე ხელი მოიჩრდილა და შემათვალიერა. კბოდე ჩამოიარა და შორიახლოს გაჩერდა.

— მშვიდობა შენს მოსვლას, — მორიდებით მითხრა, — სტუმარი იქნები.

— კი, სტუმარი ვარ. ეს სოფელი?

— არ იცი?! იმე, ზედა ჩხუტუნეთია, ბაბავ და შვილო.

— რა ლამაზ მითხარ ბაბავ?

— რა?

— ეს „ბაბავ და შვილო“.

— სოფელში ჩემი სახელი არც კი ახსოვთ. ჰჰ-ი!.. „ბაბავ და შვილოს“ მეძახიან. დიდი ხნის

ნინ ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვიყავი. კაი დრო იყო მაშინ, კაი. ერთხელ რაიკომის მდივანი გვეწვია... შენი სახელი, შვილო? – უცებ ჩაურთო.

მე ვუთხარი.

– რა საქმემ ამოგიყვანა?

– ისე... გულმა გამომინია.

– ჰოდა, იმას გეუბნებოდი, რაიკომის მდივანი გვეწვია-მეთქი. კაი კაცი იყო, მარა მკაცრი. მკაცრი – უუჰ! მისი ბრალი არ იყო, ბაბავ და შვილო, დრო იყო ისეთი. კანტორაში შემოვიდა. რასაკვირველია, ფეხზე დავდექით ყველა. ხელი ჩამომართვა – გამარჯობა შენი, ბაბავ და შვილო, მითხრა. იქაც, რაიონშიც იცოდნენ ჩემი მეტსახელი, ჰი-ჰიი!.. თავი ხომ არ შეგაწყინე?

– როგორ გეკადრებათ.

– უბრალო კაცი არნა იყო.

– უბრალო ვარ.

– რას საქმიანობ?

– წიგნებს ვწერ.

– მწერალი?

– დიახ.

– შენზე დიდი კაცი არ მეგულება ქვეყანაზე. მწერალზე მაღლა ღმერთია, ბაბავ და შვილო. ამიტომაც შემოქმედს უწოდებენ ორივეს.

– რა კარგად საუბრობთ, ბაბუ. უკაცრავად, რამდენი წლის ბრძანდებით?

წვერი შეიფხანა.

– ოთხმოცდაათს ვუკაკუნებ. აქამდე კარგად ვგრძნობდი თავს. ეს რამდენიმე თვეა, სისუსტე შემომეპარა მუხლებში. დოხტურთან ჯერ არ ვყოფილვარ, დიმიჯერეფ? ე კბილები შენ ხელოვნური არ გეგონოს.

– მშურს თქვენი.

– ქალი დამიბერდა, თვარა მე ჯერ კიდო... ჰე-ჰე-ი! – ზედა ჩხუტუნეთი მოგწონს?

– ძალიან ლამაზია. ზღაპარივით. ზამთარი მკაცრი იქნება.

– კი, მარა შევეჩვიეთ. ჩვენი ცხოვრებაა ეს. მე ჯიმშერი მქვია. გვარად ნაფერვაძე გახლავართ. ე, ჩემი სახლი. ეზოში რომ დედაბერი დაცუქცუქობს, ჩემი ცოლია. უარს ნუ გვეტყვი, გვეწვიე მოხუცებს.

თავპატიჟი არ დამიწყია. ის დღე მათ ოჯახში გავატარე: ახლა სახლში ვბრუნდებოდი. მაგნიტოფონი ჩავრთე. ვერც ერთი სიმღერა ვერ მოერგო ჩემს განწყობილებას. გამოვრთე. უნებურად დიქტოფონი მოვძებნე. ჩავრთე. რაც იმ საღამოს ფირზე ჩავიწერე, იმას გადმოგცემთ. არც არაფერი მომიმატებია, არც მომიკლია.

– მე და ჩემი ოჯახობა რომ დავქორწინდით, ის თოთხმეტისა იყო, მე – ჩვიდმეტის.

– რამდენი შვილი გყავთ?

– შვიდი... გვყავდა. ამ სამი წლის წინ ერთი – ჰჰ!.. წეიყვანა გამჩენმა. თანაც ყველაზე უმცროსი. ამ ოჯახის ფუძე და ძირ-ჩემი ზებურაი.

– სამწუხაროა.

– ერთი ბიჭი დარჩა. ახლა იგია ჩემი იმედი.

– რამდენი წლისაა?

– თვრამეტის. ლექსო ჰქვია. მამის საქმეს გაყვა. კაი ვაჟკაცი იყო, კაი. ზებურაზე ვამბობ. შეხედავდი და, ერთი ჩვეულებრივი კაცი იყო, არც მაღალი, არც დაბალი. არც ლამაზი, არც ბეთი. თავი დიდი ჰქონდა ჩემს ზებურას. ბუჩქა თმებით დაფარული. ბურჯგალივით ჰქონდა თმები, წარბებიც, ულვაშებიც, ჭო, ულვაშებიც ბურჯგალივით ჰქონდა. თანაც, წითური. თმა მუქი, წარბები მუქი, ულვაშები წითური. მზე რომ შეანათებდა ჩემს ზებურას, წითლად აბრიალდებოდა მისი ულვაშები. შვილებში ერთადერთი იყო ასეთი – ბუჩქათმიანი და ულალულვაშიანი. ქალიშვილები... ერთი ქალაქში გათხოვდა. ერთიც მეზობელ სოფელში. ბიჭები გარიგდნენ. ერთი ბათომში ცხოვრობს. სკოლის დირექტორად მუშაობს. ძაალვან დაფასებული კაცია. ორი აქვეა, ჩვენს სოფელში. ზებურის ვაჟი – ლექსო ჩვენთანაა, უფრო სწორედ, ჩვენ ვართ მასთან. გვივლის მოხუცებს. კაი ბიჭია, ენაცვალოს ბაბუ.

– თქვენს ვაჟს რა მოუვიდა?

– გულმა უმტყუნა. მეტი გულიანი კაცი იყო და უმტყუნა გულმა. აჰა, მოვედით კიდევაც. ნიგარ! ნი-გარ, ქალო, გამოიხედე გარეთ! ნახე, რა სტუმარი გვყავს, პირდაპირ გზიდან მოვიტაცე... ჰჰ-ე, ჰჰ-ე!

– გამარჯობა, შვილო... მობრძანდი, მობრძანდი.

– გმადლობთ, ქალბატონო, ნუ შეწუხდებით.

– ამას რომ უყურებ, ბაბავ და შვილო, ჩემ ქალს რომ უყურებ-მეთქი, სამოცდაათი წლის წინ მთელს ამ ხეობას ანათებდა სილამაზით.

– ახლაც კარგად გამოიყურება, ჯიმშერ ბაბუ.

– მართალს ამბობ? არ მატყუებ, შვილო?.. ჩემს თვალში ისევ ის ნიგარია. თითქოს ცოტა შეიცვალა, მაგრამ მაინც ისაა.

– რომ შევხედე, ჯიმშერს რომ შევხედე პირველად, კინაღამ მუხლები მომეკვეთა. იმითანაი ახალგაზრდა ჯერ არსად მენახა. მაღალი, თმები კუჭკუჭ-კუჭკუჭაი. თეთრი-თეთრი კბილები. მაშინ მეც კაი ტუჩ-კბილი მქონდა. მარა... ახლა... ამას, ჩემი მადლით სავსეს, ერთიც არ აკლია ერ-თიც. შენ გეყურბანევ, ჯიმშერ?

– კაი, ქალო, კაი, რავა ახალგაზრდასავით ცუნცრუკობ. ე კაცი მწერალია და გამოგვაჭენებს წიგნებში.

– იიმე, წამომცდა რამე იმფერი?

— არაფერი, ნენი, არაფერი. სიყვარულით დაქორწინდით?

— ჰი-ჰი-ჰიი!..

— რატომ იცინით?

— ნიგარი ქორწილდღეს დევნახე პირველად. ასე იყო მაშინ, გოგოს რომ ბიჭი შეყვარებოდა და სოფელს გიეგო... თავის მოჭრა იყო. ოჯახის, მთელი ნათესაობის თავმოჭრა იყო, ბაბავ და შვილო.

— რატომ, ბაბუ, რატომ?

— იიმეჰ! ბოზიაო, იტყოდნენ. მარა, როგორც კი დევნახე ჩემი ნიგარი, მაშინვე შემიყვარდა.

— მეც შემიყვარდი, ჯიმშერ.

— ახლაც მიყვარხარ.

— მეც.

— ერთამანეთს რომ შევხედეთ... თუ გინდა, დაგვწერე ასე იმ შენს წიგნებში... ერთმანეთს რომ შევხედეთ, მივხვდით, რომ ზეცა გეიხსნა ჩვენთვის. მზე, მთვარე და ვარსკვლავები დაბლა ჩამოვიდნენ... არა, ამის თქმა შეუძლებელია... სადილობის დრო მოსულა, ქალო, წადი, მიხედე შენს საქმეს. ჩვენ აგერ, კაკლის ჩეროში ჩამოვჯდებით. აქვე გაგვიშალე სუფრა.

— მივდივარ, შენ სტუმარი არ მოაწყინო.

— მისი დიდი ცისფერი თვალების შემონათებას ახლაც ვხედავ... რა დევნახე მე იმ თვალებში, თქმა არ შემიძლია.

— მესმის.

— ტყვილს მებნევი. არ გესმის, არც შეიძლება გესმოდეს.

— რატომ?

— იმიტომ რომ იმ დროში არ გიცხოვრია. შენ სიყვარულით დაქორწინდი?

— კი, ბაბუ.

— კარქათ იცნობდით ერთმანეთს?

— ძალიან კარგად.

— მეზობლებმა, ახლობლებმა...

— კი, თანამშრომლებმაც იცოდნენ.

— იმფერიაო... უკაცრავად ნათქვამია და, მაგის გამო, იმფერიაო, თქვა ვინმემ?

— როგორ გეკადრებათ!

— ამიტომაც ვერ მიხდები, ბაბავ და შვილო. შენი გოგოის თვალები სხვას გებნეოდნენ მაშინ, ჩემისა — სხვას. ჩვიდმეტისა კი ვიყავი, მარა... კაცი ვიყავი, კა-ცი! ახლანდელ ჩვიდმეტწლისანებს რომ ვუყურებ... ამათი დაქორწინება რაფერ შეიძლება. ბაღნებია. მარტო თუთუნს ეწევიან, მაგით კაცობა არ მოვა. მე, მაგალითად, არასდროს მომიწევია, მარა კაცი ვიყავი და ვარ. ჩემმა ზებურამ მომტეხა ცოტა. ნიგარს რომ უყურებ, ჩემს დედაბერს, მე მჯობია კიდევ. ჭირში ჩემზე მეტი ვაშკაცია.

— ახლა ერთ ამბავს გეტყვი, მარა, სიტყვა მომეცი, ჩვენს შორის დარჩება.

— გპირდები, ბაბუ.

— ნიგართან არ გამცე, ფვარა... სახლში არ შემიშვებს.

— სხვა ქალთანაც ხომ-არ...

— არა, აჰ! ოთხმოცდაათს მოვიყრი აგერ... ჩემი ნიგარის გარდა არავინ ვიცი... მარაა, ვატყობ, დიმიბერდა. ჰი-ჰიიი... ჰოდა, იმას ვამბობდი... ჩვენი ახალგაზრდობის ამბავს. ქორწილღამეს... ოთახში რომ შევედი, ნიგარი, ლოგინში დამხვდა. წესი იყო, ჯერ ქალს ჩააწვენდნენ, მერე ნეფე უნდა შესულიყო. ჰოდა, წევს ჩემი ნიგარი. თავზე საბანი აქვს წაფარებული. ჩამძვრალია ლოგინში. მეც ჩავძვერი. ასე ჩამძვრალები ვხლაფორთობდით გათენებამდე. ალუინზე, ო-ოდნავ რომ შეჭირხვალდა ზეცა, წამოხტა ნიგარი და გავარდა ოთახიდან. მეც გავვარდი. იგი ცალკე იმალებოდა, მე — ცალკე. გვრცხვენოდა, ჭო, შინაურების და ერთმანეთის გვრცხვენოდა. ეეჰ, ჯეილობავ, ჯეილობავ!..

დილიდან მეზობელ-ნათესავებმა ისევ დეიწყეს თავმოყრა. წესი იყო, პატარძალს უნდა გაეცნო ახლობლები. ჩახუტებით უნდა გაეცნო. ასეთი წესი იყო. ჰო-ოდა, ჩამწკრივდნენ, ჩემო ბატონო... აგიო, ებნევიან, შენი დიდი დედამთილ-მამამთილიაო, აგი — პაწაი დედამთილ-მამამთილიო, აგინი ესაა, იგინი ისაა... ესენი შენი მაზლებია-აა... ჰოო-და უცებ გავარდა სიცილი. იცინიან, მარა რას იცინიან, ბაბავ და შვილო. იფხრიწებიან სიცილით.

— რა აცინებდათ?

— იმ... ჰი-ჰი-ჰიი... იმის მაზლებში მეც ვიდექი...

— მერე?

— ჩემეხუტა. მაზლი ვეგონე და ჩემეხუტა. ჰი-ჰიი... რომ მიხვდა... ყოლიფერს რომ მიხვდა, მოშპა და გეიქცა. ოთახში შევარდა, კუჩხეში მიიბლუნძა და ტირილი დეიწყო. მითხრეს, წადიო, ცოდვაა, დააწყნარე. მიჯინქვეს, მიჯინქვეს და შემაგდეს ოთახში. საღამომდე არ გამოვსულვართ... ვაწყნარებდი, სიტყვა რომ მომეცი, არ დაგავიწყდეს, ბაბავ და შვილო.

— სიტყვა სიტყვაა, ბაბუ. კარგი სახლი გაქვთ. ადგილიც კარგი შეგირჩევიათ. ხევს გადაჰყურებს. წყარო პირდაპირ ეზოში მოჩუხჩუხებს.

— იცი, რა წყალია?! აბესალომ მეფეს რომ სცოდნოდა, უკვდავების წყლის მოსატანად მურმანს ცხრანყაროში კი არა, აქ, ჩხუტუნეთში გამოგზავნიდა.

— უუჰ! მართლა უკვდავების ყოფილა.

— ამიტომაც ვარ ასე კაჟივით.

— მე კი მალე ორმოცდაათი შემისრულდება და... კაჟივით ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი.

— იმე, მეგ რა მითხარ! შენი ხნის ბაღანასთან ავადმყოფობას რა უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რა ვიცი, ასეა და...

– ძალიან ნაკითხობამ იცის მაგი.

– რას იზამ, ყველას თავისი გზა აქვს გასავლელი.

– ვიცი, ბაბავ და შვილო. ჩემი ზებურაიც მასეთი იყო. ამიტომაც უმტყუნა გულმა. გამორჩეული შვილებშიც, სოფელშიც... ძალვან ნაკითხ-ნასნავლი კაცი იყო. საარტისტო ინსტიტუტი დაამთავრა თბილისში. ნიჭი ჰქონდაააა... დიდი მსახიობი დადგებოდა, დიდი. იქაურმა თეატრებმა სთხოვეს, დარჩიო. ამან – არაო. კაცო, ეუბნებიან, დარჩი და ხელის გულზე გატარებთო. ხელფასსაც რამდენიც გინდა იმდენს მოგცემთო, ამან – არაო. ჯიუტი იყო ძალვან. უჯიაკზე – უჯიაკი. სად თბილისი და სად შენი ჩხუტუნეთიო, ეუბნებიან. მაინც, არაო, ზებურამ. ახლა, ბათუმის თეატრმა? რამდენჯერ, რამ-დენ-ჯერ!

– ჰო-ო?! ჰმ... ჰმ...

– რატომ იცინი განზე, გგონია, გატყუებ?

– არა. ეგ რა სათქმელია.

– ახლა დიმიყურე, რაფერ უპასუხა ზებურამ, კარქათ დიმიყურე... ჩემი სოფლის ღელე-ღურდანი მეძახისო. იტყოდი ასე შენ?

– ალბათ, ვერა.

– „მთები – ატეხილი, ჩანჩქერების შხეფი, გზები – დაგრეხილი, სულის უცხო ენებით, ცა – კრიალა, სადღაც ღრუბლის ერთი ფთილა. მწვერვალების თავზე ისიც მიგრეხილა“ – მოგწონს?

– ძალიან?

– მისი გამოთქმულია.

– პოეტიც იყო?

– ეგ არ ვიცი. მისი ლექსები ხალხშია გასული. მეტი იბრეთი კაცი იყო, ძნელად გასაგები. გეიმწარა თავი და ჩვენც გაგვამწარა.

– ნიჭიერი კაცის ხვედრი ასეთია უმეტესად.

– ნეტავი დარჩენილიყო თბილისში, ცოცხალი იქნებოდა მაინც. ოჯახიც არ აერეოდა.

– აბა, გამორჩეული იყოო. თანაც ლექსები...

– კი, სხვებისთვის იყო. მარა პანაი საკუთარი თავისთვისაცაა საჭირო. ოჯახისთვისაცაა საჭირო, ბაბავ და შვილო... ნიგოზი რომ გამოგვიტანე, ჩემო ნიგარ, მეტი კაი ქენი, მარა... სადილს გვიგვიანებ ძალიან.

– მალე იქნება მზად, აგერ თაფლიც მიატანეთ, უხდება ნიგოზს.

– შენი მუხლების სისუსტეს წაადგება, ბაბავ და შვილო, ჰი-ჰიი!..

– ხანდახან ბეჩი ხუმრობა იცის ამ ჩემმა კაცმა, მარა ნუ გეწყინება, შვილო.

– არა, ნენი, არ მწყინს. უჰ, მართლაც კარგი თაფლია!

– ლექსოს ნახელავია.

– ჰო, მართლა. სად არის ახლა?

– ბათუმში წავიდა, საქმეებზე. ამალამ ბიძამისთან დარჩება. ესე იგი ლექსი მოგწონს?

– მომეწონა.

– მე მგონია, ჩვენი ხეობისთვის აქვს ფასი, თვარა იმის იქით ვის დაინტერესებს. წიგნებს ჩვენც ვკითხულობთ და რაცხა-რაცხას ვხვდებით.

– წეღან რომ წამიკითხეთ, მართლა მომეწონა, ტყუილი არ მჩვევია, ბაბუ.

– მისი ბრალი იყო, მისი... ყოოო-ლისფერი მისი ბრალი იყო... რასაც ნახავდა, სამსახურში მიჰქონდა, კულტურის სახლი ხომ ააშენა და ააშენა, მერე მუზეუმის დაარსებას მიჰყო ხელი. სახლი კი ენგრეოდა თავზე. საკუთარი სახლი-მეთქი. ისევ სოფელი დაგვეხმარა. კაი ხალხს სოფელში რა გამოლევს, შვილო. შენ მუზეუმს მიხედე, ჩვენ შენს ოჯახს მივხედავთო. კაცი სოფლითაა, ბაბავ და შვილო. მუზეუმი ძველ ჯამეში გახსნა. თეელი ხელფასი იქ მიქონდა. რაც ჩვენს ხეობასთან იყო დაკავშირებული – დოკუმენტები. ხელნაწერები, წიგნები, თოფები, ხმლები, ხანჯლები, ჯამ-ჭურჭელი, ყიდულობდა და მოჰქონდა და მოჰქონდა. ე ყოლიფერი კარგია, მარა ოჯახიც სათქმელია, ბაბავ და შვილო. თავისი წესი და რიგი აქვს ოჯახს. ეს – მოსულიყო, წასულიყო, შინაურ-გარეულიო, ნათესავ-მეზობელიო, ყოლისფერი სათქმელია.

– გეთანხმებით, მაგრამ...

– ცოლი სიყვარულით მოიყვანა. ერთმანეთზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე. მარა ზებურაის სიყვარული მაინც სხვა იყო. სხვანაირი, სხვა სითბო ჰქონდა ჩაღვრილი. ნაღვლიანი სითბო. ზოგჯერ, თავისუფალ დროს, დაჯდებოდა და უყურებდა ცოლს. მერე უცებ ლექსს მიადევნებდა, იქვე გამოთქმულს. თანაც სიმღერით ეტყოდა. სიმღერასაც იქვე დააწყობდა. „მოგცილდები და, მი-ინდა, ფიქრეებით შენთან ვი-იყოო, არ გაქრე, რო-გორც ზღაპარი – „იყო და აღარ ი იყო...“ იმას ჯერ მოსწონდა ქმრის ლექსები, სიმღერები, ლამაზ-ლამაზი სიტყვები... ვისარ მოეწონება, ბაბავ და შვილო, ვის... მარა ცხოვრებაში არაფერია მუდმივი.

– მალე აირია ყველაფერი.

– გაცილდნენ?

– რასაც ოჯახში და კარში აკეთებდა – მისი სამყარო იყო. სხვანაირად არ შეეძლო, ვერც ხვდებოდა, რას ითხოვდნენ მისგან. ქვეყნის საქმისთვინ დაბადებული კაცი იყო ზებური. ქალი არნა მოეყვანა მარა... მოიყვანა, თანაც ისე უყვარდა, ისე!... გასაგებად თუ ვამბობ, შვილო?

– მ-გონი კი...

– ერთხელ ქურდები დაეცნენ მუზეუმს. ქვეყანა არეული იყო მაშინ, თვარა ადრე მაგას ვინ გაბედავდა. სამოქალაქო ომში იყო

გახვეული თეელი საქართველო... იმიტომაც გაბედეს. ოქრო-ვერცხლით შეჭედილი ხმალ-ხანჯლებისა და თოფების მოპარვა უნდოდათ. მოპარვა კი არა, ბანდიტურად წაღება. დღისით, მზისით. ადრე ჩვენს მუზეუმში სტუმრები ხშირად ამოდიოდნენ – რაიონებიდან, ჩემო ბატონო, ქალაქებიდან. მერე შეწყდა. ჩვენ, აქაურებმა, ისედაც ზეპირად ვიცოდით ჩვენი მუზეუმის კუთხე-კუნჭული. აღარავინ შედიოდა მუზეუმში. ზებურაი კი იქ იყო გათენებიდან დაღამებამდე. მალე დაეწყობა ქვეყანა, ძალვან მალე და მუზეუმი მზად უნდა იყოსო, ამბობდა. ჰოდა, ერთ დღეს დაადგნენ თავს ზებურას. სამი ახალგაზრდა იყო. ტროყი-ტროყი ბიჭები. დანები აქეთ-იქედან მიაჭიერს: გააღე ი განყოფილებაო, თავის რკინისკარიან ოთახზე ანიშნეს.

ვერაო, – ზებურამ.

ოჰო, რატომა?

გასაღები შინ დავტოვე და იმიტომაო.

წადი და მოიტანე.

რას ამბობ! – გააწყვეტინა ერთმა მეორეს, – მაგი რომ წავიდეს, მთელ სოფელს დაგვაყენებს თავზეო.

ჰოო, ეგ არ მიფიქრიაო, იმანაც.

მოკლედ, როგორც გინდაო, ზებურას ეუბნებიან, გაგვიღეო. თვითონ შეძვერი კლიტეში, გადაბრუნდ-გადმობრუნდი და გაგვიღეო. ვერ შევძვრებიო, ზებურამ, მაგერ კარი და აგერ თქვენ, შეძვერით, გადაბრუნდ-გადმობრუნდით და გააღეთო.

შეფიქრიანდნენ.

ცულით და წერაქვით თუ შეანგრევდნენ კედლებს, თორემ ისე ვერაფერს უზამდნენ.

ვინმეს დააბარე გასაღებიო, ეუბნებიან.

თვითონ დააბარეთო, პასუხობს.

მოგკლავთ, შენი დედაო!.. – ისინი.

მომკალით, თქვენი დედაო!... – ზებურაიც.

მომისმინე, ბიძაჩემო, – ეუბნება ერთი, ჩანს მეთაური უნდა ყოფილიყო, – წავიღებთ იმ შენს ექსპონატებს, გავყიდით და ნახევარი – შენ, ნახევარი – ჩვენო.

მაგ ჭკუის რომ ვყოფილიყავი, ბიძიკოებო, მუზეუმს ვერ დავაარსებდიო, – პასუხობს ზებურაი. – აქ რაც არის, ჩემი და ჩემი სოფლელების მოპოვებულ-შეძენილია. ახლა მეუბნებით, გავყიდით და ნახევარი შენ, ნახევარი ჩვენო. კაცო, ეგ რომ მდომებოდა, მთლიან ფასს მივცემდიო?

აბა, რა ვქნათ, ჩვენ წავიღოთ, გავყიდოთ და თეელი ფარა შენ მოგცეთო?

არაფერიც არ მინდაო, – პასუხობს ზებურაი, – წადით აქედან და პირობას გაძლევთ, არ გაგთქვამთო.

გავასაღოთ, – ერთმანეთს ეუბნებიან, – აქვეო, თავისივე მუზეუმშიო.

ჩვენ აქ კაცის მოსაკლავად მოვედით თუ ხელის მოსათბობად? – არ ეთანხმება მათ ერთი.

აჰა, მოითბე. არ გიღებს იმ დასაწვავ კარს და რას იზამ! – ბრაზობს მეორე.

დასაწვავიო, ასე არ თქვი? – აწყვეტინებს მესამე, – თუ დასაწვავია, დავწვათ. ცეცხლს მივცეთ აქაურობაო, – წინადადებას იძლევა პირველი.

ამას რაღა ვუყოთ? თითით ზებურაზე ანიშნებს.

რა, ცეცხლგამძლეა მაგი თუ? – ღრეჭით პასუხობს მეორე.

მოეწონათ ეს ხუმრობა. ისე მოეწონათ, რომ ერთ ხანს გემრიელად იქირქილეს. მერე სავარძელზე დასვეს ზებურაი. პირში თავიანთი ბინძურ-ბინძური ცხვირსახოცები ჩაჩარეს, საზურგეზე მიაკრეს და, ესეც ასეო! – კმაყოფილებით მოიფშვნიტეს ხელები. მერე სანთებელებს თავები წააძვრეს და კედლებზე მიასხურ-მოასხურეს ბენზინი. ერთმა ზებურას თავზეც დაასხა. თან სიცილით დააყოლა, – კაი დუხია. ძალვან მუუხდება შენს დაქურცხულ თმებსო.

უცებ მანქანის ხმა მოისმა. ზებურაი მიხდა, აქეთ მოდიოდა მანქანა და გული მიეცა. ნეტაი ვინ უნდა იყოსო, გაიფიქრა. ვინ გამომიგზავნა ღმერთმაო.

თავს ვუშველოთო, იყვირეს ქურდებმა და კარში გაცვივდნენ.

მალე ხუთი კაცი შემოვიდა ზალაში.

ეს რა უქნიათო, – ამბობენ, – კაცი სავარძელზე მიუბმიათო. კარგ დროს მოვედით, თორემ მთელ მუზეუმს გადაბუგავდენო, უხხ. მაგათიო! – გაქცეულებზე იგინებიან.

პირიდან ცხვირსახოცები გამოაცალეს ზებურას. ხელები გაუხსნეს.

გმადლობთ, მეგობრებო, – ამბობს ზებურაი, – ერთი-ორი წუთით გვიან რომ მოსულიყავით...

არაფერსო, ეგ ჩვენი მოვალეობა იყოვო, – პასუხობენ.

საქართველო საფრთხის წინაშე დგას. თან ნაღვლიანად, თან ბრტყელ-ბრტყელად ამბობს ერთი. ჩვენ თავდაუზოგავად ვებრძვით შინაურ და გარეშე მტრებსო.

ვინ, თქვენ? – ეკითხება ზებურაი.

როგორ თუ ვინ! – გაკვირვებას ვერ ფარავს იგი, ჩანს, მეთაური უნდა იყოს. თან ნაწყენია, სათქმელი რომ გააწყვეტინეს. – როგორ თუ ვინ! რასაკვირველია, გვარდია. ჩვენ გვარდიელები ვართ.

მერე? – ზებურას ცალი წარბი უთამაშებს.

რაღა მერე, თქვენ უნიკალური ნივთები გქონიათ. ჩაგვაბარეთ. ყველაფერს კანონიერად გავაფორმებთ. ხელს მოგიწერთ, ბეჭედს დაგირტყამთ და დაგიტოვებთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ექსპონატების ნაცვლად მაი თქვენი საბუთი ჩაამოვკიდო? – ეკითხება ზებურაი.

როგორ გვიბედავ და მასხრად გვიგდებ! – უყვირიან და ცხვირწინ რევოლვერებს უტრიალებენ, – ჩვენ რომ არა, ახლა გადამწვარ-გადაბუგული იქნებოდი შენს მუზეუმთან ერთად. ძვლებიც არ დარჩებოდა შენიო.

აჰა! – ხელებს უშვერს ზებურაი, შემიკარით და წამიკიდეთ ცეცხლიო. თქვენ იმ ქურდებზე უარესები ხართო.

მარტო მუზეუმს არა, მთელს სოფელს გადავწვავთო! – ემუქრებიან.

აკი ქვეყანა უნდა გადავარჩინოთო? – ნამუსზე აგდებს ზებურაი, – მუზეუმების დაყაჩაღებით გადარჩენილი ქვეყანა არ გამიგონიაო.

მაგის ლაყბობას ვუსმინოთ?! გავუხვრიტოთ თავი! – ამბობს ერთი.

ჯერ კარი გავაღებინოთ და მერე, – პასუხობს მეორე.

გასაღები სახლში დავტოვე, – ეუბნება ზებურაი.

რად გვინდა გასაღები, საკეტს ტყვიას დავახლი და მორჩა, კარიც გაიღება, – ამბობს მათი მეთაური.

მართლაცდა, აქამდე როგორ ვერ ვიაზრეთო, – პასუხობენ სხვები.

ნუ იზამთ მაგას, – ხელებში ეცა ზებურაი, – ცოდვიან საქმეს ნუ იზამთო, ეხვეწება.

იქით, შენი!... – ერთ-ერთმა სახეში გაუშალა მჯიღი და კუთხეში მიაგდო, მეორემ ტყვია დაახალა საკეტს.

კარი ჭრიალით გაიღო. ერთხანს გაოგნებული იდგნენ.

იქ... არაფერია... – ამბობენ, – არაფერია იქ...

იმიტომ რომ გადავმალე, – პასუხობს ზებურაი, – ვიცოდი, რომ ერთ დღეს თქვენისთანა ბანდიტები დამადგებოდნენ თავს და წინასწარ გადავმალეო, – ამბობს და თან იცინის მისებური გემრიელი სიცილით. გავარდნენ სხვა ოთახებში. სხვეხი და სარდაფები გადაქექ-გადაჩხრიკეს, თავდაყირა დააყენეს მთელი მუზეუმი, მათთვის საჭირო ვერაფერი ნახეს.

ისევ ზებურას მიადგნენ და ჩექმებით სცემეს. ცემდნენ და ცემდნენ. ბოლოს იფიქრეს, მიაბარა გამჩენს სულიო და დატოვეს.

სახლში მოსვლა რომ შეაგვიანდა, მუზეუმში მიაკითხა ბიჭმა. მისიკვდილებული მოიტანეს.

რამდენიმე დღეს არ იყო გრძნობაზე, მერე მომჯობინდა თანდათან.

– რატომ მაშინვე არ უთხრა იმ ქურდებს და გვარდიელ ბანდიტებს, რომ ექსპონატები გადამალა?

– ამითანაი ხასიათი ჰქონდა... ძალვან, იბრეთი, ძალვან.

– არ მესმის.

– აკი გითხარ, ზებურაი დიდი არტისტი იყო-მეთქი. შენ კი არ დამიჯერე. ვიცი, არ დამიჯერე. ის მაშინ... რალაც როლს თამაშობდა, გჯერა? ფეხებზე ეკიდა საკუთარი სიცოცხლე. მთავარი ახლა ი მისი როლი იყო...

– ჰოო, ეგ შეიძლება... გამბედავი ყოფილა თქვენი ზებური. მითხარით კიდევ მისი ლექსი.

– „დილის რიჟრაჟს მზემ უჩინა პირი, დანამული ბალახები ბზინავს, ყვავილებში ვხედავ მე შენს ღიმილს, დარდისა და სიხარულის წვიმად. ტყემლის ყვავილს გაუშლია ფრთები, მწვანე მოლზე ფანტელებად ცვივა, გზები... გზები... დაკარგული გზები. სად წავიდე, უშენობით მცივა. ო, უთქმელი სიმღერებით გვიან კლდეზე ხმება უწყალობით ფიჭვი, ნუთუ გრძნობას სიყვარული ჰქვია, რასაც ვერსად, ვერავისთან იტყვი!"

– კარგი სიტყვებია, ბაბუა ჯიმშერ.

– იმ შემთხვევიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ მისმა ცოლმა დაჰკრა ფეხი და... სხვას გაჰყვა.

– რას მეუბნებით!

– ახლაც იქაა. სხვა სოფელში. მთელი ხეობა განუდგა იმ ქალს. ძმებმაც ამოიგდეს გულიდან, ნათესავებმაც... მთელმა სოფელმა.

– ლექსომ?

– იმანაც, ყველამ, ყვე-ლამ! გარდა...

– ზებურისა?

– ჰო, გარდა ზებურისა. „გადის დღეები, კვლავ გაივლის მრავალი ხანი, თუმცა შენს ხსოვნას დავიწყებას მივცემ – არ მჯერა. ამ ლამაზ გზაზე ძვირფასია ყოველი წამი, მაგრამ დაკარგულს ვერ ვუნოდებ შენზე სიმღერას"...

აქ მთავრდებოდა ჩანაწერი.

გზის გაგრძელება ვეღარ შევძელი. მდინარის პირას გავაჩერე მანქანა. შუქფარები ჩართული დავტოვე. გამოვედი, ფრთხილად ჩავიარე დამრეცი და ქვაზე ჩამოვჯექი.

ტანმაღალი ხეების გვირაბში მოჩხრიალებდა მაჭახელა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ხუნდაძე

ალზევება

მზის გაელვება, ალზევების მხურვალე წამი, —
არ ვიცი, ამას ალიქვამენ ვით ჩვენი ძმები,
სწორად გამიგეთ, მე არ ძალმიძს მიბაძვა სხვების,
დაუოკებელ ალტაცების მიდგება ჟამი.

გულს მიხალისებს ადრიანი დილის ნექტარი,
თითქოს დამხურა უკვდავების ღმერთმა გვირგვინი,
ვიტყვი ამ ქვეყნის სადიდებელ სიმღერას დვრინით
და გაიჟღერებს ხმა გმირული, ვით დედო ზარი.

თავს მაბეზრებენ ღამეები, შავი მხედრები,
მოსაშველებლად სიბნელეში ანგელოზს ვუხმე,
მქონდა დღეები წამებულის — სადაგი, უქმე, —
უფალს ვეახელ მუხლმოყრილი ლოცვა-ვედრებით.

შვების ალმური, ლიტანია, განცხრომის წამი,
არ მოგვკლებოდეს! — მეგობრებო, მითხარით „ამინ!“

ნუ გეეჭვება

ნუ გეეჭვება, მე გავუძლებ ყოველგვარ ტკივილს,
ცრემლების კონას მოგაჩვენებ სველ, ნაზ იებად,
თუ რამ შეგცოდე, შემიძლია მონანიება,
არად ჩავაგდებ სულის ვაგლახ შფოთვას და კივილს.

ნუ გეეჭვება, მე ყოველთვის ვიყავ გულწრფელი,
ზურგში არასდროს ჩამიცია მტრისთვის ხანჯალი,
მძაგდა ორპირი, უხიაკი, კაცი ჯანჯალი...
მე რაც ვიყავი, იგივე ვარ, დავრჩი უცვლელი.

კვლავ ერთგული ვარ ჩვენებური წესის, ადათის,
მუდამ ტკივილით ველოდები დღის გათენებას,
მიჭირს, გულს მიკლავს, ველარ ვუძლებ ცილისწამებას,
და ამ ბრძოლაში დავიღალე, ლამის გავთავდი.

ნუ გეეჭვება, შემიძლია შენი ხარება,
თუკი უფალი ინებებს და მომეხმარება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

სიმართლეს გეტყვი — ბევრი რამე მე მიყვარს ძველი:
ძველი შანდალი, ძველი ღვინო და ძველი სურა,
გადაწყვეტილი ყველა საქმე შეგნებით, ძმურად,
ნათქამი სიტყვა მგრძნობიარედ და გულისძგერით.

მიყვარს „ძველ ბიჭთა" კრიმანჭული, ძველი სიმღერა,
ძველი აკვანი, ძველი ხმალი, ძველი ნაცნობი,
სიტყვა — ფოლადი, უტყუარი დასტური ძმობის, —
ვერ მაშინებდეს აღრენილი თვით ბედისწერა.

დაუქმებული ბორანი და სოფლის ის შარა,
უხიფათოდ რომ მიმიყვანდა სანუკვარ სახლთან,
და ბედაური, თავგანწირვით მებრძოლი ალხთან,
ძველი მათრახი, უნაგირი, ძველი ავშარა.

დიახ, მე მიყვარს ბევრი რამე, რაც კია ძველი,
ნუ განმსჯით, ამდენ სიყვარულს თუ ვერ გავუძელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ დოგორჯგინიძე

საქართველოს

სულ არ დავბადებულიყავ,
შენს მიწაზე არ გამევლო,
ჩემი დაუყუჩებელი
ტკივილი ხარ საქართველოვ.

შენი ნაბოძები სისხლი
ძარღვში ცეცხლად მომედება.

ერთ ღვთის გლახად მიმითვალე,
სხვები გყავდეს პოეტებად.

სულ არ დავბადებულიყავ,
შენს მიწაზე არ გამევლო,
ჩემი დაუყუჩებელი
ტკივილი ხარ, საქართველოვ.

შელამებისას

მზე ცისკიდურზე ჩანს, ვით ობობა,
დროა, გურიის მთები მომარჯნდეს...

ლექსია ჩემი ავადმყოფობა,
დამაბერა და აწ რა მომარჩენს?

მივიწყებულ წისქვილთან თქმული

ვაი სირცხვილის ქირქილო,
შენს ბედს ღმერთიც არ უწყოდა,
შემბრალებიხარ, წისქვილო,

რომ დარჩენილხარ უწყლოდა.
ვისთან გინდა, რომ იჩივლო?
ყველა დაგირჩით უცხოდა!

●

ცაზე ვარსკვლავთა ფარა,
მთვარე ნაცადი მწყემსი,
ერთ კრავსაც ვერ მოჰპარავ,
რომ შეიტყუო ლექსში.

ხეები საჩეჩლები
მატყლად ჩეჩავენ ნისლებს,
დარდისგან შევიშლები
მდინარის მოთქმას ვისმენ.

არ ვებრალები უფალს,
უძილოდ ვხედავ სიზმრებს
და შენზე ფიქრი მღუპავს,
ვაი, ვინ მომაფხიზლებს.

ცაზე ვარსკვლავთა ფარა,
მთვარე — ერთგული მწყემსი,
ერთ კრავსაც ვერ მოჰპარავ,
რომ შეამწყვდიო ლექსში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან მიჭაჭაძე

ზამთარი

მოდის იდუმალ და თეთრი გზებით,
დაუნდობელი და გულმართალი,
როგორც მოხუცი დარბაისელი,
ნელი-ნელ, დინჯად მოდის ზამთარი.

მთებში ისვენებს, ვით სავარძელში,
ხვალ ჩამოჰყვება ფერდობს ფრიალოს,
ყინულის ეტრატს აიღებს ხელში
და თეთრი თოვლის ზღაპარს გვიამბობს.

●

მოულოდნელად ეცემა მუხა, —
იმღვრევა წყარო — მზის სარკე წმინდა,
მოულოდნელად ანგრევენ ბუხარს,
მთელი სიცოცხლე თბებოდნენ რითაც.

მოულოდნელად ეშვება თოვლი,

მოულოდნელად ეცემა მამა,
მოულოდნელი ცრემლით და თრთოლვით
ეხები ძვირფას საფლავის სამანს...

მოულოდნელად მზე ჩადის სწრაფად...
მოულოდნელად... შენც წახვალ, ალბათ.

დრო

წამი — წუთების წვრილ-წვრილი ფეტვი
დრომ დაგვიყარა, როგორც საკენკი...
ამსხვრევს ცის ნაჭუჭს თეთრი
ნისკარტით
და იბადება მტრედი — ცისკარი...
დღე მოჰგავს ქარში ასანთის გაკვრას...
შორს, სადღაც სძინავთ ათასწლეულებს,
ვით დინოზავრებს უხსოვარ ჟამის...

აფხაზური მგზავრული

ვინ იცოდა, რად მტკიოდა გული,
რა მზე მენთო და რა ცეცხლი მწვავდა,
მოვდიოდი როგორც გაზაფხული,
ვიმღეროდი: ვოისა რადა, რადა...

თბილი ქარი მიწეწავდა ქოჩორს,
ცამაც ნამით დამისველა თმები,
მზე ლაჟვარდზე აჩაღებდა კოცონს
და ძმებივით მომყვებოდნენ მთები.
შენ გეძებდი...
სად იყავი მაშინ,
სასურველი მომეჩვენე ცადა,
მეწამული ვარდი გქონდა თმაში,
ვოისა რადა, სი ვარადა, რადა...

ისევ მესმის ნაზი ნანა ჩქერთა,
მოსახვევთან ნიშანია სამი,
უკან დამრჩა ჯამპალი და ჯგერდა,
ვით სიყრმის და სიჭაბუკის ჟამი.

— ჰაიტ! — ვუხმობ ჩემს ქურანას რიხით,
შენზე ფიქრით და ალერსით ვთვრები,
გამივლია ლინდავა და ლიხნი,
ვით სიცოცხლის უსასრულო გზები.
ას წელს გავცდი...
ისევ მღერის გული,
გამარიდე შენ ყინვას და ავდარს,
მომაფინე მზე და გაზაფხული,
ვოისა რადა, სივარადა, რადა...

ნოველები

საიდუმლო საკანი

დაკვირვებამ მაჩვენა, რომ ნიჭიერ, გამჭრიახ ადამიანთა უმრავლესობას ქედმაღლობისა და ამპარტავნების სენი აწუხებს. ან სულაც არ აწუხებს. მათში იმდენადაა მომძლავრებული პატივმოყვარეობისა და ეგოიზმის მონსტრი, რომ ისინი უკვე ბედნიერები არიან და ხარობენ ამ ბედნიერებით. გარშემომყოფთა საქებარი სიტყვებით აშენებულ ციხე-სიმაგრეში გამოკეტილან და კოშკის თავზე მათივე საამაყო დროშა აუფრიალებიათ, რომელსაც ხმამაღლა და გამომწვევად აწერია: „მე"!

არადა ვინ იცის, რამდენი საიდუმლოება ინახება ამ ციხე-სიმაგრის კედლებს მიღმა. რამდენი სისუსტე და უსუსურობაა გამოკეტილი საიდუმლო საკანში. ციხის მეპატრონის ძლიერებაზეა დამოკიდებული, იხილავენ დღის სინათლეს ეს ტუსაღები თუ ვერა. ციხე-სიმაგრეში ხშირად ისმის შფოთი და აურზაური. ეს ისინი არიან, დაუდგრომელი ტუსაღები, და მეპტარონე, რომელიც რკინის მათრახით გვერდებს უჭრელებს ხოლმე ურჩ ტუსაღებს. არ გესმით? ამის გასაგებად ფაქიზი სმენაა საჭირო.

რა სასაცილო და საწყალია ადამიანი?

ცოტა, სუულ ცოტა უნდა...

ცოტა ქება, ცოტა პატივისცემა, ცოტა აღიარება, ცოტა ჯილდო, ცოტა თანადგომა და... საშენი მასალაც მზადაა.

პირველ რიგში ბატონი „მე". საკანს ააშენებს. მუჯლუგუნებით და წიხლებით შერეკავს თავის ტუსაღებს. საგულდაგულოდ გამოკეტავს სიბნელეში და სიცივეში. პური და წყალი რაა, იმასაც არ მიაწვდის – „იქნებ როგორმე სული გაძვრეთ"-ო. ბატონ „მე"-ს უფრო ღამღამობით უჭირს ხოლმე.

რკინის კარებზე მუშტების ბრახუნისგან ძილგამფრთხალი, სულმთლად კანკალებს. ეს მხოლოდ ღამით.

დღისით კი: ციხის თავზე დროშა, აქეთ-იქით ძლიერი კედლები, მხიარული ხმები, ზეიმი, ფეიერვერკი! გაგიჟება შეიძლება სიხარულისაგან!

მერე ისევ ღამდება...

მთავარია თავდავიწყებას არ მიეცეს ბატონი „მე".

ვაი იმას, ვისაც ერთი ტუსაღი მაინც გაექცევა საკნიდან...

ერთს მეორე მოჰყვება, მეორეს მესამე. გაჩნდება ხანძარი, გადაიბუგება ყველაფერი, დაინგრევა კედლები. დაიფერფლება ამაყი დროშა. შეიპყრობენ „მე"-ს ტუსაღები, ხელ-ფეხს შეუკრავენ და იმ რკინის მათრახით ამოხდიან სულს, რომლითაც თვითონ უჭრელებდა გვერდებს.

ფრთხილად იყავით, ბატონებო. რკინის კარები ხშირად შეამოწმეთ. მათრახი არ დაკარგოთ. არ გაბრიყვდეთ, პური და წყალი არ მისცეთ იმ არამზადებს!

ნეტავ, ამაღამ არ გამაღვიძებდეს კარზე ბრახუნი...

იმპერატორი და ყაჩაღი

ყაჩაღი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა და რომელსაც ჯალათის სახელი ჰქონდა გავარდნილი, შეიპყრეს. იმპერატორმა მისი მონახულება ისურვა. იმპერატორთან ყაჩაღმა ყველა დანაშაული აღიარა, რაც კი აქამდე ჩაედინა და ცრემლმორეულმა სინანული გამოთქვა. იმპერატორმა ყველას გასაკვირად შეინდო ყაჩაღი და გაათავისუფლა. რამოდენიმე დღეში ყაჩაღმა უფრო საზარელი დანაშაული ჩაიდინა. იგი კვლავ შეიპყრეს. იმპერატორმა ახლა გასაოგნებელი ქნა და ისევ შეიწყალა დამნაშავე, ოღონდ იმ პირობით, რომ თუ იგი კვლავ გაძარცვავდა, მოკლავდა ან ნამუსს ახდიდა ვინმეს, მას უსათუოდ ჩამოახრჩობდნენ.

ყაჩაღმა ორიოდ დღეში კიდეც გაძარცვა, კიდეც მოკლა და კიდეც ნამუსი ახადა. იგი ნაცემი, ფეხებმომტვრეული და თვალგამოთხრილი დააგდეს იმპერატორის ფეხებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე შენ ორჯერ შეგიწყალე, ორჯერ გაგათავისუფლე. უკანასკნელ არამზადასაც კი შერცხვებოდა შენს ადგილას, როცა მესამედ ასწევდა ხელს მოსაკლავადო!

— რომელ სირცხვილზე მელაპარაკებით, თქვენო ბრწყინვალებავ, როცა თქვენ, იმპერატორს არ შეგრცხვათ და მე, ნაძირალა, არაადამიანი ორჯერ შემიწყალეთ და გამათავისუფლეთო. ყველაზე დიდი დამნაშავე და მკვლელი, სწორედ თქვენ ხართო! — იღრიალა ყაჩაღმა.

საღამო ხანს მისი სხეული უკვე თოკზე ქანაობდა.

იმპერატორი კი ჩვეული სიდინჯით, მეფური იერით უჯდა დიდებულ სუფრას და დიდებულებთან ერთად ვახშმობდა.

მხოლოდს სუფრის ის ნაწილი, სადაც თვითონ ბრძანდებოდა, მისივე განკარგულებით ჩაბნელებული იყო.

„მისი ბრწყინვალება დღეს უგუნებოდაა"-ო, ერთმანეთში ჩურჩულებდნენ — დიდებულები.

რაზე ფიქრობდა იმპერატორი? ვინ იცის?

იქნებ იმ ყაჩაღზე, რომელიც მძიმე დანაშაულებისთვის ჩამოახრჩვეს?

არა, არა. რაღა დროს ყაჩაღია? მას მერე ხომ 150 წელი გავიდა?

საწყალი იმპერატორი... ვერც ყაჩაღის ჩამოხრჩობამ უშველა და ვერც ღმერთმა. აჯანყებული ხალხის მოთხოვნით, რომელთაც გაძარცვულთა და მოკლულთა ჭირისუფლები მეთაურობდნენ, იმპერატორიც იმავე ბოძზე ააკონწიალეს, რომელზეც ყაჩაღის სხეული ქანაობდა საღამო ხანს...

ეს სულ სხვა იმპერატორი კი, რომელიც ნახევრადბნელში უჯდა სუფრას, უბრალოდ უგუნებოდ იყო.

თანაც 150 წლის მერე.

ჟანგბადი

ერთხელ ტანსაცმლის კარადაში გარდაცვლილი ბებიის პალტოს ნავაწყდი. ცოტა ხანს ხელი არ მიხლია, ისე ვათვალიერებდი. მერე შევეხე. ჯიბეები შევამოწმე იმ იმედით, რომ მის რაიმე ნივთს ვიპოვნიდი. ორივე ჯიბე ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით მიწის და პურის ნამცეცებს, რომელიც ჯიბის ფსკერიდან თითებს ამოყვა. მერე პალტო გავშალე და შიგნიდან დავყნოსე...

ბებიას, და მის ყოველ ნივთს: ხელჩანთას, ტანსაცმელს, ქოლგას, ქუდს, საათსაც კი თავისებური, სპეციფიური სუნი ჰქონდა. ასეთი სუნი იდგა მის ოთახში, მისი ტანსაცმლის კარადაში. ეს იყო ნამლის, უფრო სწორად მკურნალობის სუნი. ჩვენ მას ბებიას სუნს ვეძახდით. ყველაზე ძლიერი სუნი, მის ხელჩანთას ჰქონდა. ახლაც მახსოვს, რა დაჰქონდა ბებიას ტყავის შავი ხელჩანთით: ყვითელი ბლოკნოტი, რომელზეც ავტოკალმით მისი ინიციალები ეწერა, პასპორტი, საგულე აბები, სათვალე ტყავის ბუდეში, „პორტმანი" — როგორც თვითონ ეძახდა, უამრავი ქაღალდი, საბუთები, ხელის კრემი და, პიტნის კამფეტი...

ხელჩანთის დაყნოსვა ძალიან გვიყვარდა. ბავშვებსაც და დიდებსაც.

ბებია ქირურგი იყო. დაჰქონდა თავისი ჟანგბადი — მკურნალობის სუნი და ზოგს ეს აშინებდა, ზოგს ამშვიდებდა (მაგალითად — ჩვენ), ზოგიც საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას.

ეს სუნი, ალბათ, მხოლოდ მის ოთახში, ტანსაცმლის კარადაში იქნება შენარჩუნებული.

იმ დღეს კი, მის სუნზე დანატრებულს, იმედი გამიცრუვდა...

პალტოს, ნაჭრის ყვავილივით, არაფრის სუნი აღარ ჰქონდა.

ᲛᲓᲒᲛᲣᲠᲘ

ოქტომბრის ღამეა. ხუთი წუთის წინ დაღამდა. ზღვისპირას, სასტუმროს მეხუთე სართულზე, აივანზე ზიხარ მოწნულ სავარძელში. გვერდით, პატარა მაგიდაზე, ჯერ კიდევ ნელთბილი ყავა დგას ჭიქით. საფერფლეში სიგარეტი ბოლავს. გესმის ზღვის ჩუმი სუნთქვა და ლუმინესცენციური ნათურის ჩუმი ზუზუნი, რომელიც აივანზე გინთია. სიგარეტს ეხები. დაფერფლილ ნაწილს ნაზად აშორებ და სწევ.

ზღვიდან ლაპარაკის ხმა მოგესმის. გატრუნული ხარ, აყურადებ. შორიდან კაცები მოცურავენ ნავით. ეგერ ისინიც! ფარანი აუნთიათ. ნელა მოდიან. საუბრობენ. ვიღაცამ გაიცინა. ვერ არჩევ, რას ლაპარაკობენ. მოახლოვდნენ. ცოტაც და შენს აივანს გაუსწორდებიან. შენ სასწრაფოდ დგები და შუქს აქრობ, რომ დაინახო. ლანდებს ხედავ მხოლოდ. აქვე არიან, ნაპირიდან ხუთიოდე მეტრში. თითქოს ჯიბრზე,

შენს აივანთან ჩაჩუმდნენ. დაუზეთავი ღერძები რიტმულად ჭრიალებენ. ზოგჯერ მეორე ნიჩაბი წყალთან შეხებას აგვიანებს.

„ეირევა ხვალ, უსიკვტილოთ ეირევა!"

როგორც იქნა, სიტყვები გაარჩიე. კი არ გაარჩიე, თითქოს ძალით გამოგლიჯე, გამოსტყუე. ვილაცამ სიგარეტს მოუკიდა. ორნი არიან, მგონი. იცინიან და მიცურავენ. ნელ-ნელა გშორდებიან. მათი ხმებიც სუსტდება. მივლენ შინ, ისადილებენ. შეიძლება არ ისადილონ, სადმე შეიკრიბონ. დალიონ. მაგრამ არა მგონია. დაღლილები იქნებიან. თან შეიძლება ახალი ვალი დაახვედრონ შინ (პურის დაჭერაც რომ შეიძლებოდეს ზღვაში...). უშუქობას შეჩვეულები, ბაბუისდროინდელი, ფეხიანი ლამფით გაანათებენ საწოლ ოთახს და ჭაღარაშეპარულ თავს ნესტიან ბალიშზე მიასვენებენ. ხავლ თუ არ „ეირია", ისევ ზღვაში...

შენ კი ზიხარ აივანზე, მოწნულ სავარძელში და გესმის, როგორ ეხეთქებიან ღამის პეპლები ლუმინესცენციურ ნათურას.

შენ მდგმური ხარ. თეთრი, პრესტიჟული სასტუმროს მდგმური. რამდენიმე კვირით სტუმრობ აქაურობას, ადამიანური ცხოვრების პატარა ოაზისს და ცოტა ხნით, სულ ცოტა ხნით გავიწყდება, რომ შენც იმათიანი ხარ. ვალები შენც გაქვს, ოღონდ ნავი არა გაქვს. იმიტომ, რომ სხვა მხარეში ცხოვრობ. იქ, სადაც შენ ცხოვრობ, სიმშვიდეა და ბევრი მტვერი. იქ ნესტის ნატამალიც არ არის და ქარი იცის. ხორშაკი და მშრალი ქარი. იქ ძალლებიც სხვანაირად ყეფენ და წვიმაც სხვანაირად მოდის. იქ არც პალმა ხარობს და არც მაგნოლია. იქ ვერ დაინახავ საწვიმრიან კაცებს, მთელი დღე რომ ზღვის ნაპირას დაეხეტებიან შტორმის მერე. იქ არც მზის ჩასვლა გხიბლავს და არც მთვარის ბილიკი.

მაინც იქით მიგიწევს გული. ჯერ არა, მაგრამ... ორ კვირაში მოსვენებას დაკარგავ. მერე მზის ჩასვლაც გამოგეპარება, მთვარის ბილიკსაც გულგრილად გადახედავ და ტელეფონზე ჩამოეკიდები. არა, არა. შენ აქაური კაცი არა ხარ. სამაგიეროდ იქაური ხარ. იქ შენიანები ცხოვრობენ. შენი ხალხი და შენი ვალები გელოდება.

მაინც გული გწყდება, თანაც ორ რამეზე:

ერთი ის, რომ ვალი გაქვს და ნავი არა გაქვს.

მეორე – რომ ვერ ინატრებ: „ნეტავ, პურის დაჭერაც შეიძლებოდეს ზღვაშიო".

გცივა. ზღვაურს ღრუბლები მოუთრევია დასახმარებლად.

მეთევზის სიტყვები ხომ უნდა გამართლდეს?

გაციებულ ყავას უგემურად მოსვამ და დგები:

„ეირევა ხვალ. უსიკვტილოთ ეირევა!"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზო ვეკუა

●

შემოათენდა,
იისფერ ცაში
გარჩენილია მთვარე თვალღია,
ვერ დავისვენე მეგრულ ფაცხაში,
ქვიშა ქარს და წყალს დაუტალღია.

თვლემს ნაჯაფარი ზღვა და ხმელეთი,
ღილის ნიავი ჩუმად მეფერა,
გულში წრიალებს კოლხთა მითები
ღმერთთან წილნაყარ მეფეთ-მეფეთა.

მაგრამ თოლიგე,
რით შეედრება
მითები
ჩვენი ბავშვობის ვანცდებს,
სხვა ხიბლი ჰქონდა ველურ შეხვედრებს,
იმ ველურ გრძნობებს,
იმ ველურ ვნებებს
და იმ უცნაურ სიმთა გაკრთომას,
სიჭაბუკეში თავს რომ მახსენებს.

და აბედივით ნელა ვიწვები,
დამიწყევლია ბევრჯერ თავ-ბედი,
მწამს, რომ სიცოცხლე არ ღირს
არაფრად,
სიყვარულისთვის თუ დავბერდები.

შემოათენდა,
იისფერ ცაში
გარჩენილია მთვარე თვალღია,
ვერ დავისვენე იმ ჩემს ფაცხაში,
ქვიშა ქარს და წყალს დაუტალღია.

●

რაც მიზიდია მიწაზე ტვირთი,
რაც ულვთოდ ვფლანგე წამებში წამი,
სასწორზე მიღევს,
მიკვირს და ვტირი,
თვალს ვერ ვუსწორებ
და სულს მიწამლავს.

იყო იმედი,
ოცნება,
განცდა,
იყო სურვილი ნაირ-ნაირი,
გულმა გაუძლო იმედის აფრას,
დინებას მიყვა თითქოს ნარნარით.

სივრცეში
მრუდედ გამოჭრილ სარკმელს
დღემ
სინანულის სხივი აკმია,
ბავშვი ახლა რომ ჩიტს უყრის საკენკს,
დაუფიქრებლად ესვრის ხვალ ტყვიას.

ეს არის
ჩემი სულის გოლგოთა,
თუ ყველაფერი ასე არ მოხდა,
მე
ბედნიერი ვიქნები მაშინ,
როს მიწერია სულის ამოხდა.

ᲓᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲘ

ᲖᲐ. ᲨᲐ-ᲚᲘ

თითქოს წამის ჩავლა იყო
რაც გადაგვხდა ყველაფერი,
მგონი დროის წამმზომია,
ისე ადი-ჩადის მკერდი,
რომ მეგონა მთელ სამყაროს
დაიტევდი, დავიტევდი,
როგორ ჩუმად დამიბერდი,
როგორ ჩუმად დაგიბერდი.

რომ მეგონა სულ უთქმელად
გამიგებდი, გაგიგებდი,
დროს მივანდე ალალბედად
ჩემი ბედი, შენი ბედი,
რომ მეგონა შენით, ლექსით
უკვდავებას ვაშენებდი,
როგორ ჩუმად დამიბერდი,
როგორ ჩუმად დაგიბერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს ლექსიც თუნდაც ახლა
რომ სიმღერა გახდეს გედის,
თუ ტკივილი განმიახლა,
მუზის წერა გავხდებოდი,
მე დავრჩები ჩემს ტკივილთან,
სხვა სიცოცხლეს ალავერდი!..
მოდრეიფე ტივივით ვარ,
ტალღებს ვებჯინები მკერდით...

სულ მეგონა, რომ ვიყავი
მე ბულბული, ვარდი შენ,
ამ გაგებამ და განგებამ
ცა და მიწა დამიმშვენა,
რომ მეგონა შენით, ლექსით
უკვდავებას ვაშენებდი,
როგორ ჩუმად დამიბერდი,
როგორ ჩუმად დაგიბერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომას სტერნზ ელიოტი
(1883-1964)

ჯ. ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო სიმღერები

მე რომ მჯეროდეს, სიტყვა ჩემი მიუვა იმას,
ვის უწერია დაუბრუნდეს სამყაროს კაცთა,
მაშინ ეს ცეცხლი განაგრძობდა მარადჟამ ბრწყინვას.
მაგრამ რადგანაც აქ დარჩენა ჯერაც არ ასცდა
ამ ფსკერზე მოსულს ძეს ხორციელს, თუ მესმა სწორედ,
შერცხვენის შიშის არამქონე გაუწყებ მართალს.

დანტე „ჯოჯოხეთი" XXVII 61-66;

S'io credesse che mia risposta fosse
A persona che mai tornasse al mondo.
Questa fiamma staria senza piu scosse.
Ma per cio che giammai di questo fondo
Non torno viva alcun, s'i'odo il vero,
Senza tema d'infamia ti rispondo.

Dante, "Inferno", XXVII 61-66;

მოდი, მე და შენ გავუყვეთ გზას,
როცა საღამო გაკრულია ცაზე,
როგორც ნარკოზიანი პაციენტი მაგიდაზე;
გავუყვეთ ვიწრო, უკაცრიელ, გატრუნულ ქუჩებს,
თავშესაფარს იაფფასიანი სასტუმროების,
სადაც ერთი უძილო ღამისთვის უშვებენ სტუმრებს
და უღიმღამო რესტორნების,
სადაც იატაკზე ყრია ნახერხი და ხამანწკას ნიჟარები;
გავუყვეთ ქუჩას,
გულისწამღები დაჟინებით რომ მოგდევს უკან,
ფარული ზრახვით დამუხტული არგუმენტივით,
რომ, როგორც იქნა,
მოგიმწყვდიოს ჩიხში და გითხრას,
არისო ჟამი, გადამწყვეტი დაისვას კითხვა;
ო, ნუ იკითხავ: „რას მეუბნება?"
წავიდეთ, სტუმრად ვეწვიოთ ვინმეს.

ოთახში ქალები სტუმრებს ართობენ
და მიქელანჯელოზე მასლაათობენ.

ყვითელმა ნისლმა, რომელიც ზურგით ეგლასუნება ფანჯრების მინას,
ყვითელმა ბურმა, რომელიც ცხვირით ეგლასუნება ფანჯრების მინას,
ამოლოკა ძირითძირამდე საღამოს ყველა ფარული კუთხე,
შეყოვნდა გუბის თავზე, ნაწვიმარი ნიაღვრის ჩასასვლელ ღრმულთან.
საკვამურიდან ჩამოყრილი კვამლი აკრიფა ზურგით,
გაჰყვა აივანს, ისკუპა ფრთხილად,
ნახა, რომ ოქტომბრის თბილი საღამო იდგა,
შემოურბინა სახლს გარშემო, დამრგვალდა და ჩათვლიმა ტკბილად.

და მართლაც, იქნება ჟამი
ყვითელი ნისლის, რომელიც უხმოდ მიიპარება ქუჩების პირას,
ფაფუკი ზურგით შეეხება ფანჯრების მინას;
იქნება ჟამი; იქნება ჟამი
რომ მოამზადო შენი სახე
იმ სახეების შესახვედრად, რომელსაც ნახავ;
იქნება ჟამი მოკვლის და შექმნის,
ჟამი იმისა, რომ გამოართვა ღიმილით თეფში,
ჟამი ყოველი ხელქმნილი საქმის და ყველა დღისა,
რომელიც ასწევს შენს წინ და დაგიგდებს ლამბაქზე კითხვას;
ჟამი შენთვის და ჟამი ჩემთვის,
ჟამი ათასობით გადაწყვეტილებების ვერმიღების,
ჟამი მერყეობის,
ათასობით ხედვის და გადახედვის,
სანამ შეეუდგებით ჩაის და სენდვიჩს.

ოთახში ქალები მიდი-მოდიან,
და მიქელანჯელოს ღირსებებს სწონიან.

და მართლაც, იქნება ჟამი
დაფიქრების, „გავბედო?“ „გავბედო განა?“
მოვასწრებ მობრუნებას, კიბეზე ჩარბენას
მელოტი წერტილით თმის შუა ადგილას —
(იტყვიან: „ამის თმას ნეტავ რა მოსდის?“)
მაცვია შუადღის მსუბუქი სამოსი,
საყელოში მაქვს კისერი, როგორც ჩარჩოში,
მიკეთია ჰალსტუხი, სადა და მდიდრული,
მაგრამ სამაგრი უბრალოა ზედ ჩამოკიდული —
(იტყვიან: „რად დაწვრილებია კისერი ნეტავ?“)
მაშ როგორ გავბედო,
როგორ მივცე თავს ნება,
რომ მოვახდინო სამყაროზე ზემოქმედება?
წუთი ხომ საკმარისია ეჭვისთვის,
გადაწყვეტილების ზედიზედ შეცვლისთვის.

მე ხომ ვიცნობდი ამათ ადრე, ვიცნობდი ყველას —
ვიცნობდი საღამოებს, დღეებს, მათ შუადღეებს,
გაზომილი მაქვს ყავის კოვზით ჩემი ცხოვრება;
ვიცნობდი ბგერებს, რომლებსაც კლავს შემოდგომის დასასრულის მოახლოება
შორი ოთახიდან გადმოღვრილი მუსიკის ხმებით.
ჰოდა, როგორღა მივცე თავს ნება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმ თვალებსაც ხომ ვიცნობდი, ვიცნობდი ყველას —
თვალებს, რომლებიც გაგჩხვლეტენ და მიგაკრავენ აწყობილი
ფრაზებით ღვედებს,
და ასერიგად გაჩხვლეტილმა, მოფართხალემ, ქინძისთავით
მიკრულმა კედელს,

როგორ დავიწყო
გადმოფურთხება ჩემი ჩვევების, ჩემი წესების, ჩემი ცხოვრების გზების?
როგორ გავბედო?
როგორ მივცე თავს ნება?

და იმ მკლავებსაც ხომ ვიცნობდი, ვიცნობდი ყველას —
სამაჯურიანს, თეთრს და შიშველს
(თუმც ლამფის შუქზე იბინდებოდნენ ყავისფრად თმებით!)
კაბის სურნელი ხომ არ არის ის, რის გამოც მე უკან ვიხევ?
მკლავებს, დაწყობილს მაგიდაზე
ან შალს რომ იხვევს?
გავბედო მაინც?
დაწყებას როგორ მოვაბა თავი?

●

გითხრა: „მივლია შებინდებისას ვიწრო ქუჩების გასწვრივ,
მინახავს ფანჯარაზე დაყრდნობილ
პერანგიან მარტოკაცთა ჩიბუხის კვამლი?"

რატომ არა ვარ თუჯის ორი კაუჭი ბასრი,
გაყუჩებული ზღვის სილრმეში ფსკერს რომ გადაჭრის.

●

საღამოს კი ჩასძინებია ისე წყნარად!..
გრძელი თითებით დამშვიდებულს,
სძინავს... დაღლილა... თუ იქნებ არა,
იქნებ თავს იკატუნებს
იატაკზე გაწოლილი მე და შენს გვერდით.
მე რა ვქნა ეხლა, როცა გეახლებით ჩაის, ნაყინს, ბისკვიტს,
მოვიკრიბო უნდა ძალა
და ვაიძულო წამი მისწვდეს მის კრიზისს?
თუმცა ვიტირე და ვიმარხულე, ვიტირე და ვილოცე კიდეც
და ჩემი თავი (ცოტა მელოტი) ვიხილე შემოტანილი სინზე,
არა ვარ მაინც ნათლისმცემელი — და ეს არც არის სადარდებელი;
მე ვნახე წამით — სიდიადე ჩემი ელავდა,
ხელით ეჭირა მარადიულ მეკარეს ჩემი ლაბადა,
თან გამქირდავად ულვაშებში ღიმილს მალავდა.
და, ერთი სიტყვით, შიშმა დამძლია.

ღირდა კი განა?
ფინჯნების, მარმელადის და ჩაის ბოლოს,
ფაიფურსა და საუბარში მე და შენს შორის,
ღირდა კი განა
მომეხდინა დარტყმა თამამად,

ერეკლეული ბიბლიოთეკა

რომ სამყარო მექცია ბურთად
და გამესროლა გადამწყვეტი შეკითხვისაკენ,
რომ მეთქვა შენთვის: „მე ვარ ლაზარე, აღმდგარი მკვდრეთით,
იმად, რომ გამცნო ყოველივე, და კიდეც გეტყვი“ —
მაგრამ ის, ვინც ბალიშს ისწორებს თავთან,
რომ მითხრას ერთიც!
„არა, მე ეს არ მქონდა აზრად,
სულ არა-მეთქი“.

ღირდა კი განა,
მზის ჩასვლების, ეზოების, ნაწვიმარი ქუჩების შემდეგ, ხვეული კიბის,
ჩაის ფინჯნების, ნოველების, იატაკზე მოსრიალე კაბების შემდეგ —
და კიდევ უამრავი რაიმეს შემდეგ? —
შეუძლებელია თქმა იმისა, რაც გულში მიდევს!
თითქოს ჯადოსნურმა ნათურამ გააცხადა ეკრანზე ნერვების ფეთქვა;
ღირდა კი განა,
თუკი იმას, ვინც თავთან ისწორებს ბალიშს,
შეეძლო გადაეგდო თავისი შალი,
გაეხედა ფანჯრისაკენ და ისე ეთქვა:
„მე ეს სულაც არ მქონდა აზრად,
სულ არა-მეთქი“.

●

არა! მე არ ვარ პრინცი ჰამლეტი, არც უნდა ვიყო;
მე მხოლოდ ლორდი მხლებელი ვარ,
ვარ მხოლოდ მისთვის,
რომ გავართულო მოქმედება,
გავხსნა თითო-ოროლა სცენა,
ვამცნო დედოფლის გამოჩენა,
გავიღო რჩევა,
შევაწიო უფლისწულს ორიოდ სიტყვა,
ვემსახურო კარისკაცთ ნებას;
მსუბუქი იარაღი, ადვილად სახმარი,
თავაზით სავსე დიპლომატი,
მორცხვი, ცოტა არ იყოს ნირწამხდარი,
მაღალ-მაღალ სიტყვათმფრქვეველი,
თუმცა დროდადრო საკმარისად მიუხვედრელი,
ხანდახან კიდეც სასაცილო
და ბოლოს სულაც მასხრად ქცეული.

ბებერი ვხვდები... ბებერი ვხვდები...
შარვლის ტოტებს ავკეცავ ზევით.

კეფაზე უკან თმები რომ გავიყო?
გავბედო? არ მაწყენს, თუ შევჭამ სტაფილოს?
თეთრ შარვალს ჩავიცვამ, გავალ ზღვის ნაპირზე,
იქ ერთხელ სირინოზების სიმღერა გავიგე;
მღერიან, სიმღერა სივრცეებს ერთვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მგონია, რომელიმემ იმღეროს ჩემთვის.

ვნახე როგორ მიაქროლებდნენ სიღრმისკენ ტალღას,
ვარცხნიდნენ აყრილ ჭაღარა ფაფარს,
როდესაც ქარი ღებავდა ზღვას თეთრად და შავად.

ზღვის პალატებს შემორჩით ერთხანს —
ასულებს ზღვისას ჟანგისფერი ბალახი ესხათ —
მერე, კაცთა ხმები გვაღვიძებს
და ჩაგვძირავს
ერთად.

ინგლისურიდან თარგმნა
მაია ნათაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებდათხრილი ოიდიპოსივით...

დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ თეატრმცოდნეს, ჟურნალ „ხელოვნების“ მთავარ რედაქტორს ბატონ ნოდარ გურაბანიძეს.

ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია გულითადად ულოცავს იუბილარს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

რედაქციის თხოვნით, მწერალი თემურ აბულაშვილი ესაუბრა ბატონ ნოდარ გურაბანიძეს. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

— ბატონო ნოდარ, 2000 წლის 16 სექტემბერს თქვენ დაბადებიდან სამოცდაათი წელი შეგისრულდათ. დღესდღეობით დამშეულ-დაბეჩავებულ საქართველოში იუბილეების წუთისოფელი არ არის. ამიტომ წინააღმდეგი იყავით საიუბილეო თარიღის აღნიშვნისაც კი... და მაინც, ამ წინააღმდეგობის მიუხედავად, მეგობრებმა გულითადად მოგილოცეს „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე...

რაზე ფიქრობს სამოცდაათი წლის კაცი, როცა საკუთარ თავთან მარტო რჩება?

— ელა ფიცჯერალდი ამბობდა: „მე მინდოდა პესიმისტები ოპტიმისტებად მექცია, ხოლო ოპტიმისტები გამეფრთხილებინა, რომ ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე როდია“.

მიუხედავად იმისა, რომ ილუზიებს ადვილად არ ვეძლევი და ვეკუთვნი იმ ადამიანებს, რომლებიც ბუნებით ოპტიმისტები არიან, მაინც ვფიქრობ, უსათუოდ განგების ხელია ჩარეული იმაში, რომ ჩემი ცხოვრება დავუკავშირე თეატრს, ამ ყველაზე ოპტიმისტურ ხელოვნებას. თეატრს აქვს ცხოვრების ჯოჯოხეთური ზონების გვერდის აქცევის იშვიათი უნარი და ამიტომ იგი მუდამ გამარჯვებულია, მაშინაც კი, როცა ინკვიზიციის კოცონებში, როგორც უპირველესი ერეტიკოსები, თეატრის მსახურნი იწვოდნენ, ხოლო მშვიდობიან დროს პროფესიათა რეესტრში არც კი მოიხსენებოდნენ.

მართალია, სიბერემოძალებული პიტერ ბრუკი ამბობს, კიდევ კარგი, რომ ჩვენი ხელოვნება ეფემერულია — დღევანდელი სპექტაკლი ხვალ აღარ არსებობს — და ისტორიის „ხლამს“ ჩვენ ახალ „ხლამს“ არ ვუმატებთო, მაგრამ თუ ისტორიაში არა, ჩვენს მეხსიერებაში მაინც ხომ რჩება მოგონება, რომელიც განსაკუთრებული სიმძაფრით მაშინ ცოცხლდება, როცა მწუხრის ზარების ხმები ჩვენს რექვიემს უერთდებიან!

მსგავსად პოლ კლოდელისა, რომელიც ამბობდა, დღესაც ჩამესმის ჰიუგოს „ერნანის“ საყვირების ხმაო, ასევე, მის კვალად, მეც შემიძლია გავიმეორო — დღემდე მესმის მეტეხის ზარების რეკვისა და აფეთქების ხმა, რომელსაც წინ უსწრებდა სასონარკვეთილებით სავსე შეძახილი „არ დარეკო, გოგია!“ რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან „ღალატი“.

სცენის შორეულ სივრცეში, ყვითლად განათებული მეტეხის ციხის მაკეტის აფეთქება, წარმოუდგენელ სასწაულად მივიჩნიე მაშინ და იმ დღიდან მოყოლებული ვირწმუნე, რომ თეატრი მისნური სამყაროა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს და რომლის საიდუმლოების ამოხსნა მაინცდამაინც სავალდებულო არც არის.

ეს იყო პირველი სპექტაკლი, რომელიც ამ თეატრში ვნახე. ამას მოჰყვა დავით ერისთავის „სამშობლო“ და აქედანაც ყველაზე ეფექტური ადგილები დამამახსოვრდა.

ამ სპექტაკლების პათოსმა ისე მომაჯადოვა, რომ დიდხანს მეგონა — თეატრის დანიშნულება მხოლოდ ხალხის გაოგნება და აღფრთოვანების გამოწვევა იყო ერთსადაიმავე დროს.

ეს რწმენა განმიმტკიცა „მელომანიის ბაცილამ“. მეორე მსოფლიო ომის დროს, ისევე როგორც ყველა თავმომწონე თბილისელი ყმაწვილი, თითქმის ყოველ საღამოს, ოპერის თეატრის სტუმარი ვიყავი. ეს ისეთივე შინაგანი მოთხოვნილება იყო, როგორც რუსთაველის პროსპექტზე „ლაღიძის წყლებთან“ მცირე „რანდევუ“ თუ Promenade. გვწყუროდა თუ არა, ერთი ჭიქა წყალი უსათუოდ უნდა დაგველია. რიტუალად ქცეული ეს ჩვევა, სტუდენტობაშიც გამყვა და ის მცირე მონაკვეთი პროსპექტისა, სადაც ყველაზე გამოჩენილ ადამიანებს და „მაგრად დამრტყმელი“ ბიჭების გუნდს გადაეყრებოდი, დღესაც ერთგვარ საკრალურ ადგილად მიმაჩნია.

მაშინ სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო შოთა კუპრაშვილი, ბილეთების ხატვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნორუპოვარი ოსტატი (რომელიც შემდგომ გრაფიკის პროფესორი გახდა), შოთა ბიძა იყო ჩემი სკოლის მეგობრის გურამ დოლიძის (დღეს ისიც აკადემიის პროფესორია) და ნებისმიერ ე. წ. დილის სპექტაკლზე შეგვეძლო შესვლა. მაგრამ საღამოს წარმოდგენებზე 13-15 წლის ბიჭებს ძნელად თუ გვიშვებდნენ, თუმც თეატრის მთავარი ადმინისტრატორი გაბო ღვინიაშვილი (ცნობილი მოქანდაკის თენგიზ ღვინიაშვილის მამა) ძალიან კეთილი კაცი იყო. ეგ იყო მხოლოდ – პირზე რძეშეუმშრალი ბიჭების მიმართ სიმკაცრეს მაინც იჩენდა. ჩემს მეგობრებს გურამ ტატიშვილს, ჯუმბერ ლომინაძეს, პაპუნა მინდელს, დემურ ხარაძეს არავითარი პრობლემა არ ჰქონდათ. 14 წლის ასაკში უკვე დავაჟკაცებულნი იყვნენ, მე კი ასაკთან შედარებით ყოველთვის უფრო მცირეწლოვანის შთაბეჭდილებას ვტოვებდი და გაბო სასტიკად მემტერებოდა (ხშირად თეატრის ვესტიბულის ბარიერზეც გადავმძვრალვარ, დაუჭერივარ და... უკან გამოუბუნძულებივარ). კონტროლიორების თვალის ასახვევად ვიცვამდი მამაჩემის პიჯაკს, რომელსაც, იმ დროის მოდის მიხედვით უზარმაზარი „პლეჩები" ჰქონდა და თუ ზაფხული იყო, სიცხისაგან ვიტანჯებოდი მეორე და მესამე იარუსის ჯურღმულებში (მოვლენებს წინ გავუსწრებ და ერთ ამბავს გავიხსენებ, ჩემს „ბავშვურ" გამომეტყველებასთან დაკავშირებით. როცა კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ დავინიშნე, რასაკვირველია, მეც მომცეს ჩემი კუთვნილი საშვი „დინამოს" სტადიონის სამთავრობო ლოჟაში. ეს ჩემთვის უდიდესი პრივილეგია გახლდათ, რადგან ფეხბურთის მატჩზე მოხვედრა მაშინ დიდი პრობლემა იყო, მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვის ხვდებოდა ჩვენი გუნდი. თამაშები უპირატესად შაბათ-კვირას იმართებოდა და მეც, ჯინსებში გამოწყობილი, თავისუფალი ყოველნაირი კომპლექსებისაგან, მივადექი მილიციონერთა კორდონს და ერთგვარი სიამაყით ამოვიღე საშვი. მილიციის ოფიცერმა საეჭვოდ ამხედ-დამხედა, ერთხანს ატრიალა ხელში ეს ჩემი საამაყო საშვი, შემდეგ გულისჯიბეში ჩაიდო და მითხრა – „წადი ახლა, ბიძიკო, და მოიყვანე შენი მშობელი, აქ ბიჭების ადგილი არ არისო". რასაკვირველია, ცოტას ვაჭარბებ, მაგრამ სიმართლესთან ძალზე ახლოს ვარ).

მოკლედ, მეორე სახლად ქცეული, ოპერის თეატრი, ჩვენი თაობის უსაყვარლესი ადგილი იყო (სხვათაშორის ეს ატმოსფერო კარგად აქვს გადმოცემული ცნობილ ჟურნალისტ მელორ სტურუას თავის წიგნში „თამარ მეფის ქოშები"). დიდ ქართველ მომღერლებთან ერთად გამოდიოდნენ მოსკოვიდან, კიევიდან და სხვა ქალაქებიდან ევაკუირებული უდიდესი სოლისტები. ასე, რომ ჩვენი ოპერის სცენა მსოფლიო მასშტაბის მომღერლებით იყო სავსე. ოპერის პირობითობა, გრანდიოზული დეკორაციები, პომპეზურობა, თვალისმომჭრელი კოსტიუმები და, რაც მთავარია, ორკესტრი და სოლისტები წარმოუდგენელი, ზღაპრული სამყაროს ეფექტს ქმნიდნენ. ჩვენი გაუბედურებული ცხოვრების, სიბნელის ფონზე (ამ უმძიმეს დღეებში, შუქი თითქმის ყოველ ღამე იყო, მხოლოდ ქუჩები იყო ჩაბნელებული, ხოლო სახლები ფანჯრებზე შავი, შუქგაუმტარი ფარდებით შენიღბული) ეს ყველაფერი ჭეშმარიტ სასწაულს გავდა.

თითქოს, რუსთაველის თეატრის რომანტიკულ სტილს და ოპერის პომპეზურობას დაპყრობილი ვყავდით, წარმოიდგინეთ, გული მაინც მარჯანიშვილის თეატრის უბრალოებისკენ გვიწევდა. ეს ახლა გახდა პოპულარული ავანგარდისტული ცნება „ღატაკი თეატრისა", თორემ ადრე, უკვე არსებობდა „ღატაკი ქართული თეატრი" და ჩვენ, მართლაც ღატაკ-გაჭირვებულ ყმაწვილებს, სად გვქონდა ის საპარადო ტანსაცმელი, რაც ასე რიგად აუცილებელი იყო (დაუწერელი კანონისა თუ ტრადიციის გამო) რუსთაველის თეატრის ბრწყინვალე ფოიესა და განსაცვიფრებელ დარბაზში მოსახვედრად. მარჯანიშვილის თეატრში კი ყველანი შინაგან თავისუფლებას ვგრძნობდით. აქ ყველაფერი ჩვენი იყო, მაგრამ ამ თეატრში მაშინ უბრწყინვალესი დასი იყო, რომელთა შორის რამდენიმე გენიალური არტისტი ბრწყინავდა, რომელნიც თავიანთი სისადავით, სიმართლის ღრმა გრძნობით და რეალიზმით მკვეთრად გამოირჩეოდნენ მაშინდელი რუსთაველის თეატრის ერთგვარი ყალბი პათოსის ფონზე.

აქ უნებლიეთ მახსენდება კონსერვატორიასთან არსებული საოპერო სტუდია (რომელიც ჩემთვის აუხსნელი თუ გაუგებარი მიზეზების გამო დღეს არ მოქმედებს), სადაც თითქმის ყველა კლასიკური ოპერა იდგმებოდა და ახალგაზრდა ტალანტების დაოსტატებისათვის შესანიშნავი ასპარეზი იყო. დაუვიწყარია ის დღე, როცა მესამე კურსის სტუდენტმა ზურაბ ანჯარაფიძემ აბესალომი იმღერა. ეს იყო დიდი ზეიმი, ყველა გრძნობდა, რომ მოვიდა განუმეორებელი ხმისა და არტისტული მომხიბვლელობის მომღერალი. იმ დღიდან მოყოლებული ზურაბი იქცა ქართველი ხალხის უსაყვარლეს მომღერლად. იგი არა მხოლოდ უნიკალური სილამაზის ხმას ფლობდა,

არამედ სცენური მოქმედების თვალსაზრისით, ჭეშმარიტი ნოვატორი იყო. „ზურაბ ანჯაფარიძის ეპოქა“ მაგონდება, როგორც თვალისმომჭრელი ზეიმი, როგორც სასწაულებრივი მოლანდება. სხვათაშორის, ასეთი რამ მემართება ვენეციის გახსენებისას. მრავალგზის ვყოფილვარ ამ ქალაქში და ასე მგონია, იქ საერთოდ არც ვყოფილვარ, არამედ რაღაც ფანტასმაგორულ სიზმარში ვნახე ყოველივე.

რაც არ უნდა მივედ-მოვედო აქეთ-იქით, მაინც უნდა ვაღიარო — დრამატიულ თეატრში ჩემი პირველი უძლიერესი შთაბეჭდილება მაინც რუსთაველის თეატრთან არის დაკავშირებული. 1955 წელს ამ თეატრის სცენაზე აღადგინეს სანდრო ახმეტელის სპექტაკლი შილერის „ყაჩაღები“. ამ დროისათვის ახმეტელი ახალი რეაბილიტირებული იყო. ცხადია არ იყო გამოსული თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძის წიგნი-ალბომი „სანდრო ახმეტელი“. არ იყო დასტამბული ფუნდამენტური გამოკვლევები ვასილ კიკნაძისა, რომელმაც სტუდენტობიდან მოყოლებული დღემდე, პირდაპირ შესწირა თავი ამ გენიალური შემოქმედის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას. სანდრო ახმეტელზე თეატრალური ინსტიტუტის აუდიტორიებში თუ რუსთაველის თეატრის კულისებში მხოლოდ ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, რაც უფრო დაფარული იყო მისი სახელი, რაც უფრო იკრძალებოდა მისი სპექტაკლების ხსენება, მით უფრო ლეგენდარული ხდებოდა იგი ახალგაზრდობის თვალში. ლეგენდარული — როგორც პიროვნება! მაგრამ როგორც შემოქმედი? უნდა ვაღიარო, მაშინ გადაჭარბებულად მივიჩნევდით ახმეტელის ჩარიცხვას გენიალურ შემოქმედთა დასში, თუმც, დიდი აკაკი ხორავასგან მქონდა გაგონილი: „ახლა რომ სანდრო ცოცხალი იყოს, ქვეყანას გადავატრიალებდითო“.

და აი, 1955 წლის 15 მაისი. რუსთაველის თეატრის დარბაზი გადაჭედილია. მოლოდინი აუტანელი ხდება, გაიხსნა ფარდა და ის, რაც ადრე ფოტო-სურათებში მქონდა ნანახი, მთელი სიდიადით გადაიშალა ჩემს თვალწინ — ირაკლი გამრეკელი კონგენიალური მხატვარი აღმოჩნდა გენიალური ახმეტელისა.

აკაკი ხორავა (კარლი) და აკაკი ვასაძე (ფრანცი) უკვე ასაკოვანნი იყვნენ და შორეულად თუ ჰგავდნენ ფოტოზე გამოსახულ გმირებს — ხელშემართულ, მჭევრი, ათლეტური სხეულის კარლს — რომელიც ენერგიასა და ტემპერამენტს აფრქვევს ფოტოზეც კი, და, ასევე დახვენილ, ელეგანტურ ფრანცს, რომლის ცბიერი მზერა ჟრუანტელის მომგვრელია და შიშით გამთანგველი.

მაგრამ როგორც კი დაიწყო სპექტაკლი, ყველას დაავიწყდა მსახიობთა ასაკი. ბრინი იმ საღამოს განსაკუთრებულად ბრწყინვალეებით თამაშობდნენ. თითქოსდა აკაკი ხორავა, რომელიც საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიდ ასპარეზზე იყო გასული და სცენაზე იშვიათად გამოდიოდა (უპირატესად ოტელოს როლში) ფორმაში არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი არტისტი, მაინც სხვა რიგის მოვლენაა. ეს იყო სპექტაკლი-გამოწვევა, შეჯიბრი საკუთარ თავთან. სცენაზე თამაშმოწყურებულ აკაკი ხორავას და მის პარტნიორებს, პირველ რიგში აკაკი ვასაძეს (რომლისთვისაც არ არსებობდა ფორმიდან „ამოვარდნის“ საშიშროება), სურდათ ახალი თაობის მაყურებლისათვის ეჩვენებინათ ს. ახმეტელის რეჟისურის გენიალობა და რომანტიკული თეატრის ბრწყინვალება. მათი ყოველი სიტყვა, პოეტური და მწველი, ერთგვარი ამაღლებული ინტონაციით წარმოთქმული, გამაოგნებელი იყო. ტემპერამენტი და პლასტიკა — ჰარმონიულად შერწყმული, მასობრივი სცენებით თავისი დინამიკით და სინქრონულობით — თავბრუდამხვევი. ირაკლი გამრეკელის მოცულობითი დეკორაციები, თავისი მრავალრაკურსიანობით და სიბრტყეთა რიტმით, ზედმიწევნით შეესაბამებოდა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, წარმოქმნიდა პლასტიკურ სახეებს. ყოველი მოძრაობა იყო ზუსტი, მრავლისმეტყველი — ფრიდრიხ შილერის პოეზიის, იონა ტუსკიას მუსიკის და სცენოგრაფიის სტრუქტურის, საბოლოო ჯამში კი, სანდრო ახმეტელის „სულის“ გამომხატველი.

რომანტიკული თეატრის ყველაზე რადიკალურად უარმყოფელნიც კი იმ საღამოს აღიარებდნენ ახმეტელის ხელოვნების ზემოქმედების მოუგერიებელ ძალას.

დაუვიწყარი შთაბეჭდილებისა და მძაფრი ზემოქმედების თვალსაზრისით ჩემთვის ასეთივე რანგის მოვლენა იყო მოსკოვის დიდ თეატრში ნანახი სერგეი პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“, ლეონიდ ლავროვსკის ქორეოგრაფიით და გენიალური გალინა ულანოვას მონაწილეობით.

ეს სპექტაკლი კურიოზული შემთხვევის წყალობით ვნახე. ამ ბალეტზე მოხვედრა 50-იან წლების დასაწყისში თითქმის შეუძლებელი იყო. რესპექტაბელური ტურისტები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, განსაკუთრებით საპატივცემულო სტუმრები ავსებდნენ დიდი თეატრის გრანდიოზულ დარბაზს. აქ უნდა გავიხსენოთ ერთი ამბავი: მოსკოვში ჩამოსული ყველა რუსისათვის ოცნება იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ თეატრში მოხვედრა (არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, თუ რა სპექტაკლი მიდიოდა), ცხადია, მას შემდეგ, რაც მოიხდიდა თავის წმინდათა წმინდა მოვალეობას – მონიწებით ათრთოლებული შემოუვლიდა მავზოლეუმში დასვენებულ ვლადიმერ ილიჩ ლენინის ცხედარს. ერთი სიტყვით, დიდ თეატრში მოხვედრა ჩემთვის, მაშინდელი ღარიბი, ახალგაზრდა თეატრმცოდნისათვის, თითქმის წარმოუდგენელი გახლდათ (ეთერ გუგუშვილისა და გიგა ლორთქიფანიძის მოწმობით, რომლებიც ადრე მოსკოვში სწავლობდნენ, ხალხი ღამეებს ათენებდა და აღამებდა „რომე და ჯულიეტას" ბილეთების რიგში – ჩაწერებითა და გვარების ამოკითხვით). მაინც ვცადე ბედი და შევერიე ამ ზღვა ხალხს. სად იყო ზედმეტი ბილეთი, და თუ იყო, იმის ფასს სად გასწვდებოდა ჩემი სეკვესტრირებული ბიუჯეტი. ვდგავარ უზარმაზარი კოლონების ქვეშ და, წარმოიდგინეთ, შესვლის იმედს არ ვკარგავ. სპექტაკლი ეს-ესაა, უნდა დაიწყოს. ხალხი დაიშალა. მე მაინც ვდგავარ. ვხედავ, ერთი კარგად ჩაცმული, დაბალი ტანის ჩინელი თუ იაპონელი აღელვებული დადის დიდი თეატრის სვეტებს შორის. მერე, თითქოს რაღაც გადაწყვიტაო, მომიახლოვდა და გამართული რუსულით მითხრა – თუ სპექტაკლის ნახვა გინდა, წამომყევიო. ჩემს მახვილ ყნოსვას სასიამოვნოდ მოხვდა ალკოჰოლის მსუბუქი ტალღა. რაღა მე ამომირჩია – ვიფიქრე („ცისფერების" მიმართ პანიკური შიში მეუფლება), მაგრამ თავი დავიმშვიდე, ალბათ ჩემი მონღოლოიდური სახე მოუვიდა თვალშიმეთქი. შევყევი თეატრის ფოიეში, მებილეთეებთან შეჩერდა და შეცბუნებულმა ჯიბეები მოიქექა. ვიფიქრე, აქ რაღაც „სიაბანდია" ან თბილისური ვარიანტის გათამაშება ხდება – ანუ კონტროლიორისათვის ფულის ჯიბეში ჩაკუჭვა. როგორც იქნა, იპოვა მოზრდილი წითელი წიგნაკი და ბილეთთან ერთად გაუწოდა შემშვებს. უმალ საიდანღაც გაჩნდა თეატრის ადმინისტრატორი, მონიწებით და ფაცხა-ფუცხით (უკვე იყო მესამე ზარი) წინ გაგვიძღვა და აგვიყვანა ზევით... მეორე სართულის გრანდიოზული ფოიე ცარიელია, შუაში უზარმაზარი, მოოქროვილ-მოჩუქურთმებული, მრავალფიგურიანი კარი კი არა, კარიბჭეა. დაბნეული აქეთ-იქით ვაცეცებ თვალებს, ვერაფერს ვხედავ. ადმინისტრატორმა ვეება გასაღებით გაალო ეს კარი და შეგვიყვანა დიდ ოთახში... წითელ ხავერდიანი სავარძლები, ოქროსფეხებიანი მაგიდები, მაგიდებზე ათასნაირი სასმელი, ბუტერბროდები, ტკბილეული, მეორე მაგიდაზე რამდენიმე, სხვადასხვა ფერის ტელეფონი, რადიო, მოსასმენი აპარატები... ადმინისტრატორი ჩუმად გასრიალდა უკან – და კარები მოიხურა. ჩვენ ორნი ვდგავართ ამ ბრწყინვალე სივრცეში. მე დაბნეული, ჩინელი – გაღიმებული. რბილად მომკიდა ხელი იდაყვზე და დახურული წითელი ფარდისკენ წამიყვანა. გადასწია ფარდა და... ჩვენ აღმოვჩნდით შუა ლოჟაში (რიგებს უკან კვლავ სანოვაგით დატვირთული მაგიდები), წამიყვანა და დამსვა წინა რიგში, თვითონ რატომღაც, მეორე რიგში დაჯდა. ზემოდან გადავხედე დარბაზს და კინაღამ გული წამივიდა. ყველაფერს მივხვდი – ჩვენ აღმოვჩნდით საიმპერატორო ლოჟაში, საიდანაც რუსეთის მეფეები და ან გარდაცვლილი სტალინი, სულ ახლახან დახვრეტილი ლავრენტი ბერია თავისი კამარილიით, უყურებდნენ სპექტაკლებს. ასე რომ, ამ დიდი ქართველების მერე, მე ის კაცი ვარ, ვინც ჯერ კიდევ 1955 წელს ამ ლოჟაში შემოვიჭერი.

დიდი ვახტანგ ჭაბუკიანის გასაოცარ ხელოვნებას ნაზიარებ კაცს მაინცდამაინც არ უნდა გამკვირვებოდა ამ ბალეტის სიდიადე. მაგრამ გაიხსნა სცენა და რას ვხედავ – სცენაზე იყო მთელი ქალაქი (ვერონა), მრავალსართულიანი რენესანსული სახლებით, ქუჩებით, ქანდაკებებით, შადრევნებით, უვრცესი მოედნით, უამრავი, თვალისმომჭრელ კოსტუმებში გამოწყობილი ხალხით. საოცარი დინამიურობით იყო დადგმული მასობრივი სცენები, ჩხუბი, დუელები, ტიბალტის მიერ მერკუციოს განგმირვა, რომეოსა და ტიბალტის დუელი, რომელიც ტიბალტის სიკვდილით მთავრდება. მთელი ვერონა თითქოს ტიბალტის ახლობლებით იყო დასახლებული – ქალებმა თავსაბურავები მოხსნეს და ფერიებივით დატრიალდნენ სცენაზე, მამაკაცებმა რაღაც კაბალისტიკური ფერხული ჩაბეს. ტიბალტი სარეცელზე დაასვენეს, სარეცელზევე ჩამოჯდა თმაგაშლილი ქალი, ზე ასწიეს ეს სარეცელი და მოედანზე დაშვებულ, ვრცლად გაშლილ კიბეებს შეუყვნენ. მაღლა და მაღლა მიიწევდა პროცესია, პროკოფიევის ტრაგიკულ-სამგლოვიარო მუსიკა (I აქტის ფინალიც კულმინაციას აღწევდა). დამტირებელი ქალის თმები ხან ტიბალტის სახეს ეფინებოდა, ხან საიდანღაც მონაბერ ქარით ჰაერში ფრიალებდა. ბოლოს, ორკესტრის უკანასკნელ აკორდზე, ძალიან მაღლა ატანილი სარეცელი წამით შეაყოვნეს და ფარდაც დაიხურა. რასაკვირველია, ეს იყო ტიპიური „დრამბალეტი", რომელმაც ამ დადგმაში თავის მწვერვალს მიაღწია, და შემდგომ საკუთარი თავის ანტიპოდად იქცა, რაკიღა საბოლოოდ ამოწურა თავისი შესაძლებლობანი. ამის მერე, „დრამბალეტი"

ამაზე შორს აღარც წასულა და თავბრუდამხვევი სისწრაფით დაეშვა დაღმა, რაც, ფაქტობრივად, მის გარდაცვალებას ნიშნავდა.

პირველი მოქმედების შემდეგ ჩემი ჩინელი ჩიჩერონე წავიდა, ადმინისტრატორს რაღაც დაუბარა და მითხრა, რაც მოგესურვოს ის მიირთვიო. ეს ადმინისტრატორი კი უფლისწულივით მექცეოდა, თუმცა დღემდე ვერ ამიხსნია, თუ რატომ დაარღვია ამ ჩინელმა (იგი ჩინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი აღმოჩნდა) ვიღაც უცნობი ყმაწვილის გამო მკაცრად რეგლამენტირებული დიპლომატიური ეტიკეტი. შეიძლება ვივარაუდო, რომ ამ ჩინელმა, მაინც, ქართველი ამოიცნო ჩემში და სტალინის პატივსაცემად (მაო ძე დუნი კატეგორიულად არ ეთანხმებოდა სტალინის კულტის გმობას) და რუსების ჯიბრზე, ამ ყველაზე ტაბუირებულ ლოჟაში შემიყვანა.

გრანდიოზული პირველი მოქმედების შემდეგ კიდევ რაღას უნდა გავეოცებინე, მაგრამ საკმარისი იყო გალინა ულანოვას, ამ ნიავივით მსუბუქი და, თითქოსდა, უხორცო არსების ერთი გაელვება, რომ ვიგრძენი: — სასწაული ახლა იწყებოდა. ასეთი მიჯნური და ასეთი ჰაეროვანი ქალი საერთოდ არ მინახავს სცენაზე. მისი ყოველი მოძრაობა რაღაც ირაციონალურს შეიცავდა, თვალისათვისაც კი თითქმის მოუხელთებელი იყო მისი არაბესკები, ხოლო თუ წამით შეჩერდებოდა მკერდზე ხელებდაწყობილი (14-15 წლის დეზდემონას ახლა ეკვირტება ძუძუები) და ფეხებგადაჭდობილი, მაშინ, მადონას გამოცხადებას მიაგავდა. ამ დროისათვის ულანოვა ორმოც წელს იყო გადაცილებული, მაგრამ წარმოუდგენლად ლამაზი პლასტიურობით გვაჩვენებდა გოგონაში ყმაწვილი ქალის გამოღვიძებას, რაც, ამავე დროს, სიყვარულის იმპულსის პირველი აფეთქების ნიშანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ 60-იანი წლების დასაწყისში ჯორჯ ბალანჩინის „ნიუ-იორკ სიტი ბელე"-ს დასის გასტროლებმა მოსკოვსა და თბილისში ჩემს თვალში საბოლოოდ დაამხო რუსული „დრამბალეტი" ანუ ე. წ. „სიუჟეტიანი ბალეტები", მაინც, გალინა ულანოვას ცეკვა და ლეონიდ ლავროვსკის ქორეოგრაფია სამუდამოდ შემორჩა ჩემს მეხსიერებას. მე კი საბოლოოდ, გავხდი ბალანჩინის „მუსიკალური ბალეტების" ანუ მხოლოდ მუსიკაზე აგებული ე. წ. „უსიუჟეტო ბალეტების" თაყვანისმცემელი და კარგა ხანს ამ თხრობითი ქორეოგრაფიისკენ გახედვაც კი არ მინდოდა (თუმც ბალანჩინსაც აქვს რამდენიმე სიუჟეტიანი ბალეტი დადგმული, მაგ. ი. სტრავინსკის „აპოლონ მუსაგეტი", „ძე შეცთომილი" და სხვ).

— ბატონ ვასილ კიკნაძეს დავესესხები: „მომავალი თაობები - რეჟისორებისა და მსახიობების შესახებ — იმსჯელებენ არა მათი სპექტაკლების მიხედვით (რადგან ისინი აღარ იქნებიან!) არამედ იმით, რაც მათზე დაიწერა. ამიტომ სრულიად განსაკუთრებულია თანამედროვე კრიტიკოსის და მკვლევარის მაღალი პროფესიონალიზმის მნიშვნელობა და ისტორიული პასუხისმგებლობითა და ნამდვილი პროფესიული ოსტატობით დაწერილი გურაბანიძის შრომები".

სანამ ამ გზას გაივლიდით, ათეული წლები გავიდა. როდის ნახეთ პირველი სპექტაკლი დიდ თეატრში, რა სპექტაკლი იყო ის და როგორი ზემოქმედება მოახდინა თქვენზე?

თუ ფიქრობდით, რომ მომავალში „სამყაროს თეატრალის თვალით" შეხედავდით. ასეთი დასათაურების წიგნი, რომელშიც თქვენ სახელმწიფო პრემია მოგენიჭათ, მართლაც მთელ თეატრალურ სამყაროს მოიცავს. უნდა ითქვას, რომ ჩვენში ჯერ არ შექმნილა ამ ჟანრის წიგნი, თეატრალური ნოველისტიკის ერთგვარი კრიალოსანი.

— ვნანობ, რომ არ ვიწერდი იმ საუბრებს საინტერესო ადამიანებთან, რომელთანაც ცხოვრებამ მრავალგზის შემახვედრა. ყოველთვის ვენდობოდი მეხსიერებას, რომელიც ასეთ ნდობას ნამდვილად არ იმსახურებს. რუსთაველის თეატრთან ევროპის თუ ამერიკის კონტინენტზე მოგზაურობისას, როცა მის სპექტაკლებზე უამრავი გამოჩენილი ადამიანი დადიოდა, ბევრი ორიგინალური აზრი მომისმენია თეატრალურ ხელოვნებაზე. საბჭოთა სისტემით ერთგვარად დაზაფრულებს, უცხოელთაგან განსხვავებით, თავისუფალი აზრის გამოთქმა გვიჭირდა (სხვათაშორის ამ „სენისაგან" ჩვენს შორის ყველაზე ადრე რობერტ სტურუა განთავისუფლდა), გარემოებას ისიც ამძიმებდა, რომ მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ სათანადო ინფორმაცია არ გაგვაჩნდა.

განცვიფრებულს მომისმენია ელენე ვეიგელის (ბრეხტის მეუღლე. სამჯერ ვიყავი მის რეპეტიციებზე „ბერლინურ ანსამბლში"), პიტერ ბრუკის, პიტერ ჰოლის, იან კოტის, ტადეუშ კანტორის, ჯონ დრამონდის, ვიგორელის, მორავიას, დარიო ფოს საუბრები.

ჩემი წიგნი „სამყარო თეატრალის თვალით", როგორლაც „თავისით", სპონტანურად დაიბადა, როგორც წარსულის შთაბეჭდილებების გამოძახილი.

პირველად, მხოლოდ სამი მინიატურა დავწერე და არც ვფიქრობდი გაგრძელე-

ბაზე. მაგრამ, როგორც ახლა ვატყობ, ჩემი ქვეცნობიერების შრეებში უკვე მწიფდებოდა სხვა იმპულსები, რომლებმაც მთელი ჩემი მეხსიერება ააფორიაქა.

ადრე გამოქვეყნებულ დიდი მოცულობის ესეში „პროვინციული ფაშიზმის პროვინციული თეატრი" შევეცადე ახლო წარსულის პოლიტიკური სცენის ოპერეტული გმირები (რომლებიც, ჟიულ რენანის პერიფრაზას თუ მოვახდენთ, ამბობდნენ, ჩვენ მეამბოხენი ვართო, „იმ მოხუცი კაცის გამომეტყველებით, რომელიც კმაყოფილია იმით, რომ დიდი გართულებების გარეშე შესძლო მოშარდვა") და მათი „პერფორმანსები" თეატრალის თვალით დამენახა და ერის ტრაგიკული ისტორიის ფარსში გადაზრდის პარადოქსები მეჩვენებინა. მაგრამ ეს მაინც სხვა „ჟანრი" იყო. არ ვიცი კონკრეტულად რამ მიბიძგა, მაგრამ წარსულმა თავისთავად „გაიღვიძა", რომელიც დღევანდელი ცხოვრების ეპიზოდების რკალში მოთავსდა. ასე გადაება ამ ესეებში ძველად განცდილი ახალ შთაბეჭდილებებს. ახლა, როცა თქვენმა კითხვამ დამაფიქრა, ასე მეჩვენება, რომ ყველაფერი ასაკის ბრალია. ჩემს თავს ვხედავ როსტომ მანველიძის როლში, რომელიც, სასოწარკვეთილი, ქალიშვილებისა და მეუღლისაგან მიტოვებული, ბუხარში მბჟუტავ ნაკვერჩხლებს ჩასჩერებია და თავის ძველ დიდების დღეებს იხსენებს, ან პოლიკარპე კაკაბაძის როსტომ ბრძენის როლში („კახაბერის ხმალი"), რომელიც ნაცარქექია გოსტაშაბის ყოვლად უწყინარ კითხვებს სერიოზული სახით პასუხობს, მაგალითად ასეთზე:

გოსტაშაბი: წმინდა გიორგის ხმალი დაიკარგა, თუ არის ქვეყანაზე?

როსტომი: საქართველოს ერგო. ჩვენმა მეფეებმა ქარქაში ვერ უპოვეს.

მაგრამ ეს „გარდასახვა", მხოლოდ თვითირონიის წუთებში თუ ხდება, რადგან, როგორც ადრე მოგახსენეთ, ბუნებით ოპტიმისტი ვარ. ხოლო კახაბერის ხმალს თუ ჩვენი ცხოვრების მიერ წამოჭრილ გაალმასებულ კითხვებს შევადრით, მაშინ მეც ვცდილობ შესაფერი „ქარქაში" ვუპოვო მათ. ანდა თუნდაც, ამ წუთებში, პასუხი მოვუნახო თქვენს კითხვებს.

— 1964 წელს, ჟურნალ „ცისკარში" (№4) გამოქვეყნებულმა თქვენმა სტატიამ „თეატრის კონფლიქტი" გადატრიალება მოახდინა ქართულ თეატრში. მაშინ თეატრალურ წრეებში ყველა ნოდარ გურაბანიძის გამბედაობასა და პრინციპულობაზე ლაპარაკობდა. პოლემიკა დიდ ბრძოლაში გადაიზარდა. მართლაც, მძიმეა თეატრალური კრიტიკოსის ხვედრი. გაკრიტიკებული კაცი ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება თქვენს გვერდით აღმოჩნდეს სუფრაზე. თქვენ, სრულიად ახალგაზრდამ, დიდი ბრძოლა მოიგეთ, სამართლიანობამ იზეიმა და ქართულ თეატრს ახალი სისხლი გადაუსხეს.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. თაობები იცვლება და ამ ცვალებადობას თეატრის განახლების იდეა მოაქვს თან, ხოლო, ახალ თაობას თავისი სათქმელი. ისტორიამ ზოგჯერ იცის ხოლმე გამეორება. სტერეოტიპების მსხვრევა და განახლების პროცესი მშობიარობასავით მტკივნეული, მაგრამ ბუნებრივი მოვლენაა.

— ეს კითხვა კი არა, წარსულის რეტროსპექტივაა, შეფასებაა მოვლენისა და არც ვიცი რა გიპასუხოთ (რაკი კითხვა არის დასმული!). ისე, თქვენი მსჯელობის განვრცობა შესაძლებელია. თუმცა, აქ ჩასაფრებულია საფრთხე — პრობლემა იმდენად მნიშვნელოვანი და ისტორიულია, რომ, ვშიშობ, თეორიული მსჯელობანი არ მოგვეძალოს, რაც, ამ შემთხვევაში, მაინცდამაინც საჭიროდ არ მიმაჩნია.

რასაკვირველია, ჩემს წერილს „თეატრის კონფლიქტი", არავითარი გადატრიალება არ მოუხდენია ქართულ თეატრში. ისე დიდი აჟიოტაჟი კი გამოიწვია. დიდფორმატიან გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნების" მთელი ერთი გვერდი დაეთმო „თეატრის პასუხს", სადაც თეატრის სამხატვრო საბჭოს სახელით („კოლექტიური ხელმოწერა!!!) მკაცრად და, ვაღიარებ, ხშირად სამართლიანადაც, გამაკრიტიკეს, თუმცა, როგორც ეს გაცხარებული კამათის დროს ხდება, თავადაც სუბიექტივიზმის სასარგებლოდ გადაიხარნენ. მალე, ჟურნალ „ცისკარში" დაიბეჭდა ბატონ რევაზ ჯაფარიძის მწვავე პუბლიცისტური წერილი, რომელშიც ავტორი ძირითადად ჩემს პოზიციას იზიარებდა.

ჩემი წერილი მართლაც კრიტიკული პათოსით გამოირჩეოდა. იგი გამოძახილი იყო იმ ცხარე დისკუსიისა, რომელიც გაიმართა თეატრის ტრადიციისა და ნოვატორული ტენდენციების შეჯახების ნიადაგზე. ბრძოლის ასპარეზი რუსთაველის თეატრი იყო. ეს ბუნებრივია, რადგან სწორედ აქ იჩინა თავი ახალმა თეატრალურმა იდეებმა, ახალი სცენური საშუალებების ძიების ცდებმა, გამოხატვის თანამედროვე ფორმების და ცხოვრებისეული სიმართლის ჰარმონიის პრობლემებმა. ბუნებრივია, ნოვატორები უარყოფდნენ ცრუ პათეტიკას, რომანტიკულ ზეაწეულობას, პათოსს, მაგრამ, ამ უარყოფის უკიდურესობის გამო, საერთოდ ქართული ჰეროიკულ-რომანტიკულ თეატრის საუკეთესო მიღწევების იგნორირება ხდებოდა. ახლა რომ ვუკვირდები ბრძოლა ტრადიციის დამცველთა და ნოვატორთა

შორის დამთავრდა „ფიფთი-ფიფთი“, როგორც ერთის ასევე მეორეს მხარეს იყო 50% სიმართლე და 50% შეცდომა. ეს ახლა ჩანს ასე. პოლემიკის დროს კი, ორივე მხარე სწორედ ამ ორმოცდაათ პროცენტიან შეცდომებს უკიჟინებდა ერთმანეთს.

ამ ბრძოლის ცენტრში აღმოჩნდა სწორედ ჩემი წერილი, რის გამოც იგი საზოგადოებაში ძალზე გახმაურდა.

ერთხელ, უცხოეთში, ერთ-ერთ დიდ პრესკონფერენციაზე მკითხეს – ახალ თეატრალურ ტენდენციების განვითარებას თქვენი კრიტიკა ხელს უწყობდა თუ ხელს უშლიდაო. მე, გულწრფელად ვუპასუხე – ხელს უშლიდა-მეთქი.

რუსთაველის თეატრის მაშინდელი ახალგაზრდობა უაღრესად მტკივნეულად განიცდიდა კრიტიკას, განსაკუთრებით თეატრის მთავარი რეჟისორის დოდო ალექსიძის წასვლის შემდეგ. ბატონი დოდოს სახელს უკავშირდებოდა რომანტიკული თეატრის ფორმების განახლების პროცესი და მისი მომხრე თეატრალური კრიტიკოსებისაგან წამოსულ კრიტიკულ შენიშვნებს უმალ მწვავე რეაქცია მოჰყვებოდა ხოლმე. თუმც მე მაშინ „ალექსიძის ბანაკს“ მიმაკუთვნებდნენ, მაგრამ ერთგვარი შინაგანი კმაყოფილებით დღესაც ვკითხულობ ამ ჩემი ძველი წერილის იმ ადგილებს, სადაც მაშინ სრულიად ახალგაზრდა რეჟისორის რობერტ სტურუას სპექტაკლს, არტურ მილერის – „სეილემის პროცესს“ ძალზე მაღალ და ობიექტურ შეფასებას ვაძლევდი.

1968 წელს რობერტ სტურუამ და მე ამერიკაში ვიმოგზაურეთ და ბევრი რამ მაშინ გავარკვიეთ. ამ წელსვე ჩაეყარა საფუძველი ჩვენს ხანგრძლივ მეგობრობას, რის შესახებ იგი თვით წერს „თეატრალურ მოამბეში“ (№3, 2000) გამოქვეყნებულ თავის, ჩემთვის ძალიან ძვირფას მოლოცვაში.

ახლა ერთ პარადოქსს გაგიმხელთ. უმეტესობა იმათაგან, ვინც „თეატრის პასუხს“ ანერდა ხელს, სტურუას ესთეტიკის ოპოზიციაში აღმოჩნდნენ ბოლოს, მე კი „სტურუას ბანაკში“. ეს პარადოქსი იმ აზრსაც შთაგვაგონებს, რომ თეატრში, ისევე როგორც ცხოვრებაში, მარადიული არაფერია.

– თქვენ, ოცი წელია ჟურნალ „ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი ხართ. ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინათ, და უფრო ადრეც, „ხელოვნება“ მრავალათასიანი ტირაჟით გამოდიოდა, ძალიან საინტერესო და მაღალი პროფესიული დონის ჟურნალი იყო. პროფესიული დონე არც 2000 წლის ნომრებს დაუკარგავს. ახლა, როცა „ხელოვნების“ გამოსაცემად ქვეყანას ფული ვერ გაუმეტებია, ჟურნალი კანტიკუნტად ან თვეების განმავლობაში აღარ გამოდის და სულს ღაფავს. რაღა დაგვრჩენია? ან – უნდა გადავარჩინოთ კულტურა, სანამ საბოლოოდ დამბლა არ დასცემია, ან გულხელდაკრეფილი დაველოდოთ მის გარდაცვალებას და მერე მიწა მივაყაროთ.

არ ვიცი, ამ ჟურნალს სახელმწიფო მოხელეები ოდესმე იწერდნენ და კითხულობდნენ თუ არა, მაგრამ ვინ მოთვლის ჩვენში რამდენი პროფესიონალი რეჟისორი და მსახიობია, რამდენი მწერალი, მეცნიერი, მხატვარი, მუსიკოსი... ეს მკითხველთა დიდი არმიაა. სამწუხარო ის არის, რომ მათ ჟურნალის გამოსაწერი კი არა, პურის ფული არა აქვთ. ორასი ან სამასი ტირაჟით გამოცემული ჟურნალი, დამეთანხმებით, დიდი ვერაფერი შვილია, სამუზეუმო ექსპონატად თუ გამოდგება.

– ორიათას პირველ წელს ჟურნალ „ხელოვნებას“ 80 წელი უსრულდება. თუ მხვედველობაში არ მივიღებთ კატაკლიზმებით გამოწვეულ პაუზებს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ისტორიის ამ გრძელ გზაზე ჟურნალი სისტემატურად ეხმაურებოდა ქართულ ხელოვნებასა და კულტურაში მიმდინარე პროცესებს.

1954 წლიდან (როცა ჟურნალმა განაახლა მუშაობა „საბჭოთა ხელოვნების“ სახელწოდებით) დღემდე, მას სამი რედაქტორი ჰყავდა – ოთარ ეგაძე, თამაზ ჭილაძე და მე.

ნუ დავუკარგავთ ბატონ ოთარს დამსახურებას. 50-იან წლებში საქართველოში ასეთ პოლიგრაფიულ დონეზე (ცარცის ფინური ქაღალდი, გრავირებული გარეკანი, საინტერესო მაკეტი) არცერთი ჟურნალი არ გამოდიოდა. მიუხედავად ერთგვარი პროვინციული კეკლუცობისა და დატკბილულ-დაშაქრული სტილით თავმომწონეობისა, მის ფურცლებზე, მაინც მრავალი, ძალზე საგულისხმო გამოკვლევა თუ ესე დაიბეჭდა. აქ გამოჩნდა ხელოვნებათმცოდნეების, თეატრმცოდნეების, მუსიკათმცოდნეების, მოგვიანებით – კინომცოდნეების მთელი თაობები.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მეც ამ ჟურნალში, „საბჭოთა ხელოვნებაში“ დავიწყე მუშაობა და სხვათაშორის 1954 წლის პირველ ნომერშივე – წარმოიდგინეთ თუ რას ნიშნავდა ეს! – დაიბეჭდა ჩემი წერილი. უეჭველად პატივისცემით და მადლიერებით უნდა მოვიხსენიო ბატონი ოთარი იმის გამოც, რომ ახალგაზრდების სტატიებს ხალისით ბეჭდავდა და უხეშად არასოდეს არ მოუხდენია ჩვენი მოსაზრებების კორექტირება. მაგრამ დრო იცვლებოდა... „საბჭოთა ხელოვნების“ და „მნათობის“ რედა-

ქცია ერთხანს გვერდი-გვერდ ოთახებში მუშაობდა და ჩვენ, ჟურნალში მომუშავე ახალგაზრდები, აშკარად ვხედავდით, თუ როგორ გაგვასწრო „მნათობმა“ თავის ფურცლებზე გამოქვეყნებული კრიტიკული თუ პუბლიცისტური წერილების აქტუალობით და მაღალმხატვრულობით, რაც, უეჭველია სიმონ ჩიქოვანის, მაშინდელი რედაქტორის დამსახურება იყო. მართალია, ჩვენს რედაქციაში თავს იყრიდნენ იმდროინდელი მხატვრობის (რეზო თარხან-მოურავი, ელგუჯა ამაშუკელი, დიმა ერისთავი, ზურაბ ნიჟარაძე), მუსიკის (არჩილ ჩიმაკაძე, გივი ორჯონიკიძე, ბიძინა კვერნაძე, სულხან ნასიძე), კინოს (თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე) ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები, მაგრამ თავად ჟურნალი მაინც კონსერვატიულ მიმართულებას ინარჩუნებდა და ვერაფრით ვერ ელეოდა ე. წ. „ევფრუისტული“ სტილით, ბრჭყვიალ-ბრჭყვიალა ფრაზებით (თან არაფრისმთქმელი) „იერსახეებით“ და „ფერტილოებით“ დაწერილ სტატიებს. ცხადია, ამის გამო რედაქციის ახალგაზრდა თანამშრომლებსა (მუსიკისმცოდნე ანტონ ნულუკიძე, თეატრმცოდნე თენგიზ ჯანელიძე, ხელოვნებათმცოდნე ლეილა თაბუკაშვილი და მეც, მათ შორის) და რედაქტორს შორის ჯერ ფერმკრთალი უთანხმოება წარმოიშვა, შემდეგ კი კონფლიქტმა შეისხა ფრთები. ძლიერი ნებისყოფისა და პარტიულ ინტრიგებში გამოწრთობილი ოთარ ეგაძისათვის ძნელი არ იყო „ურჩი მეამბოხეების“ თანდათანობით მოშორება. დაიშალა ჩვენი არჩევულებრივი მეგობრული კოლექტივი. ჩვენი წამოსვლის შემდეგ ბატონმა ოთარმა ცხადია, ახალი თანამშრომლები მოიყვანა და ჟურნალი მთელი ათი წლის მანძილზე ნელნელა იძირებოდა უგემოვნობის ჭაობში, თუმცა ვიმეორებ, სპონტანურად, იშვიათად, მაინც იბეჭდებოდა საინტერესო წერილები.

1973 წლიდან იწყება ჟურნალის ჭეშმარიტი აღორძინება. ეს აღორძინება დაკავშირებულია ჟურნალის ახალი რედაქტორის ბატონ თამაზ ჭილაძის სახელთან. პირდაპირ სასწაული მოახდინა: თითქოს ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით განდევნა ჟურნალიდან პროვინციალიზმი, პომპეზურობა, სუბიექტივიზმი, ზედ მიაყოლა შემთხვევითი ავტორების (წერას მოწყურებული მანდილოსნების, პარტოკრატი ესთეტიკოსების, მედროვე-მლიქვნელების) მთელი ლეგიონი. ჟურნალი ხელახლა დაიბადა, გამობრწყინდა. ბატონმა თამაზმა შემოიკრიბა დახვეწილი გემოვნებისა და ერუდიციის ხელოვანნი, მწერლები (არც კარგ „ძველებზე“ უთქვამს უარი), გამოჩნდა ახალი პრობლემები, ახალი სახელები, ხოლო მთლიანად ჟურნალი სანიმუშო გემოვნების ეტალონად იქცა. ჟურნალის ტირაჟი მკვეთრად გაიზარდა, ასეულობით ეგზემპლარი უცხოეთში იგზავნებოდა. არ არის დასამალი: სულ ცოტა ხნის წინ, ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი დაუფარავი ირონიით, რაც ხშირად სარკაზმშიაც გადადიოდა (იყო ასეთი გამოთქმაც: „ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ მდიდარი კაცის მიერ შეკვეთილი „ვენოკივით“ გამოირჩევაო“), მოიხსენებდა ამ ჟურნალს. 70-იან წლებში კი იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გამოცემა გახდა და მის ფურცლებზე ბეჭდვა ყველას დიდ პატივად მიაჩნდა.

1981 წლის აგვისტოდან დავუბრუნდი ჩემს საყვარელ ჟურნალს. ბატონი თამაზის მუშაობა ავგიას თავლების გასაწმენდად ხომ წარმოუდგენლად რთული იყო, არც ჩემი აღმოჩნდა ადვილი – ახლა მთავარი იყო შემენარჩუნებინა ჟურნალის დონე... საქართველოში საყოველთაო არეულობამდე ანუ ათ წელზე ცოტა მეტი ხნით, ჟურნალ „ხელოვნების“ მიერ ადრე მიღწეული სიმაღლეები ასე თუ ისე, ვგონებ, შევინარჩუნე, მაგრამ შემდეგ რაც მოხდა, მხოლოდ ე. წ. „შავი კომედიის“ სიუჟეტად თუ გამოდგება. თავისუფლებისა და დემოკრატიის ქარიშხლებმა შორს მიმოფანტეს ჩვენი ილუზიები. ჩვენ თავისუფლებისმოყვარენი მაშინ ვყოფილვართ თურმე, როცა დამონებულები ვიყავით, პატრიოტები – როცა ფაქტიურად სამშობლო არ გვქონდა, დემოკრატები – ტირანიის მარწუხებში.

ცნება სამშობლოსი იქცა ერთ გრანდიოზულ დახლად, საიდანაც თავისუფლების, დემოკრატიის და პატრიოტიზმის სახელით უმეტესობა რაღაცას იტაცებს, ვიღაცას ატყუებს, ქვეყანას ანგრევს და საკუთარ სახლს იშენებს, ისე რომ არც უწყის, თავისი უგუნურების გამო – პირმოღებულ ქვეყანაში დაუნგრეველი არაფერი დარჩება. კულტურისა და ხელოვნების გადასარჩენად თითო-ოროლა კაცის გაბრძოლება ამ დროს ხომალდიდან ზღვაში გადაგდებული ცურვის არმცოდნე კაცის უსასოო ხელების ქნევას მაგონებს. ორიოდე წლის წინ კიდევ მქონდა იმედი, რომ ხელოვნებისა და კულტურის გადასარჩენად ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწისა და ხელოვანის გმირული გაბრძოლება, ერის ლიდერების – მწერლების შეძახილი, ჩვენი მონდომება, სასურველ შედეგს მოიტანდა.

ახლა?

რა ვთქვა ისეთი, რაც უკვე არ თქმულა ხელისუფლებისა თუ პარლამენტის (განსაკუთრებით) მისამართით?! დავიჯერო ყველამ

დაკარგა ეროვნულობის გრძნობა, რაც მხოლოდ კულტურისა და ხელოვნების ნიადაგზე აღმოცენდება?!

ძალზე პირქუში და უპერსპექტივო სურათია...

თავშივე მოგახსენე – ოპტიმისტი კაცი ვარ ბუნებით. არ მინდა ამ ქვეყნიდან ისე წავიდე, რომ არ მწამდეს – უკიდურესი სასოწარკვეთის ჟამსაც კი ქართველობა, როგორც მას სჩვევია ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციაში – იპოვის თავის თავში ძალას „ქართველობის" დასამარცხებლად.

ქვეყანა გვეღუპება, ჩემო თემურ, და მე ჟურნალ „ხელოვნების" გადარჩენაზე გელაპარაკო?

ოუმც რატომ არა!

დე, ყველამ გადაარჩინოს ის, რისი გადარჩენა მას შეუძლია და ევალება.

– 1981 წელს დაარსდა ბიჭვინთა-ქობულეთის დრამატურგთა სემინარი. თქვენ მისი მუდმივი მონაწილე ხართ. რას გვეტყვით დრამატურგთა სემინარის როლსა და მნიშვნელობაზე, მის მომავალზე?

– ხშირად დამმართვია ასეთი ამბავი: როგორც კი ბიჭვინთის სემინარს მიხსენებენ ხოლმე, უცებ მზით კაშკაშდება ირგვლივ ყოველივე. საგნები ჰკარგავენ ჩრდილსა და მოცულობას, ძლიერი, ყვითელი ნათელი თვალისმომჭრელი ელვარებით ფარავს დედამიწას. ამ წამიერი ვირტუალური მოჩვენების შემდეგ საგნები, მცენარეები, ზღვა მალევე იბრუნებენ თავიანთ ფერს, მოცულობასა და მოძრაობას. ნაცნობი პეიზაჟი ცოცხლდება და ახლა, მოგონების ამ იშვიათი სილამაზის გამოწვეულ სიხარულს ენითუთქმელი ტკივილი ცვლის. რა ახალგაზრდები, რა ნიჭიერები და რა საყვარლები იყვნენ პირველი სემინარების მონაწილენი.

იშვიათი მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა, შემოქმედებითი იდეების სიახლე, იმედები, ილუზიები ალამაზებდა ამ ურთიერთობებს. არა მგონია ვცდებოდე: თითოეული ჩვენთაგანის გულში ის დღეები სამარადჟამოდაა აღბეჭდილი და მათი მოგონება დღესაც სიხარულით გვავსებს.

ასეთი შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა, რასაკვირველია, ჩვენი სემინარის ხელმძღვანელის, ბატონ თამაზ ჭილაძის დამსახურებაა.

გითხარით, ვგონებ, რომ ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვედრივარ ცხოვრებაში და ვნანობ, რომ არ ჩამინერია მათი საუბრები-მეთქი. ერთ-ერთი მათგანი ბატონი თამაზი გახლავთ. რასაკვირველია, ბევრი რამის გახსენება და აღდგენა შემიძლია, მაგრამ ეს იქნება შინაარსის, იდეის ხელახალი რეკონსტრუირება და არა (რადგან ეს შეუძლებელია) ფორმის, ბრწყინვალეების აღდგენა. მაშინ ხომ ვიყავი და ვიყავი, დღესაც კი აღტაცებული ვარ მისი თეატრალური იდეების ცხოველმყოფელობით და ორიგინალობით. თვით ყველაზე სუსტ პიესაში, მის მახვილ და უეჭველად კეთილგანწყობილ თვალს, არ გამოეპარება თუნდაც ერთი მარცვალი სიკეთისა, ნიჭის მკრთალი ნიშანი. და აი, ამ ერთ მარცვალზე – გაოცებული „სემინარისტების" თვალწინ, მას შეუძლია რამდენიმე ახალი პიესის „ფანტაზირება", მისი სიტყვებიდან რადიაციის სხივთა კონასავით იშლებიან იმპულსები, რომელთაც, თუ კაცი სულ მთლად არ არის დრამატურგიულ ნიჭს მოკლებული, ძალუძთ შთაგონების გამოწვევაა.

მაგრამ, ყველაზე მეტად მაოცებს ორიგინალური იდეის (რაზეც შეიძლება პიესის აგება) ასე უშურველად გაცემა. ყოველ ახალ პიესის წაკითხვისას ამ იდეების გენერაცია ხდებოდა.

ბიჭვინთის სემინარმა მალე მოიპოვა ავტორიტეტი და საქართველოს ყოველი მხრიდან ჩამოდიოდნენ ახალგაზრდა შემოქმედნი. აქ ერთიანი საქართველოს სული ტრიალებდა. ამას გარდა, სად მოისმენდა აფხაზი, ან ოსი დამწყები დრამატურგი უფრო პროფესიულ, უფრო ესთეტიკურ, ან უფრო გონიერ გარჩევებს?!!!

მაგრამ, ერთხელ, ბატონმა თამაზმა საკუთარ თავსაც აჯობა. ბიჭვინთაში საგანგებოდ გვესტუმრა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი დავითი. ძალიან საინტერესო საუბრის შემდეგ ღირსმა დავითმა დიდებულ სუფრასთან მიგვიპატიჟა. თამადობდა ბატონი თამაზი. მისი პირველივე სიტყვა იყო ორატორული ხელოვნების, გამოთქმის ბრწყინვალების, სიბრძნის, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობის უიშვიათესი ნიმუში. არც მანამდე და არც მერე, სუფრასთან მსგავსი ბრწყინვალე სიტყვა არ მომისმენია.

აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ორიოდე წლით შეფერხდა ჩვენი სემინარის მუშაობა. თითქოს არავითარი პერსპექტივა არ იყო მისი განახლებისა. მაგრამ, როგორც გამოირკვა, სემინარი ისეთი ძლიერი ლიტერატურული პროცესი აღმოჩნდა, ისეთი ძლიერმომქმედი შემოქმედებითი მუხტი ყოფილა მასში ჩადებული, რომ მას აღსასრული არ ეწერა...

დღევანდელი ჩვენი სემინარის სახელწოდებაში, „ბიჭვინთა-ქობულეთის სემინარი" გაცილებით ღრმა აზრია ჩადებული, ვიდრე ორი გეოგრაფიული ცნების დაწყვილება გახლავთ...

სემინარმა დიდი როლი შეასრულა ქართული თეატრის რეპერტუარის განახლებაში. იგი ერთ-ერთი სიცოცხლისუნარიანი და დიდი წამოწყებაა. ეს გარემოება განსაკუთრებით თვალშისაცემია (და სანუგეშო!) დღეს, როცა ირგვლივ თითქმის ყველაფერი ჩამკვდარია...

– „განსაკუთრებულია ნოდარ გურაბანიძის როლი რობერტ სტურუას თეატრის ესთეტიკის შესწავლასა და მისი მსოფლმხედველობრივი საფუძვლების გააზრებაში. ნოდარ გურაბანიძის წიგნი – „რეჟისორი რობერტ სტურუა" ისეთივე მოვლენაა ქართულ თეატრმცოდნეობაში, როგორც სტურუას თეატრი ქართული თეატრის ისტორიაში" („ლიტერატურული საქართველო", 15-20 სექტემბერი, 2000 წელი.).

უმაღლესი შეფასებაა როგორც რობერტ სტურუას თეატრისა, ასევე თქვენი წიგნისა. ალბათ დამეთანხმებით, ასეთ ბედნიერ თანხვედრას ბევრი ინატრებდა.

– დღეს უკვე საყოველთაოდ დამკვიდრდა ცნება „რობერტ სტურუას თეატრისა". სწორედ ამ ცნების არსის გარკვევას მივუძღვენი ჩემი დიდტანიანი მონოგრაფია „რეჟისორი რობერტ სტურუა". სხვათაშორის, არცერთი ჩემი წიგნის წერის დროს არ მიმილია ამდენი სიამოვნება. ჩემი მონოგრაფიის გმირთან ერთად ხელახლა გავიარე ქართული თეატრის ტრიუმფიალური გზა, კიდევ ერთხელ განვიცადე ის დიდი ემოციური და ესთეტიკური სიამოვნება, რომელიც მისი საუკეთესო სპექტაკლებიდან მიმილია.

სხვათაშორის, ერთხელ, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ იხუმრა „ეს სტურუა ან დაგვლუპავს ან აგვაშენებსო" („რიჩარდის" ნახვის შემდეგ). ამ სიტყვებში დიდი სიმართლეა, თუმცა ამის მთქმელი პოლიტიკურ კონიუნქტურას უფრო გულისხმობდა, ვიდრე ესთეტიკურ შედეგს.

რ. სტურუამ შეცვალა მთელი თეატრალური გარემო. მისმა სპექტაკლებმა დიდ ზეგავლენა მოახდინა საერთოდ ქართულ კულტურაზე. ამავე დროს გაჩნდნენ სტურუას ეპიგონები, რომელთა სპექტაკლებზე უფრო მოსაწყენი და ვიტყოდი, საშინელი, არაფერია.

რამდენგზის მომისმენია ბატონ მიხეილ თუმანიშვილის გაფრთხილება ახალგაზრდა რეჟისორების მისამართით – „დაანებეთ თავი სტურუას, ნუ ბაძავთ მას. ის რასაც აკეთებს, მხოლოდ მისთვისაა ორგანული. მას ტვინი „უკულმა" აქვს მოწყობილი. თქვენთვის ეს უცხოა, ბოლოსდაბოლოს, ეს თქვენი არაა". მაგრამ, ერთი რამ კი უნდა ითქვას, ეს ეპიგონები იმას კი მიხვდნენ, რომ სტურუას სპექტაკლების შემდეგ ძველებურად შეუძლებელია მუშაობა, მაგრამ იმას კი ვეღარ მიხვდნენ, რომ მისდამი ბრმა მიბაძვა კატასტროფისაკენ უბიძგებთ.

სტურუა არც არაფერს უარყოფს და არც არაფერს ამტკიცებს. მისი გრანდიოზული თეატრალური სამყარო თავისთავადი და განუმეორებელია. იგი ესთეტიკურ კოლიზიებზე მაღლა დგას. მისი მიზანი დიდია.

განა საოცარი არ არის, რომ მისი სახელგანთქმული სპექტაკლები იმდენად ესთეტიკური კამათის საგანი არ იყო, რამდენადაც პოლიტიკურის:

„ყვარყვარესთან" დაკავშირებულ მოვლენებზე მრავალგზის დამიწერია (თერთმეტი ე. წ. „დახურული გასინჯვა" მოიწვიეს). განა ბევრმა იცის, რომ მის ყველაზე ნათელ, ხალისიან, ლაღ სპექტაკლს – „კავკასიური ცარცის წრე" – ერთი კარგად განათლებული ისტორიკოსი, მეცნიერი, რომელსაც მაშინ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დიდი პოსტი ეჭირა, მას „ფაშისტურ სპექტაკლს" უწოდებდა (პირველ რიგში, გულისხმობდა აზდაკის მოსამართლედ არჩევის სცენას, სადაც ძნელი არ იყო გვეცნო საბჭოთა საარჩევნო სისტემის გროტესკული სურათი. ეს სცენა შემდგომ რობერტ სტურუამ ამოიღო სპექტაკლიდან, მოქმედების რიტმს ანელებსო).

„რიჩარდზე" კი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიები უფრო ფარულად განლაგდა, რადგან ხმამაღლა ვერავინ ბედავდა ეთქვა, რომ მეფე ედვარდი – ავთო მახარაძის შესრულებით – ძალიან ჰგავდა უკვე გამოთაყვანებულ, მობლუკუნე, ხშირწარბებიან ბელადს – ლეონიდ ბრეჟნევს.

ადვილად შესამჩნევია, ის რაც ზედაპირზე დევს და რაც არაპროფესიონალის თვალსაც კი არ ეპარება. მაგრამ ის რაც ძნელად შესამჩნევი და ასახსნელია, სიღრმეებშია და მისი სპექტაკლების მთელ სამყაროშია გამჯდარი. აი, ამ სიღრმეებს თუ ჩასწვდები, მიხვდები, რომ ეს თავისთავადი და განუმეორებელი სამყარო, იმანენტურად ბევრ რამეს უარყოფს და ბევრს ახალს ამტკიცებს – წმინდა თეატრალური ესთეტიკის თვალსაზრისით. რობერტ სტურუას თითქმის ყველა სპექტაკლზე მაქვს დაწერილი რეცენზია თუ ესე (ბევრი ამათგანი წიგნში არც შემიტანია) და თუ ჩემი „რეჟისორი რობერტ სტურუა" მკითხველისათვის ასე თუ ისე, ნაწილობრივ მაინც გასაგებს ხდის რობერტ სტურუას – მოდური სიტყვა რომ ვიხმაროთ – ფენომენს – მაშინ მეც გადამი-

დგამს ნაბიჯი მისი დიდი სამყაროს სიღრმეში.

— ბატონო ნოდარ, თქვენ თითქმის მთელი მსოფლიო მოიარეთ, უცხოური თეატრების ბევრი სპექტაკლი ნახეთ. გაიხსენეთ ნებისმიერი დღე, მომენტი, წუთი, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა და მუდამ დაუვიწყარი იქნება თქვენთვის. სად, რომელ ქვეყანაში უფრო ლამაზი და მომხიბვლელი მანდილოსნები შეგხვედრიათ, ვისთან ურთიერთობაც, როგორც თქვენ იტყვით ხოლმე, თავისთავად, ხელოვნებაა. ჩემი აზრით, ამა თუ იმ ერის გენეტიკური სიმდიდრე პირდაპირ კავშირშია კულტურის განვითარებასთან... საქართველო ხომ ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანა იყო...

— მივხვდი თქვენი შეკითხვის ქვეტექსტს და ამაზე პირდაპირ არ გიპასუხებთ, მითუმეტეს, რომ ყოველთვის უხერხულობის გრძნობა მეუფლება, როცა მამაკაცები ქალებთან თავიანთ ურთიერთობის პიკანტურ დეტალებს იხსენებენ და საკუთარი სატრფიალო თავგადასავლების რომანტიკულ სამოსელში გახვევას ლამობენ.

ამ თავგადასავლების კითხვა შეუძლებელია ირონიის გარეშე, თუ ისინი არ არის შადერლოო დე ლაკლოს „სახიფათო კავშირებისა“ ან, თუნდაც, კაზანოვას მოგონებათა გულწრფელობის დონეზე.

აქ არ გავიმეორებ საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებს, ქალის სიყვარულის მოუგერიებელ ძალაზე, შთაგონებაზე, შემოქმედებით ინსპირაციებზე და ა. შ. ვიტყვი იმის შესახებ, რაც თქვენი შეკითხვის ზედაპირზე ძევს — ანუ ქალის სილამაზეზე, მითუმეტეს, რომ ჩემს ასაკში, ესეც სახიფათო თემაა.

საერთოდ ქალის სილამაზის და მომხიბვლელობის აღქმა — თუნდაც სახვითი ხელოვნების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ცვალებადია. ტიციანისა და რუბენსის ხორცსავსე, ატმისფერ-კანიანი ქალების იდეალი შემდგომ ეპოქებში მკვეთრად შეიცვალა. ზოგ გამოჩენილ ხელოვანს მინიატურული იაპონელი ქალების პროპორციები აჯადოვებს, ზოგს ჩრდილოეთ ევროპის მაღალკანჭებიანი ქერა ქალები ხიბლავს. ბევრი რამაა დამოკიდებული ჩვენი თვალის იმპულსზე, უფრო სწორად, იმაზე, თუ რას მიეჩვევა თვალი. ამ რამდენიმე წლის წინ ვიყავი ჩინეთში, სადაც ძალიან მაღალი რანგის შეხვედრები გვქონდა, ვნახე რამდენიმე სპექტაკლი, მათი შეუდარებელი ცირკი, მოვუსმინე სახელგანთქმულ „პეკინის ოპერას“, ბანკეტებს გვიმართავდნენ პირველხარისხოვან რესტორნებში (აქ მოქმედებს გეიშების ინსტიტუტი), ამით იმის თქმა მინდა, რომ ვხვდებოდი, როგორც უბრალო ჩინელ ქალებს, ასევე ახალი პარტიული თუ არისტოკრატიული ელიტის წარმომადგენლებსაც. პირველხანებში, ყველა ჩინელი ქალი ერთნაირი (ანუ ულამაზო) მეგონა, მაგრამ თანდათანობით „თვალი ამეხილა“ და დავინახე თუ მშვენიერების რა მრავალფეროვან სპექტრს შეიცავს მათი გრაცია.

თუ მხოლოდ ხორციელ სილამაზეზე ვილაპარაკებთ, მაშინ ვიტყვი, რომ არსად არ შევხვედრივარ უფრო გონისწამლებ ქალებს, ვინემ აფრიკის სანაპიროზე, ატლანტიკის ოკეანის პლიაჟზე მოთამაშე მაროკოელი ქალები იყვნენ ქალაქ მელილაში, რომელსაც ესპანური მალაგისგან (პიკასოს სამშობლო) გიბრალტარის სრუტე ჰყოფს. ეს საოცარი მეტისები — ესპანური და არაბული სისხლის ნაჯვარები, ხორბლისფერკანიანი და ქერათმიანი, ძვალწვრილა და ხორცსავსენი უნაკლო პროპორციებითა და ვნებიანობით გამოირჩეოდნენ. მათი ბუნებრივი სილაღე, ოკეანის ტალღებში ნავარდი იმდენად წარმტაცი იყო, რამდენადაც ნაივური. ისინი თავისთვის ლაღობდნენ, არავის არ აქცევდნენ ყურადღებას და, ვგონებ, არც სხვისი ყურადღების მიპყრობა სურდათ. აფრიკული ველური ვნება და ესპანური არისტოკრატიზმი სჭვიოდა ყოველ მათ მოძრაობაში თუ სხეულის ნაკვთების თამაშში.

აქ შევჩერდეთ!..

ჩემთვის მაინც ქართველი ქალია ქალურობის იდეალი. თვით ყველაზე შეუხედავი ქართველი გოგონას სახეში რაღაც განუმეორებელი იდუმალებაა დაფარული. დაუკვირდით და ნახავთ, რომ ნებისმიერი ასაკისა და შესახედაობის ქართველ ქალს წარმოუდგენლად ლამაზი თვალ-წარბი აქვს. თუ დამეჯერება, ყოველ ამ ქალში ვეფხვის გრაცია თვლემს.

რასაკვირველია, ვისაც ე. წ. „კარვის ქალების“ სახეები ახსოვს, ვინც ყოველ საღამოს ქართული ტელეეკრანიდან უყურებს გაშმაგებულ, სილატაკისაგან თუ გაავებისაგან შეშლილ სახეებს, იგი ეჭვს შეიტანს ჩემ ამ აღტაცებულ გამონათქვამში და მეც, ალბათ ენა ჩამივარდება, ვერაფერს ვიტყვი საპირისპიროს, მითუმეტეს, რომ ეს ამბავი ჩემთვის პირდაპირ თავზარდამცემია. ვერაფრით ვერ ამიხსნია ადამიანის სახის გადაგვარების ასეთი მოულოდნელი და ასეთი სწრაფი პროცესი.

მომიტევეთ ლირიკული გადახვევისათვის: როცა ტელევიზორში ამ კადრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუყურებ, სულ ამას ვფიქრობ: რა უნდა დატყდომოდა თავს დედაჩემს, საოცრად რბილ, მოსიყვარულე, შემწყნარებელ, ზრდილ მეგრელ ქალს, რა ისეთ გაჭირვებაში უნდა ჩავარდნილიყო, ან რას უნდა გაემწარებინა ისე (თუნდაც შვილები დაეხოცათ მისთვის), რომ ქუჩაში გამოსულიყო და ურცხვ ოპერატორთა კამერისათვის სახე ეჩვენებინა...

არ ვიცი...

მოდით, დავანებოთ თავი ამგვარ ლაპარაკს და სექტემბრის პირველ დღეებში გავიდეთ რუსთაველის პროსპექტზე – ამდენ ლამაზ ქალს მსოფლიოს ვერცერთ ქალაქში ვერ ნახავთ. ერთ ძველ ამბავს გავიხსენებ. რუსთაველის პროსპექტზე, ოფიცერთა სახლის კუთხეში მარტო იდგა, თურმე, ცნობილი კინორეჟისორი ივანე პერესტიანი (წარმოშობით იტალიელი. თავის დროზე, ერთობ გახმაურებული ფილმის „წითელი ეშმაკუნების" დამდგმელი). გაიარეს ნაცნობებმა, მიესალმნენ. დიდი ხნის მერე გამოიარეს – ისევ იქ დგას ეს კაცი. რა იყო, ვის ელოდებიო. „ერთი თვეა № ქალაქში (დაასახელა ამიერკავკასიის ერთი რესპუბლიკის ქალაქი) ვიყავი გადაღებებზე და, ვატყობ ქალის სილამაზის აღქმის უნარი დავკარგე. ახლა აქ ვდგავარ და ვუყურებ ქართველ ქალებს, რათა ეს უნარი აღვიდგინოო".

– ჩვენს უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში იმდენი იურიდიული და სამედიცინო ფაკულტეტებია, ორმხრივ სარფიანი ფაკულტეტები, თითქოს საქართველო დამნაშავეებისა და ავადმყოფების ქვეყანა იყოს! თავდადებულთა და პროფესიონალთა რიცხვი ყველგან და ყოველთვის მცირეა, ამ ფაკულტეტებზე შემსვლელთა უმრავლესობის ცხოვრებაში დამკვიდრების ქვეტექსტი კი ადვილი ამოსაცნობია. საკითხავია, გვჭირდება ამდენი ექიმი და იურისტი?

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში აბიტურიენტთა დიდი კონკურსი იყო. დღეს როგორი მდგომარეობაა, თანამედროვე ახალგაზრდობას ისევ უყვარს თეატრი, როგორც მათ წინამორბედ თაობებს? ოდითგანვე ასე იყო: გადაყლაპავდა სცენის ბაცილას თეატრზე შეყვარებული ახალგაზრდა და კუჭის წყლული გარანტირებული ჰქონდა...

საქართველოს სჭირდება კი ამდენი რეჟისორი და მსახიობი?

– ხშირად მითქვამს და ახლაც გავიმეორებ – საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ფულს მხოლოდ იმისათვის იხდიან, რომ არ ისწავლონ.

ჩვენი თავმომწონეობა, რომ საქართველო ყველაზე განათლებული ქვეყანაა, სასტიკი რეალობით დაგვხვდა წინ ისტორიის ახალ გზაზე. ამდენი აკადემიის „ამოყვავილება" ჩვენივე უვიცობის ნოყიერი ნიადაგით შეიძლება აიხსნას მხოლოდ, თავი რომ დავანებოთ თვით ამ ფაქტის კომიკურობას.

სწავლისადმი ასეთი საყოველთაო მისწრაფება (რაც, ფაქტობრივად, საბოლოო ჯამში, უსწავლელობისადმი „მისწრაფებაა") სოციოლოგებზე უფრო ფსიქოლოგების ასახსნელია.

რასაკვირველია, „ამდენი ექიმი და იურისტი", „ამდენი რეჟისორი და მსახიობი" ჩვენს პატარა ქვეყანას არ სჭირდება, მაგრამ ეს სჭირდება თავმომწონე ქართულ ოჯახს.

რამდენ გაფიცვას არ შევსწრებივარ ჩემი მოგზაურობების დროს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რა საოცარი პეტიციები და მოთხოვნები არ მომისმენია, მაგრამ რაც ამასწინათ ვნახე და მოვისმინე ჩვენი საამაყო უნივერსიტეტის სტუდენტობის მიტინგზე – ყოველგვარ ზღვარს გადადის და თავზარდამცემი ფაქტია – სტუდენტები მოითხოვდნენ პირველი სემესტრის გამოცდების მოხსნას (გადავადებას კი არა, ვთქვათ, უსინათლობის გამო, არამედ, სწორედ, მოხსნას!) ეს ხომ, ფაქტობრივად, ოფიციალური განცხადებაა – არ გვინდა სწავლაო.

1964 წელს მთელს ევროპას გადაუარა სტუდენტთა მძვინვარე და რადიკალურ გამოსვლათა ტალღამ (განსაკუთრებულ პიკს საფრანგეთში მიაღწია), რომელმაც სახელმწიფო სისტემები ძირფესვიანად შეარყია, მაგრამ ასეთი მოთხოვნა, რაც თბილისში გაისმა, იქ, უკიდურესი ექსტრემიზმის დროსაც არ წამოუყენებიათ.

გაოცებით როგორ არ გავოცებულვარ. 1968 წელს ამერიკაში შევესწარი უმუშევარი თუ დროებით დაუსაქმებელი ზანგების საყოველთაო გამოსვლებს. ისინი მოითხოვდნენ ყოველთვიური დახმარების ორმაგად გაზრდას. პარადოქსი ის იყო, რომ ხელისუფლება მათ სთავაზობდა სამუშაო ადგილებს, მაგრამ არა! მათ არ უნდოდათ მუშაობა, მათ უნდოდათ ფული, დახმარება!

ახლა, რაც შეეხება რეჟისორებსა და მსახიობებს. თუ ადრე სახელმწიფო იძლეოდა მყარ გარანტიებს, ახლა, ყოველ შემთხვევაში ხელოვნების სფეროში, ასეთი გარანტიები აღარ არსებობს. ყველამ უნდა იპოვოს თავისი ადგილი და წარმოიდგინეთ, პოულობენ კიდეც: ტელევიზიაში (რეკლამა, ე. წ.

კლიპები, სერიალები, დადგმები), ანტიპრიზებში, კერძო და სახელმწიფო თეატრებში. ბევრი უსაქმოდ რჩება, მაგრამ ესეც ქართული პარადოქსია: – მიუხედავად ამისა, უკანასკნელი წლების მანძილზე, განსაკუთრებით მძაფრი გახდა კონკურსი სამსახიობო ფაკულტეტზე. ხედავენ ახალგაზრდები თავიანთი შემოქმედებითი კარიერის უპერსპექტივობას, მაგრამ მაინც მიისწრაფიან ინსტიტუტისაკენ.

ჩვენი შემოქმედებითი ინსტიტუტის სპეციფიკა, გამორიცხავს იმას, რომ სტუდენტმა არ ისწავლოს. იგი ან უნდა წავიდეს – ან უნდა ჩაერთოს მუშაობაში, რადგან სათამაშო აქვს საკურსო, შემდეგ სადიპლომო სპექტაკლები. ის, ვინც არ მოდის რეპეტიციაზე, უნებურად ხელს უშლის მთელ ჯგუფს, რომელიც მონადინებულია, რომ რაც შეიძლება უკეთ გამოჩნდეს სპექტაკლში. ჯგუფი აიძულებს ინდივიდს, რომ საერთო საქმე, რომელიც მათ ახალგაზრდული გატაცებით უყვართ – არ შეფერხდეს.

ერთი საინტერესო პროცესის მოწმენიც გავხდით ამ ბოლოს დროს. თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორის ბატონი გიგა ლორთქიფანიძის ძალისხმევით ახლა გვაქვს შესანიშნავი აუდიტორიები, სინათლე, გათბობა. თუ ყოფილი კინო „სპარტაკის" შენობაში ჩადგმული სასწავლო თეატრის რემონტი-რეკონსტრუქცია მოხერხდა – მაშინ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი ინსტიტუტი ამ მხრივ საუკეთესო იქნება ევროპაში. ამას ხედავენ ახალგაზრდები და სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტიდან ჩვენთან გამორბიან.

როგორც ჩანს, თეატრისადმი სიყვარული ქართველ ხალხში თითქმის თანდაყოლილ თვისებად იქცა. ეს მაიმედებს!

– ბატონო ნოდარ, თქვენ დიდი ოჯახი გაქვთ, ოთხი შვილი და სამი შვილიშვილი გყავთ. მდიდარი თუ ყოფილხართ ოდესმე? თუ არ ყოფილხართ, რატომ, ამ უნიკალური ბიბლიოთეკის გარდა, არ გქონდათ სურვილი სიმდიდრე დაგეგროვებინათ? ფუფუნება არ გიყვართ?

– „არცა ჭირი ჭირად უჩანს, არც ლხინი ზედი-ზედი" – რუსთაველს პირდაპირ ჩემთვის დაუწერია. ღმერთმა ადაპტაციის იშვიათი უნარით დამაჯილდოვა. ძალზე ადვილად ვეგუები გაჭირვებას და არც მაშინ შევნუხებულვარ, მაინცდამაინც, როცა ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში მიცხოვრია (თავის საცურაო აუზით, ბოულინგის და ჩოგბურთის კორტით) კარგა ხნის მანძილზე.

ჩემი თაობა უპირატესად გაჭირვებულთა თაობაა. ჩვენს ოჯახში მდიდრული ცხოვრების მიმზიდველი ამბები დედაჩემის მოგონებებში თუ მომისმენია. ... ვაჭრის ბოლო შვილი იყო. ... ბიძაჩემი, გიორგი ცაავა, ოცი წლით იყო მასზე უფროსი და დედაჩემი შვილივით გაზარდა. გიორგი მთელს სამეგრელოში ცნობილი იყო თავისი სიმდიდრით. მაღაზიები ჰქონდა რუსეთის რამდენიმე ქალაქში, მათ შორის პეტერბურგსა და მოსკოვშიც. ცაავების ოჯახი მეგობრობდა ალექსი ხორავას (აკაკი ხორავას მამა) ოჯახთან. დედაჩემი, როგორც ჭეშმარიტი მეგრელი, ფიქრობდა (შეიძლება სამართლიანადაც), რომ აკაკი ხორავას სადარი მსახიობი მსოფლიოში არ იყო. ბაბუასეული სახლი ახლაც დგას სენაკის ცენტრალურ პარკში – აკაკი ხორავას სახელობის თეატრის მარჯვენა მხარეს. იქ ხან საავადმყოფო იყო, ხან პოლიკლინიკა, ხან საბავშვო ბაღი. ოქროს მაძიებელთა საყურადღებოდ უნდა ვთქვა, რომ ძველი წესის მიხედვით, სახლის ოთხივე კუთხის საძირკველში, ოთხი, ოქროთი სავსე ქოთანია ჩაფლული. ბიძაჩემი ძალიან ანებივრებდა, თურმე, დედაჩემს. კლასიკური განათლება მიაღებინა ფოთის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში. ზეპირად იცოდა რუსული პოეზიის შედევრები და მისი ყველაზე დიდი ოცნება იყო, რომ მუსიკოსი გამოვსულიყავი. მერე მივხვდი, რომ ეს სურვილი მისი ერთგვარი რევანში იქნებოდა მისთვის ეგზომ საძულველ ბოლშევიკებზე. არასოდეს არ დაუჩივლია წარსულის უზრუნველი ცხოვრების დაკარგვის გამო. არც სიმდიდრეს მისტიროდა. მხოლოდ ის ვერ აპატია ბოლშევიკებს, რომ ყველაფერთან ერთად, ორი როიალიც ჩამოართვეს და მის საყვარელ მუსიკას მოსწყვიტეს. რაკი შემატყო, რომ ჩემგან პიანისტი (მაინცდამაინც პიანისტობა სურდა) არ გამოვიდოდა, მთელი იმედები ჩემს დას დაუკავშირა. ერთი ძველი პიანინო ომის პირველსავე წელს გავყიდეთ და დედაჩემს ჩემი და დაჰყავდა ჩემი მეგობრის ნოდარ ზალდასტანიშვილის (ევროგაერთიანებაში და ბენილუქსის ქვეყნებში ჩვენი ელჩის კოტე ზალდასტანიშვილის, ჩემი ნათლულის, მამა) ოჯახში. რის ვაი-ვაგლახით დაამთავრებინა ჩემს დას შვიდწლედი და აუხდენელმა ოცნებებმა კიდევ უფრო შეაჯავრა ბოლშევიკები. ასე, რომ ბავშვობიდანვე, ჩემთვის სიმდიდრე და ფუფუნება ამ ორი როიალის ასოციაციას იწვევდა. უფრო სწორად, როიალი სიმდიდრის ყველაზე აშკარა გამოხატულებად მიმაჩნდა. ახლაც მახსოვს ჩემი ბავშვური გაოცება, რომელიც მოცარტზე დაწერილმა ერთმა საბავშვო მოთხრობამ გამოიწვია. იქ ეწერა, რომ მოცარტის ოჯახს ძალიან უჭირდა. ერთხელ მშიერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მოცარტი როიალს მიუჯდა და პატარა პიესა შეთხზაო. გამიკვირდა – რა გაჭირვებული ოჯახი იყო, თუ კი სახლში როიალი ჰქონდათ-მეთქი. ასე, რომ ჩემი წარმოდგენა სიმდიდრეზე როიალით შემოიფარგლებოდა.

მამაჩემი – განათლებით ეკონომისტი, წიგნების დიდი მოყვარული იყო. ეტყობა ეს გურაბანიძეებს ჯიშში მოსდგამთ. მამაჩემის ნათესავს შალვა გურაბანიძეს – ცნობილ ჰიდროლოგს – საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. მათ შორის „ვეფხისტყაოსანის" ყველა გამოცემა. რაკი ეს პოემა ვახსენე, მამაჩემის ერთი უცნაური ჩვევა უნდა გავიხსენო. ძილის წინ, ცოტ-ცოტას ყოველთვის კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს". ბოლოში რომ გავიდოდა, ისევ თავიდან იწყებდა კითხვას და ეს წლიდან წლამდე მეორდებოდა. წიგნების კარადაში ეწყო ლენინისა და სტალინის თხზულებანი. ეს კარადა, რატომღაც სულ დაკეტილი იყო და მისი გაღება სასტიკად მეკრძალებოდა. 1941 წელს მამა ჯარში გაიწვიეს (მაშინ 11 წლისა ვიყავი), ამით ვისარგებლე და კარადა გავაღე, სასწრაფოდ გადმოვიღე სტალინის „ლენინიზმის საკითხები" და შიგ „არსენა მარაბდელი" არ აღმოჩნდა?! მარქსიზმის კლასიკოსთა სხვა ყდებში იდო „ჯაყოს ხიზნები", „კვაჭი კვაჭანტირაძე", რატომღაც კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი", ძველი და ახალი აღთქმა (ესენი ახლაც სახლში გვაქვს), პაოლოს, ტიციანის ნაწარმოებები, მოკლედ მთელი აკრძალული ლიტერატურა.

იმავ წელს ვაკეში, მრგვალ ბაღთან გადმოვედით და ძველი სახლი კიბალჩიჩის ხევში, დედაჩემმა სტუდენტებს მიაქირავა. ამ სტუდენტებმა მამაჩემის მთელი ბიბლიოთეკა გაყიდეს (გადარჩა მხოლოდ ძველი და ახალი აღთქმის წიგნები). ჯარიდან მალე მობრუნებულ მამაჩემს ამ ბიბლიოთეკის გაყიდვა ძალიან ეწყინა და სიმართლე გითხრათ, მერე აღარც უცდია ახალი ბიბლიოთეკის შექმნა.

ასე, რომ ჩემი წარმოდგენა სიმდიდრეზე როიალთან და წიგნებთანაა დაკავშირებული.

ჩემი ბიბლიოთეკა კი ნაცვლად იმისა, რომ გაიზარდოს, ამ ბოლო დროს, სულ პატარავდება და პატარავდება. უცხოეთში მამასისხლად შეძენილი წიგნები და ალბომები სახვით ხელოვნებაზე – ჩემმა ქალიშვილმა, ხელოვნებათმცოდნე მაია გურაბანიძემ წაიღო, წიგნები კინოზე – მეორე ქალიშვილმა, კინომცოდნემ, ქეთიმ. თეატრალური წიგნები კი შევინარჩუნე ძირითადად, მაგრამ ორი ათეული წიგნი ჩემმა სტუდენტებმა „მიიტაცეს" (არ ვიწერ, თუ ვის რა წიგნი ვათხოვე), ცოტაოდენი ჩემი შვილების მეგობრებმა – „წიგნის ქურდებმა" წაიღეს და ა. შ.

არასოდეს არ მქონია დიდი ფული და ძვირფასი შოვნის არც ნიჭი მაქვს და არც უნარი. დღემდე გაურემონტებელ სახლში ვცხოვრობ და ჭერზე შიშველი ნათურები მიკიდია, მსგავსად ხარაგაულის სადგურისა. ერთია მხოლოდ, რომ კედლების საცოდაობას ჩემი მეგობარი მხატვრების ნამუშევრები ფარავს.

ერთადერთი ფუფუნება ჩემთვის არის კარგი სამთო თხილამურები და ჩოგნები. ამაზედაც „მისაყვედურა" ერთხელ ჩემმა უფროსმა ვაჟმა „ძალიან ძვირადღირებული სპორტი გიყვარსო". სამაგიეროდ, ცურვას არ სჭირდება დიდი ეკიპირება, მაგრამ რად გინდა – აუზში შესვლა ჩემთვის ძალიან ძვირია (თუმცა, აუზის დირექტორი, ჩემი ძველი მეგობარი ვოვა გოიშვილი, სულ მეპატიჟება, მაგრამ მეუხერხულება).

ბოლოს იმას ვიტყვი, რომ ჩემმა შვილიშვილმა გიგო ხერხეულიძემ ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსნის" ვრცელი მონაკვეთები.

– ჩოგბურთი, თხილამურები და ცურვა თქვენი მეორე ცხოვრებაა (პირველი ხომ თეატრია!). რით შეიძლება აიხსნას თქვენი ასეთი გატაცება სპორტით? როგორ ენათესავებიან ერთმანეთს ხელოვნებასა და სპორტზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის „სულები". სპორტი, ჯანსაღი ცხოვრების წესი ალბათ ერთგვარი თერაპიაა ჩვენს სულებში ჩაბუდებული დემონების დასათრგუნად. ჩოგბურთის კორტებიდან ლექციაზე, თეატრში ან მეგობრის დაბადების დღეზე გაჩქარება, ეს ალბათ ათეული წლობის ნაწრთობი სულის სიჭაბუკეა!

– ოხ, რა კარგად თქვი, ჩემო თემურ, „ჩვენს სულებში ჩაბუდებული დემონების დასათრგუნადო". როდესაც ჯონ კენედი მოკლეს, დედამისი, თურმე, ოთხი საათის განმავლობაში იდგა ჩოგბურთის კორტის კედელთან და გამწარებული ურტყამდა ბურთს. ჩვენი სამარცხვინო სამოქალაქო ომის დროს და კარგა ხანს მას შემდეგაც, თოვლიანი მთებისკენ არც გამიხედავს. სამთო-სათხილამურო კომბინიზონის (მაინც საზეიმო კოსტიუმია) ჩაცმა და ტერასებზე სრიალი უზნეობად მიმაჩნდა, როცა ჩვენი ახალგაზრდობა იხოცებოდა ოსეთსა და აფხაზეთში. მაშინ გამახსენდა კენედის დედის ამბავი და დილაობით, მეც, საათობით ვურტყამდი ბურთს კედელს, რომელიც ჩემთვის იმ წუთებში ფატალური კედელი იყო. ამით, მინდოდა, ჩემი ჭკუით, სულში მობორიალე დემონების დათრგუნვა და თუ ეს მთლად ვერ შევძელი, დეპრესიას მაინც გადავურჩი.

ვაჟთა მეექვსე სკოლა ე. წ. „იპოლიტეს გიმნაზია“ დავამთავრე. ჩვენს სკოლაში სპორტის კულტი იყო. ვაკეში, სადაც ახლა პარკია და სადაც ჩოგბურთს ვთამაშობ, მაშინ ტრიალი მინდორი იყო და თითქმის ყველა ფეხბურთს ვთამაშობდით. აქედან მოყოლებული სპორტი ისე შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში, რომ მთლად დამიპყრო. ახლაც არ შემიძლია სპორტის გარეშე. შარშან, გუდაურში, საქართველოში იტალიის ელჩს მიქელანჯელოს (შესანიშნავ მოთხილამურეს) ჩემი თავი წარუდგინეს — ეს არის საქართველოში ყველაზე ხნიერი სამთო მოთხილამურეო (70 წელი!). მიქელანჯელომ ჩემს სიამაყეს ცივი წყალი გადაასხა — „მამაჩემი ოთხმოცი წლისაა და მაგაზე კარგად სრიალებს თხილამურებზეო“. ვერსად ვერ შეიგრძნობ საკუთარ თავს ისე, როგორც თხილამურებზე სრიალისას (ეგაა მხოლოდ, ტრამვები ახლავს) — განსაკუთრებით გუდაურის თეთრ სივრცეში: — მთები, მზე, თოვლი და შენ. როგორც უსაყვარლესი „კოხტა გორიდან“ (ბაკურიანი), ასევე „კუდების მთიდან“ — წარმოუდგენელი სილამაზე იშლება და კიდევ ერთხელ, მთელი სიმძაფრით გრძნობ შენი ქვეყნის უბედურებას. დიახ, ეს დაუვიწყარი სილამაზე — ტრაგიკულის გრძნობას ამძაფრებს.

თხილამურებთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოგიყვებით.

საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროზე 1973 წელს მამტკიცებდნენ კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ. სანამ შეგვიყვანდნენ ბიუროს სხდომათა დიდ ბარბაზში, სადაც გრძელი მაგიდის შუაში ედუარდ შევარდნაძე ზევსივით იჯდა, პატარა პაუზის დროს კანდიდატის ღირსება-ნაკლოვანებებზე მსჯელობდნენ. და აი, აქ, ბიუროს ერთ წევრს უთქვამს: „როგორ შეიძლება მაგის მინისტრის პირველ მოადგილედ დამტკიცება, ეგ არასერიოზული კაცია, თხილამურებზე სრიალებსო“. მერე გავიგე, ვინც იყო ამის მთქმელი. ერთხელ ვნახე ზღვაზე — თავისი შიშველი, ბანჯგვლიანი მუცელი წიხ გადმოეგდო, უშხოდ მორგებული ტრუსიდან თითქმის თავისი საოხრე უჩანდა და ეს კაცი იყო „სერიოზული“ და მე „არასერიოზული“, რომელსაც თავიდან ფეხებამდე კომბინიზონი მფარავდა!!!

თუმცა, ამ პარტიულ ბოსს რას ვერჩი, როცა ჰემინგუეის, ამ ჭეშმარიტად სპორტული ჟინის კაცს, ნათქვამი აქვს: „ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ორი სერიოზული კაცი ჩოგბურთის ასე პატარა ბურთს დასდევდესო“.

სპორტმა უამრავი მეგობარი შემძინა, ამ გაუხარელ ცხოვრებაში ერთ-ერთ სიხარულად მექცა. ყოველ შემთხვევაში, მე თვითონ გამოვიგონე ეს სიხარული. სპორტული თამაში — სანახაობაა — იმპროვიზაცია, მოულოდნელი სვლები, [illegible] მოტყუება, ტემპო-რიტმის ცვლა, პლასტიკა, საკუთარი სხეულის შეგრძნება, ყველაზე მეტად უახლოვდება თეატრს.

„სპორტი, ჯანსაღი ცხოვრების წესიო“ — ბრძანებთ. „წესი“ შეიძლება სხვის თვალში ჩანდეს, გარედან. ჩემთვის იგი თავად ცხოვრებაა და არა „წესი“. ამიტომაცაა ალბათ, რომ ვერ შევასრულე ჩემი ნათქვამი: ორმოცი წლის რომ გავხდები, თხილამურებს თავს დავანებებ-მეთქი. ორმოცის რომ შევსრულდი, კიდევ ხუთი მივუმატე და ასე შემდეგ... სამოცდაათ წლამდე. ამ მიქელანჯელომ ხომ სულ მთლად შემშალა — „მამაჩემი ოთხმოცი წლის ასაკში მაგაზე უკეთ სრიალებსო“... მოდი და ამის შემდეგ დაანებე ამ თხილამურებს თავი.

— ახალგაზრდული მგზნებარებითა და ენერგიით სავსე ნოდარ გურაბანიძე ძნელი წარმოსადგენია „მოხუცებულის“ როლში... სიბერის ხომ არ გეშინიათ? ის ჯერ შორსაა, მაგრამ ერთი ასაკობრივი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას, გულწრფელად რომ ვთქვათ, მხოლოდ მანდილოსნები არ განიცდიან უმტკივნეულოდ.

— ამ კითხვაზე მსურს გიპასუხო სცენის დიდი რეფორმატორისა და ნოვატორის კონსტანტინე სტანისლავსკის სიტყვებით: „დიდხანს ვიცოცხლე. ბევრი რამ ვნახე. მდიდარი ვიყავი. გავღარიბდი. ქვეყანა მოვიარე. კარგი ოჯახი მქონდა. მყავდა შვილები. ცხოვრებამ ისინი მიმოფანტა სხვადასხვა მხარეს. დიდებას ვეძიებდი. ვიპოვნე. პატივისცემა არ დამკლებია. ვიყავი ახალგაზრდა. დავბერდი. ალბათ მალე მოვკვდები.

რაშია ბედნიერება?

შეცნობაში! მუშაობაში! ხელოვნებასა და მის სიღრმეებში წვდომაში. როცა შენში ხელოვნებას შეიცნობ, ამით შეიცნობ სამყაროს, ცხოვრების ბუნებას, შენივე ცხოვრების აზრს, შეიცნობ სულს — ნიჭს!

ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს.

წარმატება? „ამაოებათა ამაოებაა!“ (სხვათაშორის, ეს ჩანაწერი სულ ახლახან აღმოაჩინეს. ბარემ აქვე ვიტყვი, თუ თავის ქებაში არ ჩამომართმევთ, რომ სტანისლავსკიზე პირველი ვრცელი მონოგრაფია გამოვაქვეყნე 1962 წელს, სერიით „გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება“). თუ კი ამას ამბობდა ბედის ნებიერი, ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებული, — ნიჭით, სილამაზით, მდიდარი და უზრუნველი — ჩვენ, ცოდვდილთ, რაღა გვეთქმის, ვისაც არასოდეს გვწვევია მსგავსი დიდება და ახლა, სიბნელეში დავეხეტებით, თვალებდათხრილი, ოიდიპოსივით?!

ერეკვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“

მიუხედავად იმისა, რომ ლევან გოთუა მაღალი სიტყვიერი ხელოვნებით აღბეჭდილი არაერთი ნაწარმოების ავტორია, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის გვირგვინად ლიტერატურული საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა სავსებით ბუნებრივად, პირველ ყოვლისა, მაინც ფართოდ გახმაურებული ტეტრალოგია — „გმირთა ვარამი“ მიიჩნია. ოთხი წიგნისაგან ძემდგარ ამ მონუმენტურ ქმნილებაზე ლევან გოთუას მუშაობა მწერალს ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნის პერიოდში 1949 წლიდან დაუწყია და 1962 წელს დაუსრულებია. გადასახლებიდან ოჯახისათვის გამოგზავნილი წერილები ფარდას ხდის რომანის შემოქმედებით ისტორიასთან დაკავშირებულ არაერთ მნიშვნელოვან საკითხს (თ. გოთუა, ალ. გოთუა, თავგადასავალი ლევან გოთუასი, 1995 წ.).

როგორც ამ წერილებიდან ჩანს, ახლობლების მიერ გაგზავნილი წიგნების მეშვეობით მწერალი საფუძვლიანად გაეცნო მე-16-მე-17 საუკუნეების საქართველოში არსებულ ვითარებას და თავგანწირული შემოქმედებითი მუშაობის შედეგად 1950 წლისათვის დაასრულა „გმირთა ვარამის“ პირველი წიგნი. ყოველივე ეს, ცხადია, საიდუმლოდ კეთდებოდა, ვინაიდან საკონცენტრაციო ბანაკის ხელმძღვანელობა მწერალს არა თუ შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობას არ აძლევდა, არამედ ცენზურაგაუვლელი წიგნის წაკითხვის ნებასაც კი არ რთავდა.

მაგრამ ლევან გოთუა ბანაკში გაბატონებული უმკაცრესი რეჟიმის მიუხედავად მაინც ახერხებდა რომანზე მუშაობას. ერთადერთი თხოვნა, რომელიც ციხიდან ახლობლებისათვის გამოგზავნილ თითქმის ყველა წერილში მეორდება, სუფთა რვეულებისა და საჭირო წიგნების გაგზავნაა. „ისევ რვეულები და რვეულები, — წერდა, მაგალითად, ერთ-ერთ ბარათში, — რვეულები მე ბლომად მჭირდება 20-30, ათეულობით და ასეულობით და არა ერთეულებით! აქ აქეთ-იქიდან რომ არ მეხმარებოდნენ, ალბათ, ყველა ფიცარს ქაღალდად გავიხმარდი“. მეორეგან კი აღნიშნავდა: „ამ პატიმრობაში რა „მასალაზე“ არ მომიხდა წერა: ფურცლებზე, ძველ გაზეთებზე... ფიცარზე, მიწაზე, ქეჩაზე, ხარისტყავი აქ არ არის, ხოლო ჩემს ტყავზე შესაძლოა მომიხდეს, თუ კი შემრჩა ღა!.. ასე რომ, რვეულები, უბრალო, ხაზოვანი რვეულები მომაშველეთ!“.

წერისთვის „სასურველი“ გარემოსა და „ხელსაყრელი“ პირობების შესაქმნელად, მწერალმა გამოსავალიც „ადვილად“ იპოვა: მაღალი ძაბვის ელექტროქვესადგური, სადაც იგი მონტიორად მუშაობდა, როგორც თავადვე ამბობს, მისთვის მთელი სამყარო იყო, სადაც განმარტოვების შესაძლებლობა ჰქონდა. და ისიც, იმით გახარებული, რომ „მუშაობის სურვილი და უნარი არ ჰქონდა დაკარგული“, „სულმოუთქმელად წერდა და წერდა“.

მაგრამ ერთი იყო დაწერა, მეორე და მესამე არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა კი — დაწერილის უსაფრთხოდ შენახვა. საბედნიეროდ, გამოსავალი აქაც მოიძებნა. რომანის ხელნაწერებს მწერალი იქვე, მაღალი ძაბვის ქვესადგურის შენობაში, ერთ-ერთი დანადგარის კედელთან მიწაში ღრმად გათხრილ ნიშაში ინახავდა, რომელსაც ზემოდან ადამიანის ჩონჩხიანი გამოსახულება ჰქონდა ჩამოკიდებული წარწერით — „სასიკვდილოა!“.

ასეთ პირობებში ქმნიდა სამშობლოს მოწყვეტილი მწერალი „გმირთა ვარამის“ ისტორიულ ეპოპეას, როგორც თავადვე აცხადებს ერთგან, თავის „უბის საქართველოს“.

„გმირთა ვარამს“ საკონცენტრაციო ბანაკშივე გამოუჩნდნენ გულშემატკივარნი და მოყვარული მკითხველები. ესენი მწერლის თანაკატორღელი მეგობრები იყვნენ. სწორედ მათი მეშვეობით მოხერხდა რომანის ხელნაწერების უსაფრთხო გამოტანა „ცხრაკლიტულით ჩარაზული ბანაკიდან“. სატუსაღოს ტერიტორიაზე დაყრილი მორები, რომლებსაც ციხის ადმინისტრაცია ქალაქის მცხოვრებლებზე ყიდდა, მწერლის ნიჭის თაყვანისმცემელმა ქართველმა პატიმრებმა საიდუმლოდ გამოაფულეროეს, შიგ ნაწარმოების ხელნაწერები მოათავსეს, ფულურო საიმედოდ ამოქოლეს და ამ გზით მოახერხეს რომანის ერთადერთი პირის გამოტანა საკონცენტრაციო ბანაკის მავთულხლართებიდან. ეს ოპერაცია, რომელიც რამდენჯერმე განმეორდა, საბედნიეროდ, უსაფრთხოდ დამთავრდა და

„გმირთა ვარამის“ პირველი წიგნის ხელნაწერმა, როგორც იქნა, მწერლის ოჯახამდე მიაღწია.

თუმცა რომანის უსაფრთხოების პრობლემა ამით საბოლოოდ მაინც არ გადაწყვეტილა. ავტორი დაბეჯითებით თხოვდა თავისიანებს, ნაწარმოების შესახებ სიტყვა არავისთან დასცდენოდათ. ვინაიდან ამ ამბის გახმაურება მას ახალ უბედურებას დაატეხდა თავს. აი, მაგალითად, რას წერდა იგი 1951 წლის 13 ივლისს ოჯახისათვის გამოგზავნილ წერილში: „მინდა გაგაფრთხილოთ: ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენს ირგვლივ „ტრიალებს“ ხანდისხან სულ უახლოესი და წარმოუდგენელი ხალხი, მაგრამ უნებლიეთ საშიში თანამოზიარე, რომლებიც ყოველ სიტყვას, თუ ჭორს დარაჯობენ, ეს ყველაზე თანაბრად ითქმის: აკადემიკოსებზე, პროფესორებზე, მწერლებზე, მთასვლელებზე, მსახიობებზე და სხვა ხალხზე. ეს კი სწვდება სრულიად დამახინჯებულად საზარელ დაწესებულებას. ისინი ყველაფერს თავის სასარგებლოდ იყენებენ და რეაქციაც ჩვენი პატიმრების მიმართ უფრო მკაცრდება. მე ეს ჩემს თავზე განვიცადე. ამიტომ ფრთხილად და ყურადღებით იყავით. ნურავის ჩემს თავს ნუღარ აგონებთ. ეს ამაოცაა, გულუბრყვილოც და იქნებ მავნეც, ნეტავ დამივიწყონ, სრულიად დამივიწყონ, მაგრამ ვაი, ვაი, რომ ახლაც აქ ჯერ კიდევ მწვდება მათი თავხედობა. თუ გაიგეს, რომ მე ჯანმრთელობით და სულით გავძლიერდი და წერაც დავიწყე, ესეც ხომ ჩემს დანაშაულში შედის, უსათუოდ მიმტრობენ...“

საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეობაში მყოფი მწერალი სინანულით შენატროდა თავისი რომანის ხელნაწერს, რომელსაც, მისგან განსხვავებით, თუმცა დიდი ფათერაკების გადალახვის ფასად, მაგრამ მაინც ელირსა სამშობლოში ჩაღწევა. 1952 წლის 26 მარტს გამოგზავნილ წერილში ოჯახის წევრებს იგი კიდევ ერთხელ სთხოვდა დაბეჯითებით, რომანის ხელნაწერები არც ვინმესთვის წაეკითხებინათ და არც სახლში შეენახათ. ნურც აქედან ჩამოსულებს ნურავის მოინახულებთ, მათ შორის, ჩემს ძველ ნაცნობებსაც, რადგანაც „აქ ძალიან აირია ყველაფერიო“, ამასაც გულისტკივილით უმატებდა იქვე და ულრმესი ადამიანური დანანებით აღნიშნავდა: „რა ბედნიერებაა, ჩემი გმირები საქართველოში იქნებიან. მე თავიდანვე ასე მჭირდა: ჩემი გმირები ყოველთვის ჩემზე ბედნიერები იყვნენ. დაე, იყვნენ, მე მათი არა მშურსო“.

ვორკუტიდან გამოგზავნილი ერთ-ერთი წერილით იმასაც ვგებულობთ, როგორ მომხდარა რომანის სათაურის შერჩევა. პირველი წიგნის დამთავრების შემდეგ მწერალი თანაკატორღელ-ქართველ ამხანაგებს თურმე დაწვრილებით უყვებოდა ნაწარმოების შინაარსს.

„— ნახეთ, რამდენი გმირი გყოლიათ კახეთში, — მიუმართავს მას ერთ-ერთი ამდაგვარი საუბრის დროს მეგობარი კახელებისათვის.

— კახეთში, მართალია, ბევრი გმირი გვყავდა, მაგრამ მათ ბევრი ვარამი გადაიტანეს, — უპასუხნიათ მათ ავტორისათვის.

— ეს რა თქვით, კაცო! — აღფრთოვანებით წამოუძახია მწერალს. — თქვენ ჩემი წიგნის სათაურს მიმაგნებინეთ, — „გმირთა ვარამი“... ამიერიდან ჩემი რომანი „გმირთა ვარამად“ იქნება წოდებული. თქვენ კი ამ წიგნის ნათლიები იქნებით“.

„გმირთა ვარამში“ მაღალი სიტყვიერი ხელოვნებითაა წარმოსახული ის მძიმე ეროვნულ-პოლიტიკური და ზნეობრივი ვითარება, რომელიც საქართველოში, უპირველეს ყოვლისა კი, კახეთში იყო დამკვიდრებული მე-16 საუკუნის ბოლოსა და მე-17 საუკუნის დასაწყისში. მიუხედავად იმისა, რომ რომანის წერა მწერალს უმძიმეს პირობებშწი უხდებოდა, მან მაინც შეძლო საფუძვლიანად შეესწავლა ამ აბურდულ პერიოდთან დაკავშირებით არსებული ისტორიულ-დოკუმენტური ლიტერატურა და სწორედ მასზე დაყრდნობით შეექმნა ამდროინდელი ქართული ყოფის მონუმენტური მხატვრული ტილო.

ლევან გოთუას რომანი ისტორიული სინამდვილის ობიექტური სიმართლით წარმომჩენი დიდი წიგნია. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების რთული და მრავალმხრივ განტოტვილი სიუჟეტის ბევრი მნიშვნელოვანი ეპიზოდი შემოქმედებითი წარმოსახვის ნაყოფია. ავტორი არასოდეს წყდება ისტორიულ რეალობას და ყველაზაირად ცდილობს ფანტაზიით შექმნილი მხატვრული სინამდვილე მეცნიერული სიზუსტით და კეთილსინდისიერებით შეუსაბამოს დოკუმენტური წყაროებით ცნობილ ფაქტებსა და მოვლენებს. ამ თვალსაზრისით, მწერლის მიერ წარმოსახული მრავალი პერსონაჟის მხატვრული სახე რეალურ ისტორიულ ვითარებას ისე ორგანულადაა შესისხლხორცებული, რომ მათ არაისტორიულობაზე საუბარი, ხშირ შემთხვევაში, ფაქტობრივად მხოლოდ პირობითად თუღა შეიძლება.

როგორც ითქვა, „გმირთა ვარამის“ სამოქმედო დრო მე-16 საუკუნის 70-იანი წლებით იწყება და 1605 წლამდე გრძელდება, მოქმედების ძირითად ასპარეზს კი კახ-

ეთი წარმოადგენს. თუმცა აქვე ამთავითვე ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სამოქმედო დროისა და სივრცის ამდაგვარი ლოკალიზაცია არამც და არამც ავტორისეული სათქმელის ლოკალიზებას და დროულ-რეგიონული მასშტაბებით შემოსაზღვრას არ ნიშნავს.

„გმირთა ვარამის“ უმთავრესი ღირსება ისიც არის, რომ მწერლის მიერ დასმული ეროვნული პრობლემები ზოგადქართული თვალთახედვითაა განხილული. „ერთობილ საქართველოსთან“ სისხლხორცეულ კავშირში, „სხვა საქართველოების“ სამომავლო ინტერესების გათალისწინებით და არა მათგან იზოლირებულად. კახეთში არსებული უმძიმესი ეროვნულ-პოლიტიკური და ზნეობრივი ვითარების აღწერა-გაანალიზების საფუძველზე მწერალი მამულიშვილური გულისტკივილით ეძებს იმ უმძიმესი მდგომარეობიდან თავდასახსნელ გზებს, რაც არც მხოლოდ კახეთისათვის თავსდატეხილ უბედურებას წარმოადგენდა და არც მარტო მე-16-17 საუკუნეების საქართველოს ტრაგედიას.

ასეთ ურთულეს ვითარებაში მკაცრ ბედისწერას არაერთგზის ჩაუგდია ჩვენი ქვეყანა და მისი არამარტო სახელმწიფოებრიობის არსებობა დაუყენებია ეჭვქვეშ, არამედ ფიზიკური ყოფნა-არყოფნაც. ლევან გოთუას რომანში ეს ზოგადქართული ტრაგიკული მოვლენა კახეთის მაგალითზეა განხილული და ამ კონკრეტული ისტორიული სინამდვილის მონუმენტური მხატვრული წარმოსახვით მწერალი იმავდროულად ჩვენი ეროვნული თვითარსებობისათვის ისტორიულად თანამდევი ბევრი პრობლემატური კითხვისთვისაც ცდილობს დამაჯერებელი პასუხის გაცემას.

ამ ვითარების წარმოსახვისა და საჭირბოროტო პრობლემათა განსჯა-გააზრების დროს ლ. გოთუა არასოდეს წყდება რეალურ სინამდვილეს, არ ახდენს მოვლენათა ილუზიურ გაიდეალებას და ობიექტურად, მეცნიერული კეთილსინდისიერებით წარმოსახავს ჩვენი ისტორიის როგორც პოზიციურ, ისე ნეგატიურ მხარეებს. აი, მაგალითად, როგორ განმარტავს, ისტორიულ სინამდვილისადმი მიდგომის მისეულ პრინციპს თავად მწერალი „გმირთა ვარამში“ ზოსიმე ბერდიდის მიერ წარმოთქმული შემდეგი სიტყვებით: „ჩვენში ერთდროულად... ორი საქართველო ცხოვრობს: საქართველო წამებულთა, თავდადებულ გმირთა, ქვეყნის უანგარო ჭირისუფალთა და საქართველო მოღალატეთა, გადამდგართა, ფიცის მტეხელთა და შეჩვენებულთა“.

„გმირთა ვარამის“, ისევე როგორც ლევან გოთუას მთელი შემოქმედების უმთავრესი ღირსება ის არის, რომ მწერალი „ორ საქართველოს“ რეალურ სახეს დიდი ოსტატობითა და რეალისტური დამაჯერებლობით წარმოსახავს. ამიტომაცაა, რომ მის მიერ დახატული გმირები, ისტორიულნიცა და ფანტაზიით შეთხზულნიც, რთულ ადამიანურ ხასიათებს წარმოადგენენ. მათში ხშირად სისხლხორცეულად არიან ერთმანეთთან შეზრდილნი სიკეთე და ბოროტება, მაღალი ზნეობა და პიროვნული სიმდაბლე.

„გმირთა ვარამი“ მეოცე საუკუნის ქართული ისტორიული რომანის საუკეთესო ტრადიციათა წარმატებით გამგრძელებელი ნაწარმოებია. ამ თვალსაზრისით ლევან გოთუას ბევრი რამ აკავშირებს ვასილ ბარნოვთან და კონსტანტინე გამსახურდიასთან. ამდაგვარ სიახლოვეს მკითხველი აშკარად დაინახავს როგორც ისტორიულ მოვლენათა და პიროვნებათა განსასჯელი და შესაფასებელი პრინციპების თანხვედრაში, ისე ფანტაზიით შეთხზული პერსონაჟებისა და სიუჟეტური ეპიზოდების მსგავსებაშიც. მაგალითად, „გმირთა ვარამის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ზოსიმე ბერდიდი, არაერთი თვისებით ემსგავსება კ. გამსახურდიას მიერ დახატულ გიორგი ჭყონდიდელს. ქრონოლოგიურადაც და პრობლემატიკითაც ლევან გოთუას რომანი ასევე ბევრი რამით ეხმაურება ვ. ბარნოვის „მიმქრალ შარავანდედს“.

მართალია, „გმირთა ვარამი“ ძირითადად მე-16-17 საუკუნეთა მიჯნაზე კახეთის სამეფოში არსებულ უმძიმეს ვითარებას აღწერს, მაგრამ ლევან გოთუას რომანი, პირველ ყოვლისა, ზოგადქართული იდეით შთაგონებული ნაწარმოებია და ავტორისეული სათქმელი პრინციპულად შორს დგას ყოველგვარი კუთხური პარტიკულარიზმისაგან. ამ გარემოებას რომანში თავიდანვე არაერთგზის ესმება ხაზი და ნაწარმოების პათოსსა და სულისკვეთებას უწინარესად ისტორიული ვითარების სწორედ ამდაგვარი პოზიციებიდან განსჯა-წარმოსახვა განსაზღვრავს.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მეფე ალექსანდრეს ზნეობრივ მასწავლებლად და უპირველეს თანამდგომად მწერალმა კახეთში გურიიდან გადასული და დამკვიდრებული მოძღვარი — ზოსიმე გამოიყენა, კახეთის მეფე ლევანზე დაქორწინებულმა მამია გურიელის ასულმა თინათინმა ალექსანდრე უფლისწულს აღმზრდელ მასწავლებლად ერთ დროს ჯუმათის მონასტრის მორჩილი, შემდგომში კი ათენს განსწავლული მისი პირადი მოძღვარი ზოსიმე

ბერი დაუნიშნა. სამეფო კარზე „მოძღვრობის უნარითა და მკაცრი ქრისტიანული ზნეობით“ ამაღლებულმა ზოსიმემ, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებამ სასახლის ყოველგვარი ხლართების შუაგულში მოაქცია, „ამ ხლართებს ბერული სიმკაცრე და სიბრძნე დაუპირისპირა და არავითარი ჭუჭყი არ გაიკარა. იგი შეგნებულად და თავდავიწყებით ზრდიდა მონაფეს, ქრისტიანს, ადამიანს და ბოლოს მეფეს, რომელიც მამულს გამოადგებოდა“.

ზოსიმე ბერდიდის ღრმა რწმენით, „საუკუნო ფუძე- ბალავრად“ ჩვენს ერს მისი ისტორიული არსებობის მანძილზე „მრავალერთიანობა ედო“. დიახ, იგი ერთიანი კი არ იყო – მრავალერთიანი... ჩვენი ცა შვიდ მნათობიანი იყო და ჩვენი გუთნეული შვიდუღელა... მაგრამ ხნული ერთპირი და ნაერთი გაჰქონდათ, დიახ! ჯერ ტაო-კლარჯეთის ქართველობა იყო, მერმე მესხეთ-ქართველობა! მერმე – აფხაზეთ-ლიხთ-იმერ-ქართველობა, მერმე ქართლი სახელოვნად თაობდა ყველას... თვითეულმა თავისი შემოქმედი სული, სისხლი და წვლილი დასდო მრავალერთიან სამშობლოს“...

მიუხედავად იმისა, რომ რომანის მთავარი პერსონაჟის, ალექსანდრეს მეფური ცხოვრების გზა თავიდან მრავალი ადამიანური ცოდვითაც იყო გამრუდებული, ზოსიმე ბერდიდის ღვწას უკვალოდ არ ჩაუვლია და მან მაინც შეძლო, ახალგაზრდა გვირგვინოსნის ცნობიერებას მკვიდრ საფუძვლად ეროვნული მთლიანობის ეს იდეა რომ დადებოდა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღეებიდანვე. მაგალითად, ერთ-ერთი უმთავრესი მოწოდება, რითაც ახალგაზრდა გვირგვინოსანი თავისი მეფობის საწყის ეტაპზევე მიმართავს დიდებულებს, „ქართლ-კახეთის და (მათი სახით მთელი საქართველოს) ერთადმავლობის გზის“ აქტიური ძიებაა. ალექსანდრეს, როგორც მეფისა და პიროვნების, ღირსება ის არის, რომ იგი ამ იდეის მხოლოდ სიტყვიერი მქადაგებლის როლში კი არ გამოდის, პრაქტიკულად იღწვის მის ხორცშესასხმელად.

„გმირთა ვარამში“ განსაკუთრებული სიმწვავით კიდევ ერთხელ დაისვა საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემა.

როგორც ისტორიიდან ცნობილია, ალექსანდრე მეფემ აქტიურად სცადა მამამისის – ლევანის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება და კახეთის რუსეთის მფარველობაში შეყვანა. ამ ნაბიჯის გადადგმას მას არამარტო კახეთში, არამედ, საერთოდ მთელ საქართველოში არსებული უმძიმესი მდგომარეობა აიძულებდა. თუქეთისა და ირანის აგრესიის მსხვერპლად ქცეულ ქვეყანა ფიზიკური განადგურების პირზე იყო მისული. ამას ემატებოდა ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა გამუდმებული შემოსევები.

ხსნის გზათა მაძიებელმა ალექსანდრემ ასეთ ვითარებაში იმედის თვალი ერთმორწმუნე რუსეთს მიაპყრო და აქტიურად სცადა მისი მფარველობის ქვეშ შესვლა. ამ მიზნით კახეთსა და რუსეთს შორის ალექსანდრეს ინიციატივითა და აქტიური ძალისხმევით რამდენჯერმე გაიცვალა ელჩთა დელეგაციები, მაგრამ ამ მცდელობას ფაქტობრივად არათუ რაიმე სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია, არამედ ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამწვავა ირანთან და თურქეთთან ურთიერთობა.

ლევან გოთუას რომანში ყოველივე ეს ისტორიული პირუთვნელობითაა აღწერილი. მწერალი ობიექტურად, მოვლენათა ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით განსჯის და იაზრებს საქართველო-რუსეთის როგორც იმჟამინდელი ურთიეთრობის პრობლემას, ისე სამომავლო პერსპექტივის მიზანშეწონილობასაც და საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიური თვალსაზრისისგან განსხვავებით ამ კავშირს საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს, ეს ნათლად და არაორაზროვნად ჩანს ლ. გოთუას რომანიდან. ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეპიზოდი „გმირთა ვარამიდან“.

რუსეთის ხელმწიფის მიერ ალექსანდრესთვის გამოგზავნილ წერილში ბევრი რამ ეწერა ისეთი, რომელიც მძიმე განსაცდელში ჩავარდნილ ქართველობას დახმარებისა და თანადგომის იმედს უღვივებდა. რუსთა მეფე კახეთს „ღვთის სახელითა და ნებით უანგარო მფარველობასა და შეწევნას“ აღუთქვამდა და დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ ქართველთა „მტრები მათი მტრებიც იყვნენ“, რომ „მაშველ ხელისა და ნუგეშის ცემა მართლმადიდებელთა წმინდა ვალია“.

ამდაგვარი დაპირებებით დაიმედებული ალექსანდრე და მისი თანამოაზრენი აქტიურად ცდილობენ რუსეთთან კავშირურთიერთობის დამყარებას და მოძალებული მტრების მისი მფარველობით დამარცხებას, მაგრამ მათი იმედი ფუჭი ილუზია გამოდგა და გარდა სიტყვიერი დაპირებებისა, რუსეთთან კავშირის დამყარების მცდელობას არავითარ სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია. ამ იმედგაცრუებას მწერალი რუსეთთან ურთიერთობის დიდ სიკეთესა და პერსპექტივაში ყველაზე მეტად დარწმუნებულ პიროვნებებსაც კი გამოახატვინებს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო მაინც ზოსიმე ბერდიდის პოზიციაა. იგი ალექსანდრე მეფის დავალებით ორჯერ იმყოფებოდა რუსეთში დიპლომატიური მისიით და პირადად დარწმუნდა ამ ქვეყნის ძლევამოსილებაში. საქართველოს ისტორიისა და თანადროულობის ღრმად და საფუძვლიანად მცოდნე ბერს იმედი მიეცა იმისა, რომ ერთმორწმუნე მეზობელი სასიკეთო ხელს გამოიღებდა და მის სამშობლოს ურჯულო მტრების მოგერიებაში დაეხმარებოდა. იგი კარგად ხედავდა იმას, რომ „საქართველო შიდა ძალებით ვერც თავის დაქსაქსულობას ერეოდა... სამცხე დაიღუპა... ქართლი იღუპება... იმერეთ-სამეგრელო ურთიერთს შეაკვდნენ და ორივე მონებად იქცნენ... კახეთი ორთავ ფეხით კოჭლობს – ბეწვის ხიდზეა! მთა ზვავმა ჩაჩიხა და გააყრუა. ბარი – მაჰმადიანობის ღვარმა წალეკა“, – ასეთი იყო ცივი გონებით შეფასებული სავალალო შედეგი საქართველოში შექმნილი მდგომარეობისა. სწორედ ამ მდგომარეობიდან თავდასახსნელი გზის ძიებამ ჩაიყვანა ზოსიმე ბერდიდი მოსკოვში. მისი დიპლომატიური მისიის უმთავრესი მიზანი იმის გარკვევას წარმოადგენდა, სინამდვილეში მართლაც იყო თუ არა რუსეთი ის „მფარველი და მაშველი ძალა“, რომელიც მის სამშობლოს დახმარების ხელს გამოუწვდიდა.

იმედისა და ეჭვის ჭიდილში მკაცრმა ცხოვრებისეულმა რეალობამ, სამწუხაროდ ბერის მოლოდინს ნელ-ნელა და თანდათანობით გამოაცალა საფუძველი და დაარწმუნა, რომ „ჩრდილო ნათელს“ მისი ქვეყნისთვის სიკეთის მოტანა არ შეეძლო. ეს აზრი რომანში არაერთგზისაა ხაზგასმული. მოსკოვიდან დაბრუნებულმა ბერმა ალექსანდრეს გულახდილად გაუმხილა თავისი ეჭვი. მისი შეფასებით, რუსეთი, მართალია, მდიდარი, ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, მაგრამ ჩვენთვის უცხო!.. ირანთურქული, მაჰმადიანური სამყარო, მიმართავს იგი მეფეს, ჩვენთვის უფრო ახლოა... ამას მე ბერი ვამბობ!– გულში მჯიღი ჩაირტყა ზოსიმემ“.

და მაინც, მიუხედავად ამდაგვარი დაეჭვებისა, ქართველები იძულებული არიან კვლავ რუსეთს მიაპყრონ იმედის თვალი, ვინაიდან ხსნის სხვა გზას ვერსად ხედავენ. იმავე ზოსიმეს თქმით, „ბაბრისა და ფოცხვერის გამთავებელ ჯიჯგნას სჯობს ორთავა არწივს ავეკიდოთ მხრებზე... ამ არწივის მოფრენა მაინც გარდაუვალია!“ ალექსანდრესაც და მის თანამოაზრეებსაც თავიდანვე ჰქონდათ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ რუსეთი დახმარების ხელს საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ გამოუწვდიდა, თუ ეს მისთვის ეკონომიკურად სასარგებლო. ჩვენ ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას მეფე ერთგან ასეთ შეფასებას აძლევს:

„ნუთუ ჩვენი გაერთიანება მხოლოდ თავისუფლების ხარჯზეა შესაძლებელი? ასეთი რა გვჭირს შინაგანი? ან რა არის „ივერთ თვალით“ უფრო მიზანშეწონილი და ზნეობამაღალი – თავისუფალი დაქსაქსულობა და თუნდაც უთანასწორო ბრძოლა, თუ ერთიანობა და ახალი მფარველის უღლის დადგმა! ნუთუ თავისუფლების ლტოლვა ახალი მფარველის თავისუფალი არჩევის ლტოლვითღა უნდა შეიცვალოს?“... ეს კითხვები ერთდროულად პასუხგაცემულნიც და უპასუხონიც იყვნენ.

იმის გამო, რომ ალექსანდრეს ფაქტობრივად სხვა არჩევანი არ ჰქონდა, მან რუსეთიდან ჩამოსულ ელჩებს თავიანთ ხელმწიფესთან ერთგულების ფიცის სიგელი გაატანა.

რომანში ნათლად და კონკრეტულადაა მინიშნებული, სინამდვილეში რა პრაქტიკული შედეგებიც მოჰყვა რუსეთთან ურთიერთობის დიდ მოლოდინს. მოსკოვიდან ჩამოსულ ახალ დიდ დელეგაციაში ალექსანდრე ამაოდ ეძებდა მეზარბაზნეს. ელჩობის შემადგენლობა მხოლოდ მწიგნობრით, სასულიერო პირებითა და ბადრაგი თოფოსნებით განისაზღვრებოდა. არც რუსთა ლაშქრის ჩამოსვლას უჩანდა საიმედო პირი. ნაცვლად კახეთის სამეფოში არსებული მძიმე ვითარების განსჯისა და გამოსავლის ძიებისა, „ნუგეშად და მფარველად მოსულნი იმას დაობდნენ, რა სიგრძე უნდა ჰქონოდა ოლარს, სახარება სამსხვერპლოზე უნდა დებულიყო და მის გვერდით საწიგნეზე!“. ამ ამბით იმედგაცრუებული ალექსანდრე გულისტკივილით ფიქრობდა, რომ ასეთი სასოებით წვეულ უცხო ბერებს ჩვენი ბედი და უბედობა სრულებით არ აწუხებდათ. იგი უკვე ნათლად ხედავდა იმას, რომ „რუს-კახთა ელჩები ამაოდ კეცავდნენ ყოველმხრივ გაუთავებელ გზებს. შველის საქმე კი არსებითად ადგილზევე იტკეპნებოდა და გარდა საჩუქარ-მოკითხვებისა არავითარი დადებითი ნაყოფი ჯერ არ უჩანდა“.

სწორედ ამდაგვარი „მფარველობის“ შედეგი იყო ის ფაქტი, რომ ალექსანდრეს გულში ნელ-ნელა და თანდათანობით მინავლდა იმედი იმისა, თითქოს მის ქვეყანას ურჯულო მტერთა შემოსევისაგან რუსეთი დაიხსნიდა. ამიტომაც იყო, რომ როცა იგი რუსთა მეფის – ბორის გოდუნოვისგან გამ-

ოგზავნილ ცრუ დაპირების მორიგ სიგელს „არჩევდა, ალექსანდრეს გულში რწმენა უკვე აღარ იყო და მრავალჯერ განბილების ეჭვსა და ნალექს „მფარველის“ სიგელის ნამეორევი ნუგეშის სიტკბო ვეღარ ანელებდა“.

როგორც ითქვა, ამ თვალსაზრისით ალექსანდრე გამონაკლისი სულაც არ არის და მსგავს სასოწარკვეთაში რუსეთთან კავშირის ყველაზე აქტიურად მხარდამჭერნიც კი ვარდებიან. მაგალითად, მოსკოვში დიპლომატიური მისიით ერთხელ უკვე ნამყოფი სოლომონ მდივანბეგი კატეგორიულად ამბობს უარს რუსეთში პირველ ელჩად განმეორებით წასვლაზე და თავის უარს ამდაგვარად ასაბუთებს:

„ვიყავი, ვნახე... ჭირთა თმენა რა სახსენებელია... მაგრამ არა მჯერა! არა სცალიათ ჩვენთვის! ასეთი რწმენით კი სად წავიდე? ქალამნების ამაო ცვეთაა!.. სხვაგან უნდა ვძებნოთ საშველი!“.

სოლომონის ამ სიტყვებს მეფის კარზე ყველა დუმილით შეხვდა, რადგან მდივანბეგის შეფასებას ფაქტობრივად ყოველი მათგანი იზიარებდა. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას ამ ფაქტის ავტორისეული კომენტარიც ნათლად ადასტურებს: „ყველამ ჩაქინდრა თავი. საუკუნის ძირითადი დავა ისევ თავიდან იწყებოდა. ყველას აწვალებდა ეს ვითარება, მაგრამ სდუმდა ყველა, რადგან არც სხვაგან იყო საშველი“.

იმდენად გართულდა მდგომარეობა, რომ მოსკოვში ელჩად წამსვლელი კაცის მოძებნაც კი გაჭირდა. ალექსანდრეს შეკითხვაზე კი – „ნუთუ საელჩო დარბაისელნი აღარ გვყვანან ჩვენს საელჩოშიო“, – ერთ-ერთმა დიდებულმა განაცხადა, „არა იმიტომ, რომ არა გვყვანან, არამედ იმიტომ, რომ აღარ სჯერათ!“.

ამ კრიტიკულ სიტუაციაში რუსეთში დიპლომატიური მისიით წასვლა კიდევ ერთხელ ოთხმოც ნელს მიტანებულმა ზოსიმე ბერდიდმა იკისრა და ეს იმიტომაც გააკეთა, რომ სწორედ „მან ჩანერგა პირველმა რუსთ იმედი“. „თავიც მე დავუდე ამ გზასა და ბოლოსაც მე გამოვაბამ!“ – დაბეჯითებით ამბობს იგი და ბოლომდე ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული იმის იმედი, ყველაფრის მიუხედავად, ერთმორწმუნე მეზობელი საქართველოს მაინც რომ გამოუწვდიდა დახმარების ხელს. თუმცა შინაგანი ეჭვი იმის შესახებ, რომ „ჩვენი მფარველი მხოლოდ ჩვენი მფარველობის სურვილს არ დასჯერდებოდა“, მასაც, რა ხანია, ულრღნიდა გულს.

მაგრამ მოსკოვში მეორედ სტუმრობამ ბერსაც საბოლოოდ გაუტეხა გული და მთლიანად გაუქარწყლა ჩრდილოელი ფარველის თანადგომის ყოველგვარი იმედი. და აი, სამშობლოში დაბრუნებული და აქ შექმნილი მდგომარეობით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ზოსიმე ბერდიდი ალექსანდრე მეფის ერთ-ერთ თანამებრძოლს ამ სიტყვებით ემშვიდობება:

„ჩვენ დიდი ეროვნული მარცხი მოგვივიდა... ვშიშობ, რომ ახლა ზნეობრივი წარღვნის ჟამში ვართ.

... სული ძლივს მოიბრუნა ზოსიმემ და მაინც განაგრძო:

– ზაზავ, შენ ქეთევან დედოფალს მიაშურე... განუყრელად მასთან იყავი... თუ დაიწყება, იქიდან უნდა დიაწყოს სულიერი ამომთელება, ქართველობის შემობრუნება... მე კი ხვალ დილით, უთენია წავალ ბორბალოს ქვაბში, დუმილის აღთქმას ვდებ... დაუცადებლად ვილოცავ, ცოდვებს მოვინანიებ!

– რა ცოდვებს?! – განცვიფრდა ზაზა...

დაღუპულთა წინაშე, სადღაც მეც მიმიძღვის დანაშაული... ჩრდილოეთის გზა პირველთაგან მე ვუთათბირე ამის გამო წამებულ მეფეს!“.

„გმირთა ვარამის“ ღირსება ის არის, რომ მწერალი არა მარტო ქვეყნის ტრაგიკული მდგომარეობის მხატვარ-წარმომჩენად გვევლინება, არამედ ამ ვითარებიდან გამოსავლის აქტიურად მაძიებელ მამულიშვილადაც. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ „ჩრდილოთ ზრახვის“ განუხორციელებლობით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ალექსანდრე ქვეყნის ხსნის ერთადერთ გონივრულ გზად ჩვენს ეროვნულ ერთობას მიიჩნევს: „ისევ შიდა ქართულ ძალებში უნდა ვისაშველოთ რამე“.

სწორედ ამ რწმენითა და მიზანსწრაფვით უკავშირდება ალექსანდრე ერთ დროს მის მოსისხლე მეტოქედ შერაცხულ ქართლის მეფე სვიმონს, რომელიც ასეთივე მამულიშვილური გონიერებით იღებს კახთ ბატონის მიერ შეთავაზებულ წინადადებას და ისინი უკვე სრული თანხმიერებით სახავენ მოძალებული მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმას. მწერლის თქმით, ამ შეხვედრის შემდეგ „ყინულისა და უხერხულობის ნატამალიც კი აღარ იყო მათ შორის.

– სრული მშვიდობა და უბრძოლველობა ქართველ ტომთა შორის!

– ქართველ მეფე-მთავართა კავშირი!

... ასეთი თავსატეხი და საჭირბოროტო საკითხები ისე სწრაფად ჩაათავდათ ხელში, რომ ორივეს გაეცინა.

– სულ ნახევარი საათის საქმე ყოფილა, ჩვენ კი ნახევარი საუკუნეა, ვდაობთ!“.

„სვიმონ ძმაო! ახლა მარტონი ვართ... არა სხვათა სამზერად... არა ქვეშევრდომთათვის... ჩვენთვის ვთქვათ ფიცი და გულზე დავიჭდეოთ... ბოლოს და ბოლოს მოკვდავნი ვართ... ერთ გვირგვინოსანნი, ერთ ტომისანნი, ერთ გვაროსანნი და ერთ დარდისანნი! – სულმოუთქმელად ჩამომარცვლა ალექსანდრემ და ზოსიმეს დატოვებულ ჯვარს მტკიცედ დაადო ხელი: – მარჯვენა შემახმეს, თუ საერთო ქართულ საქმეს ვუღალატო... ან შენ გიმტყუნო თქმულში!

– შენი ჭირიმე, ალექსანდრე! – აღელვებულად ნამოიძახა სვიმონმა, მანაც ხელი დაადო ხელსაც და ჯვარსაც: – რა კარგი თქვი! ორივე ქართველები ვართ და საჭირისუფლოც დიდი გვაწევს!... არც გიღალატო! არც გემეტოქო! – სვიმონმა გვირგვინი მოიხსნა თავიდან და სუფრაზე დაასვენა. ალექსანდრემაც ზედ მიუდგა თავისი გვირგვინი. ქამარ-ხანჯლები გაცვალეს და ახლა კი უფრო გულღიად და თავისთვის გადაკოცნეს ერთმანეთი.

– ჰაი დედასა, ამ ვერხვიანში, ამ ძველ ნამარცხალ ადგილზე ახლა რა დიდი ქართული გამარჯვება მოვიპოვეთ!“.

სამწუხაროდ, ასეთი გონიერება, სიბრძნე და მამულიშვილური შორსგანჭვრეტილობა, რომელსაც რომანტიკული გრძნობიერებით განადიდებს ლევან გოთუა, ხშირად აკლდათ ქართველ მეფეებს, რაც ბევრი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უბედურების სათავე გამხდარა.

ქართლ-კახეთის მეფეთა ერთობლივი ბრძოლა ზოგადქართული ინტერესების გასამარჯვებლად მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს რომანის ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებას.

მრავალრიცხოვან პერსონაჟთაგან ყურადღების ცენტრში, უპირველეს ყოვლისა, კახეთის მეფე ალექსანდრეა მოქცეული. ნაწარმოების სამოქმედო დროც ძირითადად მისი მეფობის ხანას მოიცავს. ლევან გოთუა ისტორიული სიმართლითა და მიუკერძოებლობით გვიჩვენებს მისი მეფური მოღვაწეობის როგორც დადებით, ისე ნაკლოვან მხარეებს.

ლევან გოთუა ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითა და მხატვრული ოსტატობით მოგვითხრობს მეფე ალექსანდრეს ზნეობრივ-პიროვნული ამაღლებისა და გარდაქმნის ამბავს, ისტორიული რეალობის გათვალისწინებით აღწერს იმ რთულ გზას, რომელიც ტრაგიკული ბედის ამ გვირგვინოსანმა განვლო თავისი სამეფო მოღვაწეობის მანძილზე. ალექსანდრეს ზნობრივი ამაღლების საქმეში უდიდესი როლი, უწინარეს ყოვლისა, მისმა აღმზრდელმა და მასწავლებელმა ზოსიმე ბერდიდმა შეასრულა. ყველაზე დიდი სულიერი განსაცდელის ჟამს სწორედ იგი დგას ცხოვრებით-შეჭირვებული მეფის გვერდით და გონივრული რჩევებით ეხმარება მას. თუმცა ზოსიმე ალექსანდრესთვის მხოლოდ უბრალო მრჩეველ-დამრიგებელი როდია; ის, ამავდროულად, მისი მოქმედების კრიტიკულად განმსჯელ-შემფასებელიცაა, პირუთვნელი მსაჯული მეფის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯისა.

ალექსანდრეს მეფობის დასაწყისშივე ნათლად და მკაფიოდ იკვეთება მისი მეფური მოღვაწეობის უზენაესი იდეალი – თუ მთელი საქართველოს გაერთიანება არა, ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს აღდგენა მაინც. მაგრამ თავისთავად დიდად კეთილშობილური ამ იდეალის ხორცშესხმისაკენ მიმავალი ალექსანდრეს გზა საკმაოდ სისხლიანიცაა და მრავალი ადამიანის ცოდვით დამძიმებულიც. სამეფო ტახტის ძლიერებისა და განმტკიცებისათვის აქტიურად მებრძოლი მეფე დაუნდობელი სისასტიკით უპირისპირდება ნებისმიერ მეტოქეს საკუთარი დედმამიშვილებით დაწყებული და ქართლის ხელმწიფით – სვიმონით დამთავრებული.

მაგრამ ლევან გოთუას რომანის ღირსება ის არის, რომ მწერალი ისტორიულ რეალობაზე დაყრდნობით არგუმენტირებულად და დამაჯერებლად იმასაც გვიჩვენებს, როგორ თანდათანობით თრგუნავს ალექსანდრე პიროვნულ ამბიციებს, რის შედეგადაც საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის აქტიურად მებრძოლ ისეთ პოლიტიკურ მოღვაწედ ყალიბდება, „ვის ბუნებაშიც ბედნიერად ჰქონდა თავი შეყრილი დიდგონივრობას, ქველობასა და მაღალზნეობას“. მაგრამ ვიდრე აქამდე მივიდოდა, ალექსანდრეს, როგორც ითქვა, საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი გზის გავლა მოუხდა.

ის საქართველოს ისტორიის მემატიანედაც გვევლინება, იმ უმნიშვნელოვანეს მოვლენათა აღმნუსხველ-შემფასებლადაც, რითაც მისი დროის ქართული ყოფა ხასიათდებოდა.

რომანის მრავალრიცხოვან პერსონაჟთაგან გვსურს, მკითხველის ყურადღება კიდევ ერთხელ შევაჩეროთ ზოსიმე ბერდიდის პიროვნებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ იგი სასულიერო პირია, საეკლესიო მოღვაწეობაზე მეტად ის, უპირველეს ყოვლისა, საერო საქმიანობითაა დაკავებული. მის მხატვრულ სახეში მწერალმა რამდენადმე იდეალიზებული ფორმითაც კი განასახიერა სამშობლოს

კეთილდღეობისთვის უანგაროდ მოღვაწე ადამიანის ტიპი. ზოსიმე ბერდიდი, ფაქტობრივად, ჩვენი ისტორიიდან კარგად ცნობილ სახელიან თუ უსახელო მემატიანეთა და ღვთისმოსავთა განზოგადებული სახეა, საქვეყნო საქმეთათვის უანგაროდ თავდადებული პიროვნების იდეალიზებული ტიპი.

ზოსიმე ბერდიდის ქადაგებებსა და სიტყვიერ შეგონებებში განზოგადებული სახით იკვეთება ჩვენი ეროვნული თვითარსებობისათვის ისტორიულად თანამდევი ბევრი მანკიერება და ზნეობრივი სიმდაბლე. მიუხედავად იმისა, რომ თავისი სოციალური მდგომარეობით ზოსიმე ბერია, მიწიერი ყოველდღიურობათაგან განმდგარი სასულიერო პირი, მისი ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრესი მიზანსწრაფვა მაინც ქვეყნის სამსახურში აქტიური დგომაა, ერის ზნეობრივ განწმენდაზე ზრუნვა და თავდადებული ბრძოლაა, იმ ადამიანურ მანკიერებათა წინააღმდეგ, რომლებიც ერისა და ქვეყნის ძლიერებას საფუძველს უთხრიან.

ზოსიმე ბერდიდის ზნეობრივ-პატრიოტული ქადაგებებისა და მამულიშვილური მოღვაწეობის აღწერით ლ. გოთუა ჩვენს წარმოსახვაში შთამბეჭდავი სახით ძერწავს ღვთისა და სამშობლოს სამსახურში უღალატო ერთგულებით მდგარი ადამიანის იდეალიზებულ ტიპს.

„გმირთა ვარამი" პერსონაჟთა მრავალრიცხოვანებითა და მრავალფეროვნებით გამორჩეული რომანია. ნაწარმოების მოქმედ პირთაგან მწერალი განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებულ ადამიანებს. ბევრი მათგანის მხატვრული სახე, ხშირ შემთხვევაში, ერთგვარად იდეალიზებულიც კია (ქეთევანი, გიორგი ბატონიშვილი, ქაიხოსრო, ერეკლე, ზაზა...). ამდაგვარ ზნეობრივ-მამულიშვილურ სრულყოფას ისინი ხშირად თვითგვემითა და პიროვნულ გრძნობათა დათრგუნვით აღწევენ. რომანში ეს ყველაფერი რამდენადმე რომანტიზებული ფორმითაა გადმოცემული.

„გმირთა ვარამისადმი" ინტერესს მნიშვნელოვანწილად ზრდის ის გარემოებაც, რომ მასში მწერალმა სამშობლოსათვის თავდადებული მაღალზნეობრივი მამულიშვილების გვერდით ქვეყნის მოღალატეთა და სულმდაბალ ადამიანთა მეტად საინტერესო მხატვრული სახეებიც შექმნა (დავით და კონსტანტინე ბატონიშვილები, ალმან ჩოლოყაშვილი და სხვ.). ისინი ყველაფერს აკეთებენ თავიანთი მდაბალი და ბოროტი ადამიანური ზრახვების განსახორციელებლად. ერთ-ერთი სწორედ ასეთი პიროვნებაა დავით ბატონიშვილი, რომელიც საკუთარი ძმის, ტახტის კანონიერი მემკვიდრის — ერეკლე უფლისწულის გაწირვის ფასად აღწევს სამეფო გვირგვინის ხელში ჩაგდებას. რომანში დიდი მწერლური ოსტატობითაა ნაჩვენები ამ მზაკვარი და სახელხარბი კაცის პატივმოყვარე პიროვნული ბუნება, მისი გაბოროტებული ბრძოლა ყველა იმ ადამიანის წინააღმდეგ, ვინც მას თავის სისხლიან გზაზე ოდნავადაც კი გადაეღობება წინ.

ამ თვალსაზრისით დავითის ადამიანური სისასტიკისა და გაბოროტების გამოხატვა კულმინაციას რომანის იმ ეპიზოდში აღწევს, სადაც მძაფრი ემოციური ექსპრესიითაა აღწერილი, როგორ ბარბაროსულად დახოცეს მან და მისმა მომხრეებმა მოწინააღმდეგენი შიგ ალავერდის ტაძარში. ჯალათად შერაცხულ „თავისა და გვარის წამწყმედ შვილს", რომელმაც „გაუგონარი მკრეხელობა და ართქმული ბოროტება" ჩაიდინა, ამ ამბით თავზარდაცემულმა მამამ საბოლოოდ ის განაჩენი გამოუტანა, რომ სიკვდილის შემდეგ მისი საფლავი ერთიანად გადაესწორებინა, რათა მისგან აღარავითარი ნაკვალევი აღარ დარჩენილიყო. ასე იქცა ცხოვრებაში ჩადენილი მძიმე ცოდვების გამო დავითი სამარედაკარგულ არარაობად, ვის სახელსაც მისი ყველაზე მახლობელი ადამიანებიც კი მხოლოდ ზიზღითა და სიძულვილით იხსენებდნენ.

კიდევ უფრო მეტი უბედურება დაატეხა თავს თავისივე ქვეყანას დავითის უმცროსმა ძმამ კონსტანტინემ. ლევან გოთუა დაწვრილებით მოგვითხრობს საქართველოს ისტორიიდან კარგად ცნობილ ამ გაურჯულოებულ და მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი პიროვნების მიერ ჩადენილ გაუგონარი ბოროტების ამბავს, — სამეფრო გვირგვინის დაუფლების მიზნით საკუთარი მამისა და ძმის მკვლელობას...

„გმირთა ვარამი" ნათლად წარმოაჩენს სიტყვიერი ხელოვნების იმ მაღალ დონეს, რითაც მწერლის შემოქმედება გამოირჩევა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოთა ფლიანი

მუდმივი ერთგულება

სამოცდაათიან წლებში ქართულ მწერალთა ახალი თაობა მოვიდა, რომელმაც საკმაო შეხლა-შემოხლისა და წინააღმდეგობის ფონზე, მოიპოვა მოქალაქეობის უფლება, რაც მთლიანად თაობის გამარჯვებაა და არა რომელიმე კონკრეტული სახელის პრიორიტეტი. ეს კი ნიშნავს, რომ მას არ ჰყოლია გამორჩეული ლიდერი ანუ წინამძღოლი, რომელიც წარმართავდა მის გზას და განსაზღვრავდა მთლიან შემოქმედებით სახეს. ეს ერთდროულად რამდენიმე მწერლის ანუ მთელი თაობის დამსახურებაა და მათ შორის უნდა ვიგულისხმოთ პოეტი ზაალ ებანოიძეც. ნუ შეგვაშინებს ის ფაქტი, რომ იგი ქუთაისში მოღვაწეობს. ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე ეს ქალაქი ქართული პოეზიის მექა იყო და თუ შემდგომ დათმო პოზიციები, ეს დედაქალაქში დიდი „გადასახლების" გამო მოხდა. მიუხედავად ამისა, ქუთაისში ჯერ კიდევ ფეთქავს ქართული პოეზიის ძარღვი. ვინც სისხლხორცეულად დაინტერესებულია ქართული კულტურის ხვალინდელი ბედ-იღბლით, ვალდებულია მის მაჯისცემას საქართველოს პერიფერიებშიც მიუგდოს ყური, რომლის უტყუარი არსებობა ზაალ ებანოიძის ლექსებითაც დასტურდება, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, სამოცდაათიან წლებში მოსული მწერლების ერთ-ერთი თვისებრივად კოლორიტული წარმომადგენელია და თავისებური ფუნქცია შეასრულა თავისი თაობის შემოქმედებითი სახის წარმოჩენაში.

მიუხედავად ამისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ზაალ ებანოიძე, როგორც პოეტი, ჯერჯერობით, ჩრდილში დგას, აკლია ის ყურადღება და მზრუნველობა, რითაც გარემოსილი არიან მისი თაობის პრივილეგირებული მწერლები, დედაქალაქში რომ მოღვაწეობენ. ეს ნეგატიური მოვლენა სამოციანი წლების თაობიდან ინერციით გადმოვიდა სამოცდაათიან წლებში. ჯერ კიდევ „ხელოვნურად გაზვიადებული ავტორიტეტები" (გ. ასათიანი) სცენაზე არიან, ხოლო ზოგიერთ ღვთიური მადლით ცხებულ შემოქმედს არ აქვს ე.წ. „გახსნის" საშუალება. სამწუხაროდ, ვიმეორებ, რომ ეს ყველაზე მეტად პერიფერიელ მწერლებს ეხება.

საბედნიეროდ, ამ მოსაზრებას კონკრეტულად ეწინააღმდეგება ზაალ ებანოიძის წიგნი, რომელიც „ნაკადულმა" გამოსცა. იგი არ არის ბედნიერი გამონაკლისი, რადგან ამ გამომცემლობაში იმ დროს პერიფერიულ ანუ არაპრივილეგირებულ ავტორთა სხვა წიგნებიც გამოიცა. ეს მეტად სასიკეთო შემობრუნება იყო. ამჯერად კი ჩემი მიზანია ზოგადად ზაალ ებანოიძის პოეზიის თავისებურებაზე ვისაუბროთ.

ამ საგანზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლი იმ სიახლეებს, სამოცდაათიანმა წლებმა რომ მოიტანა ქართულ პოეზიაში, რადგან მისი მონაწილე ზაალ ებანოიძეცაა. საქმე ისაა, რომ სამოციანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრების მშვიდმა ატმოსფერომ თავისი კვალი დააჩნია ქართულ პოეზიას.

მართალია, ორი ათწლეული მწერლობაში დროის არცთუ ისე დიდი მონაკვეთია და მათ შორის ჩინური კედლის აღმართვა არ შეიძლება, მაგრამ ლირიკული ინტელექტის დემონსტრირება სამოცდაათიანელთა თაობას აღარ გამოადგა, რადგან იგი ზომაზე მეტად ამოწურეს სამოციანელებმა. ზოგიერთი მაშინდელი აღიარებული მხატვრული მიგნების ეფექტი თანდათანობით გაგრილდა. ვფიქრობ, მაგალითების მოტანა საჭირო არ არის, რადგან ამ თაობაზე იმდენი პანეგირიკული აზრი გამოთქმულა, მათი გახსენებით შეიძლება მკითხველი გაღიზიანდეს კიდეც. ჩემი აზრით, აქ მთავარი მაინც ისაა, რომ სამოციანმა წლებმა ახალი სამოსი შეუკერა ლირიკულ პოემას. იგი თავისთავად ქართულ პოეზიაში არც ძველია და არც ახალი, მაგრამ გარკვეული ზემოქმედება მოახდინა ქართულ პოეტურ აზროვნებაზე, რომლის მთავარ მიღწევად მიმაჩნია ო. ჭილაძის „თაკო და ზაზა", ტ. ჭანტურიას „სპილოების სასაფლაო" და ბ. ხარანაულის „ხეიბარი თოჯინა". მათ გვერდით სხვა ავტორთა ნაწარმოებებიც გამო-

ქვეყნდა, მაგრამ პირველმხედველთა ეფექტი თუ განელდა, იმის გამოისობითაც მოხდა, რომ სამოციან წლებში შეკერილი ლირიკული პოემის სამოსი სამოცდაათიანი წლების მოდას ვეღარ გაუმკლავდა. აქ კი გადამწყვეტი როლი მაინც ცხოვრების სოციალურმა კონფლიქტმა შეასრულა, რომელმაც განსხვავებული, უფრო სწორად, ახლებური ესთეტიკური იდეალი მოითხოვა. სწორედ ეს არის ამ იდეალის ერუფციის არცთუ ისე გამოკვეთილი, მაგრამ მაინც ახალი პერიოდი. სულაც არა მაქვს მხედველობაში, ვერლიბრი და მასთან დაკავშირებით ვერსიფიკატორული ამბიციები. ამით სულაც არ ვამდაბლებ მის როლს. მხოლოდ იმისი თქმა მინდა, რომ ბოლოს და ბოლოს თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ისიც ტრადიციულია. ამიტომაც მის მიღება-არმიღებაზე ლაპარაკი უადგილოდაც მესახება.

ზაალ ებანოიძე და მისი თაობა, მათი წინამორბედი პოეტებისაგან განსხვავებით, მოკლებულია საესტრადო ვნებათაღელვას. ლირიკულმა ზარ-ზეიმმა ადგილი დაუთმო სიმყუდროვისა და სიმშვიდის ატმოსფეროს, დაკონკრეტდა იდეურ-ესთეტიკური მასალა, დაიხვეწა პოეტური აზრის მოძრაობა. ამ ნიშანთვისებებს ადვილად შეამჩნევს დაკვირვებული თვალი ზაალ ებანოიძის ლექსებშიც, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, დღევანდელობის ერთ-ერთი მყარი და საინტერესო შენაკადია, განსაკუთრებით ბევრი ფიქრი აღმიძრა პოემამ „ოცხე", რომელიც ჩემთვის, გავამხელ, მოულოდნელი იყო. ჯერ ერთი, რომ ლირიკულმა პოემამ ოთხმოციან წლებში შესამჩნევად დათმო პოზიცია, თითქმის მინელდა აჟიოტაჟი, კინაღამ მოდად რომ აქცია იგი და მეორეც, ზაალ ებანოიძის ლექსებისთვის დამახასიათებელი მოზაიკურ-სახეობრივი სისტემა პოემის შექმნის საფუძველს თითქოს არ იძლეოდა.

ახლა ზაალ ებანოიძის პოემა ლიტერატურული ფაქტია და, დარწმუნებული ვარ გარკვეული წლების შემდეგ, როცა დრო შეაჯამებს ათწლეულებს და მასთან ერთად ლირიკული პოემის ფუნქციას ჩვენს პოეზიაში, იგი არ დარჩება უყურადღებოდ.

ყველაფერი ბუნებრივად და მარტივად დაიწყო. პოემის ლირიკული პერსონაჟი და „ავტორის" მე ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს. პოეტის Alter ego ტიპიური სახეა, რომელიც ისევ სამყაროში ხვდება, სადაც „დარდისთვისაა ყველაფერი გაჩენილი", მაგრამ მაინც დიდია „მწუხარებისაგან თავის დახსნის სურვილი". ამ ფონზე მიგნებულადაა გაზრებული ბიბლიური ევას სიმბოლიკურ-ალეგორიული სახე. პატარა დაბა ბიბლიურ ედემს გავს, რომელსაც ყოფითი დეტალებით ვეცნობით და რომლის სახელს ავტორი შეგნებულად და მართებულად არ გვიმხელს. ეს ის ქალაქია, რომელზეც თქვა მურმან ლებანიძემ: შენ ამ ქალაქში რა გინდა, პატარა თამუნია". იგი ერთ-ერთ ნოველაში მიხეილ ჯავახიშვილმა კუბოს შეადარა. ქალაქს ორი სასაფლაო აქვს (შესასვლელსა და გასასვლელში). ერთი მოქმედი, ერთიც — გაუქმებული: „ფიქრების მიღმა მინიერს და ზეციერს შორის, მწარე სიცხადის დგება კედელი და მხარზე გვადევს უხილავის ვეება ტორი, წუთისოფელთან იძულებით შემრიგებელი".

ასეთ სამყაროში მოხვედრილი ადამიანის ოპტიმიზმი ბუნებრივია, რადგან „ადგას გვირგვინად ევას ქალობა, ამ სამყაროში დედამიწის ერთადერთობას". დედამიწის ერთადერთობა სიცოცხლის მარადისობის სინონიმია და მისი საწყისია ევა, ამ შემთხვევაში დედა — სიცოცხლისა და სიკეთის სათავე.

ბილიკს მიჰყვება კაცი, ბილიკის თავთან დგას ლამაზი ქალი, სადაც არც სამოთხის ვაშლებია და არც „ლეღვი დნება თაფლის კურცხლებად". ამიტომ ადამისა და ევას შეცდომა შემთხვევით არ განმეორდება. პოემის მთელი ხერხემალია მესამე თავის ბოლო სტრიქონები:

ამ დროს ძირს, ხევში, პატარა ქალაქს
„წყნარი საათი" — სუდარა თეთრი,
ახურავს ძალად, ახურავს ძალად
და ოფლიანი აწუხებს მკერდი.
სძინავს ავადმყოფს, ივსება მთვარით
პალატა, ერთ დროს მე რომ ვსახლობდი,
და მხოლოდ მაშინ იცვალა მხარი,
ცეცხლად ანთებულ გოგოს
როცა მოუახლოვდა.

ირკვევა, რომ ბილიკის თავზე მდგარ ქალს სიზმარში ხედავს ავადმყოფი, რომელიც იმ პალატაშია, სადაც ოცი წლის წინ ავტორი იწვა. სიზმრის სცენაც

ავადმყოფის აუტანელი, მაგრამ რეალური სურვილი, ხოლო დასკვნით სტრიქონებში წარმოსახული ადამისა და ევას შეცოდების იდენტური მომენტი სიცოცხლის გაგრძელების სინონიმია, ავადმყოფის გამოღვიძების სურათმა და მისმა მინიერმა ფიქრებმა მოითხოვა მცირე ლირიკული გადახვევა, რომელიც უბრწყინვალესი სტრიქონებით დასტურდება: „შებინდებისას დანთებულ ლხინის დილამდე ატანა და მერე, გზაში ღილინი: „პატარავ, ჩემო პატარავ!" ამის შემდეგ იწყება ვერლიბრი. ეს კი იმ ადამიანებზე ფიქრმა განაპირობა, რომლებიც ვეღარასოდეს დაბრუნდებიან. ბუნებრივია, არ გემღერება და თვით სათქმელმა იპოვა თავისი ფორმა.

მაგრამ იმედი?

„იმედი სიტყვა, თავისთავად აბსტრაქტული ცნებაა, მაგრამ ზოგჯერ სხეულს შეისხამს, თეთრ ხალათს მოირგებს და ხალხში დადის". მკურნალი ექიმები გივი ნულეისკირი, ჯონდო და არჩილ მხეიძეები, გიორგი ცისკარიშვილი დროულად შემოიყვანა ავტორმა და ამით იმედის სხივი აანთო. აქვეა ყანობილის მთა და ობსერვატორია – დედამიწის სარკე. აქ არის ხალხი, ვისაც თვალი უჭირავს ცისკენ. „ვის ვესიზმრებით, ვინ გვესიზმრება?" – აი კითხვა, რომელიც საგულდაგულო პასუხს თხოულობს. ეს ისეთი კითხვაა, რომელთა პასუხი რჩეულთა წილხვედრია და ამ დროს გაისმის: „მე ყვავილები მესიზმრებოდა და მე ყვავილებს ვესიზმრებოდი". ეს გალაკტიონია. მაგრამ სად წავიდა, იქნება გაშალა ხელები და გაფრინდა?! ამიერიდან იგი ყველგანაა, მიწაზე, ცაში, კოსმოსურ სამყაროში, ყვავილში, ფოთოლში, ყველა ბალახში...

პოემის მეექვსე თავი ზოგადად სინამდვილისა და კონკრეტულად საკუთარი სინამდვილის სულიერი განცდის დრამატული აღქმაა. ამით პოეტმა გვაგრძნობინა საოპერაციო მაგიდაზე მყოფი ადამიანის სულიერი მღელვარების მძაფრი კოლიზიები, რისთვისაც მაღალმხატვრული გამომსახველობითი საშუალებებია გამოყენებული. ეს ისეთი განცდაა, რომლის გამოგონება ან მეორე პირის სულის დაფიდან გადმოწერა არ შეიძლება. იგი საკუთარი სულის შრეებში უნდა წარმოიქმნას. სხვა შემთხვევაში ასეთი სტრიქონები არ დაიწერებოდა.

მათ აქვთ სითბო, სინათლე, მძაფრი ექსპრესია. სამწუხაროდ, არ გვაქვს – მთლიანი ციტირების საშუალება, იგი ხაკ მაოდ დიდია, მაგრამ ბევრ რამეს ეტყოდა მკითხველს:

თოვდა და — არვის ციოდა,
წვიმდა და — ბალახზე ნამი
არ იდგა... მზე ამოდიოდა
და მაინც კუნაპეტს თვალი
ვერ ჭრიდა, ხანძარი ღვიოდა
და ჭალებს იკლებდა ქარი;
და იქვე — ძლივს მიმოდიოდა
ძეწნა და დალალი ქალის.
ცა იდგა მომსწრე და მნახველი
მრავალი ასეთი ჟამის,
ხარობდა კვიდო და ძახველი —
წითელის მეზობლად შავი;
ყვითელი კოცონი — იელის,
ჩამცხრალი გვიმრა და ნარი,
სუსტისგან დამფრთხალი — ძლიერი,
შეტევის მაგიერ ზავი
ყველაფერს კერავდა იგავი,
ამ სოფლის თავი და თავი,
მე ამ დროს, გამოღმა ვიყავი
და როცა ჩამოწვა ზვავიც...
გაღმიდან ყმაწვილი მორბოდა,
ორკაპით გადმოვლო ღელე
სამარის პირღია ორმოდან
ლანდები უქნევდნენ ხელებს.

პოემა მთავრდება ლირიკული გმირის მაძიებელი ფიქრით სიცოცხლეზე, სამყაროზე, ბილიკებზე, რომლითაც დედამიწა დაკავშირებულია გარესამყაროსთან:

კიდევ იქნება ამ დედამიწის გარდა
სადმე მწუხარი და მოულხინარი თვალი,
გადავწევთ როცა თეთრი წყვდიადის ფარდას,
თუ კოცონივით ამობრიალდა ქალი, —
მაშასადამე, სამოთხის ბაღიც ხარობს
და ახლოვდება იქაც ცთუნების წამი,
დაადგი შუქი, ღმერთო, სიცოცხლის წყაროს
და ჩემს გულისთქმას შენ დაადარე — ამინ!

მრავალფეროვანია ზაალ ებანოიძის პოეტური ტრანსფორმაცია. ჩემი აზრით, მაინც უმთავრესია სათქმელის მოკლედ და მოზაიკურად გამოხატვა. აქ უნდა გავიხსენო მუხრან მაჭავარიანის სიტყვები: „ვრცელი პოეტური ნაწარმოებები მაინც და მაინც არ მხიბლავენ, თუ დიდი შინაარსით არ არიან დატვირთული. არა თუ

პოემა, ბევრი ვრცელი ლექსიც ხშირად იმიტომ იწერება, რომ მათი ავტორები, მოკლებულნი არიან გადახაზვის ნიჭს. დაუკვირდით, სუსტი პოეტები იშვიათად წერენ პატარა ლექსებს". ვფიქრობ, ეს ციტატა ზაალ ებანოიძის სასარგებლოდაც ლაპარაკობს. აი, როგორი ლაკონიურობითა და მარტივი, მაგრამ ხატოვანი სტრიქონებით წარმოგვიდგინა პოეტმა სამშობლოს დიდებული სახე. იგი სულ რვა სტრიქონია, მაგრამ უზარმაზარ სივრცეს მოიცავს:

შენ რა გამოგლეკს
სულ იმატებ და სულ დიდდები...
დაე, თავთავის არშინებით
გზომონ მგოსნებმა;
ხეზე რამდენიც დამსხვილდება
მარტში კვირტები,
ჩემთვის იმდენი სამყარო ხარ
და საოცრება.

მე, როგორც მკითხველს, დიდი სიამოვნება მომანიჭა ლექსმა, რომელსაც „ტკბილ-მწარე უღელი" ჰქვია და იმ წლებისა და სამყაროს ერთგვარი გამოხატულებაცაა, ზემოთ განხილული პოემა რომ უკარნახა. აქ არის მშობლიური იმერეთის ყოფითი სურათები, რამაც უნებურად დავით კაკაბაძე გამახსენა. ამ სტრიქონების კითხვისას თვალწინ ჩაივლის ლურჯი კოინდარი და ადესის თალარი, ქარში მოტორტმანე თხმელები, ბერნაობალის ფერდობი, აქვეა ანდრიას ძველი ეზოც ხურმებითა და კოპიტებით:

გახსოვს? — სარეცელს მიჯაჭვული,
წერილს რომ გწერდი,
ახლობელივით
მე ამ მთებს და ველებს ვნატრობდი.

ეს იყო წინათ. გავიდა წლები:

ახლა აქა ვარ,
მაკავშირებს ყოველი ჩქამი
ამ წყალ-ჭალებთან,
მის წარსულთან, დღესთან, ხვალესთან...
ღმერთო, სიზმარშიც ნუ მელირსოს
ისეთი წამი,
რომ ამ ტკბილ-მწარე უღლისაგან
თავი დამეხსნას!

ზაალ ებანოიძის პოეზიის სახეთა სისტემა, ყოველი მისი მეტაფორა ბუნების წიაღში იმოსება, ბუნებაში გაბნეული საგნები და მათდამი დაქვემდებარებული მოვლენებია მისი ლექსიკის საასალი. ამიტომაც მისგან ყოველთვის შორსაა პუბლიცისტური, ანუ გამამხნევებელი დაპირებები. ზოგიერთები ხმაურიანი ლექსებით ცდილობენ მკითხველის სულიერი ინტერესების გამოღვიძებას. ავიწყდებათ, რომ ზოგჯერ ხმაური უფრო ადუნებს ყურადღებას.

რამდენიმე წლის უკან შეკითხვაზე „რატომ წერთ და რა სარგებლობა მოაქვს თქვენს შემოქმედებას, ზაალ ებანოიძემ უპასუხა: „არასოდეს მიფიქრია დღემდე ამის შესახებ. რომ არ ვწერო არ შემიძლია — ეს ვიცი მხოლოდ. ყოველი ახალი ლექსი წინამორბედზე უფრო უკეთესი მგონია, იმ დღეებში ცა და ქვეყანა ჩემად მიმაჩნია. ამაყად დავაბიჯებ. მაგრამ... გაივლის ცოტა ხანი, გადაიწმინდება ემოციის ბურანი და დავდგებით მე და სინამდვილე პირისპირ.

რა სარგებლობა მოაქვს ჩემს შემოქმედებას? რა ვიცი... მინდა ერთი ასეთი ეპიზოდი გავიხსენო. წლების წინ ჟურნალ „დროშაში" ერთ ჩემს ახლობელზე, გულმართალ მიწის მუშაზე და კაცურ კაცზე ბუჭია ხიზანეიშვილზე ლექსი გამოვაქვეყნე. ერთი კვირის შემდეგ „ჯვარიან წიფლების" საყანეებიდან ამბავი ამომიტანეს, ოთხად გაკეცილი ჟურნალი ბუჭიას გულისჯიბეში უდევს და ისე კიდია გუთანსო"...

ამ სიტყვებში პოეტი უთუოდ გულწრფელია. ზოგიერთი თანამოკალმესავით მაღალ მატერიკებზე როდი გვესაუბრება.

არც გვირგვინოსან სახელებს აწუხებს. თავისი შემოქმედების სარგებლიანობაც მარტივად და მიმზიდველად დაგვისაბუთა. ანკეტაში გაცხადებული ფიქრები მისი ახალი ლექსებითაც დასტურდება:

გადაიცოხნა ცვარი-კალია,
მზემ — დეკეულმა, შინდისფერებამ,
მიდიხარ — მინდვრის ზღვა გიხარია,
მიდიხარ — მინდვრის ცა გემღერება,
მავანს ჰგონია ძნელი რამაა
ამ ქვეყნად კაცის ბედნიერება.

აქ თითქოს ახალი არაფერია. ესაა მშობლიურ გარემოსთან ადამიანის მიწიერი ყოფა, რაც შეიძლება სხვა

პოეტებთანაც შეგვხვედრია, მაგრამ ამ შემთხვევაში ავტორისათვის იგი ძალიან ღვიძლია. მასში დღევანდელი დღის მართალი ემოციური განცდაა, რომლის საფუძველს ყოველდღიური ცხოვრება გვაძლევს, მას დანახვა და პოეზიის სამზეოზე გამოტანა ჭირდება. „მინდვრის ზღვამ" ჩემში მწვანედ მოღალანე ყანის ასოციაცია აღძრა, „ხოლო მინდვრის ცა" მღელვარე ყანის უტილიტარული შედეგია. პოეტის იდეალია მათი ემოციური დაწოლა მკითხველის სულზე, რაც საბოლოოდ ადამიანის ბედნიერების ტოლფასია. სწორედ ამით აქვს ლექსს დღევანდელი დღის განცდისმიერი გემო, თორემ ამ ქვეყნად კაცის ბედნიერებას ცოტა რამ ყოფნის, ისედაც გვჯერა.

ცხოვრებას მკაცრი კანონები აქვს და თავისი გზით მიდის. ლეთის გადმოღმა ახლობლები როცა ტირიან, ამ დროს შეიძლება გადაღმა მღეროდნენ კიდეც. ესაა „წუთისოფლის" მოტივი და იშვიათია ჭეშმარიტი პოეტი, ამ თემას თავისებური ხარკი არ გადაუხადოს. ზაალ ებანოიძის პოეზიაში "„წუთისოფელი" მოოქროვილი დღეების ცდუნება და მასთან ტრაგიკული განშორებით გამოწვეული ტრაგიკული განცდა კი არა, ჩავლილი დღეების ანუ დაფერფლილი სიცოცხლის მომავალში ხილვის ბედნიერების განცდასთანაა გატოლებული:

რა დაერქმევა, თუ ასეა, გარდაცვალებას —
დოქიდან დოქში გადასხმული ღვინის ფერება?
უნდა შეიძლონ, ამ ქვეყნიდან
საგზლად თვალებმა
წაიღონ მაინც ერთი თავი ბედნიერება.

აქვე უნდა გავიხსენო ლექსი „როცა გონაშვილი მღერის", რომელიც ნათქვამის საილუსტრაციოდ გამოდგება წუთისოფლიდან წასული კაცის სიცოცხლე უკვალოდ არ ჩამქრალა. მანაც წაიღო ამ ქვეყნიდან ერთი თავი ბედნიერება. ეს ისეთი საგანია, რომელსაც სახელს ვერ დაარქმევთ, ესაა ფრთებს რომ გვასხამს, მუხლში ძალას რომ გვმატებს, ეს ისეთი რამაა, ხვატით გამოგვალულ გულზე თქორად რომ გადაგივლის. პოეტს ემარჯვება ლოგიკური მახვილის დასმა: „ვისაც თქვენ უმღერით და დარდობთ, მეც იმის ერთგული და მონა ვარ".

ზაალ ებანოიძე სერიოზულად და უაღრესად პასუხისმგებლობით ეკიდება ჩვენი დღეების მწვავე პრობლემებს. მოქალაქეობრივი ვალის აღსრულებაში მამულიშვილური ვალის აღსრულებასაც გულისხმობს. ამას მაღალზნეობრივი ადამიანი სჭირდება. ხოლო მაღალი ზნეობა სხვა თვისებებთან ერთად მოქალაქეობრივ სიფხიზლესაც მოიცავს. სწორედ, რომ აფხიზლებს და სულიერად აფაქიზებს მკითხველს ზაალ ებანოიძის ლექსები. რა გასაკვირია, რომ ჩვენს სამყაროში, ჩვენს ქალაქში, ჩვენს ქუჩაზე, ჩვენს სახლში გვერდიგვერდ ცხოვრობს სატანა და ანგელოზი. პოეტმა ფხიზელი თვალით შეგვახედა და გვიჩვენა, რომ ზოგჯერ სატანა ანგელოსზე მშვენივრად ცხოვრობს:

დახურა ღამე,
ლედერინში ჩასმული წიგნი,
ჩამოაფარა თაროებს ფარდა,
და დარჩა მაინც
უამრავი წვრილმანი შიგნით,
ამოუხსნელი
ამ ძირმწარე იგავის გარდა.

ამ შემთხვევაში ლირიკული პერსონაჟია შრომით დაღლილი კაცი, რომელმაც ერთხელ თვალგახელილმა ჩათვლიმა, რადგან, ხომ გაგიგიათ, ერთი პირი წყალსაც ეძინება. ჩათვლიმა და ნახა სატანაც და ანგელოზიც.

ამოუხსნელი ძირმწარე იგავი ლოგიკური წერტილია. წერტილის დროულად დასმა, მართლაც, ნიჭიერების დასტურიცაა და ყველა პოეტს ერთნაირად როდი ეხერხება. ზაალ ებანოიძესთან იგი მხოლოდ აზრის ლოგიკურ დასრულებას კი არა, მთლიანი ლექსის ლოგიკურ შეჯამებასაც უდრის. დაკვირვებული თვალი ბევრ ახალსა და საინტერესოს იხილავს, თუ მისი ლექსების სტრუქტურასა და ენობრივ მასალას ჩაულრმავდება. ჩემი აზრით, აქ მაინც უპირველესი და უმთავრესია პოეტის მხატვრული ძიებები და სტილისტურ-გამომსახველობითი ტენდენცია. ეს გზა პოეტური სახეებისა და მეტაფორების მონუმენტურობისაკენ მიემართება, რომლის პირველი სილუეტები ზემოთ განხილულ პოემასა და ლექსებში ვიხილეთ.

მინდა კიდევ ერთი ლექსი მოვიტანო, რომელიც მოქალაქეობრივის და

ინტიმურის ორგანული შერწყმის დასტურია. ესაა „პატარა სიხარულის გამოგონება". ეს ლექსიც ავტორის მეტად ფაქიზი და მგრძნობიარე სულის გამოხატულებაა და კარგ მიგნებად უნდა ჩაითვალოს. ის, ვისაც შეუძლია საკუთარი სიხარული გამოიგონოს, არ შეიძლება ცუდი კაცი იყოს, ვერასოდეს ვერ ჩაიდენს ბოროტებასა და სხვის სიხარულს წარბშეკრული არ შეხვდება:

ვის გაუგია ჰარიჰარად დარდის ატანა,
მარტვილებს ხშირად ალმაცერად
ხედავს დროება,
შენ ის კაცი ხარ, ვინც იგონებს თავად პატარა
სიხარულს, ცრემლის წვეთწვეთობით
შესაგროვებლად.

ამ ლექსმა რატომღაც მაიკოვსკის ცნობილი სტრიქონები („სასიხარულოს ცოტას გვაძლევს პლანეტა ვრცელი, უნდა მოსტაცო სიხარული დღეებს ელვიანს"...) გამახსენა, მიუხედავად იმისა, მათ სულ სხვა აზრობრივი დატვირთვა აქვთ. პოეტი ყოველ ლექსში ერთგულია საკუთარი მანერის, ყოფნის ძალა და ენერგია განერიდოს მშრალ პათეტიკას, ცდილობს და ხშირად ახერხებს სათქმელს საკუთარი მხატვრული სამოსელი მოუძებნოს. თავისი მოქალაქეობრივი ვალი მშვენივრად გამოიხატა ერთ პატარა ლექსში, რომელიც ავტორის სტილისა და მანერის საილუსტრაციოდაც გამოდგება:

მოგინატრებ და გავაღებ სარკმელს
ამ წარსულსა და აწმყოს შორის
გავხსნი დარაბებს...
და ვიტყვი ქვეყნის გასაგონად,
რაც შენი მმართებს,
როგორც მეგობარს,
როგორც პოეტს და მოქალაქეს:
ბალახს ვთიბავდი ნამგალა მთვარით —
ის სათიბები
სიზმრებიდან შერჩა გონებას:
ცრემლი კი არა, ასხურა ნაში—
მკათათვის ხვატით გამოგვალულ
ჩემს შთაგონებას.

ამ სტრიქონების ავტორი პოეზიაში გადავარდნილი კაცია, რომლისთვისაც, გარდა ლექსისა, არ არსებობს სხვა შთაგონება. უნდა ვირწმუნოთ პოეზიისათვის მისი თავგანწირვაც და მუდმივი ერთგულებაც.

მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ყოველი ქართველი პოეტია, მაგრამ ზაალ ებანოიძე რომ ორჯერ პოეტია, ამ აზრის საუკეთესო გაგებით, ჩემთვის დღესავით ნათელია. იგი ქუთაისში უახლოესი ქართული პოეზიის ემბლემაა. ცისფერყანწელების შემდეგ საქართველოს სავარდო და სამაისო დედაქალაქს მსგავსი პოეტური ფერისცვალება აღარ განუცდია. მისი სახისმეტყველება ისეთ შრეებს მოიცავს, რასაც მხოლოდ და მხოლოდ თვითნაბადი ტალანტი შობს. პოეტმა თავისი წილი დრო ნაკვერჩხალივით ცხელ მეტაფორებში მოიმწყვდია და ისეთი ასპარეზი მისცა, წვიმა და თოვლი ვეღარ გააგრილებს. „ძლიერთა ამა ქვეყნისანის" მიმართ ზურგშექცევით დგას და სულის მღვიმეში საყდრის ბერივით შეყუდრებული ცხოვრობს. ჩემი ანგარიშით, იგი XXI საუკუნის კვირაძალზე, ცოცხალ პარნასელთა პირველ ათეულში მოიაზრება. ძნელი სათქმელია, პირველი ექვსეულის შემდეგ რიგით მერამდენეა ამ სიაში?! უთუოდ სიმბოლურია ისიც, რომ იგი დედმამისშვილთა პირველ ათეულში ვერ მოხვდა, რადგან მშობლების მეთერთმეტე შვილია. თუ არ ვცდები, ირაკლი აბაშიძეც ოჯახის მეთერთმეტე შვილი იყო, ხოლო ზაქარია ფალიაშვილი — მეცამეტე. დაილოცოს უფლის განგება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირა ედილაშვილი

გაბრიელ ეპისკოპოსი მართლმადიდებელი ქრისტიანობისა და ეკლესიის ეროვნული მნიშვნელობის შესახებ

XIX საუკუნეში ძნელია მოიძებნოს პიროვნება, რომელსაც ამდენი ეღვაწოს მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღორძინების, განმტკიცებისა და მისი ქართველი ხალხის ერთადერთ იდეოლოგიად გადაქცევისათვის. ეს პიროვნება იყო ათეული წლების განმავლობაში იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი – ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე (1825-1896). მთელი თავისი ცხოვრება და საეკლესიო მოღვაწეობა მან სწორედ ამ საქმეს მიუძღვნა. როცა ვადევნებთ თვალს მისი ცხოვრების გზას, გვაოცებს და გვაკვირვებს ის ფაქტი, რომ იმ უგზოობის დროს, შორი მანძილებისა თუ სხვა დაბრკოლებების მიუხედავად, დასავლეთ საქართველოში თითქმის არ დარჩენილა სოფელი, სადაც გაბრიელ ეპისკოპოსი არ იყოს ნამყოფი ეკლესიის კურთხევაზე, სკოლის გახსნასა თუ საეკლესიო დღესასწაულების აღნიშვნაზე. სადაც კი ფეხს შეაბიჯებდა ნეტარხსენებული მოძღვარი, ყოველთვის მას მრევლისათვის მიჰქონდა ნუგეში, იმედი და მათ გულებში ნერგავდა სიყვარულსა და სასოებას.

მართებულად არის აღნიშნული, რომ „არ დარჩენილა დასავლეთ საქართველოში რომელიმე სოფელი, ყველაზე მიუვალიც კი, რომელსაც გერასიმე ქიქოძე არ სტუმრებოდა ეპისკოპოსად ყოფნის პერიოდში და იქ ლოცვა-კურთხევა არ აღევლინა. ეს იყო არა მარტო ქრისტიანული რწმენის განმამტკიცებელი მოგზაურობა, არამედ განმანათლებლურიც. გაბრიელ ეპისკოპოსის სტუმრობა, როგორც წესი, დიდ დღესასწაულად, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად იქცეოდა ხოლმე ადგილობრივი მოსახლეობისათვის. იმ პირობებში ეს მოგზაურობა ძალზე ძნელი საქმე იყო. მომქანცავი და სახიფათო. მაგრამ ეპისკოპოსი არ ერიდებოდა არავითარ სირთულეს. სადაც ეტლითა და ცხენით ვერ მოხერხდებოდა მისვლა, იქ ფეხით მიდიოდა და ადგილზე ლოცავდა, მოძღვრავდა და არიგებდა სამწყსოს. მისი ქადაგების დიდი ნაწილი სწორედ ამ მოგზაურობის დროსაა წარმოთქმული“ (იხ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, „გაბრიელ ეპისკოპოსი“, თბ. 1990 წ. გვ. 95).

გაბრიელ ეპისკოპოსი ცდილობდა ქართველებში გაეღვიძებინა ოდინდელი სიყვარული ქრისტიანული სარწმუნოებისადმი. ამ თვალსაზრისით, იგი თავის ქადაგებებსა და გამოსვლებში ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა ქრისტიანობის ორგვარ მნიშვნელობაზე. იგი თვლიდა, რომ ქრისტიანობას, პირველ რიგში, აქვს ის ფუნქცია, რომ იგი ადამიანის სულიერი ხსნისა და ამაღლების საშუალებაა. ამავე დროს, იგი ყოველთვის მიანიშნებს იმაზე, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებას ქართველი ხალხისათვის უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ქრისტიანული სარწმუნოებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ ქართველი ხალხი გადაურჩა საერთო განადგურებასა და გადაგვარებას. გაბრიელ ეპისკოპოსი ერთ-ერთ ქადაგებაში აღნიშნავდა, რომ „უკეთუ წინაპართა ჩვენთა მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა შორის არ შეენახათ მართლმადიდებელი სჯული, ახლა აღარ იქნებოდა ქვეყანაზედ არცა სახელი ჩვენი, არცა ენა“ (იხილეთ „ქადაგებანი“, ტ. I, გვ. 366).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაბრიელ ეპისკოპოსი საკუთარი სამწყსოსაგან მკაცრად მოითხოვდა შეენარჩუნებინათ ქრისტიანული სარწმუნოების ყველა ატრიბუტის დაცვა. იგი ძალზე შეწუხებული იყო იმით, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ეკლესიის მიმართ ფეხს იკიდებდა გულგრილობა და ურწმუნოება. გაბრიელ ეპისკოპოსი განსაკუთრებით განიცდიდა ახალგაზრდობაზე ამ მავნე იდეოლოგიის ზეგავლე-

ნას, რომ ურწმუნოება დიდ უბედურებას მოუტანდა სამშობლო ქვეყანას. ასევე, ინტუიციით გრძნობდა, თუ ქართველ ახალგაზრდებში განმტკიცდებოდა ნიჰილიზმი და ურწმუნოება, მაშინ საქართველო აუცილებლად დაიღუპებოდა. ამიტომ გაბრიელ ეპისკოპოსი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქართველი ახალგაზრდობა ამ ამაზრზენი ფაქტისაგან აეშორებინა. როცა კი ამის საშუალებას ჰპოულობდა, იგი ყოველთვის ხვდებოდა საკუთარი ეპარქიის სასწავლებლების ახალგაზრდებს, ზრუნავდა მათი გაკეთილშობილებისათვის, რომ მათ ცნობიერებაში ერისა და სარწმუნოების ცნება გაერთიანებულიყო.

როგორც უკვე აღინიშნა, თავის ქადაგებებში გაბრიელ ეპისკოპოსი ქრისტიანულ სარწმუნოებას თვლის იმ ერთადერთ ფაქტორად, რომელმაც ერთი მუჭა საქართველო გადაარჩინა. თავის ერთ-ერთ ქადაგებაში იგი აღნიშნავს: „დაეცნენ განქარდნენ უმძლავრესნი მეფობანი და ერნი, რამ დაიცვა ქართველები, როგორ მოხდა, რომ ჩვენი ერი არ მოისპო, არ განქარდა და ჩვენი სახსენებელი დარჩა ქვეყანასა ზედა? მიზეზი ამისა არის ის, რომ ჩვენი ერი ყოველთვის იყო ერთგული სიმართლისა სჯულისა და ღმერთიც იფარვიდა, მას მეოხებითა და ვედრებითა დედისა მისისათა, რომელსაც წილად ერგო ივერია და ერი ივერიისა. ეს მცირე, ერთი მუჭა ერი გადარჩა, აღორძინდა, განათლდა, ხოლო ურიცხვი მათგანი მტერნი განქარდნენ" (იხ. „ქადაგებანი", ტ. III, გვ. 137).

გაბრიელ ეპისკოპოსი გულმოდგინებით ახერხებდა პატრიოტიზმისა და სარწმუნოების ცნების ერთმანეთთან დაკავშირებას. მისი მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდობის ცნობიერებაში ჩაენერგა იდეა იმისა, რომ ქართველობა და ქრისტიანობა, ერთი და იგივეა. ამ მხრივ, ძალზე საინტერესოა გაბრიელ ეპისკოპოსის წარმოთქმული სიტყვა 1876 წელს ქუთაისის საკათედრო ტაძარში, სადაც მოეწყო შეხვედრა სასულიერო და საერო სასწავლებლების მოსწავლეებთან. ქადაგებაში მან ყურადღება გაამახვილა ქრისტიანობის არამარტო სულიერ მნიშვნელობასა და ღირებულებაზე, არამედ ქრისტიანული სარწმუნოების კულტურულ-ხანგანმანათლებლო მნიშვნელობაზე, რომ ქართული ეკლესია იყო ერთადერთი ძალა, რომელმაც შეინარჩუნა ქართველ ხალხს კულტურული მემკვიდრეობა. ქრისტიანობა იყო ის ძალა, რომელმაც სულიერად გაამდიდრა ქართველი ხალხი „სარწმუნოებათა თვისთა განმხნევებელთა მათ, არა თუ დაიცვეს თავისი ქვეყანა და ეკლესიები უცხოთა მტერთაგან, არამედ გააჩინეს მწიგნობრობა და მწერლობა, გადმოსთარგმნეს საღმრთო წერილი დაწერილი წმინდა მამათა, დააწესეს საკუთარ ენაზედ წირვა-ლოცვა და მწერლობა" (იხ. „ქადაგებანი", ტ. III, გვ. 35).

გაბრიელ ეპისკოპოსი ამავე ქადაგებაში ხაზს უსვამს ერთ მომენტს, რომ ის ხალხები, რომლებიც თავის დროზედ განუდგნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, ამჟამად ჩამორჩენილი და დაბეჩავებულნი არიან. „ახლა ის გაიხსენეთ და იფიქრეთ, რა მოუვიდა და დაემართა სხვა მრავალთა კავკასიის ერთა და ტომთა, ლეკთა, ჩერქეზთა, აფხაზთა და სხვას?.. იგინი ყოველნი, რადგანაც არა შეიწყნარეს ქრისტიანობა, დარჩნენ ველურს, დაცემულ მდგომარეობაში. არა თუ განათლება ვითარიმე არ გაჩნდა მათ შორის, არამედ სახელებიცა მათი ძლივს იხსენიება" (იხ. „ქადაგებანი", ტ. II. გვ. 357).

გაბრიელ ეპისკოპოსის აზრით, ქრისტიანობა არის ის უმთავრესი ძარღვი, რომელსაც ეფუძნება ქართველთა გულისთქმა, მისი მომავალი, ამიტომ იყო, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას ცდილობდა აფხაზებსა და ოსებში, დაენერგა ქართული ორიენტაცია, სულიერად დაეკავშირებინა ისინი საქართველოსთან. ამ მიზნით იგი არაერთხელ სწვევია აფხაზებსა და ოსებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თავისი ღვთისმოსაობით, მტკიცე რწმენითა და ღვთისშეწევნით მან 18000-ზე მეტი აფხაზი მონათლა ქრისტიანული წესით, უფრო სწორად, აღუდგინა წინაპართა სარწმუნოება, რომელიც გარე უბედურებათა გამო თითქმის წაშლილი იყო. გერასიმე ქიქოძის ქადაგებაში საკმაო ადგილი უკავია აფხაზთა და ოსთა ეკლესიებში წარმოთქმულ სიტყვებს. მისი ქადაგებები, ძირითადად, მისიონერული ხასიათისა იყო. იგი განუმარტავდა ახალმოქცეულებს ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად წესებს, ასწავლიდა ლოცვებს,

უხსნიდა სახარებასა და ფსალმუნებს, რაც მთავარია, ყველაფერი ხორციელდებოდა ქართულ ენაზე.

ამრიგად, ქრისტიანობა აფხაზებსა და ოსებში მისი დიდი რუდუნებით ქართულ ენაზე ინერგებოდა, თანდათანობით ღორძინდებოდა ის სულიერი სიმი, რომელიც ამ ხალხებს უძველესი დროიდან ქართველ ხალხთან აკავშირებდა.

გაბრიელ ეპისკოპოსს უფრო დიდი საქმის გაკეთება და მიღწევა შეეძლო, მაგრამ მას ამაში ხელს უშლიდა რუსული ხელისუფლება, ვინაიდან მათთვის სრულიად მიუღებელი იყო კავკასიის ხალხების, მითუმეტეს ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხების ისტორიული ერთობის აღდგენა. ეს რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკურ გეგმაში არ შედიოდა. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთის ეპარქია გაბრიელს ადრევე ჩამოაცილეს.

გაბრიელ ეპისკოპოსი ერთ-ერთ თავის ქადაგებაში კუდაროს ხეობაში ახლად მონათლულ ოსებს ასე მიმართავდა: „ვინაიდან თქვენ ახლადმოინათლენით, გაქრისტიანდით, მაშ, ეცადეთ, რომ შეიტყოთ, თუ რაი არს ქრისტიანობა, როგორი უნდა იყოს ქრისტიანე? ცხოვრებითა თვისითა; (იხ. „ქადაგებანი", ტ. I, გვ. 491). გაბრიელ ეპისკოპოსი ყოველ წუთსა და ყოველ შესაძლო შემთხვევაში შთააგონებდა აფხაზებსა და ოსებს, რომ მათი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ, რომ მათ საქართველოს დაცემის შემდგომ დაკარგეს თავიანთი სარწმუნოება, ამასთანავე იგი ძალზე ფაქიზად ეპყრობოდა აფხაზთა და ოსთა ეროვნულ გრძნობებს. ის კი არა, სპეციალური ბრძანებით ოსებს ოსი მღვდლებიც კი დაუნიშნა, რათა ხალხისათვის ოსურ ენაზე განემარტათ საეკლესიო საკითხავები და სახარების ძირითადი საკითხები.

გაბრიელ ეპისკოპოსი სამშობლოს საქმესა და სარწმუნოების საქმეს ერთმანეთისაგან არ ჰყოფდა. ყოველ ეროვნულ და სამადლო საქმეს იგი ქრისტიანული სარწმუნოების სახელით აკეთებდა. მისი პირადი თუ საეკლესიო თანხებით გაიხსნა ასზე მეტი სამრევლო სკოლა, აშენდა ხიდები, ახლად აგებული იქნა ან გარემონტდა ძველი ტაძრები, გაკეთდა გზები მიუვალ სოფლებში. ამიტომ იყო, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს ეკლესიური მოღვაწეობა ვერ წარმოედგინა საქვეყნო მოღვაწეობის გარეშე. მისი საქველმოქმედო საქმიანობამ კი განუზომლად გაზარდა მისი ავტორიტეტი. ამასთან ერთად ხალხში დაიმკვიდრა ადგილი ძლიერმა რწმენამ, მათ გულებში აენთო სასოებისა და იმედის სანთელი. ქრისტიანებმა იგრძნეს ძალა ჭეშმარიტი ეკლესიისა და ქრისტიანობისა. მათ გაბრიელ ეპისკოპოსის სახით თვალნათლივ იხილეს, თუ რას ნიშნავდა ჭეშმარიტი ქრისტიანობა და რას ნიშნავდა ნამდვილი ქრისტიანი მოძღვარი.

ამასთან, გაბრიელ ეპისკოპოსი რწმენას მეცნიერული პოზიციებიდან უდგებოდა, რაც მის თვალსაზრისს უფრო დამაჯერებელს ხდიდა. ამ მომენტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე — „მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი — საერო, თუ სამღვდელო, — რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობისყოფით, მომეტებულის დაძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება" (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1984 წ.).

შეიძლება ითქვას, რომ თავისი მოღვაწეობით გაბრიელ ეპისკოპოსმა აღუდგინა ქრისტიანულ ეკლესიას ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც მას საქართველოს წარსულ ცხოვრებაში ჰქონდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ბარბაქაძე

ქართული ვერლიბრის პირველი მკვლევარნი

ქართველი სიმბოლისტების მიერ ტრადიციულ ფორმებთან დაპირისპირება XX საუკუნის 10-20-იან წლებში ვერლიბრის – ანუ თავისუფალი ლექსის – კონვენციური ლექსისაგან მკვეთრად განსხვავებული ფორმის – დამკვიდრებითაც გამოიხატა.

1922 წელს ცნობილი ქართველი პოეტი შალვა აფხაიძე აქვეყნებს წერილს „თავისუფალი ლექსი", სადაც იგი ვრცლად საუბრობს ვერლიბრის რაობასა და თავისებურებაზე.

ქართული ლექსმცოდნეობის ისტორიაში ეს არის პირველი წერილი, რომელშიც საგანგებოდაა განხილული ვერლიბრის პრობლემა. მართალია, ს. ცირეკიძეს უფრო ადრე (1920 წ.) აქვს წერილი გამოქვეყნებული, სადაც ვერლიბრზეც საუბრობს, მაგრამ ვერლიბრის თეორიული დამუშავების მხრივ ქართულ ლექსმცოდნეობაში პრიორიტეტი შალვა აფხაიძეს ეკუთვნის.

შ. აფხაიძე ასახელებს თავისუფალი ლექსის დამამკვიდრებლებს ევროპულ პოეზიაში და მიუთითებს, რომ საფრანგეთში ვერლიბრი იყო რეაქცია ალექსანდრიული ლექსის წინააღმდეგ. შემდეგ შალვა აფხაიძეს მოჰყავს გუსტავ კანისეული განსაზღვრა თავისუფალი ლექსის სტრიქონისა: „იგი არის უმცირესი ნაწყვეტი, რომელიც გამოხატავს აზრიან და ხმოვან პაუზას" ('შ. აფხაიძე, თავისუფალი ლექსი, გაზ. „ბარიკადი", 1992, №6, გვ. 2).

შალვა აფხაიძე გამოჰყოფს თავისუფალი ლექსის ოთხ ძირითად ნიშანს:

„1) სტრიქონების გადატანა ამგვარ ლექსში გაუმართლებელი ტექნიკური ხერხია;

2) თავისუფალ ლექსს ახასიათებს მუხლის თავისუფალი რაოდენობა და მისი დენის უთანასწორო ცემა;

3) თავისუფალ ლექსში შეჭრილია რიტმი, რომელიც არღვევს მეტრს, ამგვარი ლექსი მდიდარია რიტმული მოდულაციის ნაირობით. რიტმი ძლიერია მეტად;

4) თავისუფალი დალაგება ნაირმუხლოვანი სტრიქონებისა. აქ დირიჟორია არა ზომა, არამედ რიტმი".

როგორც ჩანს, ვერლიბრის სპეციფიკური ნიშნების ჩამოყალიბებისას ავტორი ემყარება რიტმის განსაკუთრებულ როლს ამგვარ ლექსში და მიუთითებს რიტმისა და მეტრის კონფლიქტურ ურთიერთობაზე, როდესაც უპირატესობა რიტმს ენიჭება.

შ. აფხაიძის აზრით, „თავისუფალი ლექსი მომარჯვებულია მხოლოდ ნელ შთაბეჭდილებათა დასადაღად. ხშირი ტეხილები და რიტმული ვარიაციები იარაღია ამისათვის". სამაგალითოდ მოჰყავს სტრიქონები პაოლო იაშვილის ვერლიბრიდან „წერილი დედას":

„ქალაქში დაკარგულ შვილისათვის
ღამე გაათიე,
ღმერთო! აპატიე,
მე თუ ვერ მიშველი,
დედას..."

შ. აფხაიძე გვთავაზობს საყურადღებო დაკვირვებას: „მთავარი სიტყვები დაქტილურია. თავისუფალ ლექსში მოცემულია რიტმი მთავარი სიტყვებისა". ე. ი. თავისუფალი ლექსის რიტმიც დაქტილურია. ამგვარი დაკვირვება ეროვნული ვერსიფიკაციის ბუნების სწორ ახსნა ემყარება (ქართული ლექსის დაქტილურ ბუნებაზე ს. გორგაძეც მიუთითებდა). მართლაც, „დაქტილი ძირითადი ტერფია ჩვენი ლექსწყობისა" (აკ. გაწერელია).

ავტორი ერთმანეთისგან მიჯნავს „სწორ", ტრადიციულ, კონვენციურ ლექსში გამოყენებულ ზომას, რომელიც განსაზღვრული რიგით მეორდება, ე. წ. „რიტმულ მუდმივს", – მუდამ თანასწორსა და თავისუფალ ლექსში არსებულ ადგილმონაცვლე „რიტმულ მუდმივს", – რომლითაც შესაძლებელია „დაიწყოს სტრიქონი და შემდეგ ბოლოში გადავიდეს".

შ. აფხაიძე მიუთითებს პაუზის როლზე თავისუფალ ლექსში და ექსპრესიულ სიტყვათა განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. სამაგალითოდ მოჰყავს ტ. ტაბიძის ცნობილი ლექსის „ცხენი ანგელოსით" სტრიქონები:

„თეთრი მტრედებით,
თეთრ ღრუბლებში
თეთრი გიორგი
ცხენი ანგელოსით
... ესხატალოგია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც, ავტორის აზრით, სიტყვა „თეთრი“ განსაკუთრებული ექსპრესიულობით არის დატვირთული „... მეზობელ სიტყვებს ღებავს ადამიანის ბედისწერის იდუმალი ფერებით“ და ლექსის რიტმსაც ერთგვარად განსაზღვრავს მისი მრავალგზის გამეორება. შ. აფხაიძე აღნიშნავს, აგრეთვე, რომ ურითმობას ქართულ ველრიბრში ანაზღაურებს მდიდარი ასონანსები და ალიტერაცია.

წერილში ნათქვამია: „სმენა დაიღალა ქართული ლექსის ერთი ზომით. იგი ველარ ეგუება ერთფეროვან დენას. თავისუფალი ლექსი სავსეა მოულოდნელობით და ზიგზაგებით, უკანასკნელი უეცარი რიტმის სურნელებით. შესაძლებელია ამიტომ პოზიციები მას შერჩეს... ტონურ-სილაბური ზომის ქართული ლექსი ტეხილის გზაზეა. თავისუფალი ლექსი გამოსულია საპაექროდ... პროზა პოეზიის ჩარჩოებში შედის. ამის ცდაა ს. ცირეკიძის „სონეტი პროზით“. შ. აფხაიძეს მიაჩნია, რომ პოეზიისა და პროზის შერწყმის საუკეთესო საშუალება სწორედ თავისუფალი ლექსია.

წერილის დასასრულ ავტორი ასახელებს ვერლიბრის იმდროინდელ ცნობილ მკვლევარებს: ჟორჟ დიუამელს, შარლ ვილდრაკს, ანდრეი ბელის და ს. ბობროვს, რომელთა გამოკვლევებითაც უსარგებლია თავისი წერილის დაწერის დროს.

შ. აფხაიძის წერილი „თავისუფალი ლექსი“ ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიაში კუთვნილ ადგილს იჭერს პრობლემის სწორი დასმითა და საინტერესო დაკვირვებებით. ავტორი მართებულად ფიქრობს, რომ ქართულ პოეზიაში ვერლიბრის შემოტანა სიახლისაკენ, უცხო ფორმებისაკენ სწრაფვით იყო გაპირობებული, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მკვლევარს, როდესაც წერს, რომ ვერლიბრი პოეზიისა და პროზის შეხვედრის წერტილია. თავისუფალი ლექსი, მიუხედავად ურითმობისა და საზომის დარღვევისა, მაინც მკვეთრად არის განსხვავებული, თუნდაც რიტმული პროზისაგან: „თავისუფალ ლექსში „რიტმული უწესრიგობა“ კანონზომიერებისადმი მიდრეკილების სახით ვლინდება; პროზაში კი — იშვიათი „მეტრულ-რიტმული წესრიგი“ სიუჟეტის ზეგავლენით იშლება და ფუნქციურად ზედმეტი ხდება“ (აკ. გაწერელია).

თავისუფალი ლექსის პრობლემას ეხება თავის წერილში პოეტი გრ. ცეცხლაძეც.

„დღეს წერის ტეხნიკა ისეა განვითარებული, რომ ლექსის დაწერა მეტად გაადვილებულია. ყველამ ადვილად გაიგო როგორ იწერება სონეტი, ტრიოლეტი, სექსტინა, რონდელი და სხვა. და ხშირად ძნელია გამოცნობა ფალსიფიკაციისა“. ავტორი, რომელიც ხსნის თავისუფალ ლექსის წარმოშობის მიზეზებს და მიაჩნია, რომ იგი განაპირობა „სონეტში, ტრიოლეტში, და საზოგადოდ, ცნობილ ფორმებში ჩამწყვდეული ლექსის განთავისუფლების სურვილმა“ (გრ. ცეცხლაძე).

გრ. ცეცხლაძის წერილში საყურადღებო დაკვირვებებია გამოთქმული: სწორად არის შენიშნული, რომ ვერლიბრში „... ყოველი სიტყვა მოჩანს, ყოველი სახე ცოცხლობს (გრ. ცეცხლაძე წერილში ახსენებს იმაჟინაციას, როგორც პოეტურ ხერხს ვერლიბრში. იმაჟინისტები, მართლაც, როგორც ცნობილია, პოეტური ხატის გასაგნებას ესწრაფოდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ლექსის მოთავსება მეტრულ ფარგლებში შეუძლებელია და იგი თავისუფალი უნდა იყოს). საყურადღებოა ავტორის შენიშვნაც: ვერლიბრისტებისთვის დამახასიათებელია „საკუთარ სიტყვათა ლექსიკონი და სინტაქსი“. მართლაც, თანამედროვე ლექსმცოდნეობაში გამოთქმულია აზრი, რომ ვერლიბრის მთავარი ნიშანია მისი სინტაქსური მონესრიგებულობა და, რომ „ბგერით ერთეულების კანონზომიერი თანმიმდევრობა აქ ხშირად შეცვლილია სინტაქსურ ერთეულთა („პოეტურ წინადადებათა“) კანონზომიერი განმეორებით“ (აკ. გაწერელია).

თავისუფალი ლექსის პრობლემას, როგორც ვთქვით, არაერთგზის შეეხო თავის წერილებში სანდრო ცირეკიძეც.

წერილში „ორსახიანი იანუსი“ („ჟურნ. „შვილდოსანი“) ავტორი შინაარსობრივად მიჯნავს ერთმანეთისაგან ლექსსა და პროზას: „პირველში იგულისხმება ფსიქოლოგიური მომენტი, მეორეში — სტილისტური “ს. ცირეკიძის აზრით, თანამედროვე პოეზიის თავისებურებაა ფორმისეული ზღვარის წაშლა ლექსსა და პროზას შორის. „... აქ (თანამედროვე პოეზიაში — თ. ბ.) ნახევარტონებია, თანდათანობით გადასვლა ერთი სტილისტური ფორმიდან მეორეზე“.

ავტორი მსჯელობს თავისუფალი ლექსის რიტმის შესახებ და მიაჩნია, რომ იგი ქართულ პოეზიაში პაოლო იაშვილმა შემოიტანა. შემდეგ იგი ყურადღებას ამახვილებს ვერლიბრში მეტრისა და რიტმის ურთიერთობის თავისებურებაზე და აღნიშნავს: „თავისუფალ ლექსში მეტრის მნიშვნელობა მინიმუმამდე დადის და პროზის რიტმს უახლოვდება: თითებზე დათვლილი ლექსის მონოტონური ხმაური აქ იცვლება ნაირ ზომათა ახალი გარმონიით“.

ს. ცირეკიძე თვლის, რომ „ცისფერყანწელთა" არაკანონიკურ სონეტთა შორის „სონეტი ნაპირებგადალახული" არის ერთგვარი ცდა თავისუფალი ლექსისა და პროზის შერწყმისა, სადაც ავტორმა თანამედროვე პოეზიის მოთხოვნებს ლექსის ეს ორთოდოქსული ფორმაც კი დაუმორჩილა – მკაცრად განსაზღვრული 14 მარცვლიანი საზომის ნაცვლად შერეულსაზომიანი სონეტი დაწერა.

ლექსისა და პროზის მთავარ განმასხვავებელ ნიშნად ს. ცირეკიძე რითმას ასახელებს: „პროზას არ ეგუება და ამახინჯებს წმინდა რითმა. მაგრამ რითმა – ალიტერაციათ გაგებული – პროზას თავიდანვე სჩვევია. ბოლოს და ბოლოს: ლექსი უმთავრესად დამყარებულია ხმოვანი ასოების დალაგებაზე, პროზა – თანხმოვნებზე. მაგრამ პროზა თანდათან ითვისებს ხმოვანი ასოების მეთოდს. ლექსის ახალი რაინდებიც თანხმოვნებს მეტი ყურადღებით ეპყრობიან (დისონანსი)."

როგორც ვხედავთ, ს. ცირეკიძე, ქართული ვერლიბრის პირველი თეორეტიკოსის, შ. აფხაიძის მსგავსად, ფიქრობს, რომ თავისუფალი ლექსი ერთგვარი გზაშესაყარია პროზისა და პოეზიისა, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენის ფონეტიკური მხარის დახვეწას, ლექსის კეთილხმოვანების სრულყოფასა და რიტმს ენიჭება.

ამ უკანასკნელს დაწვრილებით განიხილავს ს. ცირეკიძე წერილში „რიტმი პროზაში". ავტორი საუბრობს ალიტერაციის, ასონანსისა და დისონანსის შესახებ თანამედროვე ქართულ ლექსში, – ერთმანეთისაგან მიჯნავს ხმოვნებისა და თანხმოვნების რიტმს და წერს, რომ ხმოვნების რიტმის კულტურა ბოლომდე მივიდა სონეტში, ამიტომაც, განაგრძობს იგი: „სიტყვის ხელოვნება თუ არ უნდა გაიყინოს ამ მაღალ წერტილზე, უნდა მოიძებნოს გამოსავალი" (ს. ცირეკიძე., რიტმი პროზაში, გაზ. „ბახტრიონი", 1922, №21, 3 დეკემბერი, გვ. 2). P. S. ს. ცირეკიძის „რიტმი პროზაში" უცვლელად არის დაბეჭდილი აგრეთვე გაზ. „ბარრიკადში", 1922, №7, გვ. 1.)

ს. ცირეკიძის აზრით, ფრანგმა პოეტებმა ამგვარი ხსნა თავისუფალ ლექსში დაინახეს, მაგრამ ეს არ იყო ახალი გზის ნახვა. „ეს იყო ტონიურ ლექსწყობაში სილაბიური კანონის უარყოფა, პალიატივი. თავისუფალი ლექსი (აქამდე) შენდება ტონურ რიტმზე, მხოლოდ აქ ტაქტების რაოდენობა იცვლება და ერთი ტაქტი არ ჩადის ლექსის ბოლომდი".

საინტერესოა, რას გულისხმობს ს. ცირეკიძე „ტაქტში". ამავე წერილში ვპოულობთ ამ კითხვის პასუხს: „თითოეულ ელემენტარულ ხმას ცალკე აქვს თავისი ინტენსივობა, ტონალობა, სუბლიმინალური ასოციაცია ფერის და ხაზის. გათლილ სიტყვაში ეს ხმები ეწყობიან კრისტალივით და მათი წმინდა ფერები ერთდებიან ახალ გარმონიაში. სიტყვაში ჩნდება ტაქტები: უბრალო მიმდევრობა გრძელი და მოკლე ხმოვნებისა (ძველ ენებში); ყველა ხმების ინტენსივობის... ტაქტების წესიერება, მიმდევრობა, ერთნაირების წყობა არის რიტმიული თქმა, ლექსი". ამ ვრცელი ამონაწერიდან რომ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო განმარტება ამოვიღოთ, ვნახავთ, რომ ტაქტში ავტორი გულისხმობს გრძელი და მოკლე, ან მახვილიანი და უმახვილო მარცვლების თანამიმდევრობას ლექსში. ამდენად, თუ მხოლოდ ტაქტი რჩება ლექსში, ხოლო „სილაბური კანონი" (ანუ მარცვალთა თანაფარდობა) უარიყოფა", – მივიღებთ თავისუფალ ლექსს. ავტორს მიაჩნია, რომ თავისუფალი ლექსი ძირითადად რიტმზეა დამყარებული, რიტმი-კი გრძელი და მოკლე ხმოვნების ან მახვილის არსებობასა და თანამიმდევრობაზე: „ყველაზე მარტივი და ადვილად შესამჩნევი არის მარცვლების (ხმოვნების) სიგრძეზე და სიმაღლეზე აშენებული ტაკტი და რიტმი. კიდევ უფრო მარტივია სილაბიური რიტმი. მარცვლების არითმეტიკის, მეტრიული ლექსთწყობა შესცვალა სილაბიურმა და ტონიურმა. ამ ტრიუმვირატმა ოცდახუთი (ან მეტი) საუკუნე ატარა ლექსის სახელი და დაისაკუთრა".

საინტერესოა ს. ცირეკიძისეული განსაზღვრება ალიტერაციისა: „მეტად მახვილი სმენა უნდა, რომ აითვისოს წყნარი, მგლოვიარე დენა თანხმოვნების. ერთი ინტენსივობის და მგვანი ტონალობის ბგერები ხვდებიან ერთმანეთს მეზობლების ალმართ-დაღმართებში, – აქედანაა ალიტერაცია... ხმოვნების რიტმის ხასიათი თუ კუთხეების, თანხმოვნების რიტმი ოდრიკალებია და სწორ რითმაში ის წრედ მრგვალდება, მაგრამ სწორი რითმის მკაფიობა თანხმოვნების რიტმს არ უხდება და უკვე ძველი ლექსის ოსტატებშიც გაჩნდა სიყვარული ასონანსისა და დისონანსის. სწორი რითმის სისრულე ალიტერაციამ მიიღო ტონიურ და სილაბიურ ლექსში სტუმრობის დროს. იქ ის შეეგუა ხმოვნების რიტმის ხასიათს".

როგორც ავტორის აზრის მდინარება გვიჩვენებს, თავისუფალი ლექსის წარმოშობა არაზუსტი რითმის მომძლავრებამ განაპირობა, რაც, თავის მხრივ, ალიტერაციის – ანუ თანხმოვნების რიტმის უპირატესობით აიხსენება, „სწორი" ანუ ზუსტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითმის შემქმნელ ხმოვანთა რიტმთან შედარებით. ს. ცირეკიძის ეს მოსაზრება საყურადღებოა. თავისუფალ ლექსში რითმის უარყოფა ერთგვარად ლექსის მუსიკალობაზე უარის თქმაც არის, ჩვეულებრივი სასაუბრო ინტონაციისათვის უპირატესობის მინიჭებაა. ამ მხრივ საგულისხმოა ზიგფრიდ გუბაძის (კონსტანტინე გამსახურდიას) ზოგადი ხასიათის შენიშვნა, რომელსაც იგი გამოთქვამს ალ. აბაშელის კრებულის "ანთებული ხეივანი" (წ. I, 1920 წ.) განხილვისას: „ჩვენს პოეზიაშიც იწყება პერიოდი, როცა ლექსები „თვალებით უნდა იკითხო". დღეს ხმამაღლა არავინ კითხულობს არც ლექსს და არც პროზას. ლექსის მუსიკალური ტემბრი კლებულობს, სამაგიეროდ, პოეტი ფერადებით ახდენს ჩვენს თვალებზე ზემოქმედებას; აქედან: პოეზიაში პლასტიური ელემენტი სძლევს მუსიკალურს" (ჟურნ. „ილიონი", 1923, №4, გვ. 93).

როგორც მიუთითებენ, ლიტერატურის, პოეზიის თავისებურებას ისიც განაპირობებს, რომ მისი სრულყოფილი აღქმა მხედველობისა და სმენის ერთობლიობას ემყარება. პირველი მათგანისათვის უპირატესობის მინიჭების აღიარება უკვე ნიშნავდა გარდატეხის, გარკვეული სიახლის შემჩნევას ეროვნული პოეზიის ისტორიაში.

შემთხვევითი არ არის, რა თქმა უნდა, რომ ახალ ფორმათა ექსპერიმენტის დროს სიმბოლისტები თანაბრად აქცევდნენ ყურადღებას როგორც თავისუფალ ლექსს, ასევე სონეტს: პირველში თანხმოვნების (ანუ ჩვეულებრივი, ყოფითი ენის) კულტურა დაიხვეწა, ხოლო სონეტში — ხმოვნების; მის ხმოვანებაზე, ეღერადობაზე გადაიტანეს აქცენტი.

ს. ცირეკიძის წერილებში გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, რიტმის შემქმნელ ფაქტორთა შორის უმთავრესია გრძელი და მოკლე ხმოვნების (ძველ ენებში), ან მახვილიანი და უმახვილო მარცვლების თანამიმდევრობა. რადგან ქართულ ლექსში მახვილი გადაწყვეტ როლს არ ასრულებს სტრიქონის მეტრულ-რიტმულ ორგანიზებაში, ამდენად, ბოლომდე, თავისუფალი ლექსის არსებული სახით დამკვიდრება ს. ცირეკიძეს შეუძლებლად მიაჩნია და თვლის, რომ ქართული ვერლიბრის დასამკვიდრებლად საჭიროა ახალი რიტმის მოძებნა.

ს. ცირეკიძის „რიტმი პროზაში" ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიისათვის ფრიად საყურადღებო წერილია: ავტორს სწორად აქვს შენიშნული ვერლიბრში რიტმის არსებობის მნიშვნელობა, ამასთანავე, ორიგინალურად არის გადაწყვეტილი ლექსში რიტმის შემქმნელი ფაქტორების ახსნა და დახასიათება.

პირველი ქართველი ვერლიბრისტების პოეზიის განხილვისას იმდროინდელი სალიტერატურო კრიტიკა საგანგებო ყურადღებას უთმობდა ლექსის ახალ ფორმას. ქართულ პოეზიაში თავისუფალი ლექსის შემოტანის პრიორიტეტს ერთხმად პაოლო იაშვილს აკუთვნებენ, როგორც მაშინდელი კრიტიკოსები (ს. ცირეკიძე), აგრეთვე თანამედროვენიც (ლ. ავალიანი, ლ. ბრეგაძე, გ. მერკვილაძე და სხვ.). მისი „ევროპა" მიჩნეულია ქართული ვერლიბრის პირველ ნიმუშად. თავისუფალი ლექსის პირველ ნიმუშებად ასახელებენ აგრეთვე გ. ტაბიძის ლექსებს: „სამრეკლო უდაბნოში" (1916 წ.), „ღრუბლები ოქროს ამურებით", „15 საუკუნე" (1916 წ.), „ზღვის ეფემერა" (1922 წ.), „თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი" (1925 წ.) და სხვა.

1924 წელს, პაოლო იაშვილის „პორტრეტის" წერისას ს. ცირეკიძე შენიშნავდა: „პაოლო იაშვილი არაა მოყვარული გაყინული ფორმების; „წითელი ხარის" და „ფარშავანგების" ავტორი ყველაზე უკეთ იმორჩილებს თავისუფალ ლექსს. მისი რიტმი ხან გაჩქარდება ხორეებათ გაწითლებული:

„გაგიჟდება ალით მხარე. ცისკენ მიჰქრის
კვნესით ხარი.
მიწა რქებით მონათხარი ნაკვერცხლებით
სტკივა ჰაერს".

ხან წყნარად მოღელავს ანაპესტებით ღვთის სავედრებლად:

"ღმერთო, აპატიე, მე თუ ვერ მიშველი, დედას" (ს. ცირეკიძე, პორტრეტები, პაოლო იაშვილი, გაზ. „ბარრიკადა", 1924 წ., № 1, 6 იანვარი).

ს. ცირეკიძემ ვერლიბრისტთა შორის პირველობა პაოლო იაშვილს უფრო ადრე, 1920 წელს ჟურნ. „შვილდოსანში" გამოქვეყნებულ წერილში („ორსახიანი იანუსი") მიაკუთვნა, თუმცა გამოითქვა საპირისპირო მოსაზრებაც (ის. მანწკავა, ქართულ პოეზიაზე, ჟურნ. „რიჟრაჟი", 1921 წ., № 1, გვ. 15).

ბ. ჟღენტი თავის წერილში, სადაც განიხილავდა 1924 წლის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ პროზასა და პოეზიას, კ. ნადირაძის ლექსის „1905 წელი" თაობაზე აღნიშნავდა: „იგი დაწერილია თავისუფალი ლექსით. თავისუფალი ლექსი არ უნდა იყოს გაგებული ისე, რომ თითქოს ამ ფორმაში ლექსი იკარგებოდეს სავსებით და აღარ რჩებოდეს პროზისაგან გამმიჯნავი სპეციფიკა. ნადირაძის „1905 წელს" ასევე მართებულად შეიძლება ეწოდოს მინიატურა ან ნოველა" (ბ. ჟღენტი, 1924 წელი ქართულ

ლიტერატურაში, ჟურნ. „მნათობი“, 1925 წ., № 1, გვ. 164).

კ. ნადირაძის თავისუფალ ლექსებში: „ბალადა შოტლანდიელ ცეცხლფარეშზე“ (1928 წ.), „სათქმელი ჩემი“ (1964), „ჩემი საუბარი“ (1974), „თვალთმაქცი სტუმარი“ (1974), „შუადღე“ (1972), „საადი-ჰაფიზ“ (1971), მართალია, ზოგჯერ რითმაც გვხვდება, მაგრამ ეს სრულიად არ ვნებს ვერლიბრის ფორმას. კ. ნადირაძის ზემოთდასახელებულ თავისუფალ ლექსებში რითმა რეგულარული და კანონზომიერი კი არ არის, როგორც კონვენციურ ლექსში, არამედ ფრაგმენტული, აქაიქ გაელვებული.

როგორც ვხედავთ, XX საუკუნის 20-იან წლებში, ამა თუ იმ პოეტის შემოქმედების განხილვისას, თავისუფალ ლექსს საგანგებოდ ეხებიან, იმასაც აღნიშნავენ, თუკი ავტორი საერთოდ არ მიმართავს ამ ფორმას. ს. ცირეკიძე, ვალ. გაფრინდაშვილის შესახებ წერდა: „... იმას დღემდი არ დაუნერია თავისუფალი ლექსი“ (ს. ცირეკიძე, პორტრეტები, ვალ. გაფრინდაშვილი, გაზ. „რუბიკონი“, 1923, № 12, ივლისი, გვ. 2).

ივანე გომართელი იონა ვაკელის პოეზიის შეფასებისას მიუთითებს მის შემოქმედებაზე სიმბოლისტური პოეზიის ზეგავლენის შესახებ. კერძოდ, წერს, რომ თავისუფალი ლექსის არსებობა იონა ვაკელის პოეზიაში „ცისფერყანნელთა“ გავლენის შედეგია და „თავისუფალი მეტრისა“ და „ურითმო პოეზიის“ საუკეთესო ნიმუშად ასახელებს იონა ვაკელის ლექსს „დილის ზეიმი“ (ივ. გომართელი, პროლეტარული პოეზია. იონა ვაკელი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1924, №7, გვ. 2).

კ. ჭიჭინაძე 1915 წელს ლექსში „ლექსთა წყობა“ აღნიშნავდა:

„მე მომაბეზრა თავი ლექსმა ჩვენში ქებულმა,
ოთხ-ოთხ სტრიქონად აკინძულმა,
დალაგებულმა, —
სულს მიხუთავენ კანონები, მძულს სიმეტრია,
მიყვარს ლექსთწყობა აბნეული, ქაოტიური...“

კ. ჭიჭინაძე ამ სურვილის განხორციელებას ქართული პოეზიისათვის ახალ, უცხოურ ფორმებში ცდილობდა. თავდაპირველად პოეტი სონეტის კლასიკურმა, მკაცრმა ფორმამ გაიტაცა, ხოლო შემდეგ მეორე უკიდურესობამ — თავისუფალმა ლექსმა. რის შესახებ თვითონაც შენიშნავდა:

„მე თვითონ დატყვევებული ვიყავი მაშინ
სონეტის, როგორც მეგონა, უკვდავი ფორმით.
ეხლა სხვა დროა. გრიგალები. ქარიშხალი, შტორმი.
და ცეცხლის ხაზი.
— — — — — — — — — — — — — —
რა ვქნა, მეც... მეც კი მიტყდება ლექსი,
თითქოს ჩემი გული აიგო ოტპირად
ალესილ დანაზე.
თურმე ყველაფერი წარმავალი ყოფილა
ამ ქვეყანაზე,
თურმე ჩვენ ხანდახან აქლემებად გვეჩვენება
ნემსი.
თოთხმეტ მარცვლოვანი ლექსიც კი,
ხანჯალივით ნაფერი,
გარდაუალი როდი ყოფილა თურმე.
წლებს — ამ ისტორიის გაბაწრულ ურმებს —
დავიწყების უფსკრულისაკენ მიაქვს ყველაფერი!“
(1925 წ.).

კ. ჭიჭინაძის ლექსები: „ოდა რუსთველისადმი“, „გმირი“, „საღამო ზღვაზე“, პოემა „რიონის აპოლოგია“ სრულყოფილი ვერლიბრის ნიმუშებად ვერ ჩაითვლება, მაგრამ მათში ნაწილობრივ უარყოფილია რითმა და საზომი. კ. ჭიჭინაძის ლექსწყობის თავისებურების შესახებ გრ. კალანდარიშვილი აღნიშნავდა: „კონსტანტინე ჭიჭინაძე არის პოეტი მხედველობის და არა სმენის. მას არა აქვს ხმა და ფონეტიკა... მისი ლექსები უფრო მეტად დალაგებულია შინაგანი რითმიულობით და სათანადო რიტმით. ამიტომ აქ ძლეულია რითმის დაყრუვება“ (გრ. კალანდარიშვილი, ლიტერატურული სილუეტები, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ჟურნ. „მნათობი“, 1925, № 1, გვ. 173).

ქართული ვერლიბრის ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსი, პოეტი გრიგოლ ცეცხლაძე თვითონაც წერდა თავისუფალ ლექსებს. მის კრებულებში თეთრი ლექსების გვერდით ("Tte a tte", „მიხაკი“, „ქვიშხეთიდან წამოსვლა დილით“, „სამი ფინჯანი“), გვხვდება ვერლიბრის ნიმუშებიც: „დღეს, როცა წინ დგანან მასები“ (გრ. ცეცხლაძე, „საკუთარი ხმა“, ფედერაცია, თბ., 1935, გვ. 20) სამნაწილიანი თავისუფალი ლექსია, დაწერილია 1928 წელს. თავის პირველ კრებულში „პოეტის ყეფა“ (თბ., 1924) გრ. ცეცხლაძე წერდა:

„საერთო სიგიჟემ მე დამადინჯა.
დავსევდიანდი.
ჩემი ლექსები ლურჯი ნარინჯია,
რითმები — ნაგვიანევი ფრანტი
მე ვარ მეოცე საუკუნის
შვილი მტკივნეული,
სული მაქვს დატეხილი...“
(1920 წ.), —

ეს სიტყვები დასტურია პოეტის თეორიული შეხედულებებისა და შემოქმედების ერთიანობისა. გრ. ცეცხლაძის თავისუფალი ლექსები („დიხაშხო“, „გაჭენებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონუმენტი" – 1917 წლის თებერვლის დღეები, „ოქტომბერი" – ფრაგმენტი და სხვ.) ახალი ფორმის ძიების ნიშნითაა აღბეჭდილი.

იმდროინდელი კრიტიკოსები, გრ. ცეცხლაძის პოეზიაზე საუბრისას, მიუთითებდნენ: „... მაძიებელი პოეტია. ის ეძებს მარტო პოეტის სახელს კი არა, ახალ გზებსაც. მიაღწევს თავის მიზანს პოეტი და გამარჯვებული გამოვა?

მომავალი დაგვანახვებს.

ძლიერი გაქანება, გამბედაობა ეტყობა პოეტს ლექსის მეტრსა და რიტმში. აქ ცეცხლაძე იძლევა საზღვრების სრულ გადალახვას"[1]. სანიმუშოდ რეცენზენტს მოაქვს სტრიქონები გრ. ცეცხლაძის ლექსიდან „კვირა დღე თბილისში" (1923 წ.) (ივ. გომართელი, პოეზიის ახალ გზებზე, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1924, №2, გვ. 3-4):

„ატმოსფერა
იყო
ატმის ფერი
პეპელა
გაეკიდა
პროპელერს
მე ვიდექ როგორც აპოლონი
პელო
ჰგავდა გამოფენას..."

დისონანსებით დაწერილ ამ ლექსს ივ. გომართელი ფორმალისტურ ვარჯიშად მიიჩნევს. ამგვარადვეა მიჩნეული გრ. ცეცხლაძის ლექსი „ქანდაკება მსუბუქი ტანის".

ქართულ პოეზიაში ვერლიბრი XX საუკუნის 10-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩნდება. პ. იაშვილის, კ. ნადირძაის, გრ. ცეცხლაძის, კ. ჭიჭინაძის, განსაკუთრებით გალაკტიონის შემოქმედებაში ვერლიბრი, უახლესი ევროპული პოეზიის სალექსო ფორმა, სრულყოფილი და დახვეწილი სახით გვევლინება.

ქართული ვერლიბრის პირველი მკვლევარები, არსებითად, სწორ პოზიციას ირჩევენ ეროვნული თავისუფალი ლექსის თავისებურებათა ჩვენების დროს: მიუთითებენ რიტმის შემქმნელ მინიმალურ ფაქტორზე და მიაჩნიათ, რომ ქართული ვერლიბრისათვის საჭიროა ახალი რიტმის ძიება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ნაკლებად მსჯელობენ კონკრეტული მაგალითების მოშველიებით ქართველ პოეტთა შემოქმედებიდან, გალაკტიონის ვერლიბრს კი თითქმის არც ეხებიან.

ქართული ვერლიბრის პირველ მკვლევართა (შ. აფხაიძე, გრ. ცეცხლაძე, ს. ცირეკიძე) შეხედულებანი დღესდღეობით ისტორიული თვალსაზრისით მეტად ფასეულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანზორ დარცმელიძე

„ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების შესახებ

„ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოება ანუ, როგორც ამბობენ, ინდო-ხატაელთა ამბავი მოიცავს პოემის ბოლო სამ თავს: „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა“, „ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთა დამორჩილება“ და „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“.

ეს „ამბავი“ ნაყალბევია თუ პოემის ორგანული ნაწილი?

ამ კითხვაზე ჯერ არ არის საბოლოო პასუხი.

ინდო-ხატაელთა ამბის შესახებ თავიდანვე სამი თვალსაზრისი ჩამოყალიბდა: მკვლევართა ერთი ნაწილი უნდობლად ეკიდება ამ ამბავს და ნაყალბევად მიიჩნევს (ვახტანგ VI, კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი...), მეორეკი — პოემის ორგანულ ნაწილად თვლის (კ. ჭიჭინაძე, შ. ონიანი, მ. თავდიშვილი...), მესამე საშუალო პოზიციას იკავებს და რესტავრირებულ (აღდგენილ) ტექსტად მიიჩნევს მას (ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ს. ცაიშვილი...).

თუ პოემიდან ინდო-ხატაელთა ამბავს ამოვიღებთ, ჩნდება ყოვლად გაუმართლებელი ხარვეზი. არადა, მისი მთლიანად დატოვებაც არ შეიძლება: ძალზე ბევრი ლაფსუსი და წინააღმდეგობაა ამ ტექსტში. არც რესტავრირებულ ტექსტად მიჩნევაა რაიმეთი გამართლებული.

ჩვენი აზრით, ინდო-ხატაელთა ამბის ტექსტი გვიანდელი დანაშრევებისაგან უნდა გაიცხრილოს და წმინდა რუსთველური სტროფები მოიძებნოს.

I

1934 წელს კ. ჭიჭინაძემ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც მთლიანად შეიტანა ინდო-ხატაელთა ამბავი და დაურთო ვრცელი გამოკვლევა პოემის შესახებ. ამ გამოკვლევაში დიდი ადგილი უჭირავს ინდო-ხატაელთა ამბის პრობლემას. მკვლევარი ასაბუთებს, რომ ეს ამბავი პოემის ორგანული ნაწილია და მისი ამოკვეთა აუტანელ ხარვეზს ქმნის. მისი აზრით, ამ ამბავს პოემის შინაარსთან მჭიდრო კავშირი აქვს და მისგან გამომდინარეობს. ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს შემდეგი არგუმენტები:

ა) ნესტანი ქაჯეთიდან უთვლის ტარიელს „მტერთაგან შეიწრებულ“ (1302) 1 ჩემს მშობელს მიეშველეო;

ბ) ავთანდილიც გრძნობს, რომ ინდოეთში დაძაბულობაა: „მებრძოლნი თქვენნი (ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა — ა.დ.) მოგესრნეს, არვინ ჩნდეს მუნ მეომარე“ (1472);

გ) ტარიელი ხაზგასმით აღნიშნავს: „მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი მუნ შიგან მძოველად:“ (1556), „წავიდე, ავი არ მიყოს მე აქა დაყოვნებამან“ (1557);

დ) როსტევანიც უდასტურებს ტარიელს: „ავთანდილ თანა წამოგყვეს, წადით ლაშქრითა დიდითა“ (1558);

ე) ავთანდილმა „შეჰყარნა... კაცი ოთხმოცი ათასი“ (1562) და „გაემართნეს და წავიდეს დია სპითა და ბარგითა“ (1572) ინდოეთისაკენ.

ინდო-ხატაელთა ამბის უარყოფის შემთხვევაში მთელი ეს ამოდენა ღონისძიება უმიზნო და უაზრო ხდება. მართლაც, „გაემართნეს...“ და უცბათ ყოველგვარი შეხლა-შემოხლისა და წინააღმდეგობის გარეშე ტარიელი და ნესტანი ინდოეთის სამეფო ტახტზე სხედან და ქორწილსაც იხდიან. არაბთა ოთხმოცათასიანი ცხენოსანი ლაშქარი, რომელიც დიდი ამბითა და ხმაურით დაიძრა არაბეთიდან, სადღაც უკვალოდ გაქრა. აქ მოულოდნელად ჩნდება დიდი და აუტანელი ხარვეზი, რაც რუსთაველის დონის შემოქმედისაგან ყოვლად გამორიცხულია. კიდევ: რა ვუყოთ ტარიელის განცხადებას: „მტერთა აქვს ჩემი სამეფო...“? სადაა ეს მტერი? ეს მტერი ინდო-ხატაელთა ამბავშია. ხოლო არაბთა ლაშქრის მოქმედება ამ ამბავშია გარკვეულად მოცემული. ამიტომ ინდო-ხატაელთა ამბავი ბუნებრივი გადასვლაა აბარეთის ამბებიდან ინდოეთის ამბებზე. ცხადია, კ. ჭიჭინაძის არგუმენტები სავსებით სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული ურყევი ჭეშმარიტებაა. ურყევი იმიტომაც, რომ არავის უცდია ამ არგუმენტების უარყოფა.

ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მხრივ კი, მეცნიერთა მეტად სერიოზული ჯგუფი (1937 წლის „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემის მოსამზადებელი თითქმის მთელი კომისია (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, აკ. შანიძე...) გამოვიდა ინდო-ხატაელთა ამბის წინააღმდეგ და გადაწყვიტა, საიუბილეოდ დაბეჭდილიყო პოემა ამ ამბის გარეშე. ცხადია, კომისიის წევრებსაც თავიანთი არგუმენტები ჰქონდათ. ისინი უშუალოდ ამბის ტექსტში ხედავენ უამრავ წინააღმდეგობას, უზუსტობას, ლაფსუსს, ენობრივ-სტილისტიკურ, მხატვრულ და აზრობრივ დარღვევებს, რის გამოც ინდო-ხატაელთა ამბის ტექსტი ვერ ეგუებოდა პოემის ძირითად ნაწილს და განზე იდგა მისგან. ალ. ბარამიძე ასე ახასიათებს ამ სადაო ტექსტს: „ინდო-ხატაელთა ამბავს ეტყობა იდეური უწონასწორობის, „ვეფხისტყაოსნის“ მთლიან ტექსტთან შეუთანხმებლობის, აზრობრივი სიღატაკისა და ენობრივ-სტილისტიკური, საერთოდ, მხატვრული უსუსურობის წარუხოცელი ბეჭედიც“.

ერთი სიტყვით, ინდო-ხატაელთა ამბავს დამცველებიც აღმოუჩნდნენ და მოწინააღმდეგენიც. რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში შეიქმნა მართლაც უნიკალური ვითარება: ორი თვალსაზრისი, ორივე მეცნიერულად დასაბუთებული ურთიერთს დაუპირისპირდა და არც ერთ მხარეს არ უცდია ერთმანეთის არგუმენტების უარყოფა-გაბათილება. ასეთი „პარალელიზმი“ უკვე იმას ნიშნავდა, რომ ინდო-ხატაელთა ამბის პრობლემა პრობლემადვე დარჩა.

ამისი მთავრი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ „ამბავს“ ცალმხრივად განიხილავდნენ: ან ენობრივ-გრამატიკული მეთოდით, ან კიდევ მხატვრულ-ესთეტიკური მეთოდით. რადგან მეთოდი და ტექსტთან მიდგომა სხვადასხვანაირი იყო, ამიტომ მეცნიერები სულ სხვადასხვა დასკვნა-გადაწყვეტილებამდე მიდიოდნენ. ხოლო „ამბის“ იდეური ანალიზი და მისი კავშირი პოემის იდეურ მიმართულებებთან შორს დაურჩათ მკვლევარებს.

შემდეგ და შემდეგ იყო ინდო-ხატაელთა ამბის დაცვის ცდები (შ. ონიანი, მ. თავდიშვილი), მაგრამ ცალმხრივობა და პარალელიზმი მაინც ვერ იქნა დაძლეული.

ჩვენი მუშაობა სულ სხვა მიმართულებით წარიმართა:

1. პოემის მკვლევარებმა ერთი მეტად მნიშვნელოვანი კანონზომიერება აღმოაჩინეს: გადამწერები პოემას სტროფებს არ აკლებდნენ, მემკვიდრეობით მიღებულ მთელ ტექსტს გადაწერდნენ ხოლმე, დამატებით კი ხალისით ამატებდნენ ცალკეულ სტროფებსა და ეპიზოდებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ინდო-ხატაელთა ამბავში რუსთველური სტროფები უცვლელად უნდა ყოფილიყო შენახული. მაგრამ, ცხადია, მხოლოდ ასეთი ზოგადი დაკვირვება საკმარისი არ იყო პოემის დაბოლოების გადასაწყვეტად.

2. რუსთველოლოგები „ამბის“ ტექსტს მხოლოდ ფორმის მიხედვით განიხილავდნენ: ან ენობრივ-გრამატიკული, ან კიდევ მხატვრული მეთოდით. თქმა არ უნდა, ამით ფასდაუდებელი სამუშაო შესრულდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საქმეში. მაგრამ, როგორც ზემოთაც დავინახეთ, ეს მეთოდები საკმარისი არ აღმოჩნდა პოემის დაბოლოების პრობლემების საბოლოო გადაწყვეტისათვის.

ჩვენ მოვიმარჯვეთ პოემის იდეური ანალიზის მეთოდი. ამ მეთოდის აზრი ზოგადად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

პოემაში, როგორც ერთიან მხატვრულ ქმნილებაში, მოცემულია XII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ღრმა ანალიზი და კრიტიკა. აქედან გამომდინარე, პოემაში ორი რეალობაა:

1. ისტორიულად არსებული სინამდვილე თავისი რეალისტური სიზუსტით: როსტევანი, ფარსადანი, ფრიდონი (ტარიელთან შეხვედრამდე), ხვარაზმშა, მელიქ-სურხავი (ძმადნაფიცებთან ერთიერთობამდე), ქაჯთა დედოფალი გურანდუხტი „ვაზირი ბერი სოგრატი“, ფატმანი (ნესტანთან და ავთანდილთან ურთიერთობამდე), დიდებულნი, ხასნი, ვაზირები, „ლაშქარნი“ (იგულისხმება ლაშქრის ელიტარული ნაწილი);

2. ახალი, მაგრამ ისტორიულად არარსებული, მხატვრული სინამდვილე: ტარიელი, ავთანდილი, ნესტანი, თინათინი, ფრიდონი (ტარიელთან შეხვედრის შემდეგ), ფატმანი (ნესტანთან და ავთანდილთან ურთიერთობის შემდეგ), მელიქ-სურხავი (ძმადნაფიცებთან ურთიერთობის შემდეგ), ასმათი, შერმადინი, ახალი ლაშქარი.

ამ ორი რეალობის დაპირისპირების, მათ შორის წინააღმდეგობისა და შეჯახების საფუძველზე მიმდინარეობს მოქმედების განვითარება პოემაში. იმარჯვებს ახალი ცხოვრება, რის შედეგადაც ეროვნული და სოციალური ჰარმონია მყარდება. ამის შესაბამისად ტარიელი, ნესტანი, თინათინი, ავთანდილი, ფრიდონი, ფატმანი, შერმადინი ახალი ადამი-

ანები არიან, რომელთა ინტერესები, შეხედულებები, მრწამსი, გრძნობები, ზნეობა და მოქმედებანი მთლიანად შეესაბამება ახალ ცხოვრებას. პოემაში ბედნიერებასა და თავისუფლებას მიაღწიეს არა მარტო რჩეულმა პერსონაჟებმა, არამედ იმ ხალხებმაც (და არა მარტო ამ ხალხებმა), რომელთაც ისინი მოთავეობენ.

თუ ამ კუთხიდან მივადგებით ინდო-ხატაელთა ამბავს, ფარსადან მეფის ზღვარდაუდებელი გლოვა და ყოველგვარი ზომიერება დაკარგული კულტი და მასთან დაკავშირებული მოვლენები სავსებით ზედმეტი აღმოჩნდება პოემის დაბოლოებებში. ფარსადანი ძველი მეფეა თავისი დახავსებული კონსერვატული შეხედულებებით, დესპოტური რეჟიმითა და ტირანიით, რის გამოც ინდოეთში დამყარებულ ახალ ცხოვრებაში არაფერი ესაქმება. ის მენართავის მიერ ძალით თავსმოხვეული გაყალბებაა რუსთაველის ახალი ცხოვრებისეული იდეოლოგიისა. ქვემოთ სწორედ ამ თვალსაზრისითაა განხილული ინდო-ხატაელთა ამბავი.

II

„ვეფხისტყაოსნის" დაბოლოებაში დიდი ადგილი უკავია ფარსადან მეფის გლოვის მოტივს. ეს მოტივი მეტ-ნაკლები დოზით პოემის ბოლო სამივე თავშია გაშლილი.

აქვე შეიძლება ითქვას, ეს და ასეთი გლოვა სრულებით არ შეესაბამება „ვეფხისტყაოსნის" სინამდვილეს:

ჯერ ერთი, გაუგებარია, ასე ღრმად რატომ გლოვობენ მისრელი ანუ ეგვიპტელი ვაჭრები ინდოეთის მეფეს?

მეორეც. ფარსადანი ნესტანისა და ტარიელის დაკარგვიდან მალე გარდაიცვალა:

ცოტასა ხანსა გა-ვე-სძლო დება სახმილთა
გზნებისა;
აწ თვითცა მოკვდა, შეექმნა ბოლო სრვისა და
ტკებნისა (1582).

ტარიელი და ნესტანი კი თერთმეტი წლის შემდეგ ბრუნდებიან სამშობლოში. მათ მთელი ინდოეთი შავებით მოსილი და ცრემლის ღვარში დახვდა. გამოდის, რომ ფარსადან მეფის ინტენსიური გლოვა მთელი ათი წელიწადია გრძელდება. რაც არ უნდა ჰიპერბოლა დავარქვათ ამას, დაუჯერებელს მაინც ვერ დაიჯერებს კაცი;

მესამეც, თვით გლოვის ცერემონიალი მართლაც წრეგადასული საშუალებებითაა დახატული. პირდაპირ სული ეხუთება ადამიანს ნესტანისა და ტარიელის საქციელზე: ყურის წამლებრეული ოქროსფერი, თმის „გლეჯა" და „ზახილი" (1586), თვალთაგან სისხლისა და წყლის თუ ცრემლის ღვარი და ასე განუწყვეტლივ. რა დავარქვათ ამას? ამას სახელიც არ მოეძებნება, რადგან ასეთი უთავბოლო და უსასრულო გლოვა არც ყოფილა ოდესმე და არც ხდება. ყველა ხალხს გლოვის თავისი ტრადიციები აქვს შემუშავებული. გლოვა რომ ათ წელიწადს გრძელდებოდეს, ასეთი რამ არასოდეს არ ყოფილა და არცაა მოსალოდნელი. გლოვა პოემაში ტარიელის მამის სარიდანის გარდაცვალებასთანაა დაკავშირებული (332-335). შედარებაც კი უხერხულია, იმოდენა განსხვავებაა სარიდანისა და ფარსადანის გლოვას შორის.

აშკარაა, გლოვის მოტივი ინტერპოლაციას (ჩანართს) წარმოადგენს, რის გამოც უნდა ამოიკვეთოს პოემიდან. აი, გლოვის მოტივის შემცველი სტროფებიც: 1574-1595, 1621-1628, 1630-1634, 1640. სტროფთა ამ სისტემაში შემოდის კიდევ ხუთი სტროფი: 1641-1645. მაშასადამე, სულ 41 სტროფი ჩაითვალა ჩანართად.

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით?

1. გლოვის მოტივი მთლიანად ამოღებულ იქნა პოემის დაბოლოებიდან;

2. ვაჭართა ეპიზოდმაც, როგორც გლოვის მოტივთან მჭიდროდ დაკავშირებულმა ამბავმა, გლოვის მოტივი გაიზიარა;

3. გაქრა ფარსადან მეფის ხსენება პოემის დაბოლოებაში;

4. ასევე გაქრა ინდოეთის უსახელო დედოფლის სახსენებელიც;

5. ყოველივე ამას გაჰყვა უამრავი შეუსაბამობა, ულოგიკობა, შეუთანხმებლობა, წინააღმდეგობა და ენობრივ-სტილისტიკური და მხატვრული ლაფსუსი.

ასევე ულოგიკობა, „იდეური უწონასწორობა, ვეფხისტყაოსნის მთლიან ტექსტთან შეუთანხმებლობაა" ქვემოთ დასახელებულ სტროფებშიც: 1597, 1601-1603, 1605-1608, 1610, 1612, 1613, 1615 და 1616.

ცოტა ყურადღებით წაკითხვაა საჭირო, რათა დავრწმუნდეთ, რომ 1597-ე სტროფის შინაარსი ვერ ეგუება ვერც წინა და ვერც მომდევნო სტროფებს:

იმა ლაშქართა უნახვან კვლა ჩემთა ხრმალთა
კვეთანი;
ერთხელ შემებნეს, დავხოცენ, შეექმენ აბჯართა
ფეთანი (1597).

ეს სტროფი ვაჭართა მონათხრობს გულისხმობს: ტარიელი აქ ხატაელებთან გადახდილ დიდ ომს იგონებს („შიგან ასრე გავერივე..." – 445). ტარიელმა მისრელი ვაჭრებისაგან გაიგო, რომ ეს ლაშქარი ხატაელებისაა. მას ვაჭართა გარეშე არ შეეძლო სცოდნოდა, თუ ვისი იყო ის „უსახო ლაშქარი" (1596). თუ ვაჭართა ეპიზოდი ნაყალბევია, მაშინ ეს სტროფიც ნაყალბევია. ესეც საკმარისია ამ სტროფის უარსაყოფად. გვაქვს სხვა არგუმენტებიც: ტარიელმა რომ არ იცის, თუ ვისია ეს „უსახო ლაშქარი", გარკვეულად ჩანს წინა სტროფში:

ინდოეთს ზედა წაადგა (ტარიელი ძმაკაცებითა და არაბთა ლაშქრით – ა.დ.) მუნ მთა და დიდი ქედია;

აჩნდა ლაშქარი უსახო, ესაკვირველა, ჰე დია (1596)

ტარიელს ამ უსახო ლაშქრის ხილვა „ესაკვირველა", ე.ი. გაუკვირდა, თანაც ძალიან („დია"). მას ვაჭრის მონათხრობიდან უნდა სცოდნოდა, თუ ვისი იყო ეს ლაშქარი. ამიტომ არ უნდა გაკვირვებოდა, რომ არ იცოდა, იმიტომ გაუკვირდა. განსახილველ 1597-ე სტროფში კი გაკვირვების ნატამალიც არ ჩანს. ტარიელი თავდაჯერებულად ამბობს: „ერთხელ შემებნეს, დავხოცეო..." მენართავემ ეს ვერ გაითვალისწინა. ვერ გაითვალისწინა მეორე დეტალიც: ტარიელის ლაშქრის ავანგარდი („წინ მავალნი") იმ „უსახო ლაშქრის" „დარაჯთა გარდეკიდეს". შემდეგ „ტარიასთა გააქციევეს, მიეწივნეს, ჩამოჰყრიდეს" (1599). ერთი სიტყვით, ტარიელის ავანგარდი „დარაჯთა" შეეება, შეიპყრო და ტარიელს „მიაგებნეს მხარდაკრულნი". „ვისი ხართო? – ჰკითხეს ხანსა არ დამრიდეს" (1599). აქაც, რომ არ იციან, იმიტომ ეკითხებიან: „ვისნი ხართო?" ამ კითხვაზე ასეთი პასუხი მიიღეს:

მათ („დარაჯთა"— ა.დ.) მოახსენეს: „მეფეო, ჩვენ — ცუდად დაღორებულნი,
რამაზის ხელმწიფისანი აქა დარაჯად რებულნი (1600).

ყველაფრიდან ჩანს, რომ ახლა გაიგონეს პირველად რამაზ მეფის სახელი და ახლა გაიგეს რომ ის „უსახო ლაშქარი" ხატაელებისაა. აშკარაა მენართავის ხელწერა.

ზემოთ დასახელებულ სხვა სტროფებშიც უამრავი წინააღმდეგობაა. ამ სტროფების მიხედვით ტარიელი უხეში და მოძალადეა (1601-1603), შუა საუკუნეების ისტორიულად არსებული სისხლსმოწყურებული მოლაშქრის ტიპია: „ტარიას ხრმალნი ვერ გაძღეს, ჯერთ ხორცი მოიმშიერეს" (1615). ამისი შესაბამისია მისი ქცევა-ეტიკეტიც: „პირბოზო... (1603). რუსთველის ტარიელი კი ყოველთვის ლმობიერი, სულგრძელი, თავშეკავებული და კეთილია. მენართავე ვერ მაღლდება აქამდე და ტარიელს მიანერს იმ თვისებებს, რასაც თავის ირგვლივ ყოველდღიურობაში ხედავდა.

ყოვლად დაუშვებელია რუსთაველის მეტყველებისათვის კაპიტულაციაზე გამოცხადებული რამაზ მეფის მრავალსიტყვაობა (1607-1610). ხატაელთა მეფის სიტყვებში რუსთაველის ლაკონიზმის პრინციპი მთლიანად დარღვეულია. აქაა აზრის არასაჭირო განმეორებანი და ზედმეტი მოქმედებანი, რაც გაშლილი ლაყბობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთი რამ კი მხოლოდ მენართავისგანაა მოსალოდნელი.

სანამ თხრობას გავაგრძელებდეთ, უნდა განვიხილოთ კიდევ ერთი სტროფი:

1573 სამ თვე ვლეს, — ღმერთმან მათებრი სხვა ნურა ნუ დაბადოსა!
მოეგებნიან, მტერობა ვერავინ დაიქადოსა!
მინდორსა შიგან სადილად გარდახდეს უდილადოსა,
ვითა მართებდა, პურობდეს, ღვინოსა სმიდეს, არ დოსა.

ეს სტროფი ვახტანგ მეექვსემ დატოვა თავის გამოცემაში (1712 წ.). ამის შემდეგ იგი ტრადიციულად მოყვება პოემის თითქმის ყველა გამოცემას.

ამ სტროფიდან იწყება ის აუტანელი ხარვეზი, რომელიც იმ გამოცემაშია, საიდანაც ამოღებულია ინდო-ხატაელთა ამბავი. ეს სტროფი ბუნებრივი გადასვლაა ინდო-ხატაელთა ამბის ვაჭართა ეპიზოდზე. ვაჭართა ეპიზოდში კონკრეტული სიტუაციაა აღწერილი: „ქედსა ზედა გარდამოდგა მეტად დიდი ქარავანი" (1574). ვინ დაინახა ეს ქარავანი? ესაა ინდოეთისაკენ მომავალი ტარიელი, ფრიდონი და ავთანდილი ლაშქრით, რომლებიც „მინდორსა შიგან სადილად გარდახდეს..." (1573). გამოდის, რომ ეს სტროფიც ზედმეტია.

III

ასეთი გაცხრილვის შემდეგ ინდო-ხატაელთა ამბის სადაო ტექსტიდან (1579-1635) დაგვრჩა 13 სტროფი ორ ეპიზოდად, რომელთაც ჩვენ პირობითი სახელწოდებაც მივეცით: „ხატაელთა შეწყალება" (9

სტროფი) და „ტარიელის შესლვა დედაქალაქში“ (4 სტროფი):

ხატაელთა შეწყალება

1596 ინდოეთს ზედა წაადგა, მუნ მთა და დიდი ქედია;
აჩნდა ლაშქარი უსახო, ესაკვირველა, ედია.
ტარიელ ბრძანა: „მოყმენო, თქვენგან რა იმედია?
ადრე მოვიცლი, ჩემთანა ღმერთი და ჩემი ბედია!

1598 დაეკაზმნეს საომარად, გაამაყდეს, გაჩაუქდეს,
ცხენთა შესხდეს უკეთესთა, სახედარნი ასუბუქდეს,
ერთმანეთსა აჯობინეს, მჭვრეტელთაგან არ გაუქდეს,
იგი ქედი ჩაიქროლეს, ბუქისაცა უფრო ბუქდეს.

1599 წინ მავალნი დარაჯათა მათთა ზედა გარდეკიდეს;
ტარიასთან გააქცივნეს, მიეწივნეს, ჩამოჰყრიდეს.
მოაგებნეს მხარდაკრულნი, მათ წინაშე მოასხმიდეს,
აიზიდნეს: „ვისნი ხართო?“ — ჰკითხეს, ხანსა და-რე-ზმიდეს.

1600 მათ მოახსენეს: „მეფეო, ჩვენ — ცუდად დაღორებულნი,
რამაზის ხელმწიფისანი აქა დარაჯად რებულნი“.
უბრძანა: „წადით, რეგვენნო, თქვენ ჩვენგან გაფიცხებულნი,
აცნობეთ თქვენსა პატრონსა: „მოვლენ გულითა ქებულნი“.

1604 დარაჯნი წავიდეს და ერთმანეთსა მიუსწრობდეს,
რამაზს ჰკადრეს ყველაკაი, დამალვასა ვერა სთმობდეს:
„მოვიდაო ინდოთ მეფე, ლაშქარნიცა კარგი ჰყმობდეს.
ვინცა ვითა გარდიხვეწოს, იგი ერთი ორთა სჯობდეს!“

1609 შინა წავიდეს, გარდახდეს, ეს თურმე არ ლაყაბია;
რამაზ ჰყავს ორთა დედათა, ყელსა მანდილი აბია;
შეშინებული საბრალოდ დუღდა, მართ ვითა ქვაბია;
„შეგცოდე, მომკალ მე ხოლე, რამცა ვინ მიასაბია.

1611 ყოველთა მისცეს ზენაარი, მიუყარნეს მუხლნი წინა:
„ნუ დაგვხოცთ, მისსა ძალსა, ვინცა აგრე დაგარჩინა!“
ტარიელ დგას დაყმუნვებით, რამაზ წინა მოეფინა,
ღმერთი ალხენს მონანულსა, არ შეუნდობს კაცი ვინა!

1614 ტარიელ მოტკბა, ღმრთისავე მსგავსად იგ წარმართულია;
„აღარ დაგხოცო“, უბრძანა, ძლეული შიშმან თუ ლია, —
წაღმავე წაგრხეს საქმესა, რაცა უკულმა სთულია;
„ნაქმარი მრუდი ყველაი აწ ჩემგან გამართულია“.

1617 ერთი კაცი მათ ლაშქართა, მახარობლად მიუვიდა;
„არ დაგხოცსო, შეგიწყალნა“,— ყველაკაი დალოცვიდა;
ბუკსა ჰკრეს და იხარებდეს, ზოგი ამას მოზრახვიდა;
„მოვიდაო იგი მოყმე, რომე ერთი ბევრსა სრვიდა“.

ჩვენ ეს 9 სტროფი მიგვაჩნია ინდო-ხატაელთა ამბის ავთენტიკურ (ნამდვილ) რუსთველურ ტექსტად. ეს სტროფები ცალ-ცალკე რაიმე შეუწყნარებელ ნაკლს არ შეიცავენ. არც მთლიანობაში გვაძლევენ რაიმე ხარვეზს. თხრობა მწყობრია, სტროფი სტროფს მიჰყვება, აზრი — აზრს ისე, რომ მკითხველი რაიმე შეფერხებას არ ნააწყდება. ეს ერთი მთლიანი ეპიზოდია: ყოველი მომდევნო ამბავი წინა ამბიდან გამომდინარეობს. სიუჟეტური წყობაც ერთიანია, უხარვეზო და უნაკლო ტექსტი საინტერესოდ იკითხება.

ახლა მოვისმინოთ ამ ტექსტის შინაარსი:

არაბეთიდან 80 ათასიანი ცხენოსანი ლაშქრით მომავალი „ტარიელი, ფრიდონი, ავთანდილი“ (1572) ინდოეთის ერთ-ერთ ქედზე შედგნენ, დაინახეს „უსახო ლაშქარი“, ძალიან გაუკვირდათ. მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო: ტარიელმა თანმხლებთ მიმართა: აბა, ვნახოთ, გული როგორ გერჩით, ნუ გეშინიათ, ღმერთიც და ბედიც ჩვენთანაა.

მოემზადნენ საბრძოლველად, აღიჭურვნენ და ცხენებზე შესხდნენ, დაეშვნენ იმ ქედიდან. ამასობაში „წინ მავალთ“, ანუ ტარიელის ლაშქრის ავანგარდს იმ „უსახური ლაშქრის“ „დარაჯნი“ შეეპყროთ და ტარიელს მხარდაკრულნი მოჰგვარეს. მაშინვე ჰკითხეს: „ვისნი ხართო?“ მათ მოახსენეს რამაზ მეფის ლაშქრის „დარაჯნი“ ვართო. ტარიელმა უბრძანა, სასწრაფოდ გაბრუნებულიყვნენ და ეცნობებინათ თავისი პატრონისათვის, რომ მოდიან „გულით ქებულნი“ მეომრები. „დარაჯნი“ მივიდნენ რამაზ მეფესთან და მოახსენეს, რომ ინდოთ მეფე ტარიელი დაბრუნდა, თანაც ძლიერი ლაშქარი ჰყავსო.

რამაზ მეფე თავად ეწვია ტარიელს და შეწყალება თხოვა. ტარიელმაც შეიწყალა მეფეც და მისი ლაშქარიც...

ვფიქრობთ, ჩვენს მიერ შემოთავაზებულ 9 სტროფიდან ნათლად ჩანს პოემის დაბოლოების კომპოზიციური მთლიანობა. სიუჟეტური ხაზიც გამართულად უნდა ჩაითვალოს.

IV

„ხატაელთა შეწყალების“ მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება, მას აქვს დამატებითი იდეური ღირებულებაც. იგი პოემის საერთო იდეური მიმართულების ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი რგოლია. მის გარეშე ვეფხისტყაოსანში ბევრი რამ აუხსნელი და გაუგებარი დარჩება.

გავარკვიოთ, რამდენად გამართლებულია ფარსადან მეფის ხსენების ამოღება პოემის დაბოლოებიდან?

ფარსადან მეფის შესახებ რუსთველოლოგიაში შემუშავებულია უარყოფითი შეხედულება. იგი „წინდაუხედავი“ , კონსერვატიული მეფეა. ფარსადანი „ვერ ამაღლდა ტრადიციულ ადათ-წესზე“, „უსამართლო და დესპოტი მშობლის როლში გამოვიდა“, „პოლიტიკურად ბეცია“.

სამწუხაროდ, ინდო-ხატაელთა ამბავში ფარსადან მეფის კულტია მოცემული. წრეგადასული გლოვა გულისხმობს არა მარტო მისი ხსოვნისადმი პატივისცემას, არამედ დესპოტური რეჟიმის აღიარებასაც. ფაქტობრივად, ნესტანი და ტარიელი ფარსადანის პოლიტიკის გამგრძელებლად გვევლინებიან. ეს კი არ შეესაბამება ვეფხისტყაოსნის იდეურ მიმართულებას.

სინამდვილეში ახალი ცხოვრებისეული მრწამსით დაბრუნდა ინდოეთში ტარიელი, ნესტანი და ძმადნაფიცები და ახალი ცხოვრება დაამკვიდრეს. ეს იყო დემოკრატიზმის პრინციპის გამარჯვება, რომელსაც საფუძვლად ედო რუსთაველის იდეოლოგია: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“ (801). რუსთაველის პოემის საფუძველთა საფუძველი არის სოციალური ჰარმონია — „თხა და მგელი ერთად ძოვდეს“ (1661).

ტარიელის პირველი ჰუმანური და სამართლიანი პოლიტიკის გამოვლინება იყო ხატაელთა შეწყალება და თავის უფლებებში აღდგენა.

V

რუსთაველის დემოკრატიზმი ყველაზე ნათლად და მკაფიოდ ტარიელ-ნესტანისა და მათ ძმადნაფიცების ინდოელებთან შეხვედრაში გამოვლინდა.

1618 მოეგებნიან ტარიელს, შორიშორ უსალამიან;
შიგანთა დროშა ინდოთა მათად ცნეს, ასალამიან.
ვერ გამოენდვნეს ინდონი, თქვეს, „ოუ
„ღალატსა ლამიან“.
არ მოელოდეს ტარიელს, მით ცრემლი დაილამიან.

1619 ტარიელ მიდგა, უყივლა: „მე მოველ,
მეფე თქვენიო,
თანა მყავს ჩემი მნათობი, პირი ელვათა მფენიო,
ჩვენ მოგვცა მაღლით მაღალმან წყალობა მისი ზენიო,
გამოდით, თქვენი სიშორე არს ჩვენგან მოუთმენიო“.

1620 მაშინღა იცნეს ტარიელ, მათგან მი და
მო სრბანია,
სრულად მჭვრეტლითა აივსო ზღუდე და ბანისბანია;
ხმამაღლად ხმობდეს, იზახდეს: „მოგვშორდეს
სალმობანია,
აქამდის რისხვა მაღალმან, აწ მოგვცნა წყალობანია“,

1629 რა გამოხდა მცირე ხანი, ჟამი იქმნა
გარდასრულად,
დიდებულნი ეთაყვანნეს, ერთობილნი
ადგეს სრულად;
იგი მზენი მიეგებნეს. მოეხვივნეს გულისგულად,
აკოცეს და მოიკითხეს თავის-თავის, თვითეულად.

ეს ოთხი სტროფი ერთი მთლიანი ეპიზოდია, ერთი ამბავია, რომელსაც ვუწოდეთ „ტარიელის შესვლა დედაქალაქში“. პოემის დაბოლოებაში ამ ოთხსტროფეულს განსაკუთრებული იდეური მნიშვნელობა აქვს. რუსთაველის დემოკრატიზმი ყველაზე სრულყოფილად სწორედ ამ სტროფებში ჩანს. ტარიელს, ნესტანს და მათს სტუმრებს პირველად ხალხი ხვდება სიხარულითა და იმედით: „მოგვშორდეს სალმობანიაო“... ტარიელი კი თავისთავს ხალხის მეფედ აცხადებს: „მე მოველ მეფე თქვენიო“... რაც შეეხება დიდებულებს, ისინი ხალხის სიხარულს არ იზიარებენ, მხოლოდ მოვალეობას ასრულებენ.

რატომ მაინც და მაინც ინდოეთი აირჩია მენართავემ „სამუშაო ობიექტად?!“ მენართავე მიხვდა, თუ სად იყო პოემის იდეური სიმძიმის ცენტრი და შეეცადა რუსთაველი დაემარცხებინა თავისავე ტერიტორიაზე; იქ აამღვრია წყალი, სადაც ყველაზე მეტი სიკაშკაშე და სიღრმე ჰქონდა პოეტის იდეებს; იქ, აურ-დაურია ყველაფერი, სადაც აზრთა სიდიდესა და ადამიანურ სიკეთეს უნდა ჩასწვდომოდა ქართველი ხალხი. პოემის ერთ-ერთი უმთავრესი განძი მენართავემ თავისი მყვირალა სუროგატით დაანაგვიანა და ნაცარი შეაყარა საუკუნეებს თვალებში.

„ვეფხისტყაოსნის“ 1988 წლის აკადემიური გამოცემის მიხედვით, პოემის ბოლო სამი თავი შეიცავს 88 სტროფს. ამას ემატება ბოლოდან მეოთხე თავის ბოლო სტროფი („სამ თვე ვლეს“... 1573). მაშასადამე, ინდო-ხატაელთა ამბის ტრადიციული ტექსტი შეიცავს სულ 89 სტროფს, აქედან 59 სტროფს ჩანართად მივიჩნევთ. დარჩენილი 30 სტროფიდან პირველი 13 („ხატაელთა შეწყალება“– 9 სტროფი და „ტარიელის შესვლა დედაქალაქში – 4 სტროფი) ინდო-ხატაელთა ამბის სხვა ეპიზოდებთან და სტროფებთან ერთად ვახტან მეექვსიდან მოკიდებული განუწყვეტელი დავის საგანია.

ჩვენ შევეცადეთ რუსთველოლოგიაში არსებული მონაცემებისა და ტექსტური ანალიზის მეთოდით, თავი მოგვეცალა ჩანართებში გაფანტული ავთენტიკური რუსთველური სტროფებისათვის და მიგვეღო ორი სრულფასოვანი, კომპოზიციურად მტკიცედ შეკრული და პოემისათვის მეტად საჭირო ეპიზოდი. ეს ეპიზოდი ბუნებრივად ჯდება პოემის დაბოლოებაში და ქრება ყველა ის წინააღმდეგობა, რაც ასე გაცხარებული დავის საგნად იქცა.

თუ ჩვენი კვლევა სწორ გზაზე დგას, უნდა ჩათვალოთ, რომ პოემის დაბოლოებაში მენართავე მხილებულია და დამარცხებული.

თეიგიზ ჩხეიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩაბლების საგვარეულო

მაჩაბელი უძველესი და უნარჩინებულესი გვარია საქართველოში. სამაჩაბლო, ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული მხარეა. სათავადო წარმოიშვა მდ. ლიახვის შუა და ზემო წელზე, ისტორიული აჩაბეთის ხევში, სადაც ადამიანის კვალი დადასტურებულია ძველი ქვის ხანიდან. მას იცნობს VII ს-ის სომხური გეოგრაფიაც. ხევის ცენტრია აჩაბეთი. იგი შედგებოდა მაღრან დვალეთისა (ცენტრით ედისში) და ჯავის ხევისაგან (ცენტრით ჯავა).

ვახუშტის მიხედვით: „თამარაშენს ზეით ერთვის თირის მონასტრის – ხევი. ამ ხევზედ, გორის ძირს არს აჩაბეთი, სასახლე და ციხე მეფეთა" (ვახუშტი, აღწერა, გვ. 76). ამ ციხის გალავანში დგას წმ. ესტატეს სახელობის ეკლესია (ჯ. გვასალია, „შიდა ქართლი და ოსური საკითხი", 1997, გვ. 39).

ამრიგად, აჩაბეთი წარმოადგენდა ლიახვის ხეობის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრს. აღსანიშნავია, რომ ლუარსაბ პირველი ირანელებთან ბრძოლისას აჩაბეთის ციხეში იყო გამაგრებული (ქ.ც. 11, გვ. 281). ხშირი იყო ამ ციხესთან შეტაკებები ლეკებთანაც.

ვახუშტის გადმოცემით: „მაჩაბელი იტყვის ანჩაბისძეობას, აფხაზეთიდამ მოსვლას განა ახალი არს" (ვახუშტი, აღწ. გვ. 25). იგივეს ამტკიცებს ცნობილი ისტორიკოსი ს. ჯანაშია, რომელიც წერს: „... ამავე ხანებში (X ს.), იმერეთ-ამერეთის ყველაზე ჩრდილოეთით სხდებიან ანჩაბაძენი, რომელთა გვარის სახელიც, თავისი წარმომავლობითა და მერმინდელი ისტორიით (ბაძე), „ქაჩიბაძის" სრულ ანალოგონს წარმოადგენს. „აჩაბეთის" მიხედვით იქმნება ფეოდალური რეზიდენციის სახელწოდება „აჩაბეთი", ხოლო ამ უკანასკნელიდან – ახალი სამფლობელო სახლი „მაჩაბელი" (ს. ჯანაშია, შრომები 11, თბ. 1952, გვ. 478).

ვახუშტი ბაგრატიონისა და ს. ჯანაშიას აღნიშნულ მოსაზრებებს, რომ თითქოს გეოგრაფიული სახელწოდება აჩაბეთი, ამ მხარეში ანჩაბაძის გამოჩენის შემდეგ (X ს.) წარმოიშვა ვერ გავიზიარებთ, რადგან ამ ტოპონიმს სამი საუკუნით ადრე მოიხსენიებს სომხური გეოგრაფია. ჩვენს მოსაზრებას ამაგრებს აგრეთვე პროფ. ჯ. გვასალია, რომელიც აღნიშნავს, რომ ანჩაბაძეთა გადმოსახლებამდე, გაცილებით ადრე არსებობდა აჩაბეთის ხევი, რომელიც მდებარეობდა დიდი ლიახვის შუა და ზემო წელში (ჯ. გვასალია, იქვე, გვ. 108, 109).

არსებობს მესამე, განსხვავებული მოსაზრება მაჩაბლების აზნაურ თავხელიძეებისაგან წარმომავლობის შესახებ. მისი ავტორია ნ. ანდღულაძე, რომელიც ეყრდნობა თირის მონასტრის XVII საუკუნის წარწერას, სადაც ვკითხულობთ: „თავხელისძეთა სიოშ და რატის და ასათს და ხელს და მაჩაბელსა და მშობელთა მათთა შეუნდვენ ღმერთმან". ამ წარწერაში ნ. ანდღულაძის აზრით, მაჩაბელი სახელის აღმნიშვნელია და ამდენად გვარი მისი თავხელიძე უნდა იყოს (ნ. ანდღულაძე, თირის მონასტრის წარწერები, „მაცნე", 1969, №6, გვ. 197). ახალი ქართლის ცხოვრების მაჩაბლისეულ ნუსხაში კი ვკითხულობთ: „წარვიდა ლანგ-თემურ და ჩადგა შიგა ქართლსა და იდგა ხანსა რაოდენსამე, და ველარა მოახელეს რა, მისჭირდა და წამოვიდა. მაშინ იყო მაჩაბელი, რომელსა ერქუა ხალელამპრეს..." ეს არის XIV ს, როდესაც პირველად მოიხსენიება ჯერ სახელი, შემდეგ გვარი მაჩაბელი. ამასთან თითქმის ყველგან წყაროებში მაჩაბელი გვარის აღმნიშვნელია და არა სახელის, გვარი მაჩაბელი გაცილებით ადრე უნდა წარმოშობილიყო, რადგან იგი უკავშირდება ტოპონიმ აჩაბეთს, რომელიც VII ს-ში უკვე არსებობს.

სამაჩაბლო, როგორც სათავადო ყალიბდება XIV ს. ბოლოსა და XV ს. დამდეგს, რაც განაპირობა შინაფეოდალურმა ბრძოლებმა, სამეფო ხელისუფლებასა და მსხვილ ფეოდალებს შორის. სამეფო ხელისუფლების კარი ცდილობდა შეენარჩუნებინა უპირატესი უფლებები იმ მიწა-წყალზე, რომელიც „მოსაკარგავე აზნაურებს" სამხედრო სამსახურისათვის გადაეცათ, რომლებიც თავის მხრივ ცდილობდნენ ეს მიწა-წყალი სამკვდიროდ ექციათ. XII ს-ში სათავადო – „ბენეფიციუმი" ერქვა მეფის მიერ დიდ აზნაურთათვის დროებით სარგებლობაში მიცემულ მამულს, რომელიც მემკვიდრეობით არ გადადიოდა მამიდან შვილზე. მაგრამ საქართველოს ფეოდალიზაციის პროცესს მოჰყვა თავადობის შთამ-

ომავლობით წოდებად გადაქცევა და მამულების სამემკვიდრეოდ გამოცხადება – საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა-დაქუცმაცება.

სამაჩაბლოს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ქსნის საერისთავოს მამულები, სამხრეთით სოფ. დგვრისი, ფავლენიშვილთა და ამილახვართა მამულები, სამხრეთ-დასავლეთით – საყაფლანიშვილო, ჩრდილო-დასავლეთით – რაჭის საერისთავო, ჩრდილოეთით – დვალეთი (იქვე, ჯ. გვასალია, გვ. 114).

მაჩაბელთა გვარის რეზიდენცია მდებარეობდა აჩაბეთში. სასახლეები ჰქონდათ საბაწმინდაში, თამარაშენში, ქურთაში, ცხინვალში. საძვალეები – საბაწმინდის ტაძარი, თირის მონასტერი, თამარაშენის „წმინდა ნიკოლოზის ეკლესია". ეკლესიურად სამაჩაბლო ექვემდებარებოდა ნიქოზის საეპისკოპოსოს.

XIII-XIV საუკუნეებში აგებული თირის მონასტერი, რომელიც შიდა ქართლში, ცხინვალის მახლობლად მდებარეობს, წარმოადგენს ხურთომოძღვრულ ანსამბლს: ღვთისმშობლის ეკლესია, სამრეკლო, სატრაპეზო, სენაკები და გალავანი.

დვალეთში, ზროგოს ხეობაში არის XI ს-ის ქართული კულტურის ძეგლი, „ზროგის ღვთისმშობლის ეკლესია". დღეს მას „ხოზიტა ბაირამი" ჰქვია, რაც გადამთიელთა მიერ ქართული ტოპონიმის ოსური ტოპონიმით შეცვლის შედეგია.

ჩრდ. ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება სამი საეკლესიო ზარი, რომელთაც აქვთ XVII ს. წარწერები. ერთი მათგანი ქართლის მეფეს გიორგი XI შეუწირავს სოფ. წესთან არსებულ სალოცავ რეძომისადმი, მეორე სოფ. ჯიბღისში წმ. გიორგის ეკლესიისთვის, მესამე არჩილ მეფეს (იქვე, გვ. 41, 42).

სხლების ქვიტკირის ეკლესიას თავადმა მაჩაბელმა და მისმა მეუღლემ შესწირეს ვერცხლით მოჭედილი ორი ფუტის სიმაღლის ჯვარი (იქვე, გვ. 40-41).

XV ს-ში მაჩაბლები ფლობდნენ სოფლებს ყმა-მამულით: გუგული, ქემერტი, კოშკა, მეღვრეკისი, ფხვენისი, საბაწმინდა, ერედა, თამარაშენი, ცხინვალი, ღვერთეთი, სალთვისი (სცსა, ფ.ქ. 1451, რვ. 1, აღწ. 21, საბ. 39).

სამაჩაბლოში შედიოდა აგრეთვე ისტორიული მხარე დვალეთი, რომელიც მოიცავდა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს, დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის. დვალეთში შედიოდა: კასრის ხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგო, ზახა, თრუსო, მაღრან-დვალეთი. ეს ტერიტორია იბერიის სახელმწიფოს წარმოშობის, ძვ.წ. IV-III სს., დროიდან შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში.

VI ს. შუა წლებიდან დვალეთში ქრისტიანობა გავრცელდა და იგი ნიქოზის საეპისკოპოსო ეპარქიაში შევიდა. დვალეთზე გადიოდა ამიერკავკასიიდან ჩრდ. კავკასიაში მიმავალი გზა – გადასასვლელები. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გადასასვლელების გამაგრებას. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით მაჩაბლებს. მათი ძირითადი საზრუნავი სწორედ ეს იყო. მაგრამ ხელს არავინ უშლიდა ჩრდილოეთიდან დევნილ ოსურ მოსახლეობას, მასიურად დასახლებულიყო აღნიშნულ ტერიტორიაზე.

თავის დროზე ამ მხარის – დვალეთის მოურავი გიორგი საკაძე იყო.

XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დამდეგს მაჩაბლების მფლობელობაშია: ზროგოს ლიახვის, ცხინვალ-დგვრისის, დვალეთის ხეობები, მდ. ყვირილისა და დვანის წყლის სათავეები. აღნიშნულ მხარეთა მოსახლეობა მთლიანად მაჩაბლების ხელშია. მებეგრე – ყმა გლეხობა ჰყავდათ მათ სხვა სათავადოებშიც. მაგ. დვალეთისა და ელეს ხეობებში. 1700 წლის დემოგრაფიული რუკის მიხედვით „ქარს მაჩაბლის ოსი რვაას სამოცი (კომლი), ურია არის ორმოცი" (იქვე, გვ. 112).

ჯავის ხეობის სოფელ ტაბუტაში ცხოვრობდა 1000 ოჯახი, რომელიც ძველთაგანვე შედიოდა სამაჩაბლოში. სხვა მონაცემებით თავად-აზნაურთა ყმა-გლეხთა რაოდენობა 400 შეადგენდა. საეკლესიო გლეხთა რაოდენობა – 25 ათას კომლამდე (იქვე, გვ. 112, 113, 114).

განსაკუთრებით დაწინაურებული და გაძლიერებული ჩანან მაჩაბლები XV ს-ის მომდევნო ხანაში. მათი გვარი თავადურ სახლებად დაიყო: ზაალიშვილებად, გიორგისშვილებად, რევაზიშვილებად, ბორტიშვილებად და ა.შ.

მაჩაბლები ქართლის თვალსაჩინო პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული სფეროს მოღვაწეები იყვნენ. მათ მნიშვნელოვანი თანამდებობები ეჭირათ სამეფოში.

მაჩაბლებს განსაკუთრებით გამოუჩენიათ თავი თემურ-ლენგის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. არქაპოს მაჩაბელი თავს დაესხა თემურ-ლენგის ჯარს... მას ვერავინ დაუდგებოდა წინა: „საითაც პირი ქნის, განაბნივნის ვითარცა ქორმა იხვის ჯოგი ყოველთა" (ჯ. გვასალია, გვ. 40-41).

1514 წ. ბარამ და ქაიხოსრომ დიდი დახმარება გაუწიეს ქართლის მეფეს დავითს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სამაგიეროდ მეფემ „დიდი წყალობა უყო ბარამსა მაჩაბელსა და შვილსა მისსა ქაიხ-

ოსროს, მრავალი სოფლები უბოძა დიდ ლიახვზედა" (იქვე).

XVII ს. მეორე ნახევარში ბაადურ მაჩაბელმა ოსებით დაასახლა ლიახვის ხეობის მთიანი ნაწილი. 1704 წელს მეფემ ფირან და ბორტი მაჩაბლებს დაუკანონა მათი მამის მიერ დაჭერილი მიწა-წყალი (იქვე, გვ. 43).

კამერალურ აღწერებში და საერთოდ წყაროებში ხშირად საუბარია მაჩაბლებისა და ადგილობრივ გლეხობას შორის სამაგალითო ურთიერთობებზე. ხშირად მაჩაბლები ხე-ტყესა და სხვა საჭირო მასალებს უსასყიდლოდ აძლევდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

საკვლევ გეოგრაფიულ მხარეში სხვა დიდგვარიანი თავადობაც ცხოვრობდა, მაგრამ მაჩაბლები მეტ ადგილ-მამულს, ყმა-გლეხობას და გავლენის სფეროებს ფლობდნენ.

სამაჩაბლო გაუქმდა 1850 წელს, სენატის გადაწყვეტილებით. მაჩაბელთა 2000 კომლი ყმა-გლეხი სახაზინო უწყებას გადაეცა (იქვე).

მაჩაბლებმა მრავალი ღირსეული მამულისშვილი და ერის კაცი აღუზარდა ჩვენს სამშობლოს. ერთ-ერთი მათგანია XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე იასე მაჩაბელი, რომელიც ერეკლე მეორემ ელჩად მიავლინა ყაბარდოში სამხედრო დახმარების მისაღებად. ამ ელჩობის შედეგად ერეკლეს 1500 მებრძოლი მოუვიდა. ქართულმა ჯარმა ყაზახ-შამშადილუს საზღვარზე განჯისა და შაქის სახანოების ჯარები დაამარცხა.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და მთარგმნელი, „60-იანელი", ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი ივანე გიორგის ძე მაჩაბელი (1854, 28, 1, სოფ. თამარაშენი, 1898, 26, VI, თბილისი).

ი. მაჩაბელი პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს და 19 წლისამ მასთან ერთად თარგმნა (1874 წ.), შექსპირის „მეფე ლირი", რომელსაც ჯერ ივ. მაჩაბელი აწერდა ხელს, შემდეგ ილია. „ვანო ჭკვიანი ბიჭია და კარგი კალმის პატრონი. ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება"— წერდა ილია.

70-იან წლებში ივ. მაჩაბელი სწავლობდა გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, შემდეგ პარიზში სორბონის უნივერსიტეტში, 1879 წელს დაბრუნდა სამშობლოში.

ივანემ კარგად იცოდა რუსული, ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენები. 80-იან წლებში თარგმნა: „ჰამლეტი", „ოტელო", „იულიუს კეისარი", „მაკბეტი", „რიჩარდ III", რომლებმაც მას ადგილი დაუმკვიდრა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსული ივანე მაჩაბელი ილიას გვერდით დადგა. არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი წამოწყება, რომელშიც მას აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თვითშეგნების გაღვიძება და „დაცემულის ვინაობის" აღორძინება იყო.

ივანე მაჩაბელს დიდი დამსახურება აქვს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში. იგი იყო თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი და აქტიური ხელმძღვანელი, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი და რედაქტორი, ეხმარებოდა მ. ზიჩს, მარჯორ უორდროპს და სხვა უცხოელ მთარგმნელებს. დაწერა ლიბრეტო ოპერა „ვეფხისტყაოსნისათვის".

ივ. მაჩაბელი 1882-1883 წწ. რედაქტორობდა გაზ. „ივერიას", 1883-1885 წწ. გაზ. „დროებას", იბრძოდა მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ქართული კულტურის ასაღორძინებლად.

ივ. მაჩაბელი ხელმძღვანელობდა „საადგილმამულო ბანკს", იყო მისი დირექტორი. მთელი არსებით ცდილობდა, რომ მამულები საშვილიშვილოდ ქართველებს დარჩენოდათ.

ივ. მაჩაბელმა 44 წლისამ ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე.

ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, „ეროვნულ-დემოკრატს", საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ მებრძოლს, გიორგი ვასილის ძე მაჩაბელს (1885-1935), განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. გიორგი მაჩაბელი ივანე მაჩაბელის ძმის შვილია.

გ. მაჩაბელმა ევროპაში მოღვაწეობა 1910 წ. დაიწყო: მისი მიზანი იყო საქართველოს განთავისუფლება. ეს იდეა მან მაშინ წამოჭრა, როდესაც იგი თითქმის წარმოუდგენლად მიაჩნდათ.

გ. მაჩაბელმა გერმანიაში დააარსა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი". ამ კომიტეტის გარშემო გააერთიანა ევროპის ქვეყნებში მცხოვრები ქართველობა. ამავე წელს შექმნა „ქართული ლეგიონი", რომელმაც დიდი როლი შეასრულა 26 მაისის მოვლენებში. გ. მაჩაბელმა კავშირი დაამყარა აზერბაიჯანელებთან და კავკასიის მთიელებთან. შეადგინა ექსპედი-

ცია, რომელშიც გაერთიანდა ქართველი ოფიცრები, ლეგიონერი უნტერ-ოფიცრები და წყალქვეშა ნავით დაბრუნდა საქართველოში. გიორგის სწორი პოლიტიკური ალღო გამართლდა. 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე გ. მაჩაბელი დიპლომატიურ სამსახურშია ჯერ ავსტრიაში, საქართველოს ელჩად, შემდეგ – იტალიაში.

საქართველოს რუსეთის მიერ ანექსიის შემდეგ გ. მაჩაბელი ამერიკაში გადავიდა ერთადერთი მიზნით, ფული ეშოვა და საქართველოს გასათავისუფლებლად გამოეყენებინა. მან ამერიკაში შექმნა შემდეგში სახელგანთქმული ნელსაცხებელთა ფირმა „პრინცი მაჩაბელი", რომელიც დღემდე არსებობს და ღირსეულ კონკურენციას უწევს მრავალ აღიარებულ ფირმას მთელ მსოფლიოში. პარფიუმერია „საქართველოს დედოფალი", „თავადი მაჩაბელის პარფიუმები" ფართოდაა ცნობილი. გიორგიმ ანალოგიური ფირმა დააარსა პარიზში, რომელიც ს. კედიას ჩააბარა.

ამერიკის ბევრ შტატში გ. მაჩაბელმა გააფართოვა თავისი წარმოება და ემზადებოდა დიდი პოლიტიკის განსახორციელებლად – საქართველოს გასათავისუფლებლად.

გ. მაჩაბელი გარდაიცვალა 1935 წლის 31 მარტს. დაიფერფლა სამშობლოზე შეყვარებული ერთი ულამაზესი ქართველის სიცოცხლე. დაკრძალულია ნიუ-იორკში.

სპირიდონ კედია იგონებს: „იგი იყო თბილი და ნაზი, გულადი და მტკიცე, ჩვილი და უშიშარი, მომხიბლავი, თავაზიანი და კეთილშობილი".

ცნობილი ლიტერატორი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ხალხური ფოლკლორი მუსიკის მკვლევარი დავით ბარძიმის ძე მაჩაბელი (1814, თამარაშენი, 1873, 10, X) მოღვაწეობდა ჟურნალ „სალიტერატურო ნაწილნი თბილისის უწყებან"-ში, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშედ იქცა და მხარში ედგა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს.

დავით მაჩაბელი თანამოაზრე და თანამებრძოლია ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მიხეილ თუმანიშვილის.

სოლომონ დოდაშვილმა ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს, ელიზბარ და გიორგი ერისთავებს წაუკითხა თბილისის გიმნაზიის მოსწავლის დ. მაჩაბლის ლექსი „თოვლი", რომელიც შეთქმულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთებითაა გამსჭვალული.

"დ. მაჩაბელს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ხალხური სიმღერის შესწავლის საქმეში. კერძოდ, მან შეისწავლა ქართული გალობის ექვსხმიანობა, ქარდინალური საკითხები, მრავალხმიანი გუნდის შემადგენელი ხმები, მათი ფუნქციები და როლი საგალობლის განვითარებაში.

ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული გეოლოგი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის განყოფილების გამგე გიორგი (გიგული) ალექსანდრეს ძე მაჩაბელი (1924-1989) იყო თიხა-მანგანუმის საბადოების ცნობილი სპეციალისტი და მკვლევარი. მან აღმოაჩინა ბენდონიტური თიხების მრავალი საბადო რუსეთსა და ალჟირში. დიდი დამსახურება მიუძღვის სსრკ თიხების საბადოების მეცნიერულ შესწავლაში, მარაგის შეფასებასა და საწარმოო ათვისებაში, ჭიათურის საბადოს სამრეწველო მარაგების გაზრდაში, მანგანუმის მრეწველობის ნედლეულის ბაზის გაფართოებაში.

გ. მაჩაბელმა აღზარდა სპეციალისტთა მთელი პლეადა. აქვს 150-ზე მეტი ნაშრომი. მათ შორის მონოგრაფიები. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მრავალი მედლით (გაზ. „თბილისი", 1989, 13.XI. გვ. 6).

ცნობილი ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ გაბრიელის ძე მაჩაბელი (1910-1983), ომის დროს მუშაობდა ბეოსტოკის რკინიგზაზე, გორდონის საორთქმავლო დეპოს უფროსად, ლიტვის რკინიგზის ხელმძღვანელად, კალინინგრადის საორთქმავლო დეპოს მთავარ ინჟინრად და უფროსად.

1945 წლიდან ხელმძღვანელობდა პოლონეთის რკინიგზებზე მატარებლების მოძრაობის აღდგენით სამუშაოებს, რელსების შემდუღებელ ქარხნებს, 1949 წლიდან ამიერკავკაიის რკინიგზების საორთქმავლო სამუშაოებს; წლების მანძილზე განაგებდა თბილისის ფეხბურთის ფედერაციას. მიღებული ქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო.

ისტორიკოსმა და ეთნოგრაფმა ნუნუ კონსტანტინეს ასულმა მაჩაბელმა (1930, 17.XII, თბილისი-1980, 17.VI) ნათელი კვალი დატოვა ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში. მისმა ნაშრომებმა: „საქორწინო ინსტიტუტი ქართლში", „ქართველი ხალხის საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან", „მზითვის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში" მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ეთნოგრაფიული მეცნიერებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რსფსრ და ლატვიის დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ ერასტის ძე მაჩაბელი მოღვაწეობდა ჯერ რიგაში, სადაც მან ერთ-ერთმა პირველმა დააარსა რიგის ორთოპედიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე თვითონვე იყო.

ა. მაჩაბელი მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და გამოკვლევის ავტორია. ლატვიელმა ხალხმა ღირსეულად დააფასა ა. მაჩაბლის დამსახურება. ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ამშვენებს ა. მაჩაბლის მემორიალური დაფა, ქუჩას, სადაც ინსტიტუტია, ეწოდა ა. მაჩაბლის სახელი („ახალგაზრდა კომუნისტი", 1966, №57, გვ. 3).

დიდი დამსახურება მიუძღვით მაჩაბლებს სამაჩაბლოში თეატრალურ-სასცენო მოღვაწეობის, წერა-კითხვის გავრცელების, სკოლების, ბიბლიოთეკების მშენებლობა-დაარსების საქმეში.

ცხინვალის სცენისმოყვარეთა ორგანიზატორები იყვნენ: ივანე, ზაალ (ზალიკო), ეფემია და ანასტასია მაჩაბლები. თეატრის მშენებლობაში და კეთილმონყობაში თავისი წვლილი შეიტანეს: ივანე მიხეილის ძემ, ზაქარიამ, დარია მიხეილის ასულმა და სვიმონ მაჩაბლებმა (იქვე, გვ. 14, 15).

1875 წლის 31 აგვისტოს ცხინვალში დაიდგა გ. ერისთავის „გაყრა". პავლეს როლი შეასრულა ზაალ მაჩაბელმა, ივანესი — ივანე მაჩაბელმა, ნინოსი და შუშანასი — ანასტასია მაჩაბელმა, მაკრინესი და თათულიხ — ეფემია მაჩაბელმა.

დიდი დამსახურება მიუძღვის სცენისმოყვარულთა წრის საქმიანობაში ეფემია ანდრიას ასულ მაჩაბელს (1838-1933), რომელიც ხშირად მართავდა ცხინვალში საქველმოქმედო წარმოდგენებს. შემოსავალი ხმარდებოდა ხიდების აგებას, სკოლებს, ბიბლიოთეკებს.

1881 წ. ეფემია მაჩაბლის ინიციატივით ცხინვალში დააარსეს ორკლასიანი სასწავლებელი, 1895 წ. ქალთა სკოლა, სადაც სწავლობდნენ ჭრა-კერვას, ქსოვას და სხვა საოჯახო ხელსაქმეს. მანვე გახსნა ცხინვალში ბიბლიოთეკა-წიგნსაცავი. ე. მაჩაბელი საქველმოქმედო მიზნით საკუთარ სახლში მართავდა წარმოდგენებს, რითაც ეხმარებოდა ტირძნისის სკოლას, ღარიბ სტუდენტებს და ა.შ. იყო ცხინვალის სასამართლოს სახალხო მსაჯული.

1895 წ. ცხინვალის თეატრისათვის ლიახვის პირას აშენდა საზაფხულო შენობა „როტონდა". როგორც წესი, სცენისმოყვარულები სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მართავდნენ კონცერტებს, სადაც სრულდებოდა ქართული და ევროპული ცეკვები, სიმღერები. მიღებული შემოსავალი ხშირად ხმარდებოდა საქველმოქმედო საქმიანობას.

1922 წ. ცხინვალის საზოგადოებრიობამ სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაუხადა ზაალ მაჩაბელს.

ცხინვალის თეატრი და ქართველი მოსახლეობა ხშირად ეხმარებოდა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ ბარის ოსურ მოსახლეობას (ნ. ლაშხია, თ. მეშვილდე, ცხინვალის ქართული თეატრი, 1980, წ. გვ. 6, 10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა ურუშაძე

მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს...

თეატრზე... დრამატურგიაზე...

რა არის თეატრი? ვიღა არ დაფიქრებულა ამაზე? გავიხსენოთ ზოგიერთები.

ა. წერეთელი: „თეატრი საზოგადოდ უმაღლესი საშკოლო სარბიელია, საიდანაც ხელოვნურად შეზავებული, სარგო და იმავე დროს სასარგებლო რამ მსმენელ-მაყურებელს გრძნობა-გონებას უხიბლავს და ცხოვრების ბრძმედში ატარებს".

ვალ. გუნია: „თეატრი ხელს უწყობს და შველის ცხოვრების კანონს და სადაც საერო კანონების ძალა თავდება, იქ იწყება ზნეობრივი კანონების მოქმედება ხალხზე და ამ ზნეობრივი კანონების სამსჯავრო მხოლოდ თეატრია. თეატრი გვასწავლის ადამიანის სიყვარულს, გაჭირვებულის თანაგრძნობას, უბედურისათვის დახმარებას და უმწეოსათვის შემწეობას".

ბ. ბელინსკი: „ადამიანებისთვის ადრეც და ახლაც ყველაზე საინტერესო მოვლენა იყო ადამიანი, დრამა კი ამ ადამიანს საკუთარ თავთან, საკუთარ დანიშნულებასთან მუდმივ ბრძოლაში, მუდმივ ქმედებაში წარმოადგენს".

ამას ამბობენ იმ დროის თეატრის მოღვაწენი, როდესაც სცენაზე მხოლოდ მსახიობი მეფობდა. გამოხდება ხანი. გამარჯვებით დამთავრდება ბრძოლა რეჟისურის თეატრისათვის, სადაც სპექტაკლის ყველა კომპონენტი მაღალ მხატვრულ დონეზე უნდა იყოს. ამგვარი თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო იტყვის: „სათეატრო სანახაობის უმთავრესი შინაარსია — ასახოს ადამიანურ ვნებათა შერკინებანი, წარმოაჩინოს ადამიანური ბუნების მთელი სიმდიდრე, მისი სულის ცხოვრება გამოამჟღავნოს".

ჩვენი დროის გამოჩენილი რეჟისორი გ. ტოვსტონოგოვიც: „თეატრში გართობაც უნდათ და დასვენებაც. ამის არ უნდა გვეშინოდეს. ნამდვილ თეატრში გართობის დროს სწავლობენ იმას, თუ როგორ უნდა იცხოვრონ, ხოლო დასვენების წუთებში მდიდრდება მათი სული".

როგორც ვხედავთ, მიუხედავად დროთა განმავლობაში სათეატრო ხელოვნების მუდმივი ცვალებადობისა, რაც, ცხადია, უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა, ამ ხელოვნებით დაინტერესებული ყველა მოღვაწე შემოქმედების ამ სახეობის უდიდეს საზოგადოებრივ დანიშნულებაზე მიგვითითებს.

თეატრი, მართლაც, დიდი და მრავალფეროვანი სამყაროა. აქ წარმოადგენენ სულისშემძვრელ ტრაგედიასაც, ღრმა ფსიქოლოგიურ დრამასაც, მწარე სატირასაც, გულისამაჩუყებელ მელოდრამასაც, ჯანსაღი იუმორით დატვირთულ კომედიასაც... მოქმედ პირებს მსახიობები აცოცხლებენ სცენაზე მაყურებელთა დარბაზში მსხდომი ადამიანების წინაშე, მათი აქტიური ჩართვით, რაც წარმოდგენის მიმდინარეობის პროცესში მრავალნაირად ვლინდება. ამისთვის, ამგვარი კონტაქტის შეგრძნობის სურვილით მიდიან ადამიანები თეატრში, თორემ ყველაფერი სხვა ხომ დღევანდელი სასწაულებრივი ტექნიკის წყალობით, საკუთარ სახლშიც შეუძლიათ მიიღონ!

- თეატრის მხატვრულ ქმნილებებში ჩაღვრილი თვალსაზრისები, განცდები და ტენდენციები, რასაკვირველია, გარკვეულ ცხოვრებისეულ თვალსაზრისს ეფუძნებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ თეატრი მოქალაქეობრივი მიზნებისაგან სრულიად თავისუფალი არ შეიძლება იყოს, მით უფრო, რომ მუდამ არჩევანის წინაშეა: რაზე და როგორ სურს ელაპარაკოს ადამიანებს სცენიდან? რისთვის იბრძოლოს? ვის ებრძოლოს? მხარი ვის დაუჭიროს?.. სწორედ ამიტომ მოქალაქეობროივად და მხატვრულად ღირებული სპექტაკლი აუცილებელია ნებისმიერი დროისა და ქვეყნის ადამიანთა სულიერი ზრდისა და ზნეობრივი სრულყოფისათვის.

ასე შემოდის ჩვენ ცხოვრებაში თეატრი — ჭკვიანი, მომთხოვნი, კეთილი მეგობარი, ზოგჯერ მსაჯული და ამითაც ჩვენი დამხმარე.

მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრებაში ის შემოვიდა მაშინ, როდესაც ქართულ სცენაზე კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის ხელოვნება მეფობდა — 1934 წელს ცამეტი წლისამ იხილა რუსთაველის თეატრში ახმეტელის დადგმული შილერის ტრაგედია „ყაჩაღები" („ინ ტირანოს"). გავა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მნათობი" №1-2

ნახევარი საუკუნე და ცხოვრების მეშვიდე ათეულში გადამდგარი სახელგათქმული რეჟისორი, მრავლისმნახველი დიდოსტატი, თავის წიგნში „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“ დაწერს: „ეს იყო დრამატული თეატრის აღმოჩენა. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ სხვა ყველაფერმა მეორე პლანზე გადაინია. მხოლოდ თეატრი! ჭკვიანი, მამაცი, შთაგონებული ადამიანები, ციხეკოშკები, გრიგალისგან ამოგლეჯილი ხეები, მოვლენათა სწრაფი დინება და უმთავრესი – ბრძოლა სამართლიანობისთვის, ბრძოლა ჭეშმარიტი გამარჯვებისთვის.

რამდენიმე კვირა გონს ვერ მოვდიოდი, ადგილს ვერ ვპოულობდი... ახმეტელი იყო ჩემი თეატრის აღმომჩენი.“

ამგვარად, დრამატული თეატრი მ. თუმანიშვილის ცხოვრებაში შემოდის მაშინ, როდესაც ამ თეატრს უკვე გამოვლილი აქვს თავისი განვითარების მრავალი საფეხური საწყისებიდან ვიდრე მთლიანმხატვრული სპექტაკლების ანუ რეჟისურის თეატრამდე. შემდეგ იყო ომი, ჯარი, თეატრალური ინსტიტუტი და ლიტერატურა თეატრის შესახებ, რომელსაც ის ხარბად ეწაფებოდა. ასე რომ, სათეატრო ხელოვნების ასპარეზზე გამოსვლამდე, ხელოვნების ამ სახეობის შესახებ ბევრი რამ იცოდა. სახელდობრ: რომ თეატრი საზოგადოების თავისებური ცოცხალი მოდელია. რომ ის ვალდებულია მაყურებელს საკუთარი თავი შეაცნობინოს. რომ ესთეტიკური ფორმების მიუხედავად, საკუთარ სანახაობრივ საშუალებათა მოხმობით, შეაღწიოს მის ცნობიერებაში და სინდისი შეუშფოთოს... ეს ყველაფერი ჯერ კიდევ სტუდენტს აუხსნა და ასწავლა იმან, ვინც რეჟისორის პროფესიას აზიარა – გიორგი ტოვსტონოგოვმა.

იცოდა, რომ სცენის ხელოვნება ანსამბლურია და აერთიანებს როგორც ხელოვნების ყველა სახეობას, ისე მსახიობთა დასს და ყველას ხელმძღვანელ რეჟისორს. რომ დასი – ეს ერთი დიდი ოჯახია, სადაც, ცხადია, არსებობს თავისებური იერარქია, რადგან ყველას თანასწორობა შემოქმედებაში შეუძლებელია. რომ ასეთ ხალხმრავალსა და განსხვავებული შემოქმედებითი შესაძლებლობის მქონე ადამიანთა ანსამბლში მუშაობა არ შეიძლება იყოს ადვილი, რადგან ბუნებრივია კონკურენცია, თავმოყვარეობათა დაპირისპირება, შური და მრავალი კიდევ სხვა მოულოდნელი აფეთქებები – ყველა ხომ საკუთარ წარმატებაზე ფიქრობს, პირველ ყოვლისა! ამიტომ ენიჭება ასეთი მნიშვნელობა ეთიკას.

სცენის ხელოვნების ყველა გამოჩენილი მოღვაწე ადრეც და ახლაც, ეთიკას თეატრის საძირკვლებს მიაკუთვნებს, რადგან უიმისოდ ერთობლივი შემოქმედება – უბრალოდ ვერ შედგება. ვერც ესთეტიკური პრინციპები განხორციელდება ეთიკური კანონების დაცვის გარეშე, არც ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელი ატმოსფეროს შექმნაა შესაძლებელი.

ამ ატმოსფეროს სცენაზე მსახიობები ქმნიან. მათი ქმედება მუდამ სადღაც იმართება, რადგან თეატრი მუდამ სადღაც ბინადრობს და ეს ადგილსამყოფელი ერთნაირი არაა, მაგრამ უთუოდ განაპირობებს თვით სცენის ხელოვნების თავისებურებას.

იცოდა, რომ თეატრში მუდამ ორი სივრცეა – სცენისა და მაყურებელთა დარბაზისა: ხელოვანთათვის და მათ ქმნილებათა აღმქმელებისათვის – ერთი დიდი მთლიანობის ორი განუყოფელი ნაწილი. რომ თეატრი ხშირად კათედრად, სკოლად მოიხსენიება, რადგან აღმზრდელობითი დანიშნულების კერად მიიჩნევა. იგულისხმება იმგვარი აღზრდა, რომელიც ესთეტიკური სიამოვნების მინიჭებით ადამიანში მაღალზნეობისა და სულიერობის გამღვიძებელია. ასეა იგი ჩართული ქვეყნის ცხოვრებაში.

რომ თეატრის შემოქმედებით სახეს მისი რეპერტუარი წარმოაჩენს, რადგან მასში ჩანს ამ თეატრის მსოფლმხედველობრივი და მხატვრული გეზი. რაგინდ განსხვავებული იყოს თეატრების რეპერტუარი, ერთი ყველასათვის საერთოა – ისინი სპექტაკლებს წარმოადგენენ. მათი თავისებურებაც ცვალებადია, მაგრამ ყოველ მათგანს არსებობის მხოლოდ ერთი დრო აქვს და მაყურებლისათვის მხოლოდ მაშინაა მიმზიდველი, თუ სცენიდან მისთვის საინტერესოს აწოდებენ. თეატრი ხომ თავისი ბუნებითაა უკიდურესად თანადროული – ის მხოლოდ თავისი დროის მაყურებელთა თანამონაწილეობით ცოცხლობს.

ეს ყველაფერი და მრავალი კიდევ სხვა მ. თუმანიშვილმა შეიტყო სათეატრო ხელოვნების შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურიდან. ამას ასწავლიდნენ ინსტიტუტშიც. ისიც დიდი ბედნიერება იყო, რომ სათეატრო ხელოვნების უმაღლესი მხატვრული ნიმუშები მის თვალწინ იყო ქართულ სცენაზე მარჯანიშვილისა და ახმეტელის სცენურ ქმნილებებში.

მაგრამ არც ცოდნა და არც ხილვა შექმნას რომ არ ნიშნავს? ჰოდა, ისიც მთელი თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში საკუთარი გზით იკვლევდა სათეატრო ხელოვნების მხატვრული ნიმუშის – სპექტაკლის –

შეთხზვის საიდუმლოს, მაშასადამე, სასცენო ხელოვნების რაობას. მიუხედავად ამისა, მიგნებულის შესახებ წერა მოგვიანებით დაიწყო. არა იმიტომ, რომ არ ფიქრობდა, არამედ იმის გამო, რომ ძალიან დაკავებული იყო პრაქტიკული საქმიანობით: თეატრი, ინსტიტუტი, მცირე სცენის გახსნა რუსთაველის თეატრში, 60-იანი წლების „ლაშქრობანი" მისი შემოქმედების წინააღმდეგ, ბრალდებები ეროვნული თეატრის ტრადიციების ნგრევაში თეატრალური საზოგადოების პლენუმებსა და პრესაში, რაც რუსთაველის თეატრიდან მისი წასვლით დასრულდა.

უთეატროდ დარჩენილს აღმოაჩნდა დრო იმისთვის, რომ წლების მანძილზე საკუთარი და სხვისი პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბებული ნააზრევისათვის ბეჭდური სახე მიეცა. ეს გრძელდებოდა 70-იანი წლებიდან ვიდრე 90-იანი წლების დასაწყისამდე მის წიგნებსა, სტატიებსა, საუბრებსა, ინტერვიუებსა და სატელევიზიო გამოსვლებში.

მისი აზრები გამოითქმის იმ წლებში, როდესაც შეიქმნა დღეს უკვე მისი სახელობის კინომსახიობთა თეატრი და მისი სამხატვრო ხელმძღვანელისა და სულისჩამდგმელი რეჟისორის სახელი, ამ შესანიშნავი თეატრის გასტროლების წყალობით, უამრავ ქვეყანაში გახდა ცნობილი. მოიპოვა როგორც მაყურებელთა, ისე გამოჩენილ სცენისმოღვაწეთა საყოველთაო აღიარება.

საზღვარგარეთ მოგზაურობა მხოლოდ უცხოელთა მიერ მიხეილ თუმანიშვილის ხელოვნების გაცნობას არ ნიშნავდა. ისიც ეცნობოდა უცხოელთა თეატრებსა და მათ მოღვაწეებს. ასე ყალიბდებოდა ამ წლებში გამოჩენილი ქართველი რეჟისორის მოსაზრებანი იმის შესახებ, რაც უმთავრესი იყო მისთვის ცხოვრებაში — სათეატრო ხელოვნების შესახებ.

მასალა იმდენად მდიდარია, რომ ქრონოლოგიას ამჯერად პრობლემებად მისი დაჯგუფება ვამჯობინეთ და ყოველ ჯგუფში მისი ნაფიქრალიდან მხოლოდ უმთავრესი შევიტანეთ.

მ. თუმანიშვილის პირველი გამოსვლა სათეატრო პრობლემებთან დაკავშირებით მოხდა 1950 წლის 10 ოქტომბერს თეატრალურ ინსტიტუტში გამართულ დისპუტზე, რომელიც მიეძღვნა ე. წ. ფიზიკურ მოქმედებათა მეთოდის ადგილსა და მნიშვნელობას კ. სტანისლავსკის სისტემაში.

განსხვავებით ამ მეთოდის უარმყოფელი უმრავლესობისაგან, მან დაიცვა მეთოდი და რადგან არავის დაუსაბუთებია აღნიშნული მეთოდის ბინაარის უვარგისობა, ახალგაზრდა რეჟისორი იცავს მას იმით, რომ საზოგადოებას აცნობს მის არსს. სტენოგრამიდან, რომელმაც ეს გამოსვლა შემოინახა, ნათელია, რომ მ. თუმანიშვილის დებულებები ძალიან ზუსტი და კონკრეტულია: ადამიანის შეგნებული ცხოვრების ყოველი წუთი რომელიღაც სურვილითაა აღვსილი. მთელი მისი ცხოვრება სურვილების თავისებური ჯაჭვია. ეს სურვილები მან უნდა აისრულოს იმ ვითარებებსა და გარემოებებში, რომელშიც იმყოფება. ამისთვის უნდა ამოქმედდეს, გარკვეულად მოიქცეს. რადგან სურვილი ცნობიერია, მოქმედებაც ამოქმედებული აზრია, შეგნებული პროცესი. მაგრამ აზრში ჩაბუდებული სურვილი არაა საჩინო, ის უნდა გამოვლინდეს. როგორ? რა გზით? — პლასტიკით, მიმიკით, სიტყვით... ყველა ეს გზა და საშუალება ფიზიკურია. თუ სპექტაკლის ყველა მოქმედი პირის სურვილი სახეობრივ მეტყველ ფიზიკურ ქმედებაში გადმოიღვრება, ნაწარმოების დედააზრი ნათელი გახდება. გარდა ამისა, ამგვარ ქმედებას მსახიობში საჭირო განცდის აღძვრაც შეუძლია. დასკვნა — ფიზიკურ მოქმედებათა მეთოდის მნიშვნელობა უდიდესია.

ის ფაქტი, რომ მოკრძალებით გამორჩეული დამწყები რეჟისორი, მხოლოდ ერთი, ისიც წარუმატებელი სადიპლომო სპექტაკლის ავტორი ბედავს გამოვიდეს დისპუტზე და დაუპირისპირდეს მასზე გამოცდილსა და ცნობილ მოღვაწეებს, უკვეა იმის მანიშნებელი, რომ მიუხედავად გამოუცდელობისა და წარუმატებლობისა, ის ღრმადაა ჩახედული თავისი დროის თეატრალურ პრაქტიკაშიც და თეორიაშიც. სტენოგრამა ამის უტყუარი საბუთია.

თავის პირველ წიგნს — „სანამ რეპეტიცია დაიწყება..." მ. თუმანიშვილი 1977 წელს გამოსცემს. ამჯერად მკითხველის წინაშეა გამოცდილი და სახელოვანი შემოქმედი. ის პირდაპირ აცხადებს: „თეატრალურრი ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებასთან, მაყურებელთან კავშირი გახლავთ. მხატვართან, მწერალთან, მოქანდაკესთან შედარებით, მსახიობი ყოველთვის „წინა ხაზზეა", მსახიობის გარდა, ვერც ერთი ხელოანი ვერ ახერხებს საზოგადოებასთან უშუალო კავშირის დამყარებას.

სცენური შემოქმედება ნიშნავს — ადამიანებს უქადაგო საზოგადოების ყველაზე უფრო სანუკვარი იდეები.

ყოველ საღამოს მსახიობი ჩაბმულია ძალზე მნიშვნელოვან და გულახდილ დიალოგში თავის თანამემამულეებთან... თუ დიალოგი შედგა, თეატრალური ხელოვნება ცოცხლობს, თუკი დარბაზი ცარიელია, იგი მკვდარია" (გვ. 19).

ყველა დროისა და ქვეყნის თეატრთა შორის მ. თუმანიშვილი ასახელებს თეთრმეტ სახეობას, რომელთაგან უმთავრესად ორს მიიჩნევს – ცხოვრების ილუზიის შემქმნელ ე. წ. არისტოტელეს თეატრსა და ცხოვრების მოდელის შემქმნელ თეატრს. საერთოდ თეატრი კი მისთვის არის „საოცარი, სწორუპოვარი, ამაღელვებელი და განმანათლებელი სამყარო, რომელიც სცენურ იდუმალებათა საშუალებით გვიამბობს – **რაა ადამიანი.** თავის არაკებით თეატრი ასახავს ყოველივეს, რაც ხდება ადამიანთა ცხოვრებაში" (გვ. 47).

რადგან ყველა თეატრი სპექტაკლს ქმნის, მ. თუმანიშვილის საერთოდ სპექტაკლის, როგორც სანახაობის, რაობაზე ფიქრობს:

„მას ქმნიან ფიქრისა და განსჯისათვის. ქმნიან იმისთვის, რომ მანძილიდან შეხედონ პრობლემას" (გვ. 199).

„თეატრის ხელოვნება – შემოქმედთა კოლექტივისა და ამთვისებელ ადამიანთა კავშირის სისტემაა" (გვ. 269).

მისი შემდეგი ნიგნი **«Режиссер уходит из театра»** 1983 წელს გამოსცა გამომცემლობა „ისკუსტვომ", ხოლო განვრცობილი ქართული ვარიანტი – 1989 წელს საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა ოდნავ შეცვლილი სათაურით **„რეჟისორი თეატრიდან წავიდა".** მანამდე კი თეატრიდან წასული რეჟისორის ხელოვნება ქვეყნის საზღვრებს გაარღვევს უკვე არა მხოლოდ რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლებით, არამედ „კინომსახიობთა თეატრის" წარმოდგენებით. ამ წარმოდგენებს თვით გიორგი ტოვსტონოგოვი და პიტერ ბრუკი უწევენ რეკომენდაციებს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებზე.

სათეატრო ხელოვნების არსისა და დანიშნულების თუმანიშვილისეული გაგება არ შეცვლილა, გაღრმავდა და უფრო მეტად დაზუსტდა:

„თეატრის უმთავრეს ამოცანას ყოველთვის შეადგენს დიალოგი მის თანამედროვე ადამიანებთან იმ პრობლემებსა და საკითხებზე, ორივე მხარეს რომ აღელვებს.

თეატრის იდეალური არსი ასეთია: ცარიელ სცენაზეა რამდენიმე გენიალური მსახიობი, რომლებსაც აუცილებლად სწადიათ ესაუბრონ ადამიანებს და წარმოდგენილი სანახაობით რაღაც შეცვალონ მათს ცნობიერებაში" (გვ. 167).

1991 წელს თ. ჩიქოვანთან ინტერვიუში იტყვის:

„თეატრმა უნდა იქადაგოს, რომ სიყვარული, სიკეთეა ყველაფერი, რომ სიცოცხლე არაჩვეულებრივია, რომ ადამიანებს ერთმანეთი უნდა უყვარდეთ... თეატრიდან ადამიანი გალამაზებული, კეთილი, დამშვიდებული უნდა წავიდეს" (გაზ. „თბილისი", 5 თებერვალი).

გავა კიდევ ერთი წელი და 1992 წელს ჟურნ. „თეატრსა და ცხოვრებაში" (№2) გამოქვეყნებულ თავის წერილში ადრე ნათქვამს უფრო დააზუსტებს:

„სწორედ ესაა თეატრის არსი: ყოველ სპექტაკლში იმპროვიზაციულად განვლო დაბრკოლებათა, განცდათა საკუთარი გზა და ადამიანებს უამბო საკუთარ თავზე, თავად მათზე, იმ საზოგადოებაზე, რომელშიც ვცხოვრობთ".

როგორ გაფართოვდა სათეატრო ხელოვნების დანიშნულება!

დრამატურგიაზე

ყველა ზემოთქმული ეფუძნება ლიტერატურის იმ სახეობას, რომელიც იმთავითვე სცენაზე წარმოსადგენადაა გათვალისწინებული – დრამატურგიას. ასეც ამბობს მ. თუმანიშვილი:

„რას ვაკეთებთ ჩვენ თეატრში? ავტორის სიტყვებითა და რემარკებით ვკითხულობთ მოქმედ პირთა ფსიქოლოგიას, ამ ფსიქოლოგიას ვთარგმნით საქციელის, მოქმედების ენაზე, რის შედეგადაც წარმოიქმნება ხმამაღალი სიტყვა – მსახიობისა და რეჟისორის გამომსახველობითი საშუალებების გვირგვინი" (1989 წ. „რეჟისორი თეატრიდან წავიდა". გვ. 211).

ახალი არაფერი უთქვამს რეჟისორს – შეგვახსენა როგორ უნდა ერკვეოდეს სცენის ხელოვანი საკუთარი შემოქმედების მუდმივ საძირკველში.

ეს საძირკველი მხოლოდ მოქმედ პირთა მიერ წარმოთქმული სიტყვებისგან შედგება. ამგვარ სიტყვიერ ქსოვილში ავტორის ჩაურევლობაა სწორედ იმის ნიშანი, რომ ის ვარაუდობს ინტერპრეტაციას და ცოცხალ აღქერებას, რომ ის პოტენციური სანახაობაა და დანაღმულია მოთხოვნილებით გასცილდეს წასაკითხობას და მოიპოვოს ცოცხალი, სცენიდან სახილველი არსებობის შესაძლებლობა. ასეთია დრამატურგიული ნაწარმოების ორსახეობა – ის არსებობს როგორც ლიტერატურულად, ისე თეატრალურად, ქაღალდზეც და სცენაზეც.

დრამატურგიული ნაწარმოები მოქმედ პირთა რაოდენობითაც შეზღუდულია –

პიესაში მხოლოდ იმდენი მოქმედი პირის ჩართვა შეუძლია, რამდენი პიროვნების გამოვლენასაც შეძლებს ერთი სალამოს განმავლობაში. ამისთვის აუცილებელია მოვლენათა იმგვარი შერჩევა და განლაგება, რომ გმირთა ცხოვრება სწრაფად მიემართებოდეს დასასრულისკენ. პიესის ავტორმა უნდა მოასწროს ყველა მოქმედი პირის ხასიათის წარმოჩენა. ყველა კონფლიქტისა და მიზნისათვის ბრძოლის აღმოცენება, განვითარება და დასრულება.

რადგან დრამატურგი პიესას თავისი დროის თეატრისთვის წერს და მის გმირთა მომავალ ადგილსამყოფელად იმ დროის სცენას ვარაუდობს, პიესის საშუალებით ისიც შესაძლებელია შევიტყოთ, თუ რანაირი იყო იმ დროის თეატრი და რა სახის სადადგმო საშუალებები გააჩნდა მას. რეჟისორ ვს. მეიერჰოლდს მიაჩნდა, რომ ზოგჯერ დრამატურგი თეატრისგან ახალ სცენურ გამომსახველობასაც მოითხოვს. **ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო** უფრო კატეგორიულად აცხადებდა – თეატრალურ ეპოქას ავტორები ქმნიანო. **გ. ტოვსტონოგოვი** კი აცხადებს – დიდი დრამატურგები, როგორც წესი, ბრწყინვალე რეჟისორებიც იყვნენო. ნიმუშად არაერთხელ მოუხმიათ ნ. გოგოლის „რევიზორის" ფინალური რემარკა.

გარდა იმისა, რომ თეატრალური ეპოქები მწერალთა მიერ იქმნებოდა, თვით მწერლები პიროვნულადაც უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებული თეატრთან: ვაიმარის თეატრის სულისჩამდგმელი ჯერ გოეთე იყო, შემდეგ – გოეთე და შილერი, მოსკოვის მცირე თეატრისა – ა. ოსტროვსკი, მოსკოვის სამხატვრო თეატრისა – ა. ჩეხოვი, გ. ერისთავის თეატრისა – თვით გ. ერისთავი და სხვ.

სხვა მწერალთაგან განსხვავებით, დრამატურგი მკითხველსა და მაყურებელს მიმართავს არა პირდაპირ, არამედ პერსონაჟთა პირით. მისი პიროვნება ათასნაირადაა ჩაქსოვილი ამ პერსონაჟებში, რომლებიც დაუღალავად იღწვიან საკუთარი სურვილებისა თუ მიზნების განხორციელებისათვის. ყოველი მათგანი, ცხადია, თავისებურად. ეს პროცესები და მათი დასასრული მიანიშნებს მკითხველსა და მაყურებელს ავტორის სათქმელს. პიესა – თავისებური ნაგებობაა. ის უნდა იყოს ძალიან მყარი, რადგან ამ ნაგებობაში ადამიანებმა უნდა იცხოვრონ. ეს განსაკუთრებული არქიტექტურაა – აქ სათქმელი თამაშით ითქმის. იშვიათია დრამატურგიული ნიჭიერება. ამას ილია ჭავჭავაძეც აღნიშნავდა:

„დრამა უსათუოდ სულისა და გულის უდიდეს ძვრაზე უნდა იყოს აგებული და აშენებული და ეს უდიდესი ძვრა სულისა და გულისა ერთადერთი საგანია დრამისა. ერთადერთი ბუნებაა მისი. ამით იცნობება იგი დრამად... გული დრამისა უნდა გამოხსნას თითოეულმა სცენამ, თითოეულმა მოქმედმა ისე, როგორც გორგალი ძაფისა წვერმა და, საცა ეს გორგალი არ არის, ან ავტორს არ დაუხვევია, იქ ამაოა ძაფების ტყუილ-უბრალო ცოდვილობა, ნევა და გრეხა. შინაგანი ძალი დრამისა უნდა გამომეტყველებდეს გარეთ და არა ავტორი შიგ ჩასძახოდეს გარედამ".

სულისა და გულის დიდი ძვრა იმას ნიშნავს, რომ დრამის მონაწილენი არ არიან მშვიდნი, რადგან რაღაცის შეცვლას ლამობენ, მით უფრო, თუ მამოძრავებელი სურვილი ან მიზანი ძლიერია. მაშინ მის განსახორციელებლად ჩადენილი ქცევაც მნიშვნელოვანი, ვითარების შემცვლელი და ახალი სურვილების აღმძვრელია. დრამაში საშუალებები დინამიკური უნდა იყოს, რადგან ინტერესი ადამიანს ააქტიურებს. აქტიური უნდა იყოს მისი აზრიც, გრძნობაც, სიტყვაც, ქმედებაც, პლასტიკაც, მზერაც, მდუმარებაც და თვით გარეგნული უმოქმედობაც კი. ყველა შინაგანი მამოძრავებელი სტიმული ქცევაში უნდა გამოვლინდეს. დრამაში მთავარია არა მსჯელობა და სიტყვიერი ინფორმაციები, არამედ მოქმედება. ის ჩაისახება ადამიანის სულში და იქიდან მოედინება.

ეს შინაგანი ბიძგი გარკვეული სახის ენერგიაა. რაც უფრო დიდია წინააღმდეგობა, მით უფრო აქტიური ხდება ადამიანი. ითვლება, რომ ყოველი ნიჭიერი დრამატურგის პიესაში მუდამ არსებობს თავისებური ე. წ. ავტორისეული რეჟისურა. გ. ტოვსტონოგოვის აზრით სპექტაკლის მხატვრულ ხერხსაც რეჟისორს პიესა კარნახობს მთელი თავისი სიტყვიერი ქსოვილით, მცირე რემარკების ჩათვლით. ყველაზე უბრალო, უმოკლესი რემარკაც – „შემოდის", „გადის" და სხვა ამგვარი – ცვლის ვითარებას, მოქმედ ძალთა თანაფარდობას. ზოგჯერ რადიკალურადაც ცვლის. ავტორისეული რემარკა და პერსონაჟის სათქმელი სიტყვა ერთმანეთს განაპირობებს, ამიტომ მათი გათიშვა არ შეიძლება.

პიესის ყოველი მოქმედი პირი გარკვეული დროის განმავლობაში მოქმედებს, რადგან მისი სცენური სიცოცხლის ხანგრძლივობა განსხვავებულია – ის შეიძლება წუთიერ გამოჩნდეს, შეიძლება ერთ ეპიზოდში იყოს ჩართული, შეიძლება მთელი სპექტაკლის განმავლობაში თითქმის არ გადიოდეს სცენიდან. მათი მამოძრავებელი მოტივებიც განსხვავებულია თავისი მნიშ-

ვნელობით და ინტენსიობით. ყველა შემთხვევაში, პერსონაჟის ნებისმიერი ჩართვა პიესაში რაღაცას მატებს ამ როლის განვითარების ჯაჭვს, ამავე დროს მოქმედ პირებს ერთმანეთთან აკავშირებს. პიესის მხატვრული მთლიანობა მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისაგან შედგება.

ხანარმოების დედააზრი ხელოვანის ჩანაფიქრია. ის წარმართავს ყველაფერს, უწყვეტ ხაზად გასდევს და წინ უბიძგებს გმირათა ცხოვრების მიმდინარეობას. გუსტავ ფლობერის ნათქვამია: „თავის ქმნილებაში ხელოვანი, მსგავსად ღმერთისა, უნდა იყოს უხილავი და ყოვლისშემძლე. ის უნდა იგრძნობოდეს, მაგრამ არ უნდა ჩანდეს".

დრამატურგიული სიტყვა, პირველ ყოვლისა, პარტნიორზე ზემოქმედებისათვის არსებობს. ეს სიტყვა უნდა გადმოგვცემდეს არა ადრე ნაფიქრალის მზა შედეგებს, არამედ სასურველი შედეგისათვის სიტყვიერ ბრძოლებს.

მოქმედი პირის მიერ წარმოთქმული სიტყვა პიესაში ან მონოლოგია ან დიალოგი. **მონოლოგი** — ხმამაღალი ფიქრია. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ფიქრობდე და ბადებდე სიტყვას და არა უბრალოდ წარმოთქვამდე მას. ფიქრი კი აზრთა დინებაა, ოღონდ მღელვარე და ამაღელვებელ აზრთა დინება.

მონოლოგი პიესაში შეიძლება არც იყოს, შეიძლება ის მხოლოდ **დიალოგებისაგან** შედგებოდეს, რომელიც მუდამ დატვირთულია სურვილით ზეგავლენა მოახდინოს მეორე ადამიანზე და ამით არსებული ვითარება თავის სასარგებლოდ წარმართოს. ზოგჯერ რამდენიმე რეპლიკაში გადმოიშლება ხოლმე ადამიანის სულიერი მდგომარეობის მთლიანი სურათი, მისი პიროვნული არსი. კარგი პიესა ენობრივად დაწურულ-დადულაბებულია და ყველა მისი მოქმედი პირი მისებურად ლაპარაკობს, როგორც ეს ცხოვრებაშია.

რადგან დრამატურგიული ნაწარმოების ფაქტურა წარმოთქმული სიტყვების მონაცვლეობაა, ტექსტთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეტექსტს. პიესის პერსონაჟის მიმართ მუდამ ისმის კითხვა — რას გვაუწყებს მის მიერ თქმული და რას — მისი მდუმარება ამ კონკრეტულ ვითარებაში? მით უფრო, რომ წარმოთქმულ სიტყვას არც ინტონაციის მითითება ახლავს, არც მახვილები. ამიტომ პიესის მკითხველსაც და სცენაზე მის განმახორციელებელსაც აქვს საშუალება დრამატურგიული ტექსტი თავისებურად ამოხსნას.

ქვეტექსტი — ესაა მოქმედი პირის სცენური ცხოვრების უწყვეტობის მანშნებელი ის ქვედა შრე, რომელიც გამოიხატება სიტყვისა და ხილული ქცევის მიღმაა მიმალული. ადამიანი არც ცხოვრებაში და არც სცენაზე არ არსებობს მხოლოდ იმ სიტყვებით, რომლებსაც იგი წარმოთქვამს — იქაც და აქაც მის არსებობას თან ერთვის რაღაც უთქმელი, რომელიც უეცრად სადღაც ასე თუ ისე იჩენს თავს. ეს ეხება დრამატურგიის ყველა ჟანრს — ყველა იმ რაკურსს, რომლითაც განიხილავს ავტორი ცხოვრებისეულ მოვლენას.

დრამატურგიაზე მ. თუმანიშვილის ნააზრევის წარმოჩენასაც პრობლემების მიხედვით ვირჩევთ. ქრონოლოგიას ამ შემთხვევაშიც თვით ნააზრევშიც დავიცავთ, რათა ნათელი იყოს რანაირად მიემართებოდა მისი ფიქრი.

1977 წელი. „სანამ რეპეტიცია დაიწყება..."

„პიესა შინაგან პროცესთა ამსახველი ჩანაწერია" (გვ. 57).

„პიესა — ეს დიდი მოვლენაა, რომლის გარშემო თავი მოუყრია განსხვავებული რწმენის, ხასიათის, მოთხოვნილებათა და მიდრეკილებათა ადამიანებს, თანაც პიესა მხოლოდ ერთი ეპიზოდია, შესაძლოა, მათი ცხოვრების მთავარი ეპიზოდი" (გვ. 93-94).

„პიესა მრავალი ეპიზოდისაგან შედგება. ყველა ეს ეპიზოდი ერთ კანონზომიერებას უნდა დავუმორჩილოთ, ვაიძულოთ ემსახურონ ერთიან აზრს, ერთიან მოძრაობას, ერთიან მოქმედებას. ეს საერთო მნიშვნელი არის გამჭოლი მოქმედება და ზეამოცანა. უნდა ვისწავლოთ ყოველი სცენის ხელახლა გააზრება, რათა იგი გამჭოლ მოქმედებას დაემორჩილოს" (გვ. 101).

„პიესა მწერლის მიერ თავის გმირებად ქცეული ადამიანების ლაპარაკია ქაღალდზე გადატანილი... სულ ლაპარაკი, სიტყვები, სიტყვები... და რემარკები... რა უნდა გააკეთონ რეჟისორმა და მსახიობებმა, რომ სიტყვები (ლაპარაკი) და მათი კომენტარები (რემარკები) იქცეს სპექტაკლად? (გვ. 116).

მთელი ცხოვრება ამ მაწვალებელ კითხვაზე პასუხის მისაგნებ გზებს ეძებდა. ერთ საუკეთესო გზად თვით პიესის ავტორთან ერთად შექმნა აირჩია და მიმართა კიდეც ასეთი წინადადებით ცნობილ ქართველ დრამატურგ თამაზ ჭილაძეს. მათი საუბარი გამოქვეყნდა ჟურნ. „თეატრალურ მოამბეში" (1979. №6). რადგან რეჟისორის დრამატურგთაგან ამგვარი დაწყვილების სურვილის სხვა შემთხვევის გახსენება არ შემიძლია, მათი საუბრის ერთ მონაკვეთს ვთავაზობ მკითხველს:

მ. თუმანიშვილი: „... მოდით, ასეთი ცდა ჩავატაროთ, ერთად ავიღოთ რაიმე თემა, თქვენ მოიფიქრებთ გარკვეულ კონსტრუქციას, სტრუქტურას და მსახიობებს ეტყვით რა თემაზე უნდა ილაპარაკონ და იკამათონ მომავალმა გმირებმა. აი, ასეთი იმპროვიზაციული ხერხით მოქმედებაში გაკეთდეს ესკიზი. როდესაც დარწმუნდებით, რომ მიიღებთ იმას, რაც გსურდათ, უკვე პრაქტიკული საყრდენიც გექნებათ... რატომ არ შეიძლება, რომ ჩვენ ურთიერთობის ასეთი გზა გამოვნახოთ? თქვენ ხომ მარტო მუშაობთ, არ შეიძლება ერთად ვიმუშაოთ?

თ. ჭილაძე: „გულწრფელად რომ გითხრათ, მე უტოპიად მეჩვენება რეჟისორისა და დრამატურგის ერთად მუშაობა. უფრო სწორად, ისეთი სიტუაცია, როგორსაც თქვენ გვთავაზობთ. განა ჩვენს რომელიმე დრამატურგს შეუძლია იოცნებოს ისეთ ბედნიერებაზე, რომ რომელიმე დასი თავის ჩანაფიქრზე, გეგმებზე ავარჯიშოს, ყოველ წამს შეამოწმოს სიტყვის ქმედითობა?" (გვ. 59).

ძნელია დრამატურგისადმი რეჟისორის დამოკიდებულების მაუწყებელი ამაზე მეტად საინტერესო და უჩვეულო ფაქტის მოხმობა. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მთავარი ის არაა, რომ ეს უჩვეულო დაწყვილება არ შედგა. მთავარია სცენის ხელოვანის სურვილი მწერალთან ზედმიწევნითი სიახლოვისა და ის, თუ ვის ირჩევს იგი საამისოდ.

სხვა დრამატურგისათვის ამგვარი თხოვნით მ. თუმანიშვილს არ მიუმართავს, მაგრამ დრამატურგიაზე მისი ფიქრი არ შეწყვეტილა — პიესას ხან ავადმყოფობის ისტორიის ჩანაწერს ადარებს („რეჟისორი თეატრიდან წავიდა") ხან სამხედრო გზას, დიალოგს — ხან პინგ-პონგს, ხან — მორიგ რაუნდს და ძალიან ბევრს ფიქრობს მწერლის ქმნილებაში სხვა ხელოვანთა (რეჟისორებისა და მსახიობების) ჩარევაზე.

1998. „ახლა კი, ფარდა..."

„ორკესტრმა ის უნდა დაუკრას, რაც ნოტებში წერია. მესმის, რომ შეიძლება პიესის მონტაჟი გაკეთდეს. თვითონაც მოვქცეულვარ ასე, რათა რაღაც გამეძლიერებინა, რაღაცისთვის ხაზი გამესვა. შეიძლება, ზოგიერთი ფრაზა ამოაგდო, ვინაიდან ეს ფრაზები, ჩვენი აზრით, აღარაა აქტუალური და აუცილებელი, მაგალითად, „ლირის" მასხარას ზოგიერთმა ხუმრობამ დაკარგა თავისი სიმძაფრე იმიტომ, რომ დღეს ჩვენ, უბრალოდ, რიგიანად ვერც კი წარმოგვიდგენია რაზეა საუბარი. არსებობს რაღაც-რაღაცეები, რაც დროს გადაყვება ხოლმე. როგორც ჩანს, ისინი მხოლოდ იმ დროისთვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ თავად დრამატურგიის, მისი სტრუქტურის შეცვლის უფლება, უბრალოდ, არა გვაქვს [illegible] რომ სიმფონიაში მუსიკა შეევცვალოთ ჩვენ შეიძლება არანჟირებას მივმართოთ, [illegible] ახლახან მოვისმინე მენდელსონის „[illegible] ღამის სიზმარი" თანამედროვე არანჟირებით. განსაცვიფრებელი იყო! მაგრამ ამაში ავტორისადმი პატივისცემა იგრძნობოდა. როდესაც ჩვენ ერთ პიესას ვიღებთ, რაღაც სულ სხვას კი ვდგამთ, მაშინ იბადება კითხვა: არ ჯობდა, სხვა პიესა აგვერჩია? (გვ. 148-149).

„თუკი მაინც და მაინც გადავწყვიტეთ გადაკეთება, მაშინ უმჯობესია ისე მოვიქცეთ, როგორც ბ-ნი ბ. ბრეხტი იქცეოდა. ის გადააკეთებდა ხოლმე პიესებს, მაგრამ ყოველთვის ანერდა „ბრეხტი — შექსპირი". ამის უფლება ყოველ ხელოვანს აქვს, მაგრამ ხომ არ შეიძლება ვისარგებლოთ იმ გარემოებით, რომ დღეს შექსპირს არა აქვს საშუალება სასამართლოში გვიჩივლოს, როდესაც მის ნაწარმოებს ვასახიჩრებთ. იმას მოგახსენებთ, რომ თუკი შოპენის „მაზურკას" ვიღებთ, არ უნდა ვეცადოთ ვალსი დავუკრათ.

ჯერ იმის დაკვრა ვისწავლოთ, რაც პიესაში, ნოტებში, პარტიტურაში წერია, შემდეგ კი შეიძლება შესრულებაზე, იმპროვიზირებაზე ვიფიქროთ. როლებზე მუშაობისასაც იგივე ხდება. ხშირად იმპროვიზაციას ნოტების ამოუკითხავად ვახდენთ. ჯერ სიმეტრიის აგება, წონასწორობის შექმნა ვისწავლოთ და მხოლოდ ამის შემდგომ დავარღვიოთ ის და არა პირუკუ. ჯერ ვისწავლოთ სცენაზე უტყუარი ცხოვრების შექმნა ყველა წვრილმან-მსხვილმანით და მხოლოდ ამის შემდგომ მოვაშოროთ მას ყოველი ზედმეტი, გარდავსახოთ ის პირობითობად, გამოვძერწოთ მეტაფორა. ჯერ არქიმედესეული საყრდენი წერტილი, შემდგომ ამისა — ფარდობითობა და არა პირუკუ. ჯერ ცხოვრება და მხოლოდ ამის შემდგომ — განსხვისება. თავიდან გვჭირდება საგანი, ფაქტი, მოვლენა ისეთი, როგორიცაა სინამდვილეში (თუნდაც, წარმოსახვაში). სხვაგვარად არც არაფერი იქნება განსასხვისებელი, „დასამახინჯებელი", სხვა მხრიდან შესახედი (გვ. 149-150).

ამ თვალსაზრისს ის ბოლომდე უერთგულებს —

„ავტორისეული ბუნებისადმი, მისი სულისადმი უფაქიზესი დამოკიდებულება თეატრის უპირველესი კანონია" (გვ. 227-228).

„ბარსაკის თეატრი – „ატელიე" თამაშობდა სპექტაკლს „ერთი თვე სოფლად" – დიდი დივანი. მის კუთხეებში ორი ქალი ზის და ოცი წუთის განმავლობაში თითქოს არც მოძრაობს. მაგრამ, არსებითად, ბრძოლით გართულნი, ზვერავენ ერთმანეთს, ეპარებიან, ვითომ უკუიქცევიან, მოულოდნელად თავს ესხმიან. და ეს ყველაფერი ვით მაქმანი, ფაქიზია, როგორც თავად ტურგენევის პიესა. მხოლოდ გაღიმებაა, თითქოს გაღიმება, რომელიც მერე ქრება, დაიმალება, თვალებში რაღაც გაკრთება, შეშფოთება, იგრძნეს, რომ ერთმანეთს მახეს უგებენ..." (გვ. 139).

„საინტერესოა, როგორ არის ორი ადამიანი სცენაზე ერთიმეორით დაკავებული. ერთიმეორით_დამუხტული, „შთანთქმული". მათ შორის რაღაც ძალზე პირადული, ინტიმური, მხოლოდ და მხოლოდ მათი ხდება. ამ ორი ადამიანის სიღრმისეულ შრეებში ერთმანეთისადმი არაჩვეულებრივი ინტერესი იბადება. მაყურებელი კი ამ ორი სულის, სხეულის ერთიმეორით არაჩვეულებრივი დაინტერესების მოწმე ხდება. ისინი იწვიან ერთიმეორეში, როგორც არტო ამბობს: „მსახიობები კოცონზე მდგარ მოწამეებს უნდა ჰგავდნენ, რომლებიც ჯერ კიდევ ასწრებენ ჩვენთვის გარკვეული ნიშნების მოწოდებას თავიანთი ალმოდებული ბოძებიდან (გვ. 259).

განა გასაკვირია, რომ დრამატურგიაზე დაფიქრებული მ. თუმანიშვილი ისევ თეატრთან მიდის – სპექტაკლთან და მსახიობთან, ვინც დრამატურგის ქმნილება უნდა გააცოცხლოს? განა ამისთვის არ ცდილობს ამოიცნოს საიდუმლო ამ უცნაური ლიტერატურისა, რომელიც ხან სცენაზე უნდა გააცოცხლოს, ხან ტელევიზორის პატარა ეკრანზე?

1971 წელს საქართველოს ტელევიზიამ მ. თუმანიშვილი ჟ. კოკტოს „ადამიანის ხმის" დასადგმელად მიიწვია.

გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა შექმნა სერია ერთმოქმედებიანი პიესებისა მხოლოდ ერთი მოქმედი პირით. რა თქმა უნდა, იმის იმედით, რომ ამ ერთ მოქმედ პირს განასახიერებს ისეთი მსახიობი, რომელსაც აქვს ძალა მაყურებელი თავისი სვე-ბედითა და განცდებით წარიტაცოს. „ადამიანის ხმა" ამ სერიიდანაა.

პიესა შედგება ნახევარი დიალოგისგან – ესაა უკანასკნელი სატელეფონო საუბარი ქალისა საყვარელ კაცთან. პარტნიორის სიტყვები ჩვენ არ გვესმის, რა არის მათი განშორების მიზეზი, არ ვიცით, მხოლოდ ის ვიცით, რომ განშორება გარდუვალია.

პიესა სცენაზე წარმოსადგენადაა გათვალისწინებული, ჩვენ ის ფერადი ტელევიზიით ვიხილეთ სოფიკო ჭიაურელის მონაწილეობით. ნახევარ საათს – განმავლობაში ლაპარაკობდა ტელეფონით. ერთი წუთით არ გეპარება ეჭვი იმაში, რომ ამ დროს არცერთი მაყურებლის ყურადღება ტელეეკრანს არ მოწყვეტია.

რაში იყო ეკრანზე გაცოცხლებული ქალის ჩვენზე ზემოქმედების ასეთი ძალა? იმაში, რომ ჩვენ მხოლოდ მის სიტყვებს კი არ ვისმენდით, ამავე დროს ვხედავდთი რა ხდება იმ მშვენიერი არსების სულში, რომელსაც ახლა უკანასკნელად ესმოდა ძვირფასი ადამიანის ხმა.

პირობა, რომელსაც სთავაზობს ჟ. კოკტო თეატრს ამ პიესით, რთულია. მსახიობი მარტოა, პარტნიორი არ ჰყავს. პირობები, რომლებსაც სთავაზობს ჟ. კოკტო ამ პიესის დამდგმელ რეჟისორსა და გმირის განმასახიერებელ მსახიობს ტელევიზიაში, კიდევ უფრო რთულია: მსახიობი მარტოა, მაგრამ არა სცენის დიდ სივრცეში, არამედ პატარა მოედანზე, სატელევიზიო ეკრანის მცირე ზომის ჩარჩოში. ეს ეკრანი მოითხოვს ყოველი დეტალის ზედმიწევნით სიზუსტეს და გამომსახველობას. როგორ გინდა მიაღწიაო მათ მრავალფეროვნებას, როცა ქალი ლაპარაკობს ტელეფონით და, მაშასადამე, აპარატს ვერ სცილდება?

გაითვალისწინა რა ეს ყოველივე, მ. თუმანიშვილმა ოქრომჭედლის სიზუსტით დაამუშავა ტელეფონს მიჯაჭვული პიესის გმირი ქალის ქცევათა ხაზი. მიზანსცენები იშლებოდა ტელეფონის გარშემო – იმ უძვირფასესისა, რაც ახლა არსებობს ამ ქალისთვის. ყველაზე შორი მანძილი – ყურმილის ზონარის სიგრძეა. თურმე რა მეტყველია ასე ნაცნობი სატელეფონო აპარატი, თუ მას სოფიკო ჭიაურელის თვალებით უმზერ და ძვირფასი ადამიანის ზარს ელოდები... სულის ტანჯვის რა ძალაზე შეუძლია გვიამბოს სპირალად კლაკნილმა სატელეფონო ზონარმა, თუ ის ძვირფასი ადამიანის ხმის გამტარია... ოსტატი რეჟისორის ხელში განსაცვიფრებლად მეტყველებდნენ ყოველდღიური სახმარი საგნები: სავარძელი, ქურქი, სიგარეტი, ქაღალდის ფურცელი...

ამ უფაქიზეს რეჟისორულ ქსოვილზე იშლებოდა სოფიკო ჭიაურელის მთრთოლვარე აქტიორული ნახატი – მისი სიყვარული და სინაზე, კვნესა და ყვირილი მისი სულისა, შეგუბებული ცრემლი, ბავშვურად ულამაზო ტირილი სისუსტის წუთებში, მდუმარების შემაშფოთებელი წამები და მზერა – მზერა ქალისა, რომელსაც უყვარს...

ახალი წახნაგით გამოანათა სოფიკო ჭიაურელის ნიჭმა ამ როლში. მისი გმირის ნახევარსაათიანი ეკრანული ცხოვრების ყოველი წამი გააზრებული, ტანჯვით გადატანილი და ქმედებაში გამოვლენილი იყო. ყველაფერი უმთავრესზე მიმართული — თავის უზარმაზარ გრძნობასთან ბრძოლაზე იმ წუთებში, როცა ის უკანასკნელად ელაპარაკება საყვარელ ადამიანს და ცდილობს გაამხნევოს ის, რომელიც სხვას ერთავს ცოლად და ხვალ მასთან ერთად მიემგზავრება! ასეთი ტანჯვის წუთებში სხვაზე რატომ ზრუნავს ეს ქალი? ავტორი ჩვენ ცნობისმოყვარეობას არ აკმაყოფილებს, რადგან მთავარი არაა „რატომ" — მთავარია, რომ ადამიანს შეუძლია უყვარდეს თავდავიწყებით. ამით იყო ძლიერი ის ქალი, ეკრანზე რომ ვხედავდით. მშვენიერი იყო იგი და ამიტომ მასთან შეხვედრა გაღელვებდა, აგამაღლებდა.

ამ დადგმაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა მ. თუმანიშვილის მსახიობთან მუშაობის გასაოცარი უნარი. მასთან ერთობლივი შემოქმედებით ადამიანის სულიერი ცხოვრების რთული პროცესის წარმოჩენისა ისე სადად და დამარწმუნებლად, რომ შეიძლება მოგჩვენებოდა, თითქოს ამნაირად დადგმაც და ამნაირად თამაშიც ადვილია. ამაში იყო საიდუმლო ჟ. კოკტოს პიესის სატელევიზიო დადგმის წარმატებისა. და კიდევ იმაში, რომ ფრანგი ქალის განმასახიერებელი ქართველი მსახიობის განცდები უფრო ძლიერ იყო, ვიდრე ეს პიესაში იკითხება და მისი სულის ჭრილობებიც უფრო ღრმა.

გავა ოცი წელი. მ. თუმანიშვილი 70 წლისა გახდება. ამ თარიღთან დაკავშირებით ბევრი დაიწერება. მათ შორის სოფიკო ჭიაურელის წერილიც, რომელიც მან მისწერა რეჟისორს ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების" ფურცლებზე სათაურით „არ დავდებ ყურმილს". მრავლისმთქმელია იგი წერილის ავტორზეც და მის ადრესატზეც, ამიტომ მთლიანად მოგვყავს:

„ბატონო მიშა! „თეატრი და ცხოვრების" რედაქციიდან დამირეკეს და მთხოვეს თქვენზე რამდენიმე სიტყვა დამეწერა. გავიფიქრე, მაქვს კი უფლება, რომ თქვენზე რაიმე დავწერო? ჩავფიქრდი, გავიხსენე ჩვენი ერთად მუშაობის ბედნიერი წუთები (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ბედნიერი) და გადავწყვიტე, ალბათ მაქვს...

მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ცნობილ „შვიდაკაცას" არ ვეკუთვნი (სხვა თაობისა და სხვა თეატრის წარმომადგენელი ვარ), ვერც იმას ვიტყვი, რომ თქვენი საყვარელი მსახიობი ვიყავი, მაგრამ ერთადერთი ვარ, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება თქვენთან, როგორც ფრანგები იტყვიან, ხოლმე, ტეტ-ა-ტეტ მემუშაშვა და ეს მოხდა მაშინ, როდესაც სატელევიზიო დადგმაში — ჟ. კოკტოს „ადამიანის ხმაში" მონაწილეობა შემომთავაზეთ. ღმერთო, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ...

— ალო, ალო, შენა ხარ? ცუდად ისმის, თითქოს ძალიან შორს იყო... ალო... რა საშინელებაა... გესმის, რა ხდება ყურმილში...

გახსოვთ, ბატონო მიშა, ტელევიზიის ერთ პატარა ოთახში რა საოცარი რეპეტიციები გვქონდა. რეპეტიციები, რომლებიც ამდენ გრძნობას, ფანტაზიას, სიყვარულსა და ეჭვს აღძრავდნენ, მაგრამ ეს სულ სხვა ეჭვი იყო, ეჭვი იმისა, ვაითუ რაღაც არ გამოგვივიდა, ვაითუ სწორი გზით არ მივდივართ...

თქვენ ეჭვიანი კაცი ხართ. ეჭვიანობთ, როდესაც თქვენი მსახიობი ვიღაცით არის გატაცებული, თუ თქვენ მსახიობს ფილმში იღებენ, ან სხვა რეჟისორი იწვევს სამუშაოდ. ეჭვიანობთ პარტნიორზე. ბოლოს და ბოლოს, ეჭვიანობთ მის ოჯახზე. ეს ყოველივე მე მიგრძვნია თქვენთან სხვა პიესებზე მუშაობისას, თუნდაც „ზაფხულის ღამის სიზმარი" და „მილიარდერის ვიზიტი" რომ გავიხსენოთ. იქ ჩვენ გარდა სხვებიც იყვნენ და თქვენ ყველაფერი გაღიზიანებდათ, ნერვებს გიშლიდათ.

ჟ. კოკტოს „ადამიანის ხმაზე" მუშაობისას კი ჩვენ მარტონი ვიყავით, მე და თქვენ. არავინ და არაფერი გიშლიდათ ხელს. როგორც იცით ხოლმე, მთლიანად ჩაფლული იყავით იმ საოცარ სამყაროში, რასაც „რეპეტიცია" ჰქვია და რისი გაგებაც მხოლოდ რეჟისორს და მსახიობს შეუძლიათ.

— ალო... ალო... ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ტყუილს არასოდეს ვეტყოდით ერთმანეთს. ეს უბრალოდ ბოროტება იქნებოდა...

მერწმუნეთ, ბატონო მიშა, დამიჯერეთ, რომ ისეთი ბედნიერი, როგორც მსახიობი, მე არც ადრე, არც მერე აღარ ვყოფილვარ.

საკმაოდ ამაღელვებელი, საინტერესო სპექტაკლი გამოვიდა. წარმოიდგინეთ, რაოდენ მტკივნეული იყო ჩემთვის, როდესაც შევიტყვეთ, რომ ეს სპექტაკლი წაშალეს, ვინაიდან მორიგი საფეხბურთო მატჩისა თუ ჩაის მკრეფავების გადასაღებად ფირი დასჭირდათ. ასეთი ყოფილა ჩვენი ხვედრი...

— ალო... ალო... რა, მე ვთამაშობ? მე? განა შენ არ მიცნობ, არ იცი, რომ მე თამაში არ შემიძლია?..

ბატონო მიშა, ჩემი გმირისგან განსხვავებით, ვაცხადებ, რომ თამაში კიდევ შემი-

ძლია. რა ხმამაღალი განცხადებაა არა? მაგრამ დღეს, პლურალიზმისა და დემოკრატიზაციის ეპოქაში, ჩვენ შევეჩვიეთ ამგვარ თამამ განცხადებებს, ამიტომაც ვამბობ, უბედნიერესი ქალი ვიქნებოდი, თუ განგება კიდევ ერთხელ მომანიჭებს თქვენთან მუშაობით განცდილ ბედნიერებას.

— ალო... კინაღამ წამომცდა ნახვამდის... უეცრად გამახსენდა, რომ უკვე ყველაფერი დამთავრდა... ჩემო ძვირფასო!.. აბა ჩქარა დადე ყურმილი, ნუღარ აყოვნებ... ძალიან მიყვარხარ... მიყვარხარ...

მე კი, ბატონო მიშა, არ დავდებ ყურმილს..."

ვინ წერს ამას? ვინ ელის მასთან შეხვედრას, როგორც ბედნიერებას? — სოფიკო ჭიაურელი, ამ დროისთვის სახელგანთქმული კინოვარსკვლავი, რომელიც ყველა რეჟისორისთვის სასურველი მსახიობია! ალბათ, იმიტომ, რომ მსახიობთან მუშაობა ასე საინტერესოდ, ადამიანის სულის სიღრმის ასეთი წვდომით და სიფაქიზით მხოლოდ მ. თუმანიშვილს შეეძლო. მსახიობისთვის ეს იყო უმთავრესი. რეჟისორისთვის? ისეთ მსახიობთან დაწყვილება, ვისაც შეუძლია სიყვარული განასახიეროს სცენაზე... და ეკრანზეც, მანამდე კი, რეპეტიციებზე მუშაობის პროცესში საკუთარ სულში ეძებდეს იმ გრძნობის საყრდენებს, ეკრანზე რომ ამეტყველდება. მასთან ერთად რეჟისორიც ხომ განიცდიდა სულის იმ სასწაულებრივ მდგომარეობას, სიყვარული რომ ეწოდება. ის უძვირფასესი თემა იყო მ. თუმანიშვილისთვის მთელი მის შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში. მართლაც, რაგინდ აშაღელვებელიც უნდა ყოფილიყო ის პრობლემები, დროდადრო რომ დააყენებდა მის წინაშე ცხოვრება, სიყვარულის თემა მუდმივ თანმდევი იყო მისი შემოქმედებისა. ამჯერად კი ასეთ უჩვეულო ნაწარმოებში, სადაც მასთან პარალელურად არც ერთი სხვა თემა არ არსებობდა. აქ სიყვარულის ძალა განშორების ჟამს ჟღერდა უჩვეულო სიძლიერით.

რამდენი მაყურებელი დაფიქრდა მაშინ სიყვარულზე? ამ ღვთაებრივ, საიდუმლო გრძნობაზე, რომლის ბედნიერებაც ყველას არ ხვდება წილად ცხოვრებაში, მაგრამ ყველასთვის, უკლებლივ ყველასთვის სანატრელია.

იმაზედაც, თუ რატომაა გარდუვალი იმ ორი ადამიანის განშორება, რომელთაგან ეკრანზე მხოლოდ ერთს ვხედავთ? იმაზედაც, რომ ამ შემთხვევაში სიყვარული მაინც გაიმარჯვებს, რადგან ჭეშმარიტი სიყვარული განშორებაზედაც უფრო ძლიერია. ის მაინც ცოცხლობს.

ვინ იცის, ვინ რას იხსენებდა ამ მშვენიერ არსებასთან ნახევარსაათიანი შეხვედრის შემდეგ, როცა მასთან ერთად დიდმა სიყვარულმა ჩვენ სახლშიაც შემოანათა?

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ბუაჩიძე

მნიშვნელოვანი მოაზროვნე

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის კულტურულ ვითარებას საქართველოში არაერთი მკვლევარი იკვლევს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი და განსახილველი. მთლიანი პანორამის აღდგენისათვის კი იმ მოღვაწეთა, ხელოვანთა და მოაზროვნეთა შემოქმედების წარმოჩენაა საჭირო, რომელთა სახელებიც შესაძლებელია დავიწყებას არ მისცემია, მაგრამ დღეს კიდევ ერთხელ მოითხოვს გახსენებას.

პროფესორმა დავით თევზაძემ სათანადო კომენტარებით გამოსცა ვასილ წერეთლის ლიტერატურული წერილები და მემუარები. წიგნი გამოსცა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა, გამომცემლობა „მერანმა“.

ვასილ წერეთელი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო და მისი ლიტერატურული თუ პოლიტიკური ნააზრევის გაცნობა საინტერესო ეპოქის მეტად საგულისხმო სურათს გვათავაზობს.

წიგნის სტრუქტურა ასეთია: წინ უძღვის დავით თევზაძისეული შესავალი და ბიოგრაფია, აქვეა მისივე წერილი „ვასილ წერეთელი და მესამე დასი“, შემდეგ თვით ვასილ წერეთლის პუბლიცისტური წერილები, ესთეტიკურ-ლიტერატურული ნააზრევი, ლიტერატურული კრიტიკა, საზღვარგარეთის ლიტერატურის საკითხები, ციკლიდან „სოციალური უტოპიები“, მემუარები ქართველ მწერლებზე.

რასაც არ უნდა ეხებოდეს ვასილ წერეთელი – ქართველი მარქსისტების თუ ჩვენში ფეხმოკიდებული დეკადენტური ტენდენციების კრიტიკას, მისი მსჯელობა გაწონასწორებულია, საფუძვლიანი და კომპეტენტური. ვთქვათ, ავტორის ფილოსოფიურ-ესთეტიკური განსჯა მხატვრულ ლიტერატურასა და მეცნიერებას შორის განსხვავებაზე მრავალმხრივ არის ყურადსაღები. აქ მკითხველს თვალში ხვდება ვ. წერეთლისეული ხელოვნების და ლიტერატურის ურთულესი ბუნების წვდომისთვის გამახვილებული ალღო. აღარაფერს ვამბობთ, ევროპელ მოაზროვნეთა ნააზრევის გაგებაზე და გადმოცემაზე, სულ ერთია ეს ვინ იქნება, სპენსერი თუ შოპენჰაუერი. აი, რას წერს დავით თევზაძე: „ვასილ წერეთლის ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებები ჩამოყალიბდა ქართველ სამოციანელთა ლიტერატურულ ნააზრევზე (არაიზოლირებულად იმდროინდელი ევროპელი მოაზრეებისაგან) და, უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს რეალისტური პრინციპების დაცვას მწერლობაში. იგი თავისი დიდი წინაპრების დარად, მხატვრულ ლიტერატურას ანიჭებს ხალხის გონების გაფართოებისა და გონებრივი ბუნების ამაღლების საზოგადოებრივ ფუნქციებს“.

ბევრი რამ არის ამ წიგნში დღევანდელი მკითხველისათვის საინტერესო და საგულისხმო. ვასილ წერეთელი წერილში „სახელმწიფო, ერი და კლასი“ ამბობს: „გაითქვიფება თუ არა ერი კაცობრიობაში? არა, როგორც არ გაითქვიფება, მაგალითად პიროვნება ეროვნულ ორგანიზმში. პირიქით, რაც უფრო განვითარდება საერთაშორისო იდეა, მით უფრო განვითარდება თითოეული ეროვნული ორგანიზმი“. ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე ვასილ წერეთელი თავისი ცნობილი ძმის, მიხაკო წერეთლის აზრს იზიარებს.

რამდენი რამ თქმულა ილიაზე, აკაკიზე, ნიკო ნიკოლაძეზე, გიორგი წერეთელზე, ალექსანდრე ყაზბეგზე, მაგრამ ვასილ წერეთლის თვალით დანახული ეს ადამიანები მაინც განსხვავებული კუთხით წარმოსდგებიან მკითხველის წინაშე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61
პ\მგ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00

გადაეცა ასაწყობად 23.02.2001 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.04.2001წ.
ტირაჟი 300. შეკვეთა №22

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის გამზ. №42

0/16

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი ორი ლარი

ინდექსი
76125